K 234.332 / 3

ბ ი ვ ი ვ ე ფ ხ ვ ა ძ ე

9 მარტი, 1956

ქართველი ერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ვეფხვაძე

(წიგნის შემდგენელი)

9 მარტი, 1956

2001
გამომცემლობა „მარჯი"
თბილისი

(479.22)„1956.039" + 791.43-92(479.22)
1956 წლის 9 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამდებარე წიგნი - „9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ" ცდაა, შეძლებისდაგვარად შეივსოს საქართველოს ისტორიის ერთი ტრაგიკული ფურცელი, რომელსაც 1956 წლის 9 მარტი ჰქვია.

ეს იყო ქართული სულის ამბოხი, რომელმაც სტალინის კრიტიკა ეროვნულ შეურაცხყოფად აღიქვა და თავისი პროტესტი გამოხატა მშვიდობიანი მიტინგებით, მანიფესტაციებით, რაც თანდათან მძლავრ ეროვნულ მოძრაობად იქცა. მაგრამ რუსეთის იმპერიის ხელწერა უცვლელია - ტლანქი, უხეში ძალა: ტანკები, ავტომატები, ხიშტები, ორლესული ნიჩბები, მომწამლავი აირი..., რაც 1801 წლიდან მოყოლებული არაერთგზის გვიწვნევია.

როგორც ამბობენ, ძალიან ბევრი დაიხოცა იმ დღეს, ბევრიც დაიჭრა, უმეტესად ახალგაზრდები. ზუსტი რაოდენობა არავინ იცის. ვერც ვერასოდეს გავიგებთ უსახელო გმირების ვინაობას, რადგან მაშინდელი შიში დღემდე მოჰყვება მათი ოჯახის წევრებს, რომელთაც ტირილის უფლებაც კი წაართვეს.

წიგნის შემდგენელი, კინორეჟისორი გივი ვეფხვაძე „საქველმოქმედო საზოგადოება 9 მარტი, 1956"-ის პრეზიდენტია. იგი ავტორია 1993 წელს გადაღებული ორსერიანი დოკუმენტური ფილმისა - „9 მარტი, 1956". ფილმზე მუშაობისას დაგროვილმა დიდძალმა მასალამ (რომელთა ნაწილი ქრონომეტრაჟის გამო ფილმში ვერ შევიდა) გადააწყვეტინა მას წიგნის გამოცემა. არსებულს ახალი წერილებიც დაემატა.

ყველაფერი, რა თქმა უნდა, ვერც წიგნმა დაიტია. როგორც პუბლიკაციების, ისე გამოუქვეყნებელი წერილების შერჩევა მოხდა ერთი პრინციპით- მეტი ფაქტები, განსხვავებული ინფორმაციები და არა მხოლოდ მსგავსი ფოტოგრაფიული აღწერა მომხდარისა, რათა ამ გზით მკითხველს საშუალება მიეცეს, ასე თუ ისე სრული წარმოდგენა შეექმნას 1956 წლის მარტის მოვლენებზე. წიგნს ერთვის ამ თემაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების ნუსხაც.

წიგნი - „9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ" მამულიშვილური ვალის მოხდაა იმ დღეს დაღუპული უდანაშაულო ახალგაზრდების ხსოვნის წინაშე, როცა ამ ამბების მონაწილე თაობა წავა სამზეოდან, მათთან ერთად დაიკარგება ის დიდი ტკივილიც, რაც ამდენი წელი უხმოდ ატარეს - 9 მარტზე ხმამაღლა საუბარი ხომ მხოლოდ 9 აპრილის შემდეგ გახდა შესაძლებელი. იმ ამბებიდან 45 წელი გასრულდა უკვე და ნურც იმისათვის დავძრახავთ თვითმხილველებს, ჟამთასვლამ რომელიმე დეტალი თუ გააფერმკრთალა მათს მეხსიერებაში ან ზოგიერთი უზუსტობა დააშვებინა.

რას უქადის საქართველოს ახალი ათასწლეული? ვინ იცის, ერთი კი უდავოა. წინაპრებმა აქამდე მოიტანეს სამშობლო ჩვენი, მომავალმა თაობამ კი უნდა უპატრონოს მას. ამისათვის აუცილებელია, ახსოვდეს წარსული, რადგან, როგორც ილია მართალი ბრძანებდა: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა".

ალინა ჩაბანავა

რედაქტორი

P.S. 9 მარტთან დაკავშირებით თუ ვინმე ფლობთ ფასეულ ინფორმაციას, მოგვაწოდეთ, რადგან ჩვენ კვლავაც ვაგრძელებთ ამ თემაზე მასალების მოძიებას. იქნებ სამომავლოდაც მოხერხდეს ახალი ფაქტებით შევსებული წიგნის გამოცემა.

ა.ჩ.

სპეგ-2000
საქართველოს პარლამენტის ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

К 239.332

Мთხ ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ... და, აი, ჩემს მიერ გადაღებული ეს ფოტოსურათი, ჩარჩოში ჩასმული, საწერ მაგიდაზე მიდევს. მიდევს არა სალოცავ ხატად, არამედ ჩემი სიყმაწვილისა და ჭაბუკობის წლების არდასავიწყებლად, იმ ადამიანთა ხსოვნის ნიშნად, ვინც შეგნებულად თუ უნებლიედ 1956 წლის 9 მარტის მსხვერპლი გახდა.

დასაკარგი და დასავიწყებელი ჩვენ არაფერი გვაქვს!

გივი ვეფხვაძე



9 აპრილიდან 9 მარტამდე

კიევი.

1989 წლის 10 აპრილის ადრიანი დილა.

გაბმულმა, საქალაქთაშორისო ტელეფონის ზარმა გამომაღვიძა.

ერთი კვირაა, რაც კიევში მივლინებით ჩამოვედი. ერთი კვირაა, დავტოვე თბილისი, მღელვარე, შფოთიანი...

- გისმენთ!.. გისმენთ! - ჩავძახი ყურმილში. ხმას არავინ იღებს, მხოლოდ ავტომანქანების გაბმული სირენები მესმის.

- წუხელის ბავშვები დახოცეს!... მთელი ღამე...

სიტყვებმა აზრი დაკარგეს. მხოლოდ სირენების ხმა მესმის, გაბმული, ავისმაუწყებელი.

●

უცნაურია ადამიანი:

მთელი ღამე არ ეძინა. შფოთავდა, ბორგავდა.

მზეს ამოსვლა არ აცადა. მღვიმიდან გამოვიდა. „სამოსახლოს" წინ დიდხანს იწრიალა. მერე ღონიერ მხარზე ქვის სატეხი მოიგდო და გზას გაუდგა.

დიდხანს იარა.

პიტალო კლდეს მიადგა.

სატეხი მოიმარჯვა:

ხელისგულები გადაეტყავა. მუხლები გაეყვლიფა, თითებიდან სისხლი სდიოდა. სწყუროდა, შიოდა და მაინც არაფერს ეპუებოდა. კლდეს უზარმაზარი ლოდი ჩამოატეხა. რის ვაი-ვაგლახით მღვიმესთან მიათრია. საჭრეთელი მოიმარჯვა და ალიონიდან დაბინდებამდე ეჭიდებოდა ქვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოთალა.
ფეხზე შეაყენა.
ახედა.
საკუთარმა ქმნილებამ შეძრა.
ქვას მფარველი უწოდა.
დაიჯერა.
ირწმუნა.
მუხლებზე დაემხო.
ქედი მოიხარა და...
...მას შემდეგ, ყოველ ცისმარე, დარსა თუ ავდარში დგას ასე, მუხლმოყრილი და თავისსავე შეთხზულ კერპს ემონება.
უცნაურია ადამიანი!

●

- ტელეფონი აივანზე გაიტანე! გესმის?.. აივანზე! - ჩავძახი ყურმილში და სულ ცოტახანში უფრო მკაფიოდ შემომესმა ქუჩიდან შემოსული შემზარავი ხმები.
კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ ოცდაცამეტი წლის მერე!
ვინ მოთვლის, მერამდენედ გლოვობს საქართველო!
ასე ხმამაღლა კი ალბათ პირველად... ბოლო 200 წლის მანძილზე.

●

1956 წელი.
მარტი.
სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან პატარა სკვერში ტევა არ იყო. მღეროდნენ, ლექსებს კითხულობდნენ. გორიდან ჩამოსული მანქანა „ჯავშნოსანი", რომელზედაც ბელადები - „ლენინი" და „სტალინი" იდგნენ, ქალაქის ქუჩებში დაგრიალებდა. ბელადის ძეგლის საკმაოდ მაღალი კვარცხლბეკი გვირგვინებით იყო შემოსილი. აქა-იქ ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მაო ძედუნის სურათებიც ეკიდა. ეკიდა ხრუშჩოვის სურათიც, ოღონდ თავდაყირა. ყველასათვის ნაცნობ, თბილისელ კიკას ჩინური ლაბადა ჩააცვეს, თავზე

ფეტრის „შლაპა“ დაახურეს, ორად ორი ფრაზა დააზეპირებინეს და ისიც მხიარულად დააბოტებდა დემონსტრანტთა შორის და ცდილობდა, გარკვევით ეყვირა: „Я Хрущев!“ „Я Хрушев!“ ასეთივე წარწერით შეამკეს ჩასუქებული ღორი, რომელსაც მოზღვავებული ხალხის ნაკადისათვის თავი ვერ დაეღწია.

ასე გამოვხატავდით მაშინ ჩვენს დამოკიდებულებას იმ პიროვნების მიმართ, ვინც სტალინი და ქართველი ერი გააიგივა, ვინც პირადი ანგარიშსწორებისათვის მთელი თავისი გესლი ქართველ ხალხზე გადმოანთხია.

... 9 მარტს, კარგად შებინდებულზე, ჯერ კავშირგაბმულობის შენობასთან ახმაურდნენ ავტომატები და ტანკები, ხოლო შემდეგ ხიშტებიც დატრიალდა სანაპიროზე.

გვიან ღამემდე ისმოდა სროლის ხმა.

მერე ყველაფერი მიწყნარდა, მიყუჩდა...

დილა ქალაქში საბჭოური ჰიმნითა და ავტომატმომარჯვებული სალდათებით შემოვიდა. ქვაფენილები სველი იყო. ვიღაცამ თქვა, მთელი ღამე ქუჩებს სისხლისაგან რეცხდნენო.

ხმამაღლა არავინ აგლოვეს.

ცრემლი იღვრებოდა ჩუმად.

ყვავილები არ მიუტანიათ მიცვალებულთა პატივსაცემად.

დახოცილები უხმაუროდ, ქურდულად მიაბარებინეს მიწას.

კერპის აღსასრული

1953-ის მარტში გარდაიცვალა.

მილიონობით ადამიანი შიშმა მოიცვა.

ბელადის გარეშე ცხოვრება ვერავის წარმოედგინა.

გადიოდა დრო და ცხოვრება თანდათანობით ჩვეულებრივ რიტმში დგებოდა. უფრო მეტიც, შეუცნობელი შვება იგრძნო ადამიანმა. ყოველ ახალ დღეს ახალი, სასიამოვნო ელფერი მოჰქონდა; თითქოს რაღაც ხალისი შეემატა სიცოცხლეს. იცვლებოდა ცხოვრების ნირი.

ერი ელოდა რაღაც უკეთესს...

და ეს „უკეთესიც“ სულ მალე მოვიდა. და ეს „უკეთესი“ 1956 წლის დასაწყისშივე მოიტანა სსრკ კომუნისტური პარტიის XX

1953 წლის მარტი.
სტალინის გარდაცვალებასთან დაკავშირებული სამგლოვიარო დღეები.

ყრილობამ!... მიუხედავად იმისა, რომ ქართველ კაცს ყოველთვის ჰქონდა თავისი სწორი და მიუდგომელი შეფასება სტალინის მიმართ, მაინც შეძრა კულტის საკითხმა, რადგან მწვავედ შეიგრძნო, თუ როგორ მიაყენა ხრუშჩოვმა ჩვენი ერი კედელთან.

შეიგრძნო და, აი, დადგა მარტის თვეც! პირველი დღეებიდანვე

1953 წლის მარტი.
სტალინის გარდაცვალებასთან
დაკავშირებული სამგლოვიარო დღეები.

1953 წლის მარტი.
სტალინის გარდაცვალებასთან
დაკავშირებული სამგლოვიარო დღეები.

ხალხმა თანდათანობით იწყო სვლა სანაპიროზე. მოჰქონდათ ყვავილები, გვირგვინები, დაწესდა საპატიო ყარაული... შეიქმნა სამიტინგო შტაბი. ათენებდნენ და აღამებდნენ სტალინის ძეგლთან... მომდევნო დღეები საყოველთაო მიტინგის დღეებად გადაიქცა... მომიტინგეები ითხოვდნენ სტალინის ძეგლთან იმ ადამიანების მობრძანებას, ვისაც მინიჭებული ჰქონდა ბელადის სახელობის პრემიები, წოდებები... მოითხოვდნენ რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელთა მოსვლასაც... „მას, ვისაც მინიჭებული აქვს სტალინური პრემია და დღეს ჩვენს გვერდით არ არის, ჩამოერთვას პრემია და გადაეცეს გაჭირვებულ ოჯახებს...“ - მკაცრად გამოაცხადეს გამომსვლელებმა...

მოვიდა ხორავა,

მოვიდა ვასაძე;

ნონეშვილს ლექსიც კი წააკითხეს: „მამავ, ძვირფასო“.

მოდიოდნენ და იგრძნობოდა, თუ როგორი იძულებითი იყო მათი გამოსვლები, ხალხი კი სწორედ მათგან ელოდა ცოცხალ სიტყვას, გამხნევებას...

...მჟავანაძეს სიტყვა არ ათქმევინეს, რადგან ქართული არ ეხერხებოდა და როცა მესამედ თუ მეოთხედ ისევ და ისევ რუსულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო: „Товарищи"! ხალხი აყვირდა: „ქართულად, ქართულად!"-და სულ ახლახანს დანიშნული საქართველოს ცკ პირველი მდივანი სტვენითა და უკმაყოფილო შეძახილებით ტრიბუნიდან „ჩააცილეს".

8 მარტს მომიტინგეთა მცირერიცხოვანი დელეგაცია საქართველოში საქმიანი ვიზიტით ჩამოსულ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არმიის სარდალს - ჯუ-დეს კრწანისში ეწვია და სთხოვა, ძეგლთან სიტყვით გამოსულიყო. კრწანისიდან დაბრუნებულმა დელეგაციამ მომიტინგეებს ამცნო, რომ ჯუ დე ხვალ, 9 მარტს, აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას ამ მიტინგში...

9 მარტი.

ტრიბუნაზე ისევ ერთმანეთს ცვლიდნენ ორატორები. ხალხი ჯუ დეს ელოდა. საღამოვდებოდა, ჯუ დე კი არ ჩანდა.

ცოტა ხანში მიკროფონით გვაცნობეს, რომ მოლოტოვის დაბადების დღეა და ქართველი ხალხის სახელით დეპეშა უნდა გაეგზავნოსო. წაიკითხეს მისალოცი დეპეშის ტექსტი. სახელდახელოდ შექმნილი დელეგაცია კავშირგაბმულობის სახლისკენ დაიძრა.

მიტინგი გრძელდებოდა. ვიღაცამ წინადადება წამოაყენა - სამხედრო ნაწილს დაევალოს, საღამოს 10 საათზე ოცზალპიანი სალუტი ჩაატაროსო. ამ წინადადებას ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი.

1953 წლის მარტი.
სტალინის გარდაცვალებასთან
დაკავშირებული სამგლოვიარო დღეები.

სიტუაცია სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. ვიღას ახსოვდა ... სტალინი, ან ლენინი. მთელი ქალაქი ეროვნულმა მოძრაობამ ... ვა: „ძირს რუსეთის იმპერია...“ „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“... ისმოდა რეპროდუქტორში. ხალხი ოვაციით ხვდებოდა ამ მოწოდებებს. არც ეშმაკს ეძინა! ერთ-ერთი ორატორი მიკროფონთან მივიდა და „ამაღელვებელი“ სიტყვებით მომიტინგეებს მოუწოდა კავშირგაბმულობის ხელში ჩაგდება, რათა მსოფლიოსთვის ემცნოთ, რომ ქართველ ერს არ სურდა საბჭოთა სახელმწიფოს შემადგენლობაში ყოფნა, რომ საქართველო ძალით იყო დამონებული რუსეთის იმპერიის მიერ... და აღგზნებული ხალხიც კავშირგაბმულობის შენობისკენ დაიძრა.

უკვე კარგა შებინდებული იყო. სანაპიროზე ქოშინით მოირბინა რამდენიმე ახალგაზრდამ. ისინი ტრიბუნაზე აიჭრნენ: „ძმებო! კავშირგაბმულობისაკენ! სალდათები იარაღით გადაგვეღობნენ და გვესროლეს, რამდენიმე კაცი დახოცილი და დაჭრილია.“

აღელდა, აბობოქრდა მასა!

ვნებათა ღელვა არც კი დამცხრალიყო, ავტომატის სროლის შორეული ხმა გაისმა. ხალხი ჯერ გაინაბა. ყველას ეგონა, რომ ყურთასმენამ უღალატა. ხოლო როდესაც ორიოდე წამის შემდეგ ამჯერად უკვე რამდენიმე ავტომატის კაკანმა მკაფიოდ მოაღწია სანაპირომდე, მომიტინგეებს ახოვანი აღნაგობის მამაკაცი გამოეყო, ელვის სისწრაფით შეხტა პიედესტალზე და მიკროფონში მთელი ხმით ჩასძახა: „აბა, ქართველებო! წავიდეთ ჩვენი ძმების დასაცავად!“ ვინ ქვას წააკლო ხელი, ვინ ხეს ჩამოატეხა ტოტი, ვინ ბაღის გრძელ სკამებს ააგლიჯა ფიცრები და ასე, ამრიგად „შეიარაღებულნი“ გავემართეთ „საბრძოლველად“ კავშირგაბმულობის შენობისაკენ - ზოგი ჯორჯიაშვილის ქუჩით, ზოგი ალექსანდროვის ბაღის ავლით, ზოგიც მუხრანის (ბარათაშვილის) ხიდიდან პუშკინის ქუჩის აყოლებით. ავლაბრიდან მომავალ ცისფერ 9 ნომერ ტრამვაის წინ გადავუდექით. თავზარდაცემული ვაგონმძღოლი ... ახალგაზრდა საჭეს მიუჯდა და ტრამვაი მთელი სისწრაფით დაძრა. „მეომრებით“ დახუნძლული ტრანსპორტი პუშკინის ქუჩის დასაწყისთან გაჩერდა. აქედან ფეხით ავირბინეთ ლენინის მოედანზე. როდესაც რუსთაველის პროსპექტზე გავედით და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს მივუახლოვდით, ისევ გაისმა ავტომატების ჯერი. ზოგი შენობის კუთხეს აეკრა, ზოგიც მუზეუმის ფართო, მაღალთაღიანი კარის შესასვლელს ამოვეფარეთ... სროლა შეწყდა. ვიღაცამ დაიძახა:

„ნუ გეშინიათ, „პუსტოის“ ისვრიან.“

ჩვენც, გათამამებულებმა, პროსპექტის მოპირდაპირე მხარეს გადავირბინეთ. სროლა არ ისმოდა. უფრო გავთამამდით. „პუსტოი“ ტყვიების ვერსია დავიჯერეთ: სალდათებს ალბათ მოზღვავებული ხალხის შეეშინდათ და მიიმალნენ. ახლა ისღა რჩებოდა, რომ ხელჩართულ „ომს“ გამოგვიცხადებდნენ. ჩიტაძის ქუჩიდან მუქი ფერის მსუბუქი ავტომანქანა ჩამოდიოდა. „მეომრების“ ერთი ჯგუფი მანქანას წინ გადაუდგა. შუახანს გადაცილებული, შავი პირისახის, ნახევრად გამელოტებული მძღოლი გულგახეთქილი გადმოხტა კაბინიდან. მანქანა გვერდულად ავაყუდეთ... წამიც და ისევ ახმაურდნენ ავტომატები. ვინ ბარიკადად აყრავებულ მანქანას შეაფარა თავი, ვინ კიდევ - პიონერთა სასახლის წინ გამწკრივებულ ჭადრებს. სროლა ორ წუთამდე გაგრძელდა. ხეს ამოფარებული მე და ჩემი მეგობარი რაულ ჭეიშვილი, ბაღის სკამიდან აგლეჯილი ჯოხით ხელში, ვცდილობდით, თვალი შეგვევლო, საიდან და რომელ მხარეს ისროდნენ. მთავრობის სახლის წინ სიცარიელე იყო, არც პროსპექტზე არ ჩანდა ვინმე. არ ვიცოდით, რა გვექნა. ან რა უნდა გვეღონა ხის „თოფ-იარაღით“ აღჭურვილებს. უკან დაბრუნებაც არ შეიძლებოდა, ლაჩრობაში ჩაგვეთვლებოდა!

პროსპექტზე შემზარავმა სიჩუმემ დაისადგურა.

- ჯოხი გულთან აიფარე, ვინიცობაა, გვესროლონ, ცოტას მაინც დააკავებს ტყვიას,- მირჩია მეგობარმა. მეც ეს გულუბრყვილო რჩევა სწრაფად შევასრულე.

ორივენი ვდუმდით მანამდე, ვიდრე ვიღაცამ არ დაიძახა: „წინ!“ და ყველანი კავშირგაბმულობის შენობისაკენ გავიქეცით... საკუთარი თვალით პირველად მხოლოდ ახლა დავინახე, თუ როგორ გამოცვივდნენ ჯარისკაცები მთავრობის სახლის თაღებიანი შესასვლელიდან, საფეხურებზე განლაგდნენ და დაუნდობლად დაგვიშინეს ცეცხლი... ჯოხი მოვისროლე. ჩიტაძის ქუჩისკენ გავიქეცი და გაზონებში გავწექი. სულ ახლოს, თავსზევით, მკაფიოდ მესმოდა ტყვიების ზუზუნი... ხოხვით გადავსერე ქუჩა, ჭადრის სქელ ტანს ამოვეფარე და გაფაციცებით ვიყურებოდი მთავრობის სახლისკენ... ჩემი მეგობარი ვერსად დავლანდე. მთავრობის შენობის წინ, იქ, სადაც დღეს 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი დგას, გულაღმა იწვა ტყვიით განგმირული ჭაბუკი, რომელსაც თეთრი კაშნე მოუჩანდა.

ამჯერად უკვე ვირწმუნეთ, რომ სალდათები არც „პუსტოის“ ისროდნენ და არც ჰაერში. ვირწმუნეთ და თავქუდმოგლეჯით დავეშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით ქვევით...

...სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან, ისევ გუგუნებდა, მძვინვარებდა ხალხი. ვორონცოვის ხიდზე ჯავშანტრანსპორტიორებისა და სალდათებით სავსე სამხედრო მანქანების რიგი მოდიოდა. ჩემს წინ ვიღაც ჭაბუკი, რომელსაც, ეტყობა, ნერვებმა უმტყუნა, მარტის ამ ცივ ღამეს მტკვარში გადახტა. მე ხიდის რიკულებთან ჩავიმუხლე და მანამდე ვიყავი ასე, სანამ სამხედრო ტექნიკამ არ ჩაიარა.

სახლამდე სულ ცოტა მანძილიღა მრჩებოდა.

ტოლსტოის ქუჩას რომ მივუახლოვდი, კვლავ გამოჩნდნენ „წესრიგის დამცველები". ამჯერად მათ სასწრაფო დახმარებისა და სახანძრო მანქანები მიჰყვებოდნენ კუდში.

ქუჩის კუთხესთან ჩემი მეგობრის დედა, მაგლო დეიდა, შევნიშნე. იგი სახეშეშლილი ჩემსკენ მორბოდა.

- რაული სად არის?! - აკანკალებული ხმით მკითხა... უეცრად თვალწინ მთავრობის სახლის წინ უპატრონოდ დაგდებული თეთრკაშნიანი ჭაბუკი წარმომიდგა... ახლაღა გამახსენდა, რომ ჩემს მეგობარს თეთრი კაშნე ჰქონდა ყელზე შემოხვეული. თვალთ დამიბნელდა. რაულის დედამ მხრებში ხელი ჩამავლო და შემანჯღრია. გონი მოვიკრიბე, თავს ძალა დავატანე, რაც შეიძლება უდარდელი სახე მივიღე და ვიცრუე: - ახლახანს დავშორდით ერთმანეთს, სახლში წავიდა-მეთქი. ქალი დაწყნარდა. თვალებში ღიმილი ჩაუდგა, გულში ჩამიკრა და სირბილით გაჰყვა ქუჩას... გავცქეროდი ჩემი მეგობრის დედას და არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, მეც ხომ ალბათ ასე მოუთმენლად მელოდნენ შინ! სახლში არ შევსულვარ. ფეხდაფეხ ავედევნე ქალს... ეზოს შესასვლელთან გავჩერდი... ქალმა აივანზე აირბინა... კარი შეაღო. ოთახში სინათლე ენთო და მე ნათლად დავინახე, როგორ ჩაეხვია იგი თავის ვაჟს, ჩემს მეგობარს, რომელსაც თეთრი კაშნე ეკეთა...

რაული ცოცხალი იყო!

ცოცხალი იყო ჩემი მეგობარი რაულ ჭეიშვილი.

არ იყო ცოცხალი მეორე რაული, ჩვენი ახლო მეზობელი და ბავშვობის ამხანაგი, ჩვენზე ორი წლით უფროსი რაულ ლოლუა. მისი სიკვდილი 10 მარტს დილიდანვე შევიტყვეთ, სკოლაში გვითხრეს. კალინინის მოედანზე ცხოვრობდა, №1 სახლში.

ეზოში უჩვეულო, ჩუმი, მაგრამ დაძაბული ფუსფუსია.

მეორე სართულის ღია აივნის სიღრმეში მდებარე მათი ბინის კარი ღიაა.

ოთახიდან დროდადრო ისმის ქალის ხმა, დაგუდული, სულისშემძვრელი.

ძველებური თბილისური ეზოს შესასვლელთან უცხო თვალი დაიარება.

მეზობლები მალულად, შორიდან იცრემლებიან.

ლოლუების ოჯახს აუწერელი მწუხარება ესტუმრა...

სად და როდის დაკრძალეს, არ გაგვიგია. გავიგეთ მხოლოდ ის, რომ სრულიად შემთხვევით მოხვდა იმ ორომტრიალში. მაშინ ასე ითქვა: - რაული იმ დღეებში საერთოდ არ გასულა გარეთ. სახლში იჯდა და მეცადინეობდაო. 9 მარტს, დილიდან, მისი უმცროსი ძმა, ომარი სანაპიროზე წავიდა. ღამით, როცა სროლა ატყდა და ეს შემზარავი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს ქალაქს, მშობლები აფორიაქდნენ. რაული ომარის მოსაძებნად გაუშვეს. ისიც სანაპიროსკენ გაეშურა. ძმის ძებნაში შემთხვევით მოხვედრია ტყვია. ნეტავი არ წასულიყო! ომარი იმ დილას თურმე გორში გაჰყოლია მომიტინგეთა ერთ ჯგუფს. დილით დაბრუნებულს კი ძმა მოკლული დახვდაო. რაული მაშინ 20 წლისა იყო.

მოგვიანებით, როცა 9 მარტთან დაკავშირებით მასალების მოძებნა დამჭირდა, ომარ ლოლუას დავუკავშირდი. შევხვდით. თითქმის ოცდაათ წელზე მეტი გავიდა, ერთმანეთი არ გვენახა. ომარმა სურათების ალბომი მომიტანა. ბევრი რამ გავიხსენეთ წარსულიდან. გავიხსენეთ რაულის შემთხვევითი სიკვდილიც.

- მასე არ იყოო,- ნაღვლიანი ღიმილით მითხრა ომარმა,- რაულის არც ერთი დღე არ გამოუტოვებია, სულ ძეგლთან ტრიალებდა. მე კი იმ დილას ნამდვილად წავედი გორში. ეგ ხმა ალბათ იმიტომ დაყარეს, რომ ჩვენს ოჯახს რეპრესიები ასცდენოდა, ხომ გახსოვს, რა დრო იყო...

მახსოვს!

ისიც მახსოვს, ხალხში ჩუმად ხმა დაირხა, - ორგანოს მუშაკები დაღუპულთა ოჯახებში დადიან და მშობლებს აიძულებენ, საზოგადოების წინაშე შვილების მოქმედება დაგმონო...

ვუსმენდი ომარის და ვფიქრობდი: რა იოლი ყოფილა ადამიანების მოტყუება, დაშინება! როგორ ადვილად დავიჯერეთ მაშინ „შემთხვევით მოხვედრილი ტყვიის“ ამბავი.

მივიწყებული კინოკადრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1969 წლის დამლევს საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდია მუშაობას შეუდგა დოკუმენტური კინოფილმის სერიალზე - „საქართველოს მატიანე", რომელიც ჩვენი რესპუბლიკის გასაბჭოების 50 წლისთავს ეძღვნებოდა. თითოეული სერია, არსებულ კინოფოტო საარქივო მასალაზე დაყრდნობით, ხუთწლიანი პერიოდების გაშუქებას ითვალისწინებდა.

ეს სამუშაო ზემოდან იყო თავსმოხვეული. სტუდიის შემოქმედებითი ჯგუფი არცთუ დიდი ენთუზიაზმით, მაგრამ მაინც შეუდგა მინისტრთა საბჭოს ამ დავალების შესრულებას, ვინაიდან თითოეულ ჩვენთაგანს კარგად ესმოდა, რა მოჰყვებოდა იმ ხელისუფლების განაწყენებას, რომელმაც სულ რაღაც ორიოდე წლის წინ დაგაარსა და დაგაფინანსა. რეჟისორებმა ავირჩიეთ ჩვენთვის სასურველი პერიოდები და მუშაობაც დაიწყო.

მე 1953-1958 წლების მოვლენებს მოვკიდე ხელი, რადგან ეს პერიოდი ჩემი ცხოვრების ყველაზე შთამბეჭდავი პერიოდი იყო: სტალინის გარდაცვალება, საშუალო სკოლის დამთავრება, სტუდენ-

[illegible]ის მარტი.
[illegible]ტალინის ძეგლთან სკვერში

1956 წლის მარტი.
მიტინგი სტალინის ძეგლთან, სკვერში

1956 წლის მარტი.
მიტინგი სტალინის ძეგლთან, სკვერში.
ტრიბუნაზეა სერგო ზაქარიაძე.



1956 წლის მარტი.

1956 წლის მარტი.
მიტინგი სტალინის ძეგლთან, სკვერში.
ტრიბუნაზეა გიორგი ლეონიძე.



1956 წლის მარტი.
მიტინგი სტალინის ძეგლთან, სკვერში.



1956 წლის მარტი.
მიტინგი სტალინის ძეგლთან, სკვერში.

K 234.332

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

1956 წლის შორტი.

მიტინგი სტალინის ძეგლთან, სკვერში. საპატიო ყარაულში იმ დღეს მოკლული ანზორ ჩაკვეტაძის ძმა კუკური ჩაკვეტაძე (მარცხნივ)

ტური ცხოვრება და, რაც მთავარია, 1956 წლის მარტისა-ზეგ-ზეგ-ზეგ

ჩის გასწვრივ ჩამწკრივებულ ნაძვებს ამოვეფარე და სხვადასხვა წერტილიდან სამად სამი კადრის გადაღება მოვახერხე. ერთ-ერთ ფოტოსურათზე მკაფიოდ ჩანს კინოსაოპერატორო **ამწე**, რომელიც 9 მარტს მომიტინგეთა თავკაცების მოთხოვნით კინოსტუდიიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიტანეს. გადაღებული მასალა სუკის აგენტებმა უმალ ჩამოართვეს. რომ არ გაანადგურებდნენ, ცხადია, ალბათ სუკის საცავებში მოათავსეს ან აქ, ან რუსეთში.

ბევრმა ნაცნობმა თუ უცნობმა, ვინც კი გაიგო, რომ საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიაში ამ თემაზე მზადდებოდა დოკუმენტური კინოფილმი, მოგვაწოდა სხვადასხვა ფოტოსურათები, სადაც აღბეჭდილი იყო ხალხით სავსე სანაპირო. ყველა ირწმუნებოდა, რომ სურათი 1956-ის 9 მარტს იყო გადაღებული. თავდაპირველად მეც ასე მეგონა; სასიამოვნო იყო, რომ მომავალ ფილმს დღითიდღე ემატებოდა საარქივო მასალა. სურათებს გულდაგულ ვათვალიერებდი, გამადიდებელი შუშით ვცდილობდი, მომენახა ნაცნობი სახეები, დეტალები და უცებ აღმოვაჩინე, რომ ყველა სურათი გადაღებული იყო წინა წლებში - ზოგი 1954-ში, ზოგიც 1955-ში, არადა, ერთი შეხედვით ყველა ამ ფოტოკადრს იმდენი რამ აქვს საერთო, რომ ჩვეულებრივი თვალისათვის ყველა აღიქმება, როგორც 1956 წლის 9 მარტს შესრულებული. ბოლო ხანს პრესაშიც არაერთხელ დაბეჭდილა მსგავსი სურათები, რომლებიც ასევე არასწორადაა დათარიღებული. მხოლოდ ერთადერთ სურათს, რომელიც გაზეთმა „სახალხო განათლებამ" (21 ივნისი, 1989 წ. №39) ნოდარ ნათაძის წერილს („9 მარტი, 1956 წ.") დაურთო, აქვს ზუსტი თარიღი, რასაც ადასტურებს თვით სურათის მინაწერიც: „ი.ბ. სტალინის ძეგლი თბილისში, სანაპიროზე. 1955 წ. ქვეყნდება პირველად. ვ. გენგიურის ფოტო". ძალზე ემოციურია ამავე გაზეთის 1990 წლის 22 ნოემბრის (№47) მე-14 გვერდზე გაიოზ ერაძის წერილთან („ბომონი სასწორზე") ერთად გამოქვეყნებული მის მიერვე გადაღებული ფოტოსურათიც. ემოციურია, მაგრამ თარიღი მცდარია. აი, რას წერს ავტორი სტატიის დასასრულს: „მოყვანილი ფოტო ამ წერილის ავტორის მიერ არის შესრულებული მალულად, 1956 წლის 9 მარტს, ნაშუადღევს, ღამით დატრიალდება ტრაგედია. ახლა ხალხი დაჩოქილია..."

იმ წლებში სასტიკად იყო აკრძალული ფოტოაპარატის ხმარება ქალაქის საერთო ხედების გადასაღებად და მით უმეტეს მასობრივი თავშეყრის ადგილებში, ეს ფოტოც, შესაძლებელია, მართლაც მალულადაა გადაღებული, მაგრამ არა 1956 წლის 9 მარტს, არამედ 1954 წლის მარტში - სტალინის გარდაცვალების ერთი წლის თავზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაიოზ ერაძის ფოტო

ერთმა ჩემმა ბავშვობის მეგობარმა, მარლენ სულხანიშვილმა, როდესაც გაიგო, რომ 9 მარტის შესახებ ფილმის გადაღებას ვაპირებდი, დამირეკა და მითხრა, - იმ დღეებში შენი გადაღებული ერთი სურათი ჩემს ოჯახში ინახებაო. სასწრაფოდ ვეწვიე მარლენს. სურათი მართლაც ჩემი გადაღებული იყო - გვირგვინებით შემკული სტალინის ძეგლი. ძალიან გამიხარდა, ასეთი ფოტო მე არ მქონდა. სურათის უკანა მხარეზე ჩემი მინაწერი იყო: „მარლენ სულხანიშვილს ამ დღის მოსაგონებლად. 1955 წ. 12 მარტი". გამაოცა თარიღმა... სურათი წამოვიღე და დიდხანს ვადრიდი იმ ფოტოკადრებს, რომლებიც მანამდე 1956 წელს გადაღებულად მიმაჩნდა, ვაკვირდებოდი კვარცხლბეკზე განლაგებულ გვირგვინებს, სკვერში თავმოყრილ ხალხს და უცებ აღმოვაჩინე, რომ სურათები სხვადასხვა წელს იყო გადაღებული. ორიოდ დღეში ჩვენთვის ყველასათვის საყვარელმა მსახიობმა, ქალბატონმა ნინიკო ჩხეიძემ კიდევ ერთი ფოტო შემატა საფილმო მასალებს - იგი დათარიღებული იყო 1954 წლით. ხოდა, უცებ ყველაფერი თავის ადგილზე დალაგდა:

- **1954 წელს** კვარცხლბეკის თავში მოთავსებულია გვირგვინი, რომელსაც ზედა მხარეს სამკუთხედის ფორმის ბაფთა აქვს გაკეთებული.

- **1955 წელს** კვარცხლბეკის თავში გვირგვინზე გამოსახულია ვარსკვლავი თეთრი არშიით. სკვერში ხალხი არცთუ ისე ბევრია.

- **1956 წლის** გვირგვინს ღია ფონზე მუქი ფერის დიდი ვარსკვლავი ამშვენებს. სკვერიც მომიტინგეებითაა გადაჭედილი.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ამ დღეს ყოველწლიურად იკრიბებოდა ხალხი სანაპირო სკვერში და ძეგლს ყვავილებითა და გვირგვინებით ამკობდნენ.

იმ დღეს დაღუპულთა ვინაობის დასადგენად ფილმის ავტორები ვცდილობდით, არ გამოგვრჩენოდა თუნდაც ერთი ადამიანი. ვხვდებოდით ჭირისუფლებს, ვეცნობოდით ბოლო პერიოდის პრესაში გამოქვეყნებულ ტრაგედიასთან დაკავშირებულ მოგონებებს, ვადგენდით ფაქტების ჭეშმარიტებას, რათა რაიმე უზუსტობა არ შესულიყო ფილმში. არადა, ასეთი გამოგონილი სტატიები არა ერთ გაზეთში დაიბეჭდა. ყოველი ახალი გვარის აღმოჩენა დიდ მწუხარებას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1954 წელი

1955 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1956 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან ერთად სიხარულსაც გვგვრიდა, რადგან ჩვენი ფილმის საშუალებით მათი სახელები მივიწყებას არ მიეცემოდა და ერის ისტორიაში დარჩებოდა...

გაზეთ „თბილისის" 1990 წლის 25 მაისის ნომერში 9 მარტის ტრაგედიასთან დაკავშირებით ნოდარ შამანაძის მოგონება დაიბეჭდა - „წინათგრძნობა", ქვესათაურით - „ნამდვილი ამბავი", სადაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ადგილმა... „ზაზა გაფითრებული შემოვარდა (ოთახში - გ.ვ.), ძლივს ამოთქვა: ტყვიები დაგვიშინეს, თედო მოკლეს, ხოლო კობა მხარშია დაჭრილი, სასწრაფომ წაიყვანაო..." ვინაიდან ჩვენს მიერ მიკვლეულ დაღუპულებს შორის ვინმე „თედო" არ იყო, სასწრაფოდ დავუკავშირდით ბატონ ნოდარს და ვთხოვეთ, მის შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია მოეცა.

ბატონმა ნოდარმა ბოდიში მოგვიხადა და გულახდილად გვითხრა, რომ ეს ფაქტი მისი მოგონილი იყო!...

ასეთივე გამოგონილი პიროვნება იხსენიება გაზეთში „კოლხური დიადემა" („9 მარტიდან 9 აპრილამდე", №3, მაისი, 1991 წ.). ჟურნალისტი, ქალბატონი მერი თოდუა დაღუპულთა შორის ასახელებს ვინმე ვახტანგს: „ბიჭო, შენ აქ სეირნობ ქალიშვილთან? იცი კი, რომ ვახტანგი მოკლეს?"..

იმ ღამეს დაღუპულთა შორის თედოს მსგავსად არც ვახტანგი არსად არ არის მოხსენიებული... ერთი სიტყვით, ასეთი გამოგონილი და არაზუსტი ფაქტების პუბლიკაციას არცთუ იშვიათად შეხვდებით ჩვენი პრესის ფურცლებზე. საკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ და გასაკვირი არ არის, რომ ადამიანის მეხსიერებაში ბევრი რამ გაფერმკრთალდა ან მთლიანად წაიშალა, მაგრამ ჩვენ, დოკუმენტალისტები, ვალდებულნი ვართ, მომავალ თაობას ზუსტი ფაქტები შემოვუნახოთ და არა ისეთი სიყალბე, როგორიც 1999 წლის 9 მარტს უჩვენეს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით. 9 მარტამდე გაცილებით ადრე ტელეეკრანიდან კეთდებოდა განსაკუთრებული რეკლამები იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი ჟურნალისტი ქართველი ტელემაყურებლის წინაშე წარსდგებოდა 1956 წლის ტრაგედიასთან დაკავშირებული ახალი, უნიკალური კინოკადრებით. ჩვენ ფილმის გადასაღებად ორი წლის მანძილზე ვეძებდით მასალებს, სად არ ვიარეთ - არქივებში, ფილმსაცავებში, ოჯახებ-

ში, სუკ-შიც კი. „ამერიკის ხმის“ ერთ-ერთ გადაცემაში მათგან ასეთი ინფორმაცია გავიგეთ: - „1956 წლის ცხრა ივლისის მოვლენებთან დაკავშირებული არც ერთი მასალა საბჭოთა კავშირში არ არსებობს, ყველა დოკუმენტი ჩვენთან ინახებაო.“ დავუკავშირდით „ამერიკის ხმას“, მაგრამ ვერც იქიდან მივიღეთ ვერაფერი. ასე, რომ გადაცემას მოუთმენლად ველოდით: - ჩვენს შრომას უქმად არ ჩაუვლია და ახალგაზრდა თაობა ჩვენს მიერ გაკვალულ გზას ფართო შარაგზად გადააქცევსო,- ვფიქრობდით ახალი, უნიკალური კადრების ხილვის მოლოდინში...

9 მარტს, საღამოს, ჟურნალისტი მაყურებლის წინაშე წარსდგა მთლიანად ფალსიფიცირებული დოკუმენტებით. გადაცემაში თავმოყრილი იყო საბჭოთა პერიოდში სამხედრო აღლუმებზე გადაღებული კინოკადრები: რუსთაველის გამზირზე მოგრუხუნე მძიმე საბრძოლო ტექნიკა - ტანკები, ქვემეხები, სამხედრო მანქანის ძარაზე მჯდომი ავტომატიანი ჯარისკაცები... ეს ყველაფერი დამონტაჟებული იყო მსხვილი ხედებით, აღლუმზე მოსული მაყურებლის გარეშე. კადრს მიღმა კი ისმოდა ჟურნალისტის ხმა. იგი მაყურებელს ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებით ყალბი დოკუმენტებით აბრუებდა. თუმცა დაკვირვებულ ტელემაყურებელს და მით უფრო იმ დღეთა მომსწრეებს კარგად ახსოვთ, რომ ტრაგედია მოხდა არა დღისით, მზისით, როგორც ეს ჟურნალისტის „მოპოვებულ უნიკალურ კადრებშია“ ასახული, არამედ გვიან ღამით.

ასე, რომ ჟურნალისტი, თუ ის მართლაც ჟურნალისტია, პატიოსნად უნდა ემსახურებოდეს თავის პროფესიას და უნდა ესმოდეს, რომ ისევე, როგორც შუბი ხალთაში, სიყალბე დოკუმენტალისტიკაში არ დაიმალება.

ჩვენ, ავტორები, ვეცადეთ, რაც შეიძლება ნაკლებად ჩავრეულიყავით ფილმში კომენტარებით და მოვლენების შესახებ თხრობა ძირითადად მივანდეთ თვითმხილველებს. ერთ-ერთ კადრში ქალბატონი მარგო მელიქოვა ჰყვება, რომ საავადმყოფოს პროზექტურაში მან თავისი თვალით ნახა, ახალგაზრდა ბიჭებმა მიცვალებულებს შორის როგორ აღმოაჩინეს მეგობარი: „ერთ-ერთმა ახალგაზრდამ გვამი გადმოატრიალა, სახელო აუწია და დაიძახა, - მგონი, ეს გურამიაო. მიცვალებულს მაჯაზე სვირინგით ეწერა- „გურამ ზედგენიძე“...

ამ ეპიზოდის გადაღების შემდეგ და მონტაჟის პერიოდშიც, რადგან ასეთი გვარისა და სახელის დაღუპული არსად არ მოიხსენიებოდა, ვცდილობდით, დაგვეზუსტებინა ჩვენთვის უცნობი გურამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედგენიძის ვინაობა და მისი დაღუპვის სისწორე. ვერ აღმოვაჩინეთ. საკითხი დადგა, ქალბატონი მარგო მელიქოვას მონაყოლში ეს ადგილი ამოგველო, მაგრამ ბოლო წუთს მაინც დავტოვეთ. დავტოვეთ არა იმიტომ, რომ ფილმისთვის კიდევ ერთი ემოციური დატვირთვა მიგვეცა, არამედ იმიტომ, რომ შესაძლოა, მომავალში ვინმე გამოგვხმაურებოდა... ფილმი დასრულდა. ტელეეკრანზეც სხვადასხვა არხით ხშირად გადაიცემოდა, განსაკუთრებით ყოველი წლის 9 მარტს, მაგრამ გურამ ზედგენიძის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მიგვიღია. საქმე სხვაგვარად ყოფილა: დაღუპულთა შორის არის ახალგაზრდა ბიჭი გურამ ტუნიევი. ხოდა, სწორედ გურამ ტუნიევის შესახებ ჰყვება ფილმში ქალბატონი მარგო. გურამს დედა ზედგენიძე ჰყოლია. მისი ნადმვილი გვარი კი გაბიტაშვილი ყოფილა, რომელიც რეპრესიების დროს ტუნიევად გადაუკეთეს. რეაბილიტაციის შემდეგ ძირძველი გვარი არ დაუბრუნებიათ და გურამმა, როგორც ჩანს, მაჯაზე დედის გვარი- ზედგენიძე ამოისვირინგა.

ასე რომ, როდესაც საქმე ეხება ფაქტებს, მას ბოლომდე უნდა ჩაეძიო, რათა მცირეოდენი უზუსტობაც კი არ დატოვო შენი ერის ისტორიაში.

●

ფილმისთვის საჭირო მასალებს ძნელად, მაგრამ მაინც ვაგროვებდით, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქციას ვეწვიეთ. განყოფილების გამგემ, ქალბატონმა მზია კობერიძემ, გულდასმით მოგვისმინა და სიამოვნებით გადმოგვცა 9 მარტთან დაკავშირებული ყველა ის მასალა, რომელიც რედაქციას გააჩნდა. და, რაც მთავარია, მანვე გვირჩია, დავკავშირებოდით ერთ-ერთი დაღუპულის, 16 წლის თენგიზ შანიძის დედას, ქალბატონ ნინო კანდელაკი-შანიძისას. მისამართი ჩავიწერეთ და წყალტუბოს ქუჩაზე მდებარე პირველ კორპუსს ვეწვიეთ...

...კარი ჭაღარა, სანდომიანი გარეგნობის ქალმა გაგვიღო.

- მობრძანდით, თქვენი ჭირიმე, მობრძანდით! - ოთახში შეგვიპატიჟა ქალბატონმა ნინომ.

აქ უკვე გველოდნენ! ვიცოდით, რომ გველოდნენ ქალბატონი ნინო და მისი მეუღლე, ბატონი აკაკი, მათი ვაჟები - ჯემალი და ემზარი, კიდევ ორი-სამი კაცი, 56-ში დაღუპულთა ახლობლები, მაგრამ არ გვეგონა, თუ იმ დღეს იქ ამდენ ჭირისუფალს შევხვდე-

ბოდით: თოფურია, წერეთელი, ხანგულოვი, ნოზაძე, ბაბალაძე, მერკვილიშვილი, გოგია, ელიზბარაშვილი... გვეცნობოდნენ ,,ბუხარე-ბისაგან გატეხილი დედები და გაჭაღარავებული და-ძმები. ერთი ოთახი თითქმის მთლიანად 16 წლის ჭაბუკის, თენგიზ შანიძის ხსოვნას ჰქონდა დათმობილი...

ქალბატონ ნინოს მრავალი წელი დასჭირდა დაღუპულთა მშობლებისა და ახლობლების მოსაძებნად. ვისაც ხმა მიაწვდინა, ან ვინც ხმა მოაწვდინა, ერთმანეთს დააახლოვა და მას მერე ყოველ ცხრა მარტს სანაპიროზე იყრიდნენ თავს. დაბადების დღეებში საფლავებზე ერთად გადიოდნენ და ასე, წლიდან წლამდე იმსუბუქებდნენ წუხილსა და გულისტკივილს. მას გვერდში ედგა იმ დროისათვის უკვე განსვენებული ქალბატონი ელენე თოფურია (9 მარტს დაღუპული თემურ თოფურუას დედა).

ნინო კანდელაკი-შანიძისა

ელენე თოფურია

- ოცდახუთი დაღუპულის ახლობელი მოვძებნე,- ნაღვლიანი ღიმილით გვითხრა ქალბატონმა ნინომ და კედელზე გაკრული პორტრეტებისკენ მიგვანიშნა. ოცდაშვიდი ახალგაზრდის ფოტოსურათი ეკიდა წარწერით - ,,1956 წლის 9 მარტი". ეს ის ახალგაზრდებია, რომელთა ხოცვა-ჟლეტა ხრუშჩოვის მითითებით განახორციელა თბილისის გარნიზონის ჯარების უფროსმა გლადკოვმა.

აკაკი შანიძე

თითოეულ პორტრეტს [illegible] სახელისა და გვარისა, წლოვანებაც ჰქონდა მიწერილი, მხოლოდ ერთი იყო სრულიად უცნობი - სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შავგვრემანი ჭაბუკი და ერთიც - წლოვანების გარეშე, ნუგზარ ხვთისაური.

- ამ ორი ახალგაზრდისა ვერაფერი დავადგინე, - გულდაწყვეტით გვითხრა ქალბატონმა ნინომ,- სურათები, წერილთან ერთად, გაზეთ „სახალხო განათლებაში" გამოაქვეყნა ჟურნალისტმა ბელა წვერაძემ. ნუგზარის შესახებ კი რამოდენიმეჯერ წერილი გავგზავნე დუშეთის რაიაღმასკომში. დღემდე ველი პასუხს, მაგრამ ხვთისაურების ასავალ-დასავალი არ ჩანს. მაზავრიშვილის ჭირისუფალნიც თავს გვარიდებენ, არ გვეკარებიან...

და განა მარტო ისინი?

რამდენი მალავს დღემდე თავის მიცვალებულს!

სად არიან დანარჩენი ჭირისუფალნი?

- დიდი დრო გავიდა, შვილო, - გულისტკივილით გვითხრა ქალბატონმა ლიდა გულიშვილმა,- ბევრი იმათგანი ცოცხალიც აღარ არის. კიაზო ჭანტურიძე ჩემი შვილის, ლეოს, საფლავის მახლობლადაა დაკრძალული. ამ რამდენიმე ხნის წინ ვნახე, საფლავი ბალახს დაეფარა, აღარც წარწერა ჩანდა და აღარც სურათი... მერე გავიგე, საწყალ ბიჭს დედაც გარდაცვლია და მამაც... გული მეტკინა... იმ დღიდან ლეოს საფლავთან ისე არ მივალ, კიაზოს ყვავილები რომ არ დავუწყო, არ გავწმინდო, არ მოვუარო... ჩემი ბიჭის ტოლი იყო, 16 ჯერ არ შესრულებოდათ.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა წარსულის მოგონებებმა მოიცვა.

ქალბატონმა ცისანამ თავისი ძმის, თემურ თოფურიას, სურათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პატარა შეკრულა მოგვაწოდა. პირველი, რაც თვალში მივიცა შეკრულას გახსნისას, გაფერმკრთალებული ქაღალდი იყო, "რომელსაც გარეკანზე გაკრული ხელით ეწერა: „ტოპურია ტეიმურაზ". ფურცელი ფრთხილად გადავშალეთ (სტილი დაცულია):

აკტი

ტოპურია თეიმურაზი ვლადიმერის ძე

ჯიბეში აღმოაჩნდა:

1. **პასპორტი;**
2. **კომკავშირის წიგნაკი;**
3. **სამხედრო ბილეტი;**
4. **ატესტატი სკოლიდან;**
5. **ვეჩნი რუჩკა;**
6. **სავარცხელი ალუმინის;**
7. **სურათები;**
8. **ობლიგაცია. 1953 წ. №145787, №44, 10 მან.;**
9. **საღრიცხვო ბარათი კომკავშირ;**
10. **მეტრიკა;**
11. **5 მანეთი (ხუთი მან.);**
12. **ცნობა არტელიდან;**
13. **ცნობა საბინასამართ.**

9/III - 56 წ.

ხელმოწერები გაურკვეველია.

- ჯარიდან ახალი ჩამოსული იყო, - გვითხრა სიმონ იოსებაშვილმა, უმაღლესში ჩასაბარებლად აგროვებდა საბუთებს... იმ ღამეს, სროლა რომ ატყდა და თემურმა შინ მოსვლა დააგვიანა, მე და ჩემმა მეუღლემ - თემურის დამ, ცისანამ, კამოს ქუჩაზე მდებარე საავადმყოფოსაკენ გავწიეთ. მისაღებში ხალხი ირეოდა. სიები გადავათვალიერეთ...

- სია დიდი იყო?

- საკმაოდ.

- როგორც მახსოვს, გვარები რამოდენიმე ფურცელზე იყო ჩამოწერილი, - განაგრძო ცისანამ,- ჩემი ძმის გვარს რომ ვერ მოვკარი თვალი, დავწყნარდი. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ იმ ღამით ქალაქის სხვადასხვა საავადმყოფოებშიც მიჰყავდათ ნატყვიარი ადამიანები... შინ დავბრუნდით. დედა დავამშვიდეთ, - ალბათ სადმე შე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მორჩა და სადაცაა მოვაო. მთელი ღამე არ გვძინებია. დილამდე ველოდით თემურის. დილით მეზობელმა შემოგვძახა,- ვიღაცებმა გიკითხეს და საავადმყოფოში გიბარებენო... მაშინვე ვიგრძენი, რომ თემური ცოცხალი აღარ იყო.

შეკრულაში კიდევ ორი საგულისხმო საბუთი დევს - გარდაცვალების მოწმობები: ერთი 1956 წელს და-



გარდაცვალების მოწმობა
СВИДЕТЕЛЬСТВО О СМЕРТИ

РЭ № 157553

Пурия
Сисиураз Владимирович
Умер (ла) шестого года, девятого марта



ПРЭ №036892

ღუპულისა, მეორე უფრო ადრინდელი - 1937 წელთან დაკავშირებული. არცერთ მათგანში გარდაცვალების მიზეზი არაა მითითებული.

დიახ! მამა ოცდაჩვიდმეტში დახვრიტეს, შვილი - 56-ში! ერთი

3. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

სახელმწიფოს მიმართ „მტრულად განწყობისათვის“ შეირისხა, მეორე - ამავე სახელმწიფოს დამაარსებლის ქომაგობისთვის.

ბატონი ვლადიმერი 1958 წლის 10 მაისს, სიკვდილის შემდეგ რეაბილიტირებულ იქნა. თემური კი...

თემურის რეაბილიტაცია არ სჭირდება!

რეაბილიტაცია არ სჭირდება არც ერთ იმათგანს, ვისი სისხლითაც მოირწყა თბილისი იმ წყეულ ღამეს!

ისინი უდანაშაულო, სუფთა, უბრალოდ კარგი ბიჭები იყვნენ!

...ბატონმა აკაკიმ სქელტანიანი საქაღალდე გახსნა. საქაღალდეში სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოსურათები, თენგიზის ხელით შესრულებული ჩანაწერები, მის მიერვე დაწერილი პიესები, ნორჩ მათემატიკოსთა ტურში აქტიური მონაწილეობისათვის თუ სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებისთვის მიღებული სიგელები აწყვია... ჩვენი ყურადღება რუსი მოსწავლე გოგონას ფოტოსურათმა მიიქცია.

- ლენინგრადელია - ლიდა ნიკოლაევა. მეშვიდე კლასიდან მიწერ-მოწერა ჰქონდათ. პირადად არ იცნობდნენ, ეს ფოტო თენგიზის დაღუპვიდან ერთი თვის თავზე მივიღეთ,- ბატონმა აკაკიმ ახლა მეორე ფოტოსურათი გვიჩვენა,- ეს სურათი კი ლიდამ 1961 წელს გამოგვიგზავნა. დღესაც ლენინგრადში ცხოვრობს. კარგი ოჯახი შექმნა. თენგიზის სიკვდილის შემდეგ ჩვენთან კავშირი არ გაუწყვეტია... აი, ეს კი თენგიზის უკანასკნელი წერილია.

ლიდა ნიკოლაევა

წერილი 1956 წლის 8 მარტით თარიღდება.

„სალამი თბილისიდან.

გამარჯობა, ლიდა!

თქვენი წერილი 28 თებერვალს მივიღე. ბოდიში, რომ პასუხს ოდნავ მოგვიანებით გწერთ... დიდი მადლობა ჩემი კომკავშირის რიგებში მიღების მოლოცვისათვის.

ჩვენთან უკვე დათბა. ზამთარში დიდი თოვლი იყო; ასეთი უხვთოვლობა თბილისში დიდი ხანია არ ყოფილა... გა-

ზაფხული შემოვიდა და ირგვლივ ყველაფერი გაახალისა... ახლა, რაც მთავარია: ჩვენთან სანაპიროზე, იქ, სადაც სტალინის მოსასვენებელი დგას, ყოველ დღე მიტინგები ეწყობა. ამ მიტინგზე გუშინ მეც წავიკითხე ლექსი. დღეს ერევნიდან და ბაქოდან ჩამოვიდნენ სტუდენტები და ოთხი დიდი გვირგვინით შეამკეს ძეგლი. აქ შეგვატყობინეს, რომ მოსკოვშიც იწყება გამოსვლებიო, რომ თქვენც უკმაყოფილო ხართ ჩვენი სახელმწიფო მოღვაწეთა არავონივრული ნაბიჯის გამო. 9 მარტამდე დაძაბულობა ალბათ უკიდურესობამდე მივა. ლიდა! ძალიან მაინტერესებს, ამ მძიმე დღეებთან დაკავშირებით, რა სიტუაციაა ლენინგრადში. გთხოვთ, მომწეროთ ყველაფერი დაწვრილებით...

ბოდიშს ვიხდი, რომ ფანქრით ნაწერს გიგზავნი. გადათეთრებისათვის არ მცალია. სულ რაღაც ნახევარი საათით შემოვირბინე სახლში. ისევ სანაპიროზე უნდა გავიქცე.

ნახვამდის. თენგიზი.

8/III- 56 წ."

- წერილის გაგზავნა ვერ მოასწრო. 9-ში ღამით დაჭრილი მიიყვანეს საავადმყოფოში... 10 მარტს დილის შვიდ საათზე სული დალია.

ლიდამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გაიგო თენგიზის დაღუპვის ამბავი.

●

...გვიან საღამომდე ვიყავით შანიძეების ოჯახში. გვიან საღამომდე ვისმენდით ჭირისუფალთა ცრემლნარევ ნაამბობებს, ვიწერდით მაგნიტოფირზე, ვათვალიერებდით მათ მიერ მოტანილ ფოტოალბომებს...

თურმე რამდენი ტკივილი შემონახულა დღემდე!

რამდენი რამ დარჩენილა გარდასულ დღეთა მოსაგონებლად!

ამ შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა „საქველმოქმედო საზოგადოება „9 მარტი, 1956"-ის დაფუძნებას, რომელიც რეგისტრირებულ იქნა 1992 წლის 10 ივლისს. მასში ასზე მეტი ადამიანი გაერთიანდა, ძირითადად 9 მარტს დაღუპულთა ახლობლები, იმ დღეს დაჭრილები, დაპატიმრებულები და თვითმხილველნი. ამ ადამიანთა მეშვეობით ფართო საზოგადოება პრესით უფრო ინტენსიურად ღებულობდა ახალ ინფორმაციებს 9 მარტის მოვლენებთან დაკავშირებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭირისუფლები...



კატუშა მათიაშვილი

კუკური ჩაკვეტაძე

გუგული მამალაძე

გურამ წერეთელი

მიხეილ ხანგულიძე



ნიკო ნოზაძე

ზაირა ელიზბარაშვილი

ცისანა თოფურია

მალხაზ თოფურია

გიორგი მერკვილიშვილი

გურამ გოგია

გულნაზი ჩაკვეტაძე

ჯემალ შანიძე

ნინა ალავიძე

რობერტ ზარგარიანი

...ისინი ბევრნი არიან!

მათი დამსახურებაა, რომ შევძელით, შეგვექმნა ორსერიიანი დოკუმენტური ფილმი - **„9 მარტი, 1956“.**

ორსერიიანი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი

"9 მარტი, 1956"

(ფილმი გადაწერილია ეკრანიდან)

ეკრანზე მოჩანს თოვლივით დაფარული სანაპირო ბაღი, სადაც ხალხს მოუყრია თავი. შეკრებილთ ახალ-ახალი ტალღა ემატება. თბილისში, „მშრალ ხიდთან" მდებარე პატარა სკვერში, სადაც ადრე სტალინის ძეგლი იდგა, თავს იყრიან 1956 წლის 9 მარტს დაღუპულთა მშობლები, და-ძმები, ახლობლები: აკაკი შანიძე, ნინო კანდელაკი-შანიძე, გურამ და მერი წერეთლები, ლიდა და მიხეილ ხანგულიძეები, ზაირა ელიზბარაშვილი, ცისანა თოფურია, სიმონ იოსებაშვილი, კუკური ჩაკვეტაძე, ნიკოლოზ ნოზაძე, მალხაზ თოფურია... 9 მარტის მსხვერპლთა სურათებთან სანთლებს ანთებენ.

კადრს მიღმა ისმის ფილმის რეჟისორის - **გივი ვეფხვაძის** ხმა.

რეჟისორი: - ეს კადრები 1991 წლის 9 მარტსაა გადაღებული, აქ შეკრებილი ადამიანები კი 1956 წლის 9 მარტს დაღუპულთა მშობლები და ახლობლები არიან. ისინი სამ ათეულ წელზე მეტია, ასე იკრიბებიან, თუმცა ამას აქამდე ფარულად აკეთებდნენ, მონაცვლეობით ხვდებოდნენ ერთ-ერთის ბინაზე, დაღუპულთა დაბადების დღეებშიც ერთად გადიოდნენ სასაფლაოზე, სანთლებს ანთებდნენ და უსიტყვოდ ღვრიდნენ ცრემლს. მხოლოდ ახლა, 9 აპრილის შემდეგ, გახდა შესაძლებელი, ხმამაღლა გაგვეხსენებინა 9 მარტიც, პოლიტიკური შეფასება მოგვეთხოვა უდანაშაულო ახალგაზრდების ბარბაროსული ჟლეტის კიდევ ერთი სისხლიანი ფაქტის გამო. წლების მანძილზე, ჩვენდა სამწუხაროდ, მრავალი რამ დაიკარგა და დავიწყებას მიეცა, მაგრამ თუ დღეს ცოტა რამ მაინც ვიცით დაღუპულთა და მათი ახლობლების შესახებ, ამას ქალბატონ

ნინო კანდელაკი-შანიძისა უნდა ვუმადლოდეთ. დღეს კიდევ ერთ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, მომავალში ყოველ 9 მარტს ისინი უკვე აქ, სანაპიროს სკვერში, შეხვდებიან ერთმანეთს მათი შვილების სისხლით მორწყულ მიწაზე.

კადრში კვლავ მოჩანს დაღუპულთა სურათები, ყვავილები, სანთლები...

კადრის ჩაბნელების შემდეგ ეკრანზე ამოდის ტიტრი

9 მარტი, 1956

ფილმი პირველი

სანკტ-პეტერბურგი. ხიდი მდინარე ნევაზე. სანაპიროზე, ცნობილი ბაღის (Летный сад) გალავნის გასწვრივ ენერგიულად მიაბიჯებს შუახნის ქალი.

რეჟისორი: - 1992 წლის მაისი. სანკტ-პეტერბურგი. ჩვენი გადამღები ჯგუფის აქ ჩამოსვლა 1956 წლის 9 მარტს დაღუპული 16 წლის თენგიზ შანიძის ალბომში აღმოჩენილმა ლენინგრადელი გოგონას სურათმა განაპირობა. ეს ლიდა ნიკოლაევაა. თენგიზთან მე-7 კლასიდან ჰქონია მიწერ-მოწერა. თუმცა ერთმანეთი არ ენახათ, მხოლოდ ფოტოსურათების გაცვლა მოასწრეს, მაგრამ ქალბატონ ლიდას დღემდე არ გაუწყვეტია კავშირი შანიძეების ოჯახთან.

ბაღის ტერიტორიაზე მოდიან ფილმის რეჟისორი გივი ვეფხვაძე და ლიდა ნიკოლაევა.

ლიდა ნიკოლაევა: - 1952 წელი იყო. სკოლაში ვსწავლობდი. მაშინ სხვადასხვა ქალაქების მოსწავლეებს, ისე, რომ ერთმანეთს არც კი იცნობდნენ, მიწერ-მოწერა ჰქონდათ ხოლმე. ერთხელ საკლასო ჟურნალში ჩემს რიგით ნომერს დაემთხვა თბილისელი მოსწავლის, თენგიზ შანიძის წერილი. თენგიზი კომკავშირის სასკოლო ორგანიზაციის მდივანი იყო. იგი მწერდა თავის ცხოვრებაზე, მიზნებზე, მომავლის გეგმებზე, საინტერესოდ ჰყვებოდა თბილისის შესახებ. თვითონაც ყველაფერი აინტერესებდა - როგორ

ვსწავლობდი, ჩემგან იყო ლენინგრადი... ძალიან გამიტაცა ამ ურთიერთობამ და მალე დავმეგობრდით. მერე მისი ფოტოსურათი მივიღე, მე კი ჩემი გავუგზავნე (რეჟისორი და ლიდა სურათებს ათვალიერებენ. თენგიზ შანიძის ფოტო, თენგიზი მეგობართან ერთად, თენგიზი კეპით, თენგიზი შლაპით...). მომწერა, რომ ლენინგრადში ჩამოსვლას აპირებდა, ორივენი მოუთმენლად ველოდით ამ შეხვედრას, მაგრამ უეცრად თენგიზის წერილები შეწყდა. ასე გავიდა ოთხი თვე. ვგრძნობდი, რომ რაღაც მოხდა. ერთ დღეს წერილი მივიღე, მაგრამ ეს თენგიზის ხელი არ იყო. ათრთოლებულმა გავხსენი კონვერტი. დედამისი, ნინო კონსტანტინოვნა მწერდა, რომ მოხდა საშინელება, რომ თენგიზი აღარ არის... (ლიდას ცრემლები ყელში ებჯინება) მაპატიეთ, ძალზე მიჭირს მისი გახსენება.

კადრში ჩანს წერილი.

რეჟისორი: - გაოგნებული ლიდა იმავე დღეს ვრცელ ბარათს აგზავნის თბილისში - „ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია ჩემთვის ამის დაჯერება. განა შეიძლება, ასეთ ასაკში, ასე მოულოდნელად დაიღუპოს ადამიანი. და თუ ეს ასეა, თქვენ ალბათ მის დაკრძალვასაც გადაიღებდით. ძალიან გთხოვთ, რამდენიმე ფოტო გამომიგზავნოთ, დამარწმუნოთ, გამაგებინოთ სიმართლე“.

ეკრანზე - ქალბატონ ნინო შანიძის საპასუხო წერილი.

რეჟისორი: - „ჩემო ლიდა,- წერდა ქალბატონი ნინო, - ვინ მოგვცა იმისი საშუალება, რომ თენგიზისთვის იმ უბედურ დღეს სურათი გადაგვეღო. ოდესმე ხომ ჩამოხვალ თბილისში. მაშინ გეტყვი ყველაფერს და წაგაკითხებ მის უკანასკნელ წერილს, რომლის გამოგზავნაც ახლა არაფრით არ შეიძლება“.

ლიდა ნიკოლაევა: (ცრემლებს იმშრალებს) - მას შემდეგ ოცდათექვსმეტმა წელმა განვლო, მე კი ძალიან დიდხანს არ ვიცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი, თუ რა მოხდა თბილისში 1956 წლის 9 მარტს.

კადრში მოჩანს ყვავილებში ჩაფლული სტალინის ძეგლი წინაპაროზე. ისმის გონგის ხმა.

სამონტაჟო ოთახი. რეჟისორი, ასისტენტი და მემონტაჟე მასალას ამუშავებენ.

რეჟისორი: - ფილმზე მუშაობა საარქივო მასალის ძიებით დავიწყეთ. თვეების მანძილზე ვეცნობოდით საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ 1953-1956 წლებში გადაღებულ კინოჟურნალებსა თუ ფილმებს, იმ პერიოდის პრესას, მაგრამ არცერთი სიტყვა, არცერთი კადრი ტრაგედიაზე. ერთადერთი, რასაც მივაკვლიეთ, 1953 წლის მარტში გადაღებული ეს კადრებია.

1953 წელი, გორი

1953 წელი, თბილისი

სამონტაჟო მაგიდის ეკრანზე ჩანს საარქივო კინოკადრები: რუსთაველის პროსპექტზე მიემართება სამგლოვიარო პროცესია, მოაქვთ სტალინის სურათი, დროშები დახრილია; სამგლოვიარო მიტინგი გორში... საქართველოს სხვადასხვა კუთხეში...

რეჟისორი: - საუკუნედ იქცა ეს ხუთი დღე. თითქოს გაჩერდა დრო, გაჩერდა სიცოცხლე. ბელადის გარეშე ცხოვრება ვერავის წარმოედგინა. ხალხით

სავსე რუსთაველის პროსპექტი და მაშინდელი ბერიას მოედანი. რადიოფიცირებულ ქუჩებში პარტიისა და მთავრობის წარმომადგენელთა გამამხნევებელ მოწოდებებს სამგლოვიარო მუსიკა ენაცვლება.

კადრი კადრს ცვლის - ტირიან ქალები და მამაკაცები, ტირიან მოსწავლეები; ბერიას მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე უამრავ ხალხს მოუყრია თავი; ფაბრიკა-ქარხნების საამქროებში ჩერდება კონვეიერები; მუშები მდუმარედ დგანან გაჩერებულ დაზგებთან; მეშახტეები შახტის შესასვლელთან გარინდულან... წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ სტალინის ხსოვნას, ისმის საარტილერიო ზალპი.

რეჟისორი: - „არა გიჭირს რა, ერთი წუთით, მზეო, გაჩერდი და დედამიწის მწუხარება გაინაწილე“ - გაისმა პოეტის ხმა.

თბილისის პანორამა. ხალხმრავალი ქუჩები. ისმის ხალისიანი მუსიკა.

რეჟისორი: - „არა გიჭირს რა, ერთი წუთით, მზეო, გაჩერდი“..., მზე კი ისევ ისე ამოდიოდა და ჩადიოდა, ცხოვრებაც თავისი გზით მიდიოდა. უფრო მეტიც, ადამიანებმა რაღაც შეუცნობელი შვება იგრძნეს, ყოველ ახალ დღეს ახალი ელფერი დაჰკრავდა... რუსთაველსა და პლეხანოვზე გამოჩნდა პირველი „ბუტილკა“ შარვლები, რატინის პალტოები და მოკასინები, „სტილიაგები“ ლაღიძის წყლებთან...

ეკრანი ეთმობა შრომითი ცხოვრების ამსახველ კადრებს: მარტენის საამქროში ღუმელთან მომუშავე მეფოლადე; ცხელ ლავად მოედინება გამდნარი ფოლადი, რომელსაც წყლის ჭავლი ეცემა, მერე ავტომატურად იწნიხება და ლითონის მილად გარდაქმნილი კონვეიერზე მიიკლაკნება...

კოლხეთის ჭაობის დაშრობა... გუგუნებენ ბულდოზერები.

სოფლად გახურებული ხვნა-თესვაა. გლეხები მიწას ასუფთავებენ, ტრაქტორი ამოძირკვულ ხეებს მიათრევს.

ამ კადრებს ფონად გასდევს „სიმღერა პარტიაზე“ (სახელმწიფო კაპელის შესრულებით).

„ვუმღერით სიცოცხლეს და შრომის სიმართლეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუმღერით ოქტომბრის პირველ განთიადს,
დიდება ლენინს, სტალინის სიმართლეს,
ვაშა, დიდება მშობლიურ პარტიას“.

რეჟისორი: - ხალხი ახლებურად იწყებდა ცხოვრებას და ელოდა რაღაც ახალს, რაღაც სასიკეთოს. ამ „სიახლემაც არ დააგვიანა და მეხივით დაატყდა ქართველ ხალხს. ეს ცრუ სიკეთე უკავშირდება ისტორიულად გამოცხადებულ სკკპ XX ყრილობას.

საარქივო კინოკადრები, გადაღებული 1956 წელს, სკკპ XX ყრილობის დღეებში: ხალხმრავალი რიგები გაზეთის ჯიხურებთან, კრემლის ყრილობათა სასახლე, დელეგატები დარბაზში. ქართველ დელეგატთა ჯგუფში ჩანს მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია. ტრიბუნაზე ნიკიტა ხრუშჩოვი.

რეჟისორი: - ჩვენ გადავწყვიტეთ, ეკრანი მთლიანად თვითმხილველებისათვის დაგვეთმო და რაც შეიძლება იშვიათად ჩავრეულიყავით ფაქტების შეფასებაში.

ილია ბარბაქაძე



(ტყიბულის რაიონული გაზეთის რედაქტორი): - **კარგად მახსოვს 1953 წლის მარტი, სტალინის გარდაცვალების დღე** (კადრში- ხალხმრავლობა სტალინის ძეგლთან, სანაპიროზე, უსმენენ გამომსვლელს), **ტიროდა დიდი და პატარა, ტიროდა ყველა... ბელადის დაკრძალვის შემდეგ, სულ მოკლე ხანში ცენტრის დამოკიდებულება საქართველოსადმი მკვეთრად შეიცვალა. საკავშირო რადიო, პრესა, პოლიტიკური მოღვაწეები საქართველოს დამცინავად, ან კიდევ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდნენ. ვგრძნობდით, რომ ჩვენს წინააღმდეგ რაღაც მზადდებოდა. 1956 წლის თებერვალში, როცა სკკპ XX ყრილობა გაიხსნა, პროფესორ-მასწავლებლები თუ სტუდენტები თვალყურს ვადევნებდით მის მსვლელობას. ყველას გვაინტერესებდა, თუ რა**

ხდებოდა იქ. ყრილობაზე საერთოდ არაფერი თქმულა სტალინის პიროვნების კულტის შესახებ.

2 მარტს, დილით ადრე აქტივისტი სტუდენტები უნივერსიტეტში დაგვიბარეს. შეგვხვდა ყრილობის დელეგატი, თბილისის პარტიული კომიტეტის მდივანი ემილ სეხნიაშვილი, რომელმაც გაგვაფრთხილა, რომ ამიერიდან უწინდებურად ვეღარ შევიკრიბებოდით სტალინის ძეგლთან სანაპიროზე და ვერც უნივერსიტეტის ვესტიბიულში მდგარ ბელადის ბიუსტთან მივიტანდით გვირგვინებს, რადგან XX ყრილობამ სტალინის პიროვნების კულტი დაგმო და ამიერიდან ყველაფერი მასთან დაკავშირებული იკრძალებაო. სწორედ მაშინ გავიგეთ, რომ სკკპ ცკ-ის ბიუროს კულტის საკითხი ყრილობის დამთავრებისთანავე დახურულ სხდომაზე გაუტანია და დადგენილება რესპუბლიკებში დაუგზავნია.

სტუდენტთა გამოსვლები ქალაქის ქუჩებში.

ახალგორი.

გადამღები ჯგუფი სტუმრად ვალერიან ხოცუაშვილთან.

ვალერიან ხოცუაშვილი (მასწავლებელი): - სტუდენტთა გამოსვლებს ბიძგი მისცა XX ყრილობამ, სადაც სტალინის წინააღმდეგ ბრალდებით გამოვიდა სკკპ ცკ-ის პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი. 5 მარტს დილით უნივერსიტეტში შედგა მოკლე თათბირი. გადაწყდა, სტუდქალაქში წავსულიყავით და იქიდან მოგვეწყო მშვიდობიანი მსვლელობა სანაპიროსაკენ. ასეც მოვიქეცით. თხუთმეტიოდე ახალგაზრდა გვირგვინებით ხელში სტუდქალაქის წინ, ტრამვაის გაჩერებასთან შუა ქუჩაში მოვგროვდით. სხვებიც გამოვიდნენ, მაგრამ დემონსტრაცია ჯერ კიდევ უჩვეულო რამ იყო ჩვენთვის, ამიტომ



ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოერთება ვერ გაბედეს. ის-ის იყო, უნდა დავძრულიყავით, რომ სატვირთო ავტომანქანამ დაამუხრუჭა, - რაიკომიდან თქვენს დასახმარებლად მოვედით, ძარაზე დასხედით და სანაპირომდე მიგიყვანთო, - შემოგვთავაზეს. როცა უარით ვუპასუხეთ და ავუხსენით, რომ ფეხით მსვლელობა გვქონდა გადაწყვეტილი და თანაც არსად არ გვეჩქარებოდა, მუქარაზე გადავიდნენ, ხვალიდან ვერცერთი ვერ შეადგამთ ფეხს სასწავლებელშიო. ჩვენ მაინც არ დავემორჩილეთ და გავწიეთ წინ. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ეკრანზე - ახალგაზრდების ჯგუფის მსვლელობა.

ლიდო ზურაბიშვილი (ჟურნალისტი): - თქვენ წარმოიდგინეთ, ძალზე სწრაფად უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ბავშვები, სტუდენტები, რაიონებიდან ჩამოსულები... ყვავილების ზღვა. კითხულობდნენ ლექსებს, მღეროდნენ

დოკუმენტური ფოტომასალა - მიტინგი სტალინის ძეგლთან, გვირგვინებით შემკული ძეგლი.

სკვერთან დგას იმ დღეთა მონაწილე აკაკი ხოხიაშვილი.

აკაკი ხოხიაშვილი (პენსიონერი): - იმხანად მილიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსის მოადგილე ვიყავი პოლიტნაწილში, ხელმძღვანელობისაგან სპეციალური დავალება მივიღე, ჩემი პირადი შემადგენლობით მიტინგზე წესრიგი დამეცვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიხეილ ჯალაბაძე (შპს „ნავთლუღის“ ავტოსადგურის გენერალური დირექტორი): ახალგაზრდების ჯგუფი სტუდქალაქთან დავხვდით საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანს, ვასილ მჟავანაძეს, რომელიც წყნეთიდან მოდიოდა. გავაჩერეთ და საუბარი დავუწყეთ. ვუთხარით, რომ რადგან ლენინი და სტალინი ერთ იდეას ემსახურებოდნენ და ერთად ხელმძღვანელობდნენ პარტიას, მათი ქებაც და კრიტიკაც ერთად უნდა ყოფილიყო.- რა გინდათ, რას ითხოვთო,- გვკითხა მჟავანაძემ. ჩვენ ვითხოვდით, პრესაში აღნიშნულიყო სტალინის გარდაცვალების დღე. დაგვპირდა,- ამაღამ რადიოთი საქართველოს ჰიმნი გადაიცემა ტექსტითურთ, ხვალინდელ პრესაში კი მოკლე ინფორმაცია დაიბეჭდებაო. მჟავანაძემ სიტყვა შეასრულა - რადიოთი აჟღერდა საქართველოს ჰიმნი, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტმა“ კი სულ რამდენიმე სიტყვიანი წერილი უძღვნა ამ თარიღს.

ზაზა ბიწაძე (ჟურნალისტი): - სტალინის პიროვნების კულტის დაგმობა ჩვენ აღვიქვით როგორც ეროვნული შეურაცხყოფა. ამით ისარგებლეს ეროვნული მოძრაობის მოთავეებმა და 2 მარტიდან ეს საყოველთაო მღელვარება თანდათან ეროვნულ მოძრაობაში გადაიზარდა.

რეჟისორი: - სანაპიროს პატარა სკვერს დღითიდღე ემატებოდა ხალხი. მომიტინგეები დაჟინებით მოითხოვდნენ იმ ადამიანთა მობრძანებას, ვინც ბელადის სახელობის პრემიის ლაურეატი იყო. მოითხოვდნენ მთავრობის ხელმძღვანელთა მოსვლასაც... ისინიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიოდნენ, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა, თუ როგორი ნაძალადევი იყო მათი ყოველი ფრაზა, გამოსვლა. არადა, ხალხი სწორედ მათგან ელოდა ცოცხალ სიტყვას, გამხნევებას.

საარქივო ფოტომასალა - მიტინგი. გამომსვლელები ტრიბუნაზე: მსახიობი სერგო ზაქარიაძე, პოეტი გიორგი ლეონიძე...

მიხეილ ჯალაბაძე: - აქ არ იყო პიროვნებაზე ლაპარაკი, აქ საქმე ეხებოდა მთელს ერს. მე ახლაც დარწმუნებული ვარ, სტალინი რომ რუსი ყოფილიყო, არავითარი კულტის საკითხი არ დადგებოდა დღის წესრიგში. მაშინაც ასე ვფიქრობდით ახალგაზრდები. შევადგინეთ მოთხოვნის ტექსტი, რომელიც 42 მუხლისაგან შედგებოდა. მოვითხოვდით, რომ ხრუშჩოვი გადამდგარიყო, მაგრამ ჰუმანურობა გამოვიჩინეთ და სულ უმუშევრად არ დავტოვეთ (ღიმილით), რეკომენდაცია მივეცით სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე.

დოკუმენტურ ფოტოზე მოჩანს მოტრაპეზე ხრუშჩოვი, რომელსაც დაღებულ პირში მწვადის ნაჭერს სჩრიან.

თბილისის აეროპორტი. ახლად დაშვებულ თვითმფრინავთან ხალხმრავლობაა. რესპუბლიკის მთავრობის წევრები სტუმრებს ხვდებიან. აქ არის საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, უშიშროების მინისტრი ალექსი ინაური და სხვა პარტიული და სახელმწიფო მუშაკები, პიონერები თაიგულებით. ტრაპზე ჩამოდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არმიის სარდალი ჯუ დე.

ჯუ დე თბილისის აეროპორტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრგარეთ ისმის **როლანდ ბურჭულაძის** ხმა: - **იმ დღეებში ჩინეთის არმიის სარდალი ჯუ დე თბილისში იყო ჩამოსული. სანაპიროზე მიიღეს გადაწყვეტილება, ჯუ დესთან დელეგაცია გაგვეგზავნა და მისგან მხარდაჭერა გვეთხოვა. სტალინი და მაო ძედუნი ხომ მეგობრები იყვნენ... დელეგაციას თან გაჰყვა დემონსტრანტების დიდი ნაწილი და გავემართეთ კრწანისისკენ.**

კრწანისის რეზიდენციისკენ მიმავალი ქუჩის თავში დგას როლანდ ბურჭულაძე და აგრძელებს საუბარს.



როლანდ ბურჭულაძე (აღმოსავლეთმცოდნე): - **აქ, ამ ადგილას, ჯარისკაცებს გზა გადაეკეტათ და არ გვიშვებდნენ. სისხლისმღვრელი შეტაკება გარდაუვალი იყო. ამ დროს სამხედროების სიღრმიდან ერთი პოლკოვნიკი გამოიქცა და რაღაც ბრძანება გასცა. ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს და გზა მოგვცეს. ავუყევით აღმართს და იმ შენობას მივადექით, სადაც ჯუ დე გვეგულებოდა. იქაურობა ისე გაივსო ჩვენი თანამოაზრეებით, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა.**

ოთარ წულუკიძე (პენსიონერი. კრწანისის რეზიდენციის იმჟამინდელი დირექტორი): - **ძალიან ბევრი ხალხი მოგროვდა კრწანისის რეზიდენციასთან, ბიჭები ხეებზე ამვრნენ და იქიდან ყვიროდნენ: - ჯუ დე! ჯუ დე! ჩვენ, რეზიდენციის თანამშრომლებს, შეგვეშინდა, უსიამოვნებას არ გადავყროდით, ამიტომ კარებში ჩავდექით, შიგნით არ ვუშვებდით და ვეხვეწებოდით, დაშლილიყვნენ. ჩვენი მუდარა ყურად არა-**

ვინ იღო. რამდენიმე ბიჭი მხრებზე შეადგა ერთმანეთს და მაინც მოახერხეს ჯუ დესთვის წერილის გადაცემა.

რეჟისორი: - კრწანისიდან დაბრუნებულმა დელეგაციამ ხალხს ამცნო, ჯუ დე თავს ცუდად გრძნობს და მხოლოდ ხვალ შეძლებს მიტინგზე მოსვლასო.

9 მარტი. ტრიბუნაზე ისევ ცვლიდნენ ერთმანეთს ორატორები, ჯუ დე კი არ ჩანდა.

ეკრანზეა სტალინის ძეგლთან მიტინგის ამსახველი ფოტოები.

ოთარ წულუკიძე: - ისე მოხდა რომ, როგორ გააპარეს ჯუ დე, რანაირად, რომელი გზით წავიდნენ, მეც ვერ გავიგე. მეორე დღეს კი, როცა სტუდენტები ისევ მოვიდნენ, ჯუ დე უკვე აქ აღარ დახვდათ.

კინოკადრი- ჯუ დე ჯდება მანქანაში. მანქანა სწრაფად წყდება ადგილიდან.

რეჟისორი: - სიტუაცია სულ უფრო იძაბებოდა: ხელისუფლება უძლური იყო, რაიმე ელონა და ერთადერთ დასაყრდენს ისევ მომიტინგეთა შორის „ლიდერებში“ დაუწყო ძებნა.

დოდო ზურაბიშვილი: - მიტინგზე უცნობი მამაკაცი მომიახლოვდა და მითხრა, ცენტრალურ კომიტეტში გიბარებენო. როცა მივედი, მკითხეს, - მოგწონთ ასე პარალიზებული ქალაქი? იქნებ დაგვეხმაროთ, თქვენ დაგიჯერებენ, ჩვენ იქ ვერ გამოვჩნდებითო. დავეთანხმე. ბაღში დავბრუნდი. ავედი ტრიბუნაზე და ხალხს მოვუწოდე, დაშლილიყვნენ. - მოღალატე! მოღალატე! - ატყდა ყვირილი. შემეშინდა, ჩამომაგდებენ ახლა აქედან და მიმბეგვავენ-მეთქი. - არა ვარ მოღალატე, მეც თქვენთანა ვარ! - ვიქნევდი ხელებს. ერ-

4. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

თი სიტყვით, ძლივს გადავრჩი. მერე ისევ ცენტრალურ კომიტეტში ავირბინე და, - ეს რა დამავალეთ, კინაღამ მომკლეს-მეთქი,- დავიჩივლე. ვიცით, იქ ვიყავით, ყველაფერი ვნახეთო,- მივიღე პასუხად.

ბოჭორიძის (ყოფილი ბოჭორიშვილის) ქუჩა... თბილისური ეზო... კინოკამერა ვიწრო კიბეებს აივნისკენ აუყვება... ეზოში შემოდიან გადამღები ჯგუფის წევრები და შუახანს გადაცილებული მამაკაცი. ეს ირროდიონ ფაჩულიაა, ყოფილი პოლიტპატიმარი.

კადრგარეთ ისმის РЕЖИССОРИС ხმა:

- ხელისუფლების ეს შიში უსაფუძვლო არ ყოფილა. იმხანად ხშირად გაიგონებდით, კინოთეატრ „რუსთაველში“ პროკლამაციები გადმოუყრიათ, სტუდქალაქში ხელნაწერი ფურცლები უპოვიათო. ასეთ მოწოდებებს ხშირად პოულობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, სასწავლებლებში, განსაკუთრებით უნივერსიტეტში. როგორც ირკვევა, 1954-1958 წლებში საქართველოში არალეგალური სტამბები არსებობდა. ერთი სამეგრელოში- იგი ბიჭიკო სანაიამ და რუსლან ფიფიამ გამართეს; მეორე - ყაზბეგის რაიონში, ნათლისმცემლის გამოქვაბულში ძმებმა, მიხეილ და გიორგი ფიცხელაურებმა; ხოლო მესამე - თბილისში, ბოჭორიძის 45-ში გივი ბარამიძემ და ირროდიონ ფაჩულიამ.

ნახევრად ღია სხვენი, სადაც იმ პერიოდში მოთავსებული იყო სტამბა. კამერა გულდაგულ ათვალიერებს იქაურობას.

ИРРОДИОН ФАЧУЛИА (თეატრმცოდნე) **- ერთი წელი ვიმუშავეთ მე და გივი ბარამიძემ** (კადრში- აივანზე საუბრობენ რეჟისორი და ირროდიონ ფაჩულია). **ერთ დღეს მან „ზარია ვოსტოკას“ რედაქციიდან მოიტანა „ბურლაკების“ კლიშე. დავბეჭდეთ ეს სურათი ჩვენს გაზეთში წარწერით: „დიდი ხანია, ქართველი ხალხი ამ მძიმე ჭაპანს ეზიდება, დასასრული კი არ ჩანს, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?“ ვუშვებდით გაზეთებს, ჟურნალს, პროკლამაციებს... მალე თავს დაგვადგნენ КГБ-დან...**

რეჟისორი: - მერე სტამბაში საიდან ავიდნენ?

ი. ფაჩულია: - აი, აქედან.

რეჟისორი და ი. ფაჩულია მიუყვებიან გრძელ დერეფანს, ადიან სახლის სახურავისკენ ამავალ კიბეზე.

ი. ფაჩულია: - ერთი მათგანი ზემოთ ამოვიდა და დანარჩენებს ჩასძახა:- ბიჭებო, ამოდით, აქ არის სტამბა. წამიყვანეს ინაურთან. შევედით თუ არა კაბინეტში, - ეს შენ იყავი, ბიჭო, საქართველოს გადატრიალება რომ გინდოდაო? - მესროლა ტყვიასავით. - თქვენისთანა შვილების ხელში საქართველო დიდი ხანია გადატრიალებულია-მეთქი, - მივახალე მეც.- გაიყვანეთ, აქედან მომაშორეთო,- აყვირდა. ჩამაგდეს კარცერში და დაიწყო ძიება.



აკაკი ძიძიგური (ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი. იმხანად საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი): - ცხოვრების მანძილზე ბედნიერი დღეებიც ბევრი მქონია და მძიმე დღეებიც გადამიტანია, მაგრამ ყველაზე საშინელი იყო 1956 წლის 9 მარტი, რომელიც ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება. ამ დღეს მოწმე გავხდი ქართველი ახალგაზრდების ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტისა. რვაში გაგვაფრთხილეს, რომ რადიოკომიტეტს საშიშროება ელოდა.

ვახტანგ მახარობლიშვილი და გიორგი კილაძე (ქირურგები): - წინა დღეებში საავადმყოფოში, კამოს ქუჩაზე, გაძლიერებული მორიგეობა დაწესდა და დამატებითი თავისუფალი საწოლები დაგვადგმევინეს.





ავთანდილ ჯაბაურიძე (სამხედრო ექიმი): - მაშინ სამხედრო პირი ვიყავი. როცა მარტის ამბები დაიწყო, ჩვენც მივდიოდით სანაპიროზე, ძალიან გვაინტერესებდა, რა ხდებოდა იქ. 9 მარტს, დილას პოლკოვნიკ სერგეევთან ერთად სანაპიროზე გავეშურე. ათ წუთსაც არ გაევლო, ჩვენთან მოვიდა სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირი და გვთხოვა, იქაურობა დაგვეტოვებინა. მე პროტესტი გამოვთქვი,- რა უფლება გაქვთ, რომ გვიბრძანებთ-მეთქი. გვიჩვენა საბუთი, იგი აღმოჩნდა სამხედრო კომენდატურის წარმომადგენელი. იძულებულნი გავხდით, ბრძანება შეგვესრულებინა. მეორე დღეს, როცა გავიგეთ, რა უბედურებაც დატრიალდა, ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ სამხედრო კომენდატურამ ძალზე კარგად იცოდა მოსალოდნელი ტრაგედიის შესახებ.

ეკრანზე ჩანს „მშრალი ხიდის" შემოგარენი.

ზაზა ბიწაძე: - ცხრაში, საღამოს მე და ჩემი მეგობარი ბაღიდან ამოვედით... გოქსის წინ გაგვაჩერა შუახნის ქალმა, რაღაც წერილი გადმოგვცა და,- შვილებო, აუცილებლად წააკითხეთ მიტინგზეო, - გვთხოვა. წერილში ეწერა, რომ საღამოს თერთმეტის ნახევარზე იქნებოდა სროლა. ისევ დავბრუნდით ბაღში და წერილი მივეცით კაცს, რომელიც მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. მან ნაწერს თვალი გადაავლო და გულის ჯიბეში ჩაიდო. ის წერილი მიტინგზე არ წაკითხულა.

ეკრანზეა ხალხით სავსე სანაპირო. საპატიო ყარაული სტალინის ძეგლთან. კავშირგაბმულობის სახლი.

კადრგარეთ ისმის **აკაკი ძიძიგურის** ხმა: - რადიოკომიტეტი მაშინ კავშირგაბმულობის შენობაში იყო მოთავსებული. შემოცვივდნენ ბავშვები, რომლებსაც დეპეშების გაგზავნა სურდათ მოლოტოვთან, ვასილ სტალინთან...

ზაზა ბიწაძე: - მიტინგზე დაიბადა იდეა, რომ მოლოტოვი-სათვის დაბადების დღის მისალოცი დეპეშა გაგვეგზავნა. შეიქმნა ჯგუფი, რომელიც კავშირგაბმულობის სახლისაკენ გაემართა.

აკაკი ძიძიგური: - ვხედავ, ბავშვები აქეთ-იქით დადიან, ყველგან ეუბნებიან, რომ ტელეგრაფი დაკეტილია. ჩემს თანაშემწეს ვუთხარი, თავის კაბინეტში შეეყვანა და დეპეშების გაგზავნაში დახმარებოდა. უცებ კიბეებზე საშინელი ბრაგაბრუგი მომესმა. მოვიხედე. წინ ოფიცერი მორბის, უკან მოსდევს ორასამდე შეიარაღებული ჯარისკაცი. ოფიცერს პირდაპირ ჩემსკენ აქვს მოშვერილი პისტოლეტის ლულა. მივხვდი, კარგი არაფერი მელოდა და სასოწარკვეთილმა ვიყვირე, - **тут я хозяин!** ოფიცერმა პისტოლეტი დაუშვა. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ იქაური თანამშრომელი ვიყავი. (კინოკამერასთან დგას ოპერატორი. ჩანს, როგორ იწერება მაგნიტოფირზე აკაკი ძიძიგურის მონათხრობი). სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და მინისტრის კაბინეტში შევვარდი. იქ დამხვდა გარნიზონის ჯარების უფროსი, გენერალი გლადკოვი.- ამას აქ რა უნდა? რა ხდება? - გულში გამკრა ეჭვმა. ფანჯარას ვეცი.- მოშორდით ფანჯარას!- იყვირა გლადკოვმა.- რატომ, რა ხდება? - ვკითხე მე.- ქვემოდან შეიძლება ისროლონ,- იყო პასუხი.- როგორ, ისროლონ? - მე უცებ კარგად ვერც კი გავიცნობიერე, რომ შეიძლებოდა სროლა ამტყდარიყო.

ზაზა ბიწაძე: - მიტინგზე რამდენიმე ადამიანი მოვარდა ყვირილით, დეპეშის გასაგზავნად წასულებს ტყვიები დაუშინეს და უნდა მივეშველოთო. მომიტინგეთა უზარმაზარი ტალღა კავშირგაბმულობის სახლისკენ გაიქცა.

აკაკი ძიძიგური: - მივვარდი მთავრობის ტელეფონს და ცკ-ის მდივანს, მიხეილ მჭედლიშვილს დავურეკე, - გლადკოვი რაღაც საეჭვოდ ლაპარაკობს და ვაითუ ჯარისკაცებმა ისროლონ-მეთქი. - მოიცადე, მჟავანაძეს დაველაპარაკებიო,- მითხრა და, აი, ამ დროს ატყდა კიდეც სროლა.



გურამ ბახტაძე (ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი): - სროლა რომ ატყდა, თავდაპირველად ფუჭი ტყვიები გვეგონა, მაგრამ როცა დავინახეთ, როგორ ხვრეტდა გრანიტის ფილებს და ნაპერწკლები ცვიოდა, მივხვდით, გაგვიმეტეს. რამდენიმე კაცი დაეცა. ამასობაში სანაპიროდან ამოიჭრა დემონსტრანტების დიდი რაოდენობა ბელადების სურათებით ხელში, მაგრამ მათ გზა გადაუკეტეს სამხედროებმა, ჯავშანტექნიკითა და მანქანებით შეჯირითდნენ ხალხში. დემონსტრაცია სასტიკად დაარბიეს.

ზაზა ბიწაძე: - ყველანი გავიფანტეთ. მე ქაშვეთის მარცხენა მხარეს აღმოვჩნდი. ისროდნენ მთავრობის სახლისა და სასტუმრო „თბილისის“ სახურავებიდან. უცებ ჩემს გვერდით ის კაცი დავინახე, მიტინგზე წერილი რომ გადავეცი. ხეს იყო ამოფარებული. მან მთავრობის სახლის მიმართულებით პისტოლეტიდან რამდენჯერმე გაისროლა, რასაც მაშინვე საპასუხო სროლა მოჰყვა (ეკრანზე ჩანს მთავრობის სახლი). ახლა ვხვდები, რომ იგი თავისი პროვოკაციული გასროლით კოორდინაციას უწევდა სამხედროებს.

გურამ გრიგოლია (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): - მთავრობის სასახლესთან ატეხილ ცოდვის კალოს გავერიდეთ და ისევ სანაპიროს სკვერში ჩავედით, სადაც მიტინგი გრძელდებოდა (დოკუმენტური მასალა - მომიტინგეები სტალინის ძეგლთან). მომიტინგეებისთვის სამი მხრიდან მე-8 პოლკის ჯარისკაცებს ალყა შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერტყათ. გზის მხოლოდ ერთი მხარე იყო თავისუფალი.

აკაკი ხოხიაშვილი (იგი დგას სკვერთან, სადაც ძოხდა ტრაგედია): - ამ პატარა ტერიტორიის ირგვლივ ტანკების ტევა არ იყო, ძეგლთან კი უამრავი ჯარისკაცი ცეცხლის გახსნის ბრძანებას ელოდა.

გურამ გრიგოლია: - ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა ხანდაზმულმა ქალმა, რომელსაც ის-ის იყო ეპოვა თავისი ქალიშვილი და მიჰყავდა, რათა იქაურობისთვის გაერიდებინა. ამ დროს მოცვივდნენ სამხედროები მანქანებით, ის მეოთხე მხარეც გადაკეტეს და ატყდა საშინელი სროლა. ყველაფერი ერთმანეთში აირია. ხალხის ტალღა იმ ახლად შეკრულ მხარეს მიაწყდა, ალყა გავარღვიეთ და ხიდზე ავცვივდით. ამ ოროომტრიალში ის დედა-შვილი ისევ დავლანდე. ორი გამხეცებული ჯარისკაცი კონდახებს და წიხლებს ურტყამდა ქალიშვილს. მე გამაოცა გოგონას შემართებამ. „ფაშისტებო, მკვლელებო“,- უყვიროდა მათ, ისინი კი რაღაცნაირი, ცხოველური ჟინით შეპყრობილები არ ეშვებოდნენ მსხვერპლს. ბოლოს თავი გაანებეს და უკან გაბრუნდნენ.

აკაკი ხოხიაშვილი: - უიარაღო ახალგაზრდები ბარათაშვილის ხიდისაკენ გარბოდნენ (მუხრანის ხიდის ფოტო). ბევრი დაიჭრა, ბევრიც გარდაიცვალა ზურგში მიდევნებული ტყვიით. დაცემულთ არ ტოვებდნენ. ზურგზე აკიდებულნი გადაჰყავდათ ხიდის მარცხენა მხარეს (კადრში მტკვრის მარცხენა სანაპირო), მაგრამ ჯარისკაცებმა იქაც დაუშინეს ავტომატები. ბევრი, ძალიან ბევრი ახალგაზრდა დაიხოცა იმ საბედისწერო დღეს.

კადრში 1956 წლის 9 მარტს დაღუპულთა ფოტოები.

რეჟისორი: - თენგიზ შანიძე - 16 წლის, გულიკო ჩანი - 19 წლის, კიაზო ჭანტურიძე - 16 წლის, ვალერი ალავიძე - 15 წლის, რევაზ გოგია - 16 წლის, ჯიმშერ მამალაძე - 19 წლის, იუზა წერეთელი - 18 წლის, უშანგი მერკვილიშვილი - 18 წლის, ლევან ხანგულოვი- 16 წლის, ნაზი ბენიძე - 30 წლის, ანზორ ჩაკვეტაძე - 24 წლის, გურამ ტუნიევი - 20 წლის, კლიმენტი რევაზიშვილი- 20 წლის, ოთარ გობეჯიშვილი - 25 წლის, რაულ ლოლუა - 20 წლის, თეიმურაზ თოფურია - 24 წლის, ამბროს ქოქრაშვილი - 27 წლის, ნუგზარ ღვთისაური - , შოთა ელიზბარაშვილი - 26 წლის, შალვა მაზავრიშვილი - 39 წლის, შენგელი ნოზაძე - 20 წლის, მიხეილ მათიაშვილი - 19 წლის, (ეკრანზე ჩანს სამხედრო ფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა ვაჟის სურათი). **დააკვირდით ამ სურათს, გვარი უცნობია. ბორის ზარგარიანი - 20 წლის, კოტე ბაჯიაშვილი - 26 წლის, ვალერიან მჭედლიძე - 27 წლის.**

ეკრანზე ჩანს 1991 წლის 9 მარტს სანაპირო ბაღში გადაღებული კადრები. დაღუპულთა სურათები... მათი მშობლები, ნათესავები, ახლობლები... ყვავილები... სანთლები... კადრის ჩაბნელების შემდეგ ამოდის ტიტრი:

პირველი ფილმის დასასრული.

ეკრანზე ჩნდება ტიტრი:

9 მარტი, 1956

ფილმი მეორე

თბილისის ქუჩები 50-იანი წლების ბოლოს... ქალაქის ცენტრალურ მაგისტრალებზე გამოცოცხლებული მოძრაობაა. პლაკატი - „სალამი ძვირფას ნიკიტა სერგის ძეს!" პროსპექტზე მომავალ ესკორტს ორივე მხრიდან ხალხი ეგებება. ღია მანქანაში ხრუშჩოვი და მჟავანაძე დგანან და ქუჩებში თავმოყრილ ადამიანებს ესალმებიან. ლენინის ძეგლი ყვავილებში. მოსწავლეები ყვავილებით...

ხალხით გაჭედილი დარბაზი. ტრიბუნაზე მდგარ ხრუშჩოვს ფეხზე წამომდგარნი ოვაციებით ხვდებიან.

რეჟისორი: - 50-იანი წლების ბოლოსათვის სსრკ კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა ყველა რესპუბლიკის დედაქალაქი მოიარა, მხოლოდ თბილისში არ ჩამოსულა. ეს ფაქტი საქართველოში სხვადასხვაგვარად აღიქვეს. - 9 მარტის შემდეგ აქ ჩამოსვლას როგორ გაბედავს, ცოცხალს არ გაუშვებენო, - ამტკიცებდნენ ზოგ-ზოგნი...

...და, აი, ძვირფასმა ნიკიტა სერგის ძემ გაბედა ჩამოსვლა... დააკვირდით ამ კადრებს, მათში ბევრი დღევანდელი მოვლენისა და ტკივილის გასაღებს დაინახავთ.



კადრში ვხედავთ ქართველი ელიტის გაბადრულ სახეებს.

ტრიბუნაზე ნ.ს. ხრუშჩოვი (იგი ამთავრებს თავის გამოსვლას): „გაუმარჯოს საქართველოს სსრ კომპარტიას, სსრკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომპარტიის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს!" „გაუმარჯოს სსრკ-ის კომპარტიას, გაბედულ მეგზურს კომუნიზმისაკენ!"

ხრუშჩოვი და ფეხზე წამომდგარი დარბაზი ოვაციით ემშვიდობება ერთმანეთს.

ეკრანზე ერთმანეთის ცვლის 9 მარტს დაღუპულთა - კიაზო ჭანტურიძის, თეიმურაზ თოფურიას, შოთა ელიზბარაშვილის, უშანგი მერკვილიშვილის, ანზორ ჩაკვეტაძის, ამბროს ქოქრაშვილის საფლავები.

ვახტანგ მახარობლიშვილი: - იმ დღეს საავადმყოფოში მორიგე ვიყავი. ოთხი ქირურგი დავრჩით. საღამოს რვა საათზე სამი დაჭრილი მოიყვანეს, შემდეგ უკვე ზედიზედ მოჰყავდათ მანქანებით დახოცილები და დაჭრილები.

გიორგი კილაძე: - იმ დღეს, 9-ში მე გორში ვიყავი მიტინგზე. შინ დაახლოებით ათ საათზე დავბრუნდი, მაშინვე საავადმყოფოდან დამირეკეს,- სასწრაფოდ წამოდი, აქაურობა დაჭრილებით გაივსო და მოგვეშველეო. გავიქეცი. ნანახმა შემძრა. მისაღებში პირდაპირ იატაკზე ეყარნენ დაჭრილ-დახოცილები, იმდენნი იყვნენ, რომ გავლა გაგიჭირდებოდა.

იშლება ალბომი და ვხედავთ ახალგაზრდა ვაჟის სურათს. იგი იუზა წერეთელია.

მერი წერეთელი (იუზა წერეთლის და): საავადმყოფოს შესასვლელში ორი სია ჰქონდათ გამოკრული - დაჭრილებისა და დახოცილებისა. იუზა დაჭრილების სიაში იყო. ცოტა იმედი მომეცა, მაგრამ მალე შევიტყვეთ, რომ ტყვია საფეთქელში მოხვედროდა და ყვრიმალის ძვალში იყო გასული. მახსოვს, ლოყა გამოგლეჯილი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორა მამალაძე (ჯიმშერ მამალაძის და): - ეს სვიტერი ჯიმშერისაა... დღემდე ვინახავთ. შეხედეთ, შეხედეთ, ტყვია აქ მოხვედრია და აქედან გასულა (სვიტერზე ნატყვიარ ადგილებს გვიჩვენებს).

ვახტანგ მახარობლიშვილი: - დაჭრილების მოყვანა ღამის ორის ნახევარზე შეწყდა, ოთხის ნახევარზე კი ისევ განახლდა. ვიღაც ჩვენებურმა პოლკოვნიკმა მოიტანა ამბავი, - ისევ დაიწყეს სროლა, ტანკებით მტკვრისკენ მიაწვნენ, ბევრი მდინარეშიც გადაყარესო. ბრაზმორეულმა რევოლვერი ამოიღო და მაგიდაზე დაანარცხა, - შვილებს გვიხოცავენ და იარაღის გამოყენების უფლება არა მაქვსო.

ნინო ქვილითაია (პენსიონერი): - მეორე დილით სტალინის ძეგლის მხარეს არავის უშვებდნენ, მაგრამ ჩანდა, როგორ რეცხავდნენ ღვარად დამდგარ სისხლს. მე-8 პოლკიდან იყვნენ. გზის გაგრძელება ვცადეთ, მაგრამ არ გაგვიშვეს და ცინიკურად მოგვაძახეს: „ეს ჟურნალი იყო, კინო აწი იქნებაო“.

ვახტანგ მახარობლიშვილი: - მე დამკრძალავ კომისიაში ვიყავი. მკაცრად გაგვაფრთხილეს, - თითო-თითო ჭირისუფალი შეიყვანეთ და აჩვენეთ ყოველგვარი ტირილის გარეშეო.

ლიდა გულიშვილი (ლევან ხანგულოვის დედა): - საავადმყოფოში სიები გამოეკრათ. ჩემი შვილი არცერთ სიაში არ ეწერა. შევედით პროზექტურაში. გვამები ერთმანეთზე იყო მიწყობილი. არცერთი არ ჰგავდა ლევანს.- იქით ორი უსაბუთო მიცვალებულია და ნახეთო,- გვითხრეს. ერთი მათგანი ჩემი შვილი აღმოჩნდა.

ზაირა ელიზბარაშვილი (შოთა ელიზბარაშვილის და): - დედა ხშირად იხსენებდა ხოლმე, - ჩემი გოლიათი ბიჭი ლიფსიტებივით ბავშვებს შორის იყო გაშოტილი, წელს ზევით ჯუბა ეფარა, წინდები არ ეცვა და შვილის ფეხები მაშინვე ვიცანი, სანე არ დამინახავს, თვალთ დამიბნელდაო. ამ დროს მამას უტაცია ხელი და გამოუყვანია.

ვახტანგ მახარობლიშვილი: - დედამ რომ თავისი შვილი შეიცნო, ამხელა ვაჟკაცი, იკივლა. - გაჩუმდი, თორემ გაგვყრიანო, - აჩერებდნენ სხვები.

ცისანა თოფურია (თეიმურაზ თოფურიას და): - დედა ფეხებში ჩაუვარდა ორგანოს თანამშრომელს, ხელებს უკოცნიდა, ეხვეწებოდა, შვილი მომეცითო.

თინა ალავიძე (ვალერი ალავიძის დედა): - ამდენი ბავშვი დახოცეთ, შვილი მომიკალით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა მკვდარი მაინც მომეცით-მეთქი.

ვერა სვედელიძე (მასწავლებელი, შენგელი ნოზაძის ბიცოლა): - არ შეიძლება, ქალბატონო,- იყო პასუხი,- იცით, როგორ მოიქცა თქვენი შვილი? როგორც მღვდელი გაპონი, რომელიც გლეხებს მეფესთან გაუძღვა, იქ კი ტყვიებით დახვდნენო.



ნიკო ნოზაძე (შენგელი ნოზაძის ძმა): - მიცვალებული სოფელში უნდა წაგვესვენებინა, არ გვატანდნენ, ეგონათ, მიტინგები გაიმართებოდა. ჩვენ ვუთხარით, იქ გარშემო ტყეა, მეტი არაფერი და მიტინგს მგლები ხომ არ მოაწყობენო.

ზაირა ელიზბარაშვილი: - მთელი ექვსი დღე ეხვეწებოდა დედაჩემი მამას, - შვილი მომიყვანე, ვიტირო მაინცო. მაგიდაზე ტანსაცმელი გვქონდა გაშლილი და იმას ვტირობდით. გაგვაფრთხილეს, სასაფლაოზე ხუთი კაცი მოდით, მეტი არაო.

ციალა სვანი (გულიკო სვანის და): - წაგვიყვანეს მიხაილოვის საავადმყოფოში და ნახევარი საათი გვამყოფეს ცხედართან. დერეფნიდან

ფეხის ხმას რომ გავიგებდით, ერთმანეთს ვაჩუმებდით... უბედური დედაჩემი პირზე ხელს იფარებდა, რომ როგორმე ქვითინი შეკავებინა.

კადრგარეთ ისმის **ზაირა ელიზბარაშვილის** ხმა: - სასაფლაოზე გადაცმული ხალხი გვადგა თავზე. ჩემმა დეიდაშვილმა მოთქმით დაიწყო ტირილი. დედაჩემმა იდაყვი წაჰკრა, - გაჩუმდი, მიცვალებული არ წამართვან, შვილის საფლავი მაინც ვიცოდეო.

აკაკი ხოხიაშვილი: - ოთარის დედამ მთხოვა, - შვილის სახეზე შემახედეო. კუბოსთვის სახურავის ახდა აკრძალული გვქონდა. იქ მყოფნი ჩამომეფარნენ და მუშებს ვუთხარი, აეხადათ, დედა კი გავაფრთხილე, ხმამაღლა არ ეტირა.

თამარ გობეჯიშვილი (ოთარ გობეჯიშვილის და): - ხმამაღლა კი არა, უხმოდ ქვითინიც არ შეიძლებოდა.

აკაკი ხოხიაშვილი:- აკრძალული იყო!

ლიდა გულიშვილი: - ასე უხმოდ დაგვასაფლავებინეს შვილები.

სირან ზარგარიანი (ბორის ზარგარიანის დედა): - შვილის დაკარგვა ძნელია. 20 წლისა იყო. იმ დღეს სამსახურიდან რომ მოვიდა, ისადილა. მეზობლის ბიჭმა მოაკითხა,- კინოში წავიდეთო.- ბორიკჯან, წადი და მალე მოდი, ხომ ხედავ, შენ ერთს შემოგყურებ,- ვუთხარი მე. წავიდა და აღარ მობრუნებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადრში - ბორის ზარგარიანის საფლავი.

ცისანა თოფურია: - თემური სამხედროების თანდასწრებით გამოასვენეს და, - ფულია საჭიროო, - გვითხრეს.

სიმონ იოსებაშვილი (ცისანას მეუღლე): - კიდევ კარგი, იმ წუთში ჯიბეში ფული მქონდა, 301 მანეთი გადაგვახდევინეს.

ცისანა თოფურია: - გამწარებულებმა ჩუმად გამოვასვენეთ. დედაჩემი, რომელიც ტირილს ძლივს იკავებდა, აქეთ გვაჩერებდა, - თავი შეიკავეთო, რადგან კარგად ახსოვდა 37 წელი, როცა მამა დააპატიმრეს. სასაფლაოზე რომ გავედით, ერთი სული გვქონდა, ჩქარა დაგვესაფლავებინა, სულ იმის შიშში ვიყავით, ცხედარი არ წაერთმიათ.



ქალაქ-ყარ 17 საავადმყოფო

თბილისის საბჭო–დაკრძალვის ტრესტი — ფორმა № 1

13. III 1956 წ.

ქვითარი № 8

მიღებულია მოქალაქე ბანდელოვი ნ. ა. საგან

მცხოვრები ქალაქ № 5 -ში გარდაცვლილ ბანდელოვი ... ის მოსახლეობის საფასური

თანახმად მოწმობისა № 8 (მმაჩი № 757 57.1

მოსახლეობის დასახელება	რაოდენ.	ფასი		ჯამი	
კუბო № 9	1			165	
დრაპიროვკა					
საყინული					
მაგიდა					
საფლავის გაპრანჭვა	1			24	50
სანიტარული მოსახური					
ფირფიტა	1			11	50
[illegible]	2			10	
[illegible]				90	
დატვირთვა გადმოტვირთვა					
სულ				301	

[illegible]

საფასურ გაანგარიშებელი:

[illegible] 3 » Зак. № 1291

ფული გადაახდევინეს - 301 მანეთი. ეს კი თეიმურაზ თოფურიას გარდაცვალების მოწმობაა (ეკრანზე - თეიმურაზ თოფურიას გარდაცვალების მოწმობა). აქ ყველაფერი წესისამებრ არის, მხოლოდ გარდაცვალების მიზეზი არ არის აღნიშნული. გარდაცვალების მიზეზი არ არის აღნიშნული მეორე მოწმობაშიც, რომელიც თემურის მამის, ვლადიმერ თოფურიას სახელზეა გაცემული (ეკრანზე - ვლადიმერ თოფურიას გარდაცვალების მოწმობა. მისი ფოტოსურათი). იგი 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. მამა რომ წაიყვანეს, თემური 5 წლისა იყო. შვიდწლედი რომ დაამთავრა, ნოვოჩერკასკის სუვოროვის სახელობის სამხედრო სასწავლებელში განაგრძო სწავლა. მალე დირექციამ დედა გამოიძახა: - თქვენს შვილს აქ სწავლის უფლება არა აქვს და გაიყვანეთო. მერე ჯარში გაიწვიეს... 56-ის მარტში ჯარიდან ახალი დაბრუნებული იყო და საბუთებს აგროვებდა უმაღლესში ჩასაბარებლად. (კადრში - თემურ თოფურიას ფოტოსურათი სამხედრო ფორმაში).

- ორი პორტრეტი და ორი მოწმობა... ორივე იმპერიული განუკითხაობის მსხვერპლი: მამა - სტალინის მოწინააღმდეგის, შვილი - სტალინის დამცველის ბრალდებით.

ზაურ მაჭავარიანი (ინჟინერი): - 19 მარტს ლექციაზე დამაპატიმრეს და უშიშროების კომიტეტის ციხეში მიმიყვანეს... მინისტრის კაბინეტში ავედით... მაგიდის თავში ზის ინაური, ოთახი სავსეა მოსკოვიდან ჩამოსული გენერალიტეტით.

- რომელი წლიდან და რომელ ქალაქში დაუკავშირდით კაპიტალისტური ქვეყნების შპიონაჟს?- მკითხა პოლკოვნიკმა სეროვმა.

- მე არ გაგცემთ პასუხს ამ სულელურ შეკითხვაზე, - მივუგე.

- რატომ მონაწილეობდით მიტინგში, რა გინდოდათ ტრიბუნაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საერთოდ, რა გამოქმედებდათ?! - შემომიბრუნა კითხვა.

- მე მამოქმედებდა გრძნობა, რომელიც უდიდესი სიყვარულის სიმღერას ამღერებდა მთელ კაცობრიობას და რომლის ძალითაც ფეხზე ამდგარი მთელი მსოფლიო, მათ შორის თქვენც, ამხანაგო პოლკოვნიკო, უკრავდით ტაშს! - ვუპასუხე ისე, რომ არც დავფიქრებულვარ.

ამ დროს დავიჭირე ინაურის მზერა, რომელიც თითქოს თვალებით მეუბნებოდა, - ყოჩაღ, ზაურ! ყოჩაღ! მიდი, ასე გააგრძელე!...



პოტე ჩხეიძე (ინჟინერი): - 10 მარტს დამაპატიმრეს. გამოძიებას უძღვებოდნენ პოლკოვნიკი პავლოვი და მაიორი კაჩევი.

- თქვენ, კომკავშირელი, პოპულარული მომღერალი, როგორ აღმოჩნდით ამ ბინძურ საქმეში? სტალინი ხატი ხომ არ არის, რომ მასზე ილოცოთ? - იყო შეკითხვა.

შევხედე მათ და გამეცინა. (კადრში ფილმის ხმის ოპერატორი შოველ ჩიტიძე მაგნიტოფირზე იწერს კ. ჩხეიძის საუბარს)

- იცით თუ არა თქვენ, რომ არ ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლება, საქართველოს დიდი ხნის წინათ ბუზივით გავსრესდით.

- სტალინი იყო, არის და იქნება ის პიროვნება, რომელსაც ვეთაყვანები, - ვუპასუხე მე.

დამსწრეთაგან ერთ-ერთმა ქართველმა ოფიცერმა მიჩურჩულა, - რაც შეიძლება ამ მიმართულებით წაიყვანე საუბარიო.

რეჟისორი: - მოსკოვიდან ჩამოსულ საკავშირო კომისიას უნდოდა, 9 მარტის მოვლენებისათვის არალეგალური იატაკქვეშა ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციური და ბურჟუაზიული გამოსვლის კვალიფიკაცია მიეცა, მაგრამ,

5. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, ეს არც სუკ-ის, არც რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ხელს არ აძლევდა, რადგან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩავარდნის საბაბით ბევრ მათგანს დაატოვებინებდა თბილ სავარძელს. სწორედ ამით უნდა აიხსნას გამომძიებელთა მოჩვენებითი ლოიალობა დაკითხვების დროს და ის დაუფარავი მცდელობა, გარკვეული გეზი მიეცათ გამოძიებისათვის.

ეკრანზეა 9 მარტის მსხვერპლის, ვალერიან მჭედლიძის სურათები.

რეჟისორი: - ვალიკო მჭედლიძე დაკითხვებზე ისე არ იქცეოდა, როგორც გამომძიებლები ურჩევდნენ. ზოგიერთის გადმოცემით, იგი ხელითაც კი შეხებია რესპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ვინც ამ სისხლიანი სასაკლაოს თანამონაწილე იყო. ცხადია, მას დანარჩენებივით ვეღარ მოეპყრობოდნენ (რეჟისორი ესაუბრება დარეჯან ტატუაშვილს, ვალიკო მჭედლიძის დისშვილს). ქალბატონი დარეჯანი გახლავთ ვალიკო მჭედლიძის დისშვილი.

- სამწუხაროდ, დედათქვენი ცოცხალი არ არის. რას გაიხსენებთ დედის მონაყოლიდან?

დარეჯან ტატუაშვილი: - დედა ამბობდა, რომ ბიძია ვალიკო აქტიურად მონაწილეობდა მიტინგებში. ვალიკო 9 მარტს წაიყვანეს, ღამით. ორი კვირის მანძილზე მის ასავალ-დასავალს ვერ მივაგენითო. მერე გავიგეთ, საკნიდან ციხის საავადმყოფოში გადაეყვანათ. ივლისში იგი გამოუშვეს. ძალზე ნაწამები იყო, განერვიულებული, რაღაცას იხსენებდა და ვერ გაეხსენებინა, მოკლედ, თავის თავს არ ჰგავდა. ორჯერ თავის მოკვლაც კი სცადა, საწყალ დედამისს ძილის დროს ფეხზე ჰყავდა თურმე გამობმული. - ცოტა ხნით სოფელში წავალ და დავისვენებო - ითხოვა. დაუჯერეს, - იქნებ სხვა გარემომ გამოაკეთოსო. იქ კი დრო იხელთა, როცა ნათესავები ეზოში იყვნენ, ოთახში აიპარა და ბიძაჩემის სანადირო თოფი დაიხალა. ცოცხალი იყო. საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ვეღარ გადაარჩინეს.

ეკრანი ეთმობა დაღუპულთა ფოტოსტენდს.

რეჟისორი: - ოფიციალური მონაცემებით, 9 მარტის ტრაგიკულ ღამეს თვრამეტი ახალგაზრდა დაიღუპა, ჩვენს საარქივო მასალებში კი ოცდაშვიდი ადამიანი აღირიცხება. მაშ, ვინ არიან დანარჩენები? რატომ არ იყო მათი გვარები ნაჩვენები სუკ-ის ჩვენთვის ხელმისაწვდომ არქივებში?

მიხაილოვის საავადმყოფოს შენობა.

მარგო მელიქოვა (პენსიონერი): - 10 მარტს, დილით ჩემს ახლობელს გავყევი მიხაილოვის საავადმყოფოში, თავის დას ეძებდა. ეზოს შესასვლელში გვიჩვენეს დაჭრილებისა და გარდაცვლილების სია, მისი და არც ერთ სიაში არ იყო.

ჩვენ მაინც ჯერ დაჭრილები ვნახეთ, მერე სარდაფში ჩავედით, სადაც მიცვალებულები ესვენა. იქ იმდენი ცხედარი იყო... ამის დავიწყება შეუძლებელია. ორი ახალგაზრდა გვამებს აბრუნებდა, თავისიანს ეძებდნენ. ერთმა შენიშნა,- ეს გურამი ხომ არ არისო. გადაუწიეს სახელო. მაჯაზე ამოსვირინგებული ჰქონდა წარწერა - გურამ ზედგენიძე.

კადრში - საავადმყოფო კამოს ქუჩაზე.



ამირან ბოლქვაძე (ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი): - **მაშინ დედაჩემი ამ საავადმყოფოში ექიმად მუშაობდა, ერთ-ერთმა ამხანაგმა გაყოლა მთხოვა - მესამე სართულზე ავედით, რამ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენიმე პალატა გვამებით გაევსოთ. სულ ბავშვები იყვნენ. გამიმეტ-ლებულები გვერდიგვერდ ჩაემწკრივებინათ.

ვახტანგ მახაროblიშვილი: - როგორც მახსოვს, ჩვენთან სულ 18 ცხედარი იყო.

კადრში ჩანან ჭირისუფლები - მერი წერეთელი, თინა ალავიძე, ომარ ლოლუა, რომლებიც უსმენენ მარგო მელიქოვას.

მარგო მელიქოვა: - დღეისათვის ფიგურირებს რიცხვი - 21. ეს მონაცემი არაა ზუსტი, გარდაცვლილები ხომ სხვადასხვა საავადმყოფოში მიჰყავდათ. მარტო მიხაილოვის საავადმყოფოს სარდაფში, რაც ჩემი თვალით ვნახე, არანაკლებ ოცი გვამისა მაინც იყო. დანარჩენებში?

გურამ გრიგოლია: - ერთ ახლობელს თავისი ნაცნობის ამბავი აინტერესებდა. მთხოვა, გამყევიო. მივედით კამოს ქუჩაზე მდებარე საავადმყოფოში. ორი სია გამოეკრათ - დაღუპულებისა და დაჭრილებისა. მოდიოდნენ მშობლები, ახლობლები, წაიკითხავდნენ ამ სიებს და გულწასულები ეცემოდნენ. საშინელი სურათი იყო. შევედით პროზექტურაში. ექსპერტს ის-ის იყო დაემთავრებინა გაკვეთა... კუთხეში გასისხლიანებული ტანსაცმელი ეყარა. სულ 18 ცხედარი იყო. ტყვია ყველას სხეულის ზედა ნაწილში ჰქონდა მოხვედრილი. ეტყობა, ზევიდან ესროდნენ, კავშირგაბმულობისა და მთავრობის სახლის სახურავებიდან. ველარ გავუძელი... გარეთ გამოვედი. უამრავი ხალხი იდგა. მომცვივდნენ, - შენი ვინ არისო? რა საკითხავია, ყველა ჩემი არ იყო? მე შემთხვევით გადავრჩი და ისინი დაიღუპნენ.

ირაკლი დულაშვილი (პენსიონერი): - მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრ ვლადიმერ ჯანჯღავასთან ვმუშაობდი ადიუტანტად. მას 11 მარტს წარუდგინეს დაღუპულთა სია. ეს სია მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევუტანე გენერალს, ძალიან შეწუხდა. სიაში 93 გვარი იყო.

მოსკოვი.

კრემლის საერთო ხედი.

ყრილობათა სასახლე...

რეჟისორი: - სსრკ კპ XXVIII ყრილობა. იმ დღეს ოფიციალური ტრიბუნიდან პირველად ითქვა 1956 წლის 9 მარტს დალუპულთა და მათი რაოდენობის შესახებ.

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ედუარდ შევარდნაძე:** - თავის დროზე მე ხრუშჩოვსაც ვწერდი ქების წერილებს და სხვებთან ერთად ვადიდებდი „დიად ათწლეულს". შემდეგ კი გაირკვა, რომ სწორედ მისი უშუალო განკარგულებით გამოიყვანეს ტანკები და ჯავშანტექნიკა თბილისის ქუჩებში, ამ ოპერაციას 150 კაცი შეეწირა.



მტკვრისპირა ბაღის პანორამა, კადრი ჩერდება სკვერის შესასვლელთან.

რეჟისორი: - 150 კაცზე მეტი!... 150 კაცის სიცოცხლე დასრულდა აქ, მტკვრის სანაპიროზე და რუსთაველის პროსპექტზე. 150 კაცი!... სად არიან დღეს მათი ჭირისუფლები? რატომ არ გვეხმიანებიან? ალბათ იმიტომ, რომ დიდი დრო გავიდა და დღეს ბევრი მათგანი ცოცხალი აღარ არის? იქნებ იმიტომ, რომ იმ ტრაგიკულ ღამეს ბევრი უკვალოდ გაქრა?

მარგო მელიქოვა: - მტკვარი წითლად შეღებილი მოდიოდა, ჯარისკაცები დახოცილებს წყალში ყრიდნენ...

აკაკი ხოხიაშვილი: - ხელმძღვანელების მითითება იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეიძლება ნაკლები მკვდარი ყოფილიყო სახეზე. ჩემი თვალით ვნახე, როგორ ყრიდნენ გვამებს მტკვარში.

ვახტანგ მახარობლიშვილი:- ვიცი, რომ კუმისის ტბაშიც ჩაყარეს. ორი სატვირთო ავტომანქანით სავსე წაიღეს.

რაფო მურუსიძე (პენსიონერი): - მე მაშინ შინსახკომის საკვალიფიკაციო კურსების უფროსად ვმუშაობდი. ნოემბრის დასაწყისი იყო. მეტეხის ხიდზე გადავდიოდი (კადრში - მტკვრის სანაპირო, მეტეხის ხიდი). მტკვარში, ერთ პატარა კუნძულზე ჩონჩხების გროვა დავინახე. მაშინვე მილიციის მე-16 განყოფილებას მოვახსენე. ერთი საათის შემდეგ ლამი უკვე აეშალათ და ჩონჩხები არსად ჩანდა. დავასკვენით, რომ ჩონჩხები 9 მარტს მტკვარში გადაყრილი ახალგაზრდებისა იყო.

სტალინის ძეგლის ფოტო.

ფილმის რეჟისორი ესაუბრება კინოოპერატორებს - თენგიზ ლომიძესა და გივი მელქაძეს.

რეჟისორი: - როგორც მახსოვს, 1956 წლის მარტში კინოგადაღებები აკრძალული იყო, 8-ში კი თვითონ დემონსტრანტებმა მოითხოვეს, მოსულიყვნენ კინოსტუდიის მუშაკები და გადაეღოთ, რათა ისტორიას დარჩენოდა იმ დღეების დოკუმენტური მასალა. აი, ეს ფოტო 9 მარტსაა გადაღებული. იგი მოწმობს ამ ფაქტს (ფოტოსურათზე ხელით იხაზება დეტალი). აქ დგას ამწე და კინოკამერა. თქვენ მაშინ კინოსტუდიაში მუშაობდით. იქნებ რაიმე გაიხსენოთ.

თენგიზ ლომიძე (კინოოპერატორი): - იმხანად კინოოპერატორ ალექსანდრე ავჯიბეგაშვილის ასისტენტი ვიყავი. სკვერი რომ გადავიღე, მითხრა, რამდენიმე კადრი სახურავიდანაც დააფიქსირეო. ზემოდან კარგად ჩანდა სანაპიროც და ძეგლიც. ასეც მოვიქეცი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალა ლაბორატორიაში ჩავაბარე. ორი დღის შემდეგ მივედი. ცვლის უფროსმა მითხრა,- დაივიწყე ის მასალა და ახლავე გაეცალე აქაურობასო. იმ მასალისთვის როგორც თქვენ არ მოგიკრავთ თვალი, ისევე ჩვენც არ გვინახავს.

გივი მელქაძე (კინოოპერატორი): - ის-ის იყო, ლაბორატორიაში უნდა შევსულიყავი, რომ იქიდან ოპერატორი ზაქრო მაჩაიძე გამოვარდა და მიყვირა,- გივი, გაიქეცი. მივხვდი, რაღაც ხდებოდა. გავიქეცი და ჩელუსკინელების ხიდიდან წყალში გადავყარე ჩემი გადაღებული ფირები. მერე გავიგე, რომ კინოსტუდიაში მჯდარან სუკ-ის თანამშრომლები, რომლებიც იმ დღეებში გადაღებულ კინომასალას აპატიმრებდნენ.

ირაკლი დულაშვილი: - გენერალმა ჯანჯღავამ დამიძახა და კინოდარბაზის მომზადება დამავალა. ცოტა ხანში მოვიდა 5-6 კაცი მჟავანაძის მეთაურობით. მათ უყურეს ფილმს, სადაც ყველაფერი დაფიქსირებული იყო მოვლენების დაწყების დღიდან 10 მარტამდე. მე კარებთან ვიდექი, რათა არავინ შემეშვა და მათთან ერთად თავიდან ბოლომდე ვუყურე ფილმს.

ლიდა გულიშვილი: - მას შემდეგ, რაც შვილები დაგვიხოცეს, დიდი დრო გავიდა. მხოლოდ ახლა მოგვეცა საშუალება, ხმამაღლა ვთქვათ სიმართლე. ჩვენი შვილები იმ ტრაგიკული დღეების მონაწილენი იყვნენ.

ლეილა მათიაშვილი (მიხეილ მათიაშვილის და): - მაშინდელი შიში აქამდე არ გაგვნელებია. ახლაც აქ, თქვენთან, გადაღებაზე რომ მოვდიოდი, დედამ გამაფრთხილა, - შვილო, ზედმეტი არაფერი წამოგცდესო... მთავარი ის არის, რომ ეს შიში დღემდე თან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვდევს; დედა გაფრთხილებული იყო, რომ სიმართლე არასოდეს არ უნდა ეთქვა.

სახლი ყოფილ კალინინის მოედანზე, სადაც იმ წლებში ლოლუების ოჯახი ცხოვრობდა. აივანზე საუბრობენ რეჟისორი და რაულ ლოლუას ძმა - ომარ ლოლუა.

რეჟისორი: - მაშინ ხმები დაირხა, რომ რაული არასოდეს არ დადიოდა სანაპიროზე, რომ იმ ღამეს იგი შენს საძებნელად გამოვიდა სახლიდან და შემთხვევით დაიღუპა.

ომარ ლოლუა: - ტყუილია. რაული ყოველდღე იქ აღამებდა. თქვენც კარგად უწყით, რა დრო იყო... რეპრესიების შიშით ხალხი მაშინ სიმართლეს მალავდა.

ალბომი იფურცლება. ჩანს რაულ ლოლუას ფოტოები.

გულიკო ამილახაძე (რაულ ლოლუას თანაკურსელი): **- მე და რაული ერთად ვსწავლობდით. მიტინგებზეც 3 მარტიდან 9 მარტამდე თითქმის სულ ერთად დავდიოდით. 8 მარტს მომიტინგეთა დელეგაცია ჯუ დეს მოსაყვანად წავიდა. ჯუ დე დღეს შეუძლოდაა,**

ხვალ უცილობლად მოვა მიტინგზე და სიტყვითაც გამოვაო, - მოიტანეს ამბავი. მეორე დღეს შევიტყვეთ, რომ ჯუ დე ჩვენთან მოძსვლელი არ იყო და წავედით კრწანისში. რაულიმ რამდენიმე გოგო სახლში გამოგვიშვა, - გოგოებო, წადით, აქ შეიძლება რამე მოხდეს, აჰა, ჩემი საბუთებიც წაიღეთ, თქვენთან იყოსო. მეორე დღეს გავიგეთ, რომ დაიღუპა.

ვალერიან ხოცუაშვილი: - ღამის 3-4 საათი იქნებოდა. რაული ჩემთან ამოვიდა ოთახში და მითხრა, - აუცილებლად უნდა წავიდეთ სანადიროდ წყნეთშიო. გამიკვირდა. აქ ასეთი ამბები ხდება, ეს კი რას ლაპარაკობს, რამ შეშალა ეს ბიჭი-თქო. თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, გააგრძელა,- ასე მგონია, ვერაფერს ვეღარ მოვესწრები, აბა, დამაკვირდი, თვალები თითქოს მითეთრდებაო. - კაცო, სულელი ხომ არა ხარ, რა გემართება-მეთქი. მე წინათგრძნობისა არა მწამს. მას შემდეგ კი ხშირად ვფიქრობ ხოლმე, როგორ გრძნობდა, რომ იმ უბედურ დღეს უბედურება ელოდა. მთელი დღე ერთად ვიყავით, გვერდიდან არ მომშორებია. როცა ალექსანდროვის ბაღთან მივედით, ნაცნობები შემხვდნენ და იმათთან შევყოვნდი. რაულიმ ქუჩა გადაჭრა და კავშირების სახლში როგორც კი შევიდა, გაისმა სროლა. მერე მე დაჭერილი ვიყავი. ვიდრე ციხიდან არ გამოვედი, ვერც კი გავიგე, რომ რაული ცოცხალი აღარ იყო.

კადრში ჩანს ალბომში ჩაკრული რაულ ლოლუას საფლავის ფოტო. რაულის დაკრძალვა...

მანქანებისა და მოტოციკლეტების ესკორტი...

ვ. მჟავანაძე და ნ. ხრუშჩოვი ღია მანქანაში...

მოქალაქეები გულთბილად ხვდებიან ესკორტს.

საპატიო სტუმრები ვაგზალში. ხალხის მასა გამორბის მათკენ.

შენგელი ნოზაძის, ნაზი ბენიძისა და სხვა დაღუპულთა საფლავები.

გულმოკლული ედები...

ხრუშჩოვი ეხვევა ბავშვებს...

საფლავებზე სანთლები ანთია. სანაპირო ბაღში, 1956 წლის 9 მარტს დაღუპულთა სურათებთან ყვავილები აწყვია. ამ კადრებს თან ერთვის ცნობილი სიმღერა „Широка страна моя родная", რომელსაც შეენაცვლება სამგლოვიარო მელოდია კომპოზიტორ სამუელ ბარბიერის ადაჟიო. უკიდეგანო ტკივილი იხატება მოხუცი დედის თვალებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჟისორი: - მარტი წავიდა შავი ფერებით,
გლოვა ბზარავდა ღამეს რისხვიანს,
დედა გეძებდა გაშმაგებული,
დედა პოტნიდა მიწას სისხლიანს.

(ლექსი ეკუთვნის რაულ ლოლუას დედას - ქალბატონ ფედოსიას).

თბილისის პანორამა - მეტეხიდან მთაწმინდამდე... საბოლოოდ კადრი ივსება მამადავითის ეკლესიით. რეკენ ზარები.

კადრის ჩაბნელების შემდეგ ეკრანზე ამოდის წარწერა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილმზე მუშაობდნენ:

გივი ვეფხვაძე

თამაზ მამულაშვილი

გურამ სარაჯიშვილი

შოველი ჩიტიძე

ნანა გოგიშვილი

რაიბულ კასრაძე

ნინო ეთერია

ალექსანდრე ზენაიშვილი

ალექსანდრა აფციაური

ეთერ ბერიტაშვილი

გია ჩხიკვაძე

ნინო აბაშიშვილი

მზია როინიშვილი

საქტელეფილმი. 1993 წელი.

დაღუპულთა ბიოგრაფიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასრული სია იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც დაიღუპნენ 1956 წლის 9 მარტს

1. შანიძე თენგიზ აკაკის ძე, 16 წლის, რკინიგზის №1 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მოსკოვის უცხო ენათა (ფრანგული ენა) კურსების მსმენელი (დაუსწრებელი).

2. სვანი გულიკო აკაკის ასული, 19 წლის, სტუდენტი. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

3. ჭანტურიძე კიაზო შალვას ძე, 16 წლის, მე-9 კლასის მოსწავლე. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

4. ალავიძე ვალერი დავითის ძე, 15 წლის, მე-8 კლასის მოსწავლე. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. მამალაძე ჯიმშერ ვასილის ძე, 19 წლის. სწავლობდა მუშა-ახალგაზრდობის სკოლის მე-11 კლასში, მუშაობდა აბრეშუმის ფაბრიკაში. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

6. გოგია რეზო კლიმენტის ძე, მოსწავლე, 16 წლის. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

7. წერეთელი იუზა ვლადიმერის ძე, 18 წლის, მე-11 კლასის მოსწავლე. იღებდნენ ფილმში „ეთერის სიმღერა“ (ეპიზოდურ როლში). დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

8. მერკვილიშვილი უშანგი (ბიჭიკო) იასონის ძე, 18 წლის. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

9. ხანგულოვი ლევან არმენაკის ძე, 16 წლის, მე-8 კლასის მოსწავლე. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ბენიძე ნაზი შალვას ასული (თელავიდან, 30 წლის, მუშაობდა სამკერვალო დაწესებულებაში მკერავად. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე (მოკლულია ხიშტით მუცლის არეში).

11. ჩაკვეტაძე ანზორ იოსების ძე, 24 წლის, სტუდენტი (გამოვიდა სახლიდან სროლის დროს ძმის საძებნელად, ძმა დააპატიმრეს, ანზორი კი დახვრიტეს). დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

12. ტუნიევი გურამ სერგოს ძე, 20 წლის, მე-11 კლასის მოსწავლე (იყო საუკეთესო სპორტსმენი). დაკრძალულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

13. რევაზიშვილი კლიმენტი ესტატეს ძე, 20 წლის, სტუდენტი. დაკრძალულია ატენში, სადაც ცხოვრობდა.

14. გობეჯიშვილი ოთარ ერმილეს ძე, 25 წლის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, დაკრძალულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. **ლოლუა რაულ გვეგვეს ძე,** 20 წლის, სტუდენტი. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

16 **ნოზაძე შენგელი გიორგის ძე,** 20 წლის, სტუდენტი (ხაშურის რაიონი, სოფელი ალი). დაკრძალულია იმავე სოფელში.

17. **თოფურია თემურ ვლადიმერის ძე,** 24 წლის, (ჯარი ჰქონდა ახალი მოვლილი). დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

18. **ქოქრაშვილი ამბროსი შალვას ძე,** 27 წლის. დაკრძალულია სოფელ ხაშმში, სადაც ცხოვრობდა.

19. **ხვთისაური ნუგზარ (ხევსური? ქისტი?).** სურათი გადმოცემულია აწ გარდაცვლილი კიაზო ჭანტურიის დედის - სონიას მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. **ელიზბარაშვილი შოთა ვახტანგის ძე,** 26 წლის, მძღოლი, მცხოვრები ნატახტარის ქუჩაზე. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

21. **მაზავრიშვილი შალვა ამბროსის ძე,** 39 წლის, ინჟინერი. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე.

22. **მათიაშვილი მიხეილ ვლადიმერის ძე,** 19 წლის, მუშაობდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მძღოლად. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

23. **ბავჯიაშვილი კოტე მიხეილის ძე,** დაღუპვის დღეს შეუსრულდა 26 წელი, მუშაობდა „საქკინმრეწვის“ კადრების განყოფილებაში. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

24. **ბურდული თეიმურაზ სიმონის ძე,** 25 წლის, სწავლობდა მუშა-ახალგაზრდობის მე-12 სკოლის მე-10 კლასში, მუშაობდა მძღოლად საფოთიაქო სამმართველოში. დაკრძალულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. ზარგარიანი ბორის ტიგრანის ძე, 20 წლის, მუშაობდა 31-ე საავიაციო ქარხანაში ზეინკლად. დაკრძალულია პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

26. მჭედლიძე ვალერი ზაქარიას ძე, 27 წლის. იგი 9 მარტს ღამით „ჩორნი ვორონით" წაუყვანიათ, საშინლად უწამებიათ, უკეთებიათ ნემსები, იქიდან დაბრუნებულს ამ წამებისათვის ვეღარ გაუძლია და თავი მოუკლავს.

27. ვინაობა უცნობია (როგორც ჩანს, მისი საბუთები დაკარგულია. გ.ვ.)

მოგვაწოდა ნინო კანდელაკი-შანიძისამ
„სამთო ქიმია", 1990 წ. 21 თებერვალი

6. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილმის გადაღება 1993 წელს დასრულდა. ამავე წელს მოხდა მისი ჩვენება ტელევიზიით და საქართველოს სხვადასხვა ქალაქების კინოთეატრებში.

ამ ფილმის შექმნასთან დაკავშირებით არ შემიძლია, არ გავიხსენო ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი: სცენარი, რომელიც მე და თამაზ მამულაშვილმა დავწერეთ, დასამტკიცებლად და წარმოებაში ჩასაშვებად საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის მაშინდელ დირექტორს, ბატონ **დავით შალიკაშვილს** 1991 წლის 20 აგვისტოს წარვუდგინეთ. ალბათ ბევრს კარგად ახსოვს ის სამი მძიმე დღე, რომელიც 19 აგვისტოს დაიწყო. ეს იყო მოსკოვური პუტჩის დღეები. არავინ იცოდა, თუ რითი დამთავრდებოდა იგი. თუ პუტჩი გაიმარჯვებდა, რა ელოდა ყველას, ვინც იბრძოდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ეს ფილმიც ხომ ფარდას ხდიდა იმპერიის სისასტიკეს და ქართველი ერის შეურიგებლობას საბჭოურ დიქტატურასთან. ასე რომ, გასაკვირი არ იქნებოდა, ჩვენი ჩანაფიქრისათვის ტაბუ დაედოთ. ბატონმა დავითმა ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე ფილმი წარმოებაში ჩაუშვა.

დავით შალიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდა გულიშვილი

მინდა, ასევე დიდი მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს სურათის შექმნაში. ასევე მათ, ვინც მოგვაწოდა არაერთი საინტერესო მასალა (მოგონებები, ფოტოსურათები) იმ ტრაგიკულ დღეებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით მინდა მოვიხსენიო ღვაწლი ქალბატონებისა: ნინო კანდელაკი-შანიძისა, ელენე თოფურია, ლიდა გულიშვილი... ქალბატონი ლიდა დღეს უკვე ოთხმოცი წლისაა,... იგი ერთადერთი ცოცხალი მემატიანეა იმ მშობელთაგან, ვინც ბარბაროსების მიერ დახოცილი შვილები მალულად მიაბარეს მიწას...

ნინო კანდელაკი-შანიძისა

დიახ, ჩვენ ის უკანასკნელი თაობა ვართ, ვინც საკუთარი თვალით იხილა ყველაფერი და ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია, ზუსტად აღადგინოს 1956 წლის მარტის ტრაგიკული მოვლენები...

სამწუხაროდ, ბევრი მათგანი დღეს უკვე აღარ არის ცოცხალი... მინდა გავიხსენო ქალბატონი ნინო და მისი მეუღლე, ბატონი აკაკი შანიძე, რომლებმაც თითქოს ღვთის განგებით ზუსტად იმ დღეებში დალიეს სული, რა დღესაც დაიღუპა მათი შვილი - 16 წლის თენგიზი. 9 მარტს სასიკვდილოდ დაჭრილმა ბიჭუნამ 10 მარტს განუტევა სული. 36 წლის შემდეგ, 1993 წლის 10 მარტს გამოეთხოვა სიცოცხლეს მისი დედა ნინო, ხოლო ორი დღის შემდეგ ბატონი აკაკი შანიძეც გამოგ-

აკაკი შანიძე

ვეცალა ხელიდან... ვერც ერთმა მათგანმა ვერ იხილა ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილმის გადაღება ისე დამთავრდა, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, მაინც ვერ მოვახერხეთ, დაგვედგინა დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა. სხვადასხვა მოსაზრებებმა და ვარაუდებმა (სახელდება ციფრები- 23, 27, 150, 300...) გვაიძულა, შევჩერებულიყავით ქალბატონ ნინო შანიძე-კანდელაკის მიერ მიკვლეულ მონაცემებზე. სუკ-ის არქივში აღნუსხულია 23 გვარი. არც ესაა ზუსტი ციფრი, რადგან ცნობილია, რომ იმ ღამეს არაერთი სასიკვდილოდ დაჭრილი მათ ახლობლებს სასწრაფოდ მიჰყავდათ ოჯახებში. სუკი მხოლოდ საავადმყოფოებიდან მიღებულ ცნობებს აფიქსირებდა. დაშინებული მშობლები და ახლობლები კი სიცოცხლის ბოლო წუთამდე სამუდამო საიდუმლოდ ინახავდნენ მომხდარ ფაქტს.

ფილმისათვის საჭირო მასალების ძიებაში არაერთი საინტერესო შემთხვევა გვქონდა: მივიღეთ ინფორმაცია, რომ 1956 წლის 9 მარტს თბილისში მცხოვრები 20 წლის ჭაბუკი იმ ღამით სანაპიროს პატარა სკვერში მოკლეს. წერილში მითითებული იყო დაღუპულის ვინაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწრაფოდ გავეშურეთ აღნიშნულ მისამართზე. ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა, საშუალო ასაკის ქალბატონმა გვითხრა: - მართალია, ამ ოჯახს კუკიის სასაფლაოზე მართლაც დაუმარხავს შვილი. მე იმ ამბიდან სამი წლის შემდეგ შემოვედი აქ რძლად. ის ბიჭი ჩემი მეუღლის ძმა იყო. დედამთილ-მამამთილი და ჩემი ქმარიც ამბობდნენ, რომ იგი თბილისის ზღვაზე დაიხრჩო. ასე, რომ მე ზუსტად არ ვიცი სინამდვილე. ის ადამიანები კი, ვინც ამ ამბის შემსწრე იყო, ცოცხალნი აღარ არიან. ჩემი ქმარიც რამოდენიმე წელია, რაც გარდაიცვალა...

იყო მეორე შემთხვევაც: ასევე წერილით გვაცნობეს, რომ ახალციხის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სასაფლაოზე 9 მარტს დახოცილი ტყუპი ძმები მარხია. ჩვენ ამ სოფლის სასაფლაოც მოვინახულეთ და ადგილობრივ მოსახლეობასაც ვესაუბრეთ ამ ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ ვერც აქ მივაკვლიეთ ვერავითარ კვალს.

არადა, თვითმხილველთა საკმაოდ დიდი ნაწილი ირწმუნება დაღუპულთა უფრო დიდ რაოდენობაზე, ვიდრე ეს ოფიციალურადაა ნაჩვენები...

ჩვენ გადავწყვიტეთ, მკითხველს მცირეოდენი შემოკლებით მივაწოდოთ არაერთი საინტერესო მოსაზრება 9 მარტის ტრაგედიასთან დაკავშირებით, რომლებიც 1988 წლიდან პერიოდულად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში და რაც, სამწუხაროდ, ფილმის კადრგარეთ დარჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9 მარტი კადრგარეთ

თენგიზ ბუაჩიძე



1956 წლის მარტის ტრაგედია

1956 წლის მარტის ცნობილ დღეებში საქართველოში ორი ტრაგედია მოხდა. პირველი - ქართველი ახალგაზრდობა (ძირითადად ახალგაზრდობა) პარტიის მეოცე ყრილობის შემდეგ გამოვიდა ი. სტალინის პიროვნების დასაცავად, რადგან მის კრიტიკაში ყველაფერ სხვასთან ერთად მან დაინახა ქართველთა ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფაც (ამ სხვაზე - ცოტა ქვემოთ). მეორე- ამ გამოსვლების წინააღმდეგ მცირეოდენი გაურკვევლობისა და დაყოვნების შემდეგ ხელისუფლებამ იარაღი იხმარა, დაიღუპა ან დასახიჩრდა მრავალი ადამიანი (ზუსტი რიცხვი მე არ ვიცი). თუ პირველი ტრაგედიის ახსნა კიდევ შეიძლება სხვადასხვა რეალური ვითარებითა და მოსაზრებით, მეორე ტრაგედია აუხსნელი და უპატიებელია. ცოტა რომ განვაზოგადოთ, ამგვარი პარადოქსული რეალობა ისახება: საბჭოთა ხელისუფლების მაშინდელმა წარმომადგენლებმა იარაღს მიმართეს იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ ხელისუფლებას მაშინ იცავდა, იცავდა რა ი. სტალინს, რომელიც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის (და არა მხოლოდ საქართველოში!) საბჭოთა ხელისუფლების განსახიერება იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ფაქტია.

ამას დაემატა მესამე ტრაგედია, უფრო სწორად, ტრაგიკომედია: მარტის ამბების განხილვის დროს პარტიის მაშინდელ უმაღლეს ინსტანციაში ეს გამოსვლები შეფასდა როგორც ნაციონალისტური გამოხდომა, ქართველ ხალხს დაბრალდა ნაციონალიზმი (სხვებთან ერთად ამ მხრივ განსაკუთრებით იაქტიურეს ნ. ხრუშჩოვმა, ვ. მოლოტოვმა, ა. მიქოიანმა...), ხოლო ვ. მჟავანაძეს დაავალეს რესპუბლიკაში ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერება!

●

თავდაპირველად იმის თაობაზე, რაც შეეხება იოსებ სტალინის მოღვაწეობის ეროვნულობას.

ი. სტალინი არასოდეს ყოფილა ვიწრო ეროვნული, საქართველოსა თუ ამიერკავკასიის მასშტაბის მოღვაწე. ზოგადად აღებული, იგი საერთაშორისო რანგის რევოლუციური მოღვაწე იყო, ხოლო კერძოდ - რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პარტიის, ანუ შემდეგ საკ. კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და ბოლოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჯერ ერთ-ერთი ლიდერი და, სხვებთან ერთად, ვ.ი. ლენინის თანამებრძოლი, ხოლო ბოლოს ერთადერთი ბელადი.

იმის შემდეგ, რაც სასტიკ იდეურ ბრძოლებში, მოგვიანებით რომ პირად ანგარიშსწორებაში გადაიზარდა, სტალინი იქცა ქვეყნის აღიარებულ ერთმმართველად, მან მოიპოვა აბსოლუტურად შეუზღუდავი პირადი ძალაუფლება.

უნახავად მძიმე და სისხლისმღვრელი ომის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრების შემდეგ სტალინი ფაქტობრივად გახდა რუს თვითმპყრობელთა მემკვიდრე (როგორც ამას სიხარულით აცხადებდნენ სულ სხვადასხვა მიმართულების რუსი ემიგრანტები პარიზში და სხვაგანაც). ოდესღაც ჩამორჩენილი რუსეთი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია, ფართოდ გასწია რა მისი საზღვრები აღმოსავლეთითა და დასავლეთით, და შეაიარაღა იგი უახლესი და უძლიერესი ტექნოლოგიის იარაღით.

თუ რა აურაცხელი, ნაწილობრივ, შესაძლებელია, ისტორიულად აუცილებელი, მაგრამ, მეორე მხრივ, მისი უსაზღვრო თვითნებობით (რაც სახელმწიფოებრივი აუცილებლობით ინათლებოდა) გამოწვეუ-

ლი უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი დასჭირდა ყოველივე ეროვნული
ეს უკვე სხვა საკითხია, თუმცა პირველთან უშუალოდ, მიზეზობრივად დაკავშირებული.

ეს არის ობიექტური სინამდვილ[illegible] რისი სრულად აღიარებაც დღეს მოქმედ ზოგიერთ რუს მწერალს, პუბლიცისტსა თუ ჟურნალისტს რატომღაც ერიდება თუ ესირცხვება და ყოველივე უმეტესწილად ცალმხრივადაა წარმოდგენილი - ავიწყდებათ თუ ივიწყებენ მისი მოღვაწეობის ორივე მხარეს თუ შედეგს.

ი. სტალინი იყო თავისი ეპოქის უზარმაზარი ფიგურა, რომლის როლისა და ქმედებათა ისტორიულად ობიექტურ განსჯასა თუ განკითხვას ეს საუკუნე არ ეყოფა.

●

იყო ერთი პატარა პერიოდი ი. სტალინის ცხოვრებაში, როცა შეიძლებოდა, რომ იგი ქართველი ეროვნული მოღვაწის გზას დასდგომოდა. ესაა მისი ჭაბუკობის წლები, ასე ვთქვათ, „სოსელოს" პერიოდი, როცა პატრიოტულ ლექსებს წერდა და დიდმა ილიამ კიდეც დაუბეჭდა რამდენიმე მათგანი თავის „ივერიაში" (მისი ეს ლექსები მკაფიო ნიმუშია აკაკის პოეტური სკოლისა, ხოლო რა იქნებოდა შემდეგ, ის რომ ამ გზას გაჰყოლოდა, ცხადია, არავინ იცის).

მაგრამ ეროვნული პოეზიისადმი ეს მისწრაფება, ეს პოეტური პოტენცია მისი შემდგომი ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან სრულიად უკვალოდ გაქრა (ბოდიში, ვცდები - თავი იჩინა კიდევ მხოლოდ ერთხელ, როცა შალვა ნუცუბიძეს რუსთაველის პოემის რამდენიმე ტაეპის საკუთარი თარგმანი შესთავაზა).

ეს იყო და ეს. მთელი თავისი ენერგია, ნიჭიერება და ორგანიზატორული ტალანტი მან უძღვნა საერთაშორისო და რუსეთის პროლეტარულ მოძრაობას. არაერთგზის პირადი აღიარების თანახმად, იგი რუსი ბოლშევიკი იყო და მშობლიურ ენად რუსულს თვლიდა და აცხადებდა. საერთოდ, პირადი ეროვნულობის საკითხი არც არასდროს დამდგარა იმ თაობის მოღვაწეთა შორის (გარდა იმ ცნობილი შემთხვევისა, როცა ვ. ლენინმა უარყოფითად დაახასიათა გარუსებულ „ნაცმენთა" დამოკიდებულება ეროვნული საკითხებისა თუ მოღვაწეთა მიმართ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში ფეხმოკიდებული ლეგენდები, რომ სტალინის დროს საქართველო თითქოს ბედნიერად ცხოვრობდა, ფუფუნებაში იმყოფებოდა, რომ აქ არ იყო კოლმეურნეობები, რომ არ ახდევინებდნენ სახელმწიფო გადასახადს, რომ ბელადი ლმობიერად ეპყრობოდა თავისი ერის ხალხს - ეს ყველაფერი მტკნარი სიცრუეა, ბედის დაცინვაა!

ფაქტი კი სულ სხვაა: საქართველომ ყველაზე მეტად და მწვავედ განიცადა 30-იანი წლების (და კიდევ სხვა წლების!) რეპრესიები, თითქმის მთლიანად განადგურებულ იქნა საქართველოსა და ამიერკავკასიის არა მხოლოდ ბოლშევიკთა ძველი გვარდია, არამედ პარტიის ათასობით რიგითი წევრი, უპარტიოები, გაუნათლებელი ადამიანებიც კი, ტროცკიზმზე რომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ; რეპრესირებულ იქნენ „ხალხის მტრების" უმწეო ცოლები, შვილები და ჩვეულებრივ ამბად იქცა ურთიერთდასმენა არა მხოლოდ იდეურ და იდეოლოგიურ საკითხებზე, არამედ კარგი ბინებისა და ლამაზი ცოლების ხელში ჩაგდების მიზნითაც.

აი, რა დამკვიდრდა მაშინ საქართველოში გარეწარი, გახრწნილი და ვერაგი ჯალათის - ლავრენტი ბერიას „თეორიული" და პრაქტიკული ხელმძღვანელობით!

კატეგორიულად გამორიცხულია და სასაცილოცაა იმის მტკიცება, რომ მაშინდელ ვითარებაში სტალინმა ამის შესახებ „არაფერი იცოდა"...

●

ამ ვითარებას იცავდა, თუნდაც უნებურად, ქართველი ახალგაზრდობა, როცა მარტის იმ დღეებში ი. სტალინის დასაცავად ქუჩებში და მოედნებზე გამოვიდა?

ცხადია, არა. ხალხი არ შეიძლებოდა გამოსულიყო სტალინისდროინდელი რეპრესიების მომხრედ, ათასობით უდანაშაულო ადამიანთა მოსპობის მომხრედ.

აქ გადახლართულია სულ სხვადასხვა, ერთი შეხედვით შეუთავსებელი, მომენტები და გარემოებანი.

თვით ცოცხლად დარჩენილ ათასობით რეპრესირებულთ, შორეულ ჩრდილოეთში, ციმბირში, შუა აზიაში უდანაშაულოდ გადასახლებულთაც კი სწამდათ, რომ სტალინმა უბრალოდ „არ იცოდა", რა ხდებოდა ქვემოთ, რომ იგი შეცდომაში სწორედ მტრებ-

მა შეიყვანეს, სწამდათ, რომ სტალინი დიდ ისტორიულ საქმეს იყო შეჭიდებული, პირნათლად ასრულებდა ლენინის ანდერძს და ჭეშმარიტ სამყაროს ქმნიდა. მაშინ მისდამი ერთგულება უდიდესი იყო. სწამდათ, რომ რეპრესირებულთა სიმართლე [illegible] გამოაშკარავდებოდა და გაიმარჯვებდა.

და თუ უშუალოდ რეპრესირებულნი და მათი აქ დარჩენილი ოჯახები ასე ფიქრობდნენ, როგორღა უნდა ეფიქრათ სხვანაირად 50-იანი წლების დასაწყისის ახალგაზრდებს თუ მოწიფულთ?

მაგრამ შესაძლებელია, რომ სულ გამოვრიცხოთ ეროვნული გრძნობები მარტის ამბებში? ცხადია, არა. ქართველი ხალხი იმ დღეებში მართლაც რომ ამაყობდა სტალინით, მისი როლით, მისი პიროვნებით, მისი საქმეებით, მის მიერ მოპოვებული გამარჯვებებით, იმით, რომ სტალინი წარმოშობით მაინც ქართველი იყო, თუმცა მას ამ ხალხისათვის არავითარი კერძო და სხვებისაგან გამორჩეული სიკეთე არ მოუტანია, გარდა თავს დატეხილი განუწყვეტელი რეპრესიებისა 1921 წელს, 1924 წელს, 1929-32 წლებში, 1936-37-38 წლებში, 1948 წელს, 1951-52 წლებში და კიდევ არ ვიცი, რომელი წელი დავასახელო...

აი, ეს მიმაჩნია ტრაგედიად, ხოლო ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა და ნაციონალისტური იმ გამოსვლებში არაფერი ყოფილა.

●

გაიხსენეთ თუნდაც ხალხით გაჭედილი ლენინის მოედანი, როცა ტრიბუნიდან მოწოდება გაისმა - პარტიულებო, შევფიცოთ სტალინს ერთგულებაო, როგორ გადაწითლდა მთელი მოედანი პარტბილეთების შუქით.

ეს იყო ნაციონალიზმი?

გაიხსენეთ იმ ტრიბუნიდან და სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან წარმოთქმული სიტყვების პათოსი და მიმართება.

გაიხსენეთ, მსახიობებმა ლენინად და სტალინად გადაცმული მეგობრულად ხელგადახვეული ფიგურები რომ ჩამოატარეს თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე.

გაიხსენეთ სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა ერთად ყოფნა და ერთსულოვნება თბილისის იმ მშფოთვარე დღეებში.

გაიხსენეთ, მოლოტოვს უგზავნიდნენ დეპეშებს, დაეცვა სტალინის სახელი, ამ სახელთან დაკავშირებული საბჭოთა წესწყობილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა და სათავეში ჩადგომოდა ქვეყნის ხელმძღვანელობას.

ეს იყო ნაციონალიზმი?

ცხადია, არა.

ეს იმის შედეგი იყო, რომ სწორედ ის ადამიანები, ვისი ბრძანებითაც თბილისში მაშინ სროლა ატყდა და უდანაშაულო ახალგაზრდების სისხლი დაიღვარა, ათეული წლების მანძილზე თვით გვიჭედავდნენ თავში, რომ სტალინი იყო „ყველა ჩვენ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი", „ყველა დროისა და ხალხის გენიოსი", „ხალხთა მამა და მასწავლებელი", რომ უსტალინოდ ქვეყანა დაიღუპებოდა.

ჩვენ, უბრალო ხალხმა შევქმენით „პიროვნების კულტი", თუ მათ, მაშინდელმა ხელმძღვანელებმა, ჭეშმარიტად მაკიაველისებური ხერხებით რომ თავს მოგვახვიეს და თვით სტალინსაც შთააგონეს მის წინაშე მუხლებზე ხოხვითა და მისი უკვდავი დიდების ბღავილით (საკუთარი თავი და მასთან ერთად სკამიც რომ გადაერჩინათ!), რომ უიმისოდ საბჭოთა ხელისუფლება გადაგვარდებოდა, დაიღუპებოდა, მოისპობოდა?!

ჩვენ თუ მათ?

თუ ჩვენც - მათი მითითებით, წინამძღოლობით, შთაგონებით, ბრძანებითა და იძულებით.

ასეა ეს.

●

ეს არის დღემდე საჯაროდ უთქმელი, ჭეშმარიტად ტრაგიკული გარემოება და არა ქართველთა ჯიუტი ნაციონალისტობა. ამგვარი ბრალდება მეტად ადვილად, ხშირად და სწორედ მაშინ გაისმის ხოლმე მთელი ხალხის მიმართ, ამ ერთი მუჭა ხალხის მიმართ, როცა ქართველები ისე იქცევიან, როგორც მათი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების მანძილზე შემუშავებული ზნეობრივ-ეთიკური ნორმები, მათი ბუნება, ტრადიცია (მკვდრის შეურაცხყოფა არ შეიძლება!), ხასიათი, ფსიქოლოგია და, ბოლოს, გენეტიკა უკარნახებთ.

ყველა სხვას დავემსგავსოთ და ყველაფერი ჩვენი დავკარგოთ?

ჩვენ არაფრით არ ვართ არც სხვებზე უკეთესნი და არც სხვებზე უარესნი. ისეთი ვართ, როგორიც ვართ, და არასოდეს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სულ სხვადასხვა ერთა შორის არავითარი. არათუ შუღლი არ ჩამოგვიგდია, არამედ მათდამი

პატივისცემით და თანასწორობით გვიცხოვრია ეს ოცი-ოცდაათი მაინც.

ეს ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი დავკარგოთ, იძულებითი ნიველირება და საკუთარი თავის ნებაყოფლობითი დასაჭურისება მოვახდინოთ?

ეს არ ხდება არც ერთი ხალხის ისტორიაში და სხვისი აბსოლუტურად იდენტური რომ არა ვართ, იმიტომ ვართ ნაციონალისტები?

სისულელეა და სამარცხვინოა ხალხისადმი ამგვარი მიდგომა.

ამაზე მეტი ტრაგედია იქნება?

აი, რას ნიშნავს ისტორიის ბედისწერა და ირონია...

მაგრამ რა ხდება დღეს?

●

როგორც ადრე ვწერდი, დღევანდელი საჯაროობის, დემოკრატიზაციისა და ცხოვრების გარდაქმნა-განახლების უნიკალურ პერიოდს ზოგიერთი დღეს მოქმედი არაქართველი მწერალი, პუბლიცისტი თუ ჟურნალისტი ბოროტად, უნამუსოდ, ავად იყენებს. სტალინისა და სტალინიზმის უარყოფით მოვლენათა მხილებასა და კრიტიკისას ჩვენკენ იშვერს ხელს, შეფარვით, ჩუმად თუ აშკარად ცდილობს, ჩვენ დაგვიკავშიროს, საქართველოს, ქართველ ხალხს შეახოცოს ეს მოვლენები.

აქაოდა, სტალინი ქართული მოვლენა იყო და ყველაფერში ქართველებს მიუძღვით ბრალიო.

რაც იყო და როგორიც იყო სტალინი საქართველოს მიმართ, ყველამ ვიცით, ცოტა რამ ზემოთაც მოგახსენეთ, მაგრამ ზოგიერთის მოკლე ჭკუით მაინც ყველაფერი ჩვენი ბრალია და ამ „ლოგიკით" მის დროს ყველაზე მეტად დაზარალებულმა ხალხმა მონანიების ტვირთიც მარტომ უნდა ზიდოს.

რა არაჩვეულებრივი ლოგიკაა, არა?

ჩვენ შეგვიქმნია „პიროვნების კულტი" და ამ „კულტის" პერიოდში ბედნიერადაც გვიცხოვრია. ახლა ეს ყველაფერი ჩვენვე უნდა ვზღათ. რატომ ღმერთი არ გაიცინებს!..

(იბეჭდება შემოკლებით)

„ლიტრრატურული საქართველო", 1988 წ. 8 აპრილი.

ნოდარ ნათაძე

სისხლიანი პარასკევი

...სტალინი რომ საქართველოს მოძულე იყო და მოძულედ დარჩა მანამდე, სანამ თავისი სამშობლო იმდენად არ მოსპო, რომ მისგან ატენური ღვინის, თორნის პურისა და ქართული ცეკვის მეტი სხვა აღარაფერი დატოვა მტრისა თუ მოყვრისთვის საყურადღებო, ეს ცნობილია. ამ სიძულვილის მოტივები ბოლომდე ნათელი არ არის. შესაძლოა, მან ის ბუნებრივი სიმწარე, რაც მძიმე ბავშვობამ არგუნა, საქართველოზე იმიტომ გაავრცელა, რომ შედარებით კეთილდღიანი ადამიანები, რომლებიც მისი ბავშვობის გარემოს შეადგენდნენ, ქართველები იყვნენ. ეს ახსნა, რა თქმა უნდა, უკმარია; შესაძლოა, მან საქართველოსადმი სიძულვილში განაზოგადა თავისი სიძულვილი ქართველი პატრიოტებისადმი (მისი და მის თანამებრძოლთა ტერმინოლოგიით - ნაციონალისტებისადმი), რომლებიც მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი იყვნენ იმთავითვე. ეს ახსნაც მეტისმეტად ვიწროდ მესახება. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია (და, რაც თავი მახსოვს, გავრცელებული იყო ყოველთვის) საქართველოში აზრი, სტალინმა სამშობლო იმიტომ შეიძულა, რომ საქართველოში ვერ გაიხარა და ვერც გაიხარებდა. მან ქართველების ჯავრი მაშინ ჩაიდო გულში, 1922 წელს რომ თბილისის ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის მუშებმა უსტვინესო. არც ეს ახსნა მგონია საკმარისი. მთავარი ალბათ მაინც ის იყო, რომ მას თვით ადამიანის ის ტიპი სძულდა, რომელიც ქართველ პატრიოტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოშობს - გონებაგახსნილი და თავმოყვარე, აქტიური ბუნებამ-
მქონე და საკუთარი უპირატესობის შემგნები, არა მატერიალურ,
არამედ მორალურ მოტივებს აყოლილი და, ამდენად, „იდეალისტი“.
ადამიანის ის ტიპი, რომელზედაც სტალინი თავის პოლიტიკასაც და
თავის მსოფლმხედველობასაც აგებდა, სწორედ ამის საწინააღმდეგო
იყო. ამ „იდეალისტის“ ტიპს სტალინი, რა თქმა უნდა, კარგად იც-
ნობდა და მასთან დამოკიდებულების ერთადერთი ქმედითი გზა -
მოსპობა - ჰქონდა მონახული. 1922 წელს საქართველოდან მიმა-
ვალმა რომ ინსტრუქცია დააგდო, **„ვსპახატ ი პერეპახატ დვორიანს-
კუიუ გრუზიუ“**, მან, რა თქმა უნდა, იცოდა, ქართველ პატრიოტთა
რიგები რომ თავადაზნაურობისაგან არ იყო შემდგარი, მაგრამ მისი
ეს ფორმულირება ალბათ მაინც არ იყო მარტოოდენ დემაგოგია,
რადგან იმ ადამიანებში, ვის მოსპობასაც ბრძანებდა, იგი პირველ
ყოვლისა მართლაც „სულისა და გონების არისტოკრატიას“, ბუნე-
ბით გამორჩეულ ადამიანებს ხედავდა.

დასასრულ, ცნობილია, რამდენად რუსიფიცირებული იყო იგი
არა მარტო მოქმედებით, არამედ ცნობიერებითაც - თავისი თავი თა-
ვისი პოლიტიკის მასალასთან, რუს ხალხთან გაიგივებული ჰყავდა.
ამ ხალხის პოლიტიკური ინტერესები მართლაც მოითხოვდა ამიერ-
კავკასიაში დამკვიდრების გზაზე მთავარი დაბრკოლების - საქართ-
ველოს დაპყრობასა და გადათელვას, რაც სტალინმა შეასრულა კი-
დეც. ცნობილია (და ცნობილი იყო ყოველთვის), რომ სტალინის
ეპოქის ყველა რეპრესია ყველა სხვაზე მეტად საქართველოზე
გავრცელდა. ცნობილია, რომ 1924 წლის აჯანყების წინადღეს,
როდესაც სტალინს მოახსენეს, აჯანყება იწყება, ხელმძღვანელები
ვიცით და ნება მოგვეცით, ავიყვანოთო, მან უარი თქვა და უკვე
განწირული აჯანყების მიშვება ბრძანა, „საქართველოს სამოქალაქო
ომში სისხლი არ დაულვრია და, დაე, ახლა დაღვაროსო“. უფრო
გვიან, როდესაც საქართველო უკვე მიწაზე იყო გართხმული იმდე-
ნად, რომ მისი წამოდგომის საშიშროება აღარ არსებობდა, სტა-
ლინს, როგორც ჩანს, გაუნელდა სიძულვილი მის მიმართ. მისი ყვე-
ლაზე აქტიური ანტიქართული პოლიტიკა ოციანსა და ოცდაათიან
წლებს ეკუთვნის. ომის შემდეგ იგი ხშირად იბარებდა ქართველ
მეცნიერებსა თუ მსახიობებს, დაინტერესებული იყო საქართველოს

ისტორიით და ლიტერატურის მდგომარეობით. მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი, როგორც კი მის ძალაუფლებას საშიშროება დაეტყო ბერიას მხრიდან, საქართველო მთელი მისი ისტორიის მანძილზე უმაგალითო კატასტროფისთვის გაეწირა...

ომამდე საქართველოში სტალინი ყველას სძულდა მისი აპარატის გარდა. გლეხისთვის იგი იყო კოლმეურნეობის ავტორი, ყველასათვის ერთობლივად - რეპრესიებისა და ანტიქართული მონათმფლობელური რეჟიმის ყველა სხვა საშინელებების ავტორი. ამ დამოკიდებულების ზუსტი გამომხატველია ანეკდოტი - კინტოების დიალოგი: „სტალინი რატომაა ჩვენი ყველას მამა? - იმიტომ, რომ ყველას დედა გვიტირაო". მაგრამ ომის შემდეგ ეს დამოკიდებულება ცოტა მოირყა. უფრო ზუსტად, მას სხვა დამოკიდებულებაც შეერია. ომში გამარჯვებული სტალინის კოლოსალურმა ფიგურამ დათრგუნა ადამიანთა ფანტაზია. მასში მსოფლიოს ნახევარზე გაბატონებულ გენიალურ ქართველს ხედავდნენ, ნებისყოფისა და პოლიტიკური გამჭრიახობის სწორუპოვარ განსახიერებას, „ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდეს მხედართმთავარს", რომელმაც თავისი სიდიადით ქართველთა თვითდამკვიდრება განახორციელა საკაცობრიო ასპარეზზე. ეს წარმოდგენა ერთი და იმავე ადამიანის ცნობიერებაში უცნაურად უთავსდებოდა 1942 წლიდან გაჩენილ შიშს, რომ შესაძლებელია მთელი საქართველო გაგვასახლონ, როგორც რუსებისთვის არასანდო ხალხი, ან, ვთქვათ, იმის მწარე შეგნებას, რომ თუ გაგრძელდა რუსობის კატასტროფული მოდენა სამრეწველო მშენებლობის გამო, საქართველო ცოტა ხანში საქართველო აღარ იქნება. და მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, ის, რომ სათავეში ჯუღაშვილი (ფაქტობრივად: ეგნატაშვილი) ზის - კაცი, რომლისთვისაც ქართული ყოფა, სასმელ-საჭმელი თუ ხალხური სიმღერა რეალობაა, რომლისთვისაც გიორგი საakაძის როლის შეფასება ყურადღების ღირსი პრობლემაა და ა.შ. - პოლიტიკურად ძალაგამოცლილი ქართველისათვის დიდი იმედი იყო. სტალინშიც და ბერიაშიც პატრონს ხედავდნენ, რომელიც, თუ დასჭირდა, დაგკლავს, მაგრამ თუ შენი დაკვლა არ დასჭირდა, მოგივლის და შენს ხორცს მოხეტიალე ძაღლებს არ შეაჭმევს.

სტალინის სიკვდილის და, განსაკუთრებით, ბერიას დამხობის

შემდეგ ვითარება შეიცვალა. რუსმა მასამ, რომელიც რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში არც კოლმეურნეობა არსებობდა და არც რეპრესიები, ჩათვალა, რომ დროა, ქართველებს ამ პრივილეგიურ მდგომარეობაში ყოფნისთვის პასუხი მოეკითხოთ. რაკი საბჭოთა კავშირს ქართველი მართავდა, ამ მასამ მიიჩნია, რომ ქართველების არსებული მდგომარეობა ამ სახელმწიფოში, მათი აზრით, სამართლიანად კუთვნილზე უკეთესი, სტალინ-ბერიას მიკერძოების შედეგი იყო და საჭირო იყო მისი გაუარესება. „პიროვნების კულტის" გაუქმებისაკენ მიმართულმა ოფიციალურმა კამპანიამ რუსი მასის შოვინისტურ ინსტინქტებს გზა მისცა და აქტიური ანტიქართული ცნობიერება შექმნა. რუსეთში სავაჭროდ, ჯარში ან სხვა რამ მიზეზით მყოფი ქართველებისადმი მტრულმა გამოხდომებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა საქართველოშიც იმ შემთხვევაში, თუ რუსს ამის შესაძლებლობა ეძლეოდა. დამახასიათებელი შემთხვევა (ნაამბობი): ტრამვაიში, ოპერის ქვემოთ, რუსმა პოლკოვნიკმა უხეშად წაჰკრა მხარი ფეხმძიმე ქართველ ქალს. შენიშვნა რომ მიიღო, უპასუხა: „რისთვის მოვუფრთხილდე, იმისათვის, რომ მეორე ბერია დაიბადოსო?". ტრამვაიში მყოფმა ქართველმა ახალგაზრდამ მუშტით კბილი ჩაამტვრია და ტრამვაიდან გადახტა.

ვინაიდან სტალინის მხილების კამპანიას ოფიციალური ხასიათი ჰქონდა, ბუნებრივია, რომ სტალინისადმი ანტიპათიასთან დაკავშირებული ანტიქართული განწყობილებების ზრდაც ქართველების მიერ აღიქმებოდა როგორც ოფიციალური კურსის შესაბამისი (და იგი მართლაც ასეთი იყო). ამასთან ერთად, ქართველი ხალხის მასას (რუსეთის მოსახლეობისგან განსხვავებით) ნათლად ესმოდა, რომ სტალინის პიროვნებისკენ მიმართული კრიტიკა არ ნიშნავდა მის მიერ შექმნილი სოციალური სისტემის ან რეჟიმის კრიტიკას ან უარყოფას. ქართველებში ბავშვმაც კი იცოდა, რომ სტალინს აძაგებდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ქართველი იყო და არავის უფიქრია სერიოზულად, მის მიერ შექმნილი რეჟიმის საფუძვლები მოერყია. ამიტომ სტალინის ჯერჯერობით ფრთხილად ფორმულირებულ, მაგრამ მძლავრი ანტიქართული ემოციური მუხტის მატარებელ კრიტიკას ქართველობა აღიქვამდა როგორც უსამართლოს

7. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

("გასალანძღი თუა, ჩვენი გასალანძღია, ეგენი კი ფეხებს ბნდა უკოცნიდნენო"). ამავე დროს ყველამ იცოდა, რომ სტალინს იმაში არ ამხილებდნენ, რაშიც იგი ყველაზე უფრო სამხილებელი იყო - მას არც „დიქტატორს" უწოდებდნენ, არც „ჯალათს" და არც „სისხლის მსმელს", არამედ მხოლოდ მის „უნიჭობაზე", „არაკვალიფიციურობაზე", მის მიერ საკუთარი თავის უმართებულო განდიდებაზე და ხელისუფლების უკანონო დასაკუთრებაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ამავე დროს ქება-დიდებით იხსენიებდნენ ლენინს, რომელიც ქართველობის თვალში - ისევ რუსებისაგან განსხვავებით - სტალინს არც ჰუმანიზმით, არც, მით უმეტეს, ნიჭითა და უნარით არ აღემატებოდა (პირიქით, ყველა ამ განზომილებით იგი სტალინს ჩამორჩებოდა). ასე რომ, სტალინის კრიტიკას ამით ერთგვარად შეფარული, არაოფიციალური და არაგამხელადი იერი ეძლეოდა: მას თითქოს უპირისპირდებოდნენ იმ სიძულვილით, რომელსაც ვერ გაამხელდნენ არსებული ოფიციალური იდეოლოგიის ფარგლებში, მაგრამ რომელიც ამის გამო მით უფრო მზარდი იყო არაოფიციალურად და უფრო სახიფათო.

1954 წლის მარტში, სტალინის სიკვდილის დღეებში (3-დან, როცა 1953 წელს სტალინი, ოფიციალური ვერსიით, ავად გახდა, 9-მდე, როცა იგი დამარხეს) მის ძეგლთან, მტკვრის სანაპიროზე ხალხი მიდიოდა და ყვავილები მიჰქონდა (ცოტა-ცოტა მანამდისაც მიჰქონდათ, მას შემდეგ, რაც მისი მხილების კამპანია დაიწყო). ეს სვლა არც წინასწარ დაგეგმილი ყოფილა ვინმეს მიერ და არც ცნობილი. იგი სტიქიური იყო და მისი ერთადერთი მოტივი იყო პროტესტი. მიმსვლელი, საერთო ჯამში, იმ ექვსი დღის მანძილზე რამდენიმე ათასი იქნებოდა და, შესაძლოა, მეტიც. ის, რომ მიმსვლელნი ბევრნი აღმოჩნდნენ, ალბათ ყოველი მათგანისთვის მოულოდნელი იყო. მისულნი ყვავილების დაწყობის შემდეგ ერთხანს დგებოდნენ ბაღში ძეგლის წინ და, ამგვარად, იმ ექვსი დღის მანძილზე აქ დღისით თითქმის განუწყვეტელი უსიტყვო მიტინგი იყო - პირველი არაოფიციალური და მთავრობის კურსის საწინააღმდეგო მიტინგი საბჭოთა კავშირში მას შემდეგ, რაც სტალინური რეჟიმი დამყარდა. ეს ფაქტი, რომ ხდებოდა არაოფიციალური შეკრება მთავრობის კურსის საწინააღმდეგოდ და რომ მას ხელისუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტი ხელს ვერ უშლიდნენ (თუნდაც მხოლოდ იმის წყალობით, რომ ამას ვერ იზამდნენ არსებული ოფიციალური იდეოლოგიის ფარგლებში) - ძეგლთან მყოფებმა მხოლოდ მაშინ გაიცნობიერეს, როცა იგი მოხდა, ხოლო დანარჩენებმა, ანუ მოსახლეობის ძირითადმა მასამ, რომელსაც აზრადაც არ მოუვიდოდა სტალინის ძეგლთან ყვავილების მიტანა, გაიგო მაშინ, როცა ეს ექვსდღიანი მზარდი მანიფესტაცია უკვე მთავრდებოდა ან დამთავრებული იყო. მიუხედავად ამისა, თვით ფაქტი ეიფორიის აღმძვრელი იყო და აღძრა კიდეც ეიფორია. იგი ცნობილი გახდა ყველასათვის და ყველას მეხსიერებაში დარჩა როგორც უნიკალური, როგორც რაღაც ჯერ გაურკვეველი პერსპექტივის გამხსნელი და კითხვების აღმძვრელი. კითხვას, თუ რა იქნება სხვა დროს ამ დღეებში, კერძოდ და კონკრეტულად კი - გაისად ამ დროს, ყველა სვამდა თავისი თავის წინაშე. ამიტომ მომავალი წლის მარტს ყველანი ნერვული და შიშნარევი ცნობისმოყვარეობით მოელოდნენ - ისინიც, ვისაც სტალინის სახელის ბედი გულწრფელად აღელვებდა (ესენი, რა თქმა უნდა, უმცირესობა იყვნენ), და ისინიც, ვისაც იგი სრულებით არ აღელვებდა.

მოხდა ის, რომ მომდევნო 1955 წელს ძეგლთან ხალხი შეუდარებლად მეტი იყო და უტყვი მიტინგიც შეუდარებლად უფრო დიდი. იგი მონაწილეთა და არამონაწილეთა მიერ უკვე სავსებით გაცნობიერებული იყო, როგორც მიტინგი და არსებული ვითარებისადმი, როგორც ასეთისადმი, პროტესტისა და წინააღმდეგობის ფორმა. იმ წლის მანძილზე, რაც გასული იყო 1954 წლის მარტიდან, სტალინის წინააღმდეგ მიმართული კამპანია უფრო ფართოც გახდა და უფრო თვალში საცემად უსამართლოც იმ მხრივ, რომ სტალინის პიროვნების მაგინებელი ხელისუფალნი არც მის შექმნილ იმპერიაზე ფიქრობდნენ ხელის აღებას, არც მისი მეთოდით აგებულ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე, არც მის შექმნილ დიქტატურაზე, არც კოლმეურნეობაზე, არც ეკონომიკური თუ პოლიტიკური რეჟიმის რომელიმე სხვა ძირითად ფორმაზე. ანტიქართული გამოხდომებიც რუსეთში არა თუ არ კლებულობდა სიხშირით ამ ხნის მანძილზე, არამედ იზრდებოდა. რუსი მასა, შეძლებისდაგვარად (და, რა თქმა უნდა, ხრუშჩოვის „ჭკვარად გამოუთქმელი სულისკვეთების

elibrary.nplg.gov.ge

შესაბამისად) ანგარიშს უსწორებდა საქართველოს იმისათვის, რომ 29 წლის მანძილზე განუკითხავად მართული იყო მისი შვილის მიერ. ქართველი ერი გრძნობდა, როგორ ლოკავდა უკვე მის მიწაწყალს თითქმის ორასმილიონიანი ბრბოს სიძულვილის ტალღები, რომლებიც, არავინ იცოდა, როდის გადალეკავდნენ მას სავსებით.

ამ მდგომარეობას, რომელიც 1955 წელს უკვე სავსებით ჩამოყალიბებული იყო, ახალი გარემოებებიც დაერთო - სტალინის უფრო და უფრო მზარდი და უფრო და უფრო ოფიციალური გინება (პარტიის XX ყრილობა). რუსის თვალში ეს ოფიციალური პოზიცია გადატყდა როგორც ისტორიის საბოლოო და შეუქცევადი განაჩენი ქართველობის მიმართ, რომელსაც, მისი აზრით, არც „კარგი" ცხოვრებისათვის და არც ცხოვრებისათვის საერთოდ სხვა არავითარი საფუძველი და არავითარი სხვა გამართლება არ მოეპოვებოდა, გარდა სტალინის თანამემამულეობისა. ქართველის თვალში კი ეს გადატყდა როგორც საქართველოს წინააღმდეგ გადამწყვეტი იერიშის მიტანის სიგნალი...

...დემონსტრაციის დახვრეტა, როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, 8 მარტს საღამოსვე ყოფილა გადაწყვეტილი და 9 მარტს კურსი უკვე მდგომარეობის გამწვავებისა და გაღრმავებისაკენ იყო აღებული. პირველ საათზე თუ პირველის ნახევარზე ძეგლის კვარცხლბეკზე ერთი წაბლა ფერის, თმაგადაგლესილი, გრძელცხვირა, მაღალი, ოცდაათიოდე წლის (ან ცოტა მეტის) კაცი ავიდა. ლაპარაკობდა ქართულად (ცხადია), მაგრამ თითქოს ცოტა უჭირდა. თითქოს ბორძიკობდა, თითქოს აქცენტიც მთლად გამართული არ ჰქონდა, სიტყვასა და სიტყვას, მარცვალსა და მარცვალს შორის რაღაცა არაბუნებრივ პაუზებს ტოვებდა (ძალიან მოკლეს). სიტყვებს არ ეძებდა: ლაპარაკობდა და ამ ტემპით მეტყველებისას სიტყვების პოვნა, თუნდ ქართულის ცუდად მცოდნეს, არ უნდა გასჭირვებოდა. ხმა მკვეთრი ჰქონდა, ინტონაცია - ენერგიული და თითქოს ხაზგასმული. ერთი სიტყვით, დიქცია ასეთი ფართო მიტინგისთვის შესაფერისი ჰქონდა. ლურჯი გაბარდინის ლაბადა („პლაშჩი") ეცვა ზედ მრავალი ჯიბით (იმ დროს გავრცელებული). მარჯვენა ხელს, კომუნისტურ მიტინგებზე მიღებული მანერის შესაბამისად, ხან ერთი მხარისაკენ იშვერდა, ხან მეორისაკენ, თქმულის შინაარსისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლად, როგორც ლენინს თამაშობდნენ ხოლმე ეკრანზე, და პაროდიულად ჰბაძავდნენ ყოველდღიურობაში. სიტყვა ამით დაიწყო: „ამხანაგებო, ახლა ჩამოვედი ლენინგრადიდან და იქაც იგივე ამბავია. მოვიდა ცნობა ერევნიდან. იქაც იგივე ხდება". მოკლედ, ამ კაცის სიტყვით გამოდიოდა, რომ მთელი საბჭოთა კავშირი სტალინის ხსოვნის დასაცავად აღმდგარიყო და მთავრობა ლამის არჩევანის წინაშე იმყოფებოდა, დაეთმო თუ გადამდგარიყო. კრიტიკის უნარდაკარგული მიტინგი ამ ცნობასაც ეჭვით არ მოჰკიდებია და, რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციამაც ვნებათა გაღვივების მიმართულებით იმოქმედა. ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც რაღაცა ირონია ჩემი მხრიდან ამ მიტინგის მიმართ. მახსოვს პირადად ჩემი რეაქციაც ამ სიტყვის სმენაზე. წინააღმდეგ ყოველივე ლოგიკისა, ყოველივე იმისა, რაც მანამდე მსმენოდა, მენახა ან სხვა რამ წყაროდან ვიცოდი ამ წუთისოფლის შესახებ, ამ ამბის შეუძლებლობის განცდა მე არ გამჩენია. მასობრივ სუგესტიას (დაქვემდებარებას, შთაგონებას), ვიმეორებ, როგორც ჩანს, ბევრი შესძლებია და დაჯერება-არდაჯერებას აქ ლოგიკა კი არა, მასობრივი განწყობილების „გრადუსი" განსაზღვრავს.

წინ გავუსწრებ თხრობას და ვიტყვი. იმ ღამეს, უკვე უკანასკნელი ხვრეტის შემდეგ, დაახლოებით ოთხის ნახევარზე ან სამსა და ორმოცდახუთ წუთზე მეც დამიჭირეს, ისევე როგორც იმ დროს ქუჩაში მყოფი ყველა სხვა. გამომიშვეს ერთი კვირის თავზე. პარასკევს, 16 მარტს, დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე ან ცოტა გვიან, ისევე როგორც პატიმართა უმრავლესობა, სახელდობრ, ისინი, ვინც ტრიბუნაზე სიტყვით არ იყო გამოსული. ტრიბუნაზე გამოსულთაგან არცერთი ოთხ თვეზე ადრე არ გამოუშვიათ. მაგრამ ჩემი გამოსვლიდან მეორე თუ მესამე დღეს რუსთაველის გამზირზე უცებ ნაცნობი მკვეთრი, ხაზგასმული ინტონაციები და სიტყვებსა და მარცვლებს შორის ნაცნობი უჩვეულო პაუზები მომესმა. იქვე ჩემს წინ, ლაღიძის წყლებიდან ლენინის მოედნისკენ მიმავალი, წულუკიძის ქუჩას კვეთდა ის ლურჯლაბადიანი ორატორი, იმავე ლაბადით, უქუდოდ, ვიღაცა სხვასთან ერთად და ხელის ნელი ქნევით ელაპარაკებოდა. ცხადია, ეს კაცი პროვოკატორი იყო, მიტინგის გზნების გასაღვივებლად მოგზავნილი ხვრეტის მოსამზადებელ ეტაპზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულებით შეუძლებელი იქნებოდა ეს ვიცი, როგორც ტრიბუნაზე ამაგზნებელი სიტყვით გამოსული, არ დაეპატიმრებინათ (თუ ნახავდნენ), დაპატიმრებული გამოეშვათ, ხოლო თუ ვერ ნახავდნენ, მას თვითონ რუსთაველის პროსპექტზე ევლო იმავე ლაბადით, რომლითაც ძეგლზე გამოვიდა. საკითხავია მხოლოდ, რა მიზანი ჰქონდა მისი პიროვნების ამ დემონსტრირებას ხვრეტიდან რამდენიმე დღის თავზე? მხოლოდ იმის საჩვენებლად იყო ეს ილეთი მოწოდებული, რომ მიტინგის ორატორები საერთოდ ნდობას არ იმსახურებენ?

დაახლოებით 18-20 წლის შემდეგ იმ კაცს კიდევ მოვკარი თვალი და ვიცანი. ცეკას შენობის წინ იდგა ჩიტაძის ქუჩაზე ვიღაც ორ კაცთან ერთად. მისი ვინაობის გარკვევის არავითარი საშუალება ხელთ არ მქონდა. ქართველი იყო თუ ქართულნასწავლი არაქართველი აგენტი (ასეთებიც არსებობენ, ცხადია), ესეც არ ვიცი, უფრო, მე მგონი, ჰიბრიდი უნდა ყოფილიყო...

...ერთი რამეც მინდა შევნიშნო. თბილისში მომხდარი ხვრეტიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ ნოვოჩერკასკშიც ესროლეს ეკონომიური მოტივით გამოსულ ხალხს. როგორც ამბობდნენ, იმ ოპერაციის ჩამტარებელმა ოფიცერმა ოპერაციის დამთავრების შემდეგ თავი მოიკლა (რამდენად მართალია ეს, არ ვიცი). თბილისში, ცხადია, არც ერთ ოფიცერს თავი არ მოუკლავს. როგორც ზემოთ ვთქვი, ჯარისკაცებსაც და ოფიცრებსაც უხაროდათ სროლა - ეს იყო მთავარი დაკვირვება, რომელიც მე მთელი იმ საღამოს ამბებიდან გამოვიტანე. თბილისში მოსახლე რუსობის ერთი ნაწილი რეპრესიას მხარს უჭერდა (ან ჩუმად იყო). ამბობდნენ, თითქოს ამ სულისკვეთების ფრაზები ეთქვას ვინმე ბურმისტროვასაც, გრიბოედოვის სახელობის ულტრაპროვინციული თეატრის უნიჭო პრიმასა და მჟავანაძის მეგობარს. რუსისგან ქართველების მისამძიმრების შემთხვევა ამ ხვრეტის გამო არ გამიგია.

დასასრულ, ორი სიტყვა უნდა ვთქვა ამ ამბების არამატერიალური, არახელშესახები მხარის თაობაზეც. პატიმრობიდან რომ გამოვედი 16 მარტს, მეგობრები მეუბნებოდნენ, ყველაზე უარესი შენ არ გინახავსო. ეს იყო 10 მარტი თბილისში, ქუჩებში რომ შეჯავშნული და შეუჯავშნავი მანქანებით და ფეხით ავტომატმომარჯვებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ჯარისკაცები დადიოდნენ და მოკლულ, გატრუნულ ქალაქზე ეროვ-
ვისი ბატონობის დემონსტრირებას ახდენდნენ. როგორც ზემოთ
ვთქვი, თუ 9 რიცხვში გამოსვლები არ შეწყდებოდა, 10 მარტიდან
ქალაქი უნდა დაემბომბათ და, ამდენად, ჯარისკაცებისათვის ეს პატ-
რულირება ისევ ოპერაციის ნაწილი იყო ალბათ. მაგრამ ქალაქისთ-
ვის ეს გამოსვლა უკვე დამთავრებული იყო და მხვრეტავთა ეს პატ-
რულირება მხოლოდ ამ უცხო და ბოროტი ძალის დამთრგუნველსა
და შეურყეველ ბატონობას ასახიერებდა. კავშირგაბმულობის
სახლთან, უშიშროების კომიტეტის ასახვევთან, რომელიც ჯარის
მიერ იყო შეკრული, მთელი დღე იდგნენ თურმე ქართველი ბიჭე-
ბი, ხუთასიოდე კაცი (ალბათ იცვლებოდნენ შიგადაშიგ). იდგნენ
პირქუშად და მდუმარედ, ამჯერად უკვე გაუცინარი მეავტომატეების
პირისპირ. იდგნენ იმიტომ, რომ ყოყმანობდნენ, კიდევ ერთხელ შეე-
ტიათ თუ არა უპერსპექტივოდ და უიმედოდ და უმიზნოდ დაღვრილ
სისხლზე თავისიც ზედ დაერთოთ. დროდადრო აქეთ მდგომებში რა-
ღაც მოხდებოდა. თითქოს რაღაცა მუხტი გავრცელდებოდა, მჭიდრო
ბრბო დაიძაბებოდა და მოზიდული კუნთივით შეიკვრებოდა. მაშინ
ჯარისკაცებიც ავტომატებს გადმოიღებდნენ და დაიძაბებოდნენ. ასე
პირდაპირ დგომის რამდენიმე ხნის შემდეგ დაძაბულობა გადაივლი-
და და ატმოსფერო განიტვირთებოდა ხოლმე. იმის სიტყვით, ვინც
ეს მიამბო, ეს მდგომარეობა დაღამებამდე გაგრძელდა.

პატიმრობიდან გამოსვლის მეორე დღესვე კინოში ვიყავი
ძერჟინსკის კლუბში, იმავე შენობაში, საიდანაც წინადღით გამოვე-
დი. მახსოვს მაფორიაქებელი სიხარული და შვება, რომელიც ჩემ-
ში მხოლოდ იმიტომ კი არ ზღვავდებოდა, რომ გადარჩენილი ვი-
ყავი და სიცოცხლეს ვგრძნობდი, არამედ სხვა, უფრო ღრმა მიზე-
ზიც ჰქონდა: ფოიეში ივივე ჩვეულებრივი თბილისელი მასა იყო,
რომელსაც ვიცნობდი, რაც თავი მახსოვდა, და რომელშიც გამოუს-
წორებლად თავდახრილსა და განადგურებულ ადამიანებს ვხედავდი
მუდამ იმის ნაცვლად, რისი დანახვაც მინდოდა. სრულებით გულახ-
დილად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ცხოვრების მმართველი ერთ-ერ-
თი ყველაზე მძიმე გრძნობა ეს იყო. ახლა მისგან თავისუფალი ვი-
ყავი. ახლა ნამდვილად ვიცოდი, რომ ეს მასა- კაცი თუ ქალი, სხვა
იყო, ვიდრე მანამდე ჩანდა. ეს ის ხალხი იყო, ვისაც, თუკი საქმე
მოიტანდა, ნებისმიერი გმირობის ჩადენა შეეძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს განწყობილება მხოლოდ ჩემი არ იყო და იგი ბევრი რამის ამხსნელია, სხვათა შორის, იმისაც, რომ არც გლადკოვის, არც მაკუშევის სიკვდილით დასჯის ცდა არავის მოუხდენია. რა თქმა უნდა, ამას ისეთი ორგანიზება დასჭირდებოდა, რომელიც მხოლოდ მგლოვიარე მშობლებისა და ნათესავების შესაძლებლობათა ფარგლებს სცილდებოდა. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში როდია. მართალია, აქა-იქ ახალგაზრდული ორგანიზაციები გაჩნდა ხვრეტის პასუხად (ხაშურში, ყაზბეგში, ზუგდიდში, რამდენადაც ვიცი), მართალია, ქართველების ქცევა ქუჩაში, სტადიონის მისასვლელთან, რომელსაც ჯარისკაცები დარაჯობდნენ, თუ სხვაგან, ისევე როგორც რუსების ქცევა ქართველებთან (რაც კარგად მახსოვს) იმის უტყუარი საბუთი იყო, რომ ხვრეტას ქართველების დაშინება ან რუსების გათამამება არ გამოუწვევია. მაგრამ ის მასობრივი გრძნობა შეურაცხყოფისა და რევანშის მოთხოვნილებისა, რომელსაც სირცხვილი და დამარცხება ბადებს, ჩვენში არ გაჩენილა. ცხოვრების მთელი წესი, პიროვნებისა და სახელმწიფოს, საქართველოსა და იმპერიის დამოკიდებულება, რასაც ხალხი 35 წლის მანძილზე შესჩვეოდა, იმგვარი იყო, რომ, მიუხედავად მუქთად გაღებული უზარმაზარი მსხვერპლისა, ხალხის უდიდესი ნაწილი ამ გამოსვლებს თავის გულის სიღრმეში გამარჯვებად თვლიდა („ეს რა გავბედეთ და როგორ შეგვრჩა, არ გაგვასახლეს და ვერ გაგვასახლესო"). შესაძლოა, ამ ახსნას ბევრი არ დაეთანხმოს, მაგრამ მე იგი მაინც, ჩემი უშუალო შთაბეჭდილებითა და ფხიზელი აწონ-დაწონით, ყველაზე უფრო სწორი მგონია. რას იზამთ, მონობას თავისი კანონები აქვს და მისგან გამოსვლის ფსიქოლოგიურ პროცესსაც ალბათ თავისი კანონები!...

ერთი წლის შემდეგ, ხრუშჩოვმა რომ საქართველოში ჩამოსვლა გაბედა, ერთი პატარა ჯგუფი მისი მოკვლის ორგანიზაციას ცდილობდა (და დაპატიმრებულ იქნა). მე მგონი, რომ ამ ადამიანთა მოტივი სწორედ ამ ფსიქოლოგიური ინერციის ტყვეობიდან გამოსვლის სურვილი იყო.

(იბეჭდება შემოკლებით)

თბილისი, 1991 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ინაშვილი

„ჩემი ჭკუით კომუნიზმს ვაშენებდი“

(ინტერვიუ საქართველოს უშიშროების კომიტეტის ყოფილ შეფთან - ალექსი ინაურთან)

- საქართველოს უშიშროების კომიტეტს სათავეში 1953 წელს, სტალინის გარდაცვალებისთანავე ჩაუდექით. რატომ სწორედ თქვენ, მებრძოლი გენერალი-კავალერისტი შეგარჩიეს და კონკრეტულად ვინ შემოგთავაზათ ეს თანამდებობა?

- არმიაში განვვლე გზა რიგითი კურსანტიდან კორპუსის სარდლამდე. ვიბრძოდი, ვმეთაურობდი ცხენოსან დივიზიას. მერე გენერალური შტაბის აკადემია დავამთავრე. ომის შემდეგ გერმანიაში გამგზავნეს მექანიზებული დივიზიის მეთაურად. საქართველოში არასოდეს მიმსახურია, არავის ვიცნობდი, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ვარ. გორში დავიბადე. ახალგაზრდობისას კრასნოდარის სამხედრო სასწავლებელში შევედი. მამაჩემი კარეტების ხელოსანი იყო, უმცროსი ძმა რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილეა. საქმე ისე აეწყო, რომ სამშობლოში მხოლოდ შვებულებით ჩამოვდიოდი ხოლმე, ომამდეც და ომის შემდეგაც.

1953 წლის დამდეგს, თებერვალში, გერმანიიდან უჟგოროდში გადმომიყვანეს - მესამე მსროლელი კორპუსის სარდლად დამნიშნეს.

მარტში სტალინი გარდაიცვალა. ბერიას დაპატიმრების შემდეგ ბევრი დამქაში, მათ შორის საქართველოს სუკ-ის თავმჯდომარე რუსაძე და სხვებიც მიაყოლეს. მათ არ ვიცნობდი, მოვლენებს შორიდან, უკრაინის მიყრუებული კუთხიდან ვადევნებდი თვალს. ასე რომ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც სხვებზე მეტი არაფერი ვიცოდი.

მაშ, როგორ მოვხვდი ორგანოების თვალსაწიერში? ამის შესახებ მხოლოდ ამ სისტემაში მუშაობის სამი-ოთხი წლის შემდეგ შევიტყვე.

გენერალური შტაბის აკადემიაში როცა ვსწავლობდი, იქ გენერალ-მაიორი ბატიცკი, მომავალი მარშალი სწავლობდა. იგი ბერიას დაპატიმრებაში, მერე - დახვრეტაშიც მონაწილეობდა... 1953 წლის ზაფხულში საქართველოს მაშინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელშიც სახელმწიფო უშიშროებაც შედიოდა, ხელმძღვანელობის დაპატიმრების შემდეგ დაისვა საკითხი ახალი ხელმძღვანელობის შესახებ. მოსკოვს სურდა, ამ თანამდებობაზე ყოფილიყო ქართულის მცოდნე, საქართველოში დაბადებული ქართველი, მაგრამ ისეთი, რომელიც აქ დიდი ხანია არ მსახურობდა, არავისთან იყო დაკავშირებული. ბატიცკიმ გამიხსენა, მე ვიყავი ასეთი - ალიოშა ინაური. ჩაიხედეს ჩემს პირად საქმეში და ყველაფერი ასე გადაწყდა. მე კი არაფერი ვიცოდი. მოსკოვში, კადრების სამმართველოში გამომიძახეს. ჩავფრინდი. აეროდრომზე ორი სამოქალაქო პირი დამხვდა. მანქანაში ჩამსვეს, წავედით. გავვოცდი, სიცოცხლეში არავინ დამხვედრია, აქ კი... ბადრაგი ხომ არ არის?

ფრუნზეს სანაპიროზე, კადრების სამმართველოში გაირკვა, რომ არავის გამოვუძახივარ. თანამგზავრებმაც არ იცოდნენ, სად უნდა მივეყვანეთ. მერე ვიფიქრეთ, ალბათ ცენტრალურ კომიტეტშიო. ასეც აღმოჩნდა. ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებაში შევედით. იქ შევიტყვე, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად მგზავნიდნენ. მოვახსენე, - საარმიო გენერალი ვარ, ორგანოებთან საქმე არასოდეს მქონია და ამ საქმეს არ ვიცნობ-მეთქი.

- არაფერია, შეისწავლით,- მიპასუხეს. - წადით, იფიქრეთ, ხვალ ისევ გამოგიძახებთ.

მეორე დღეს ცენტრალური კომიტეტის მდივან შატალინთან შემიყვანეს. ის იყო ორგანოების კურატორი. სწორედ მან მაცნობა მაშინ ბერიას დაპატიმრების ამბავი. ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული.

- ახია იმაზე, - ვუპასუხე.- საქაროველოში კი მინისტრად არ წავალ, არ მესმის ეგ საქმე.

დიდხანს ვიდექი უარზე. ბოლოს მითხრეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

- წადით, დაისვენეთ, როცა დაგვჭირდებით - გამოგიძახებთ.

მართლაც გამომიძახეს. ამჯერად მალენკოვთან შეიყვანეს. ...ერთ პირქუშად მოუსმინა ჩემს თანმხლებთ და მოკლედ მოსჭრა:

- წინააღმდეგი არა ვარ.

დავინახე, რომ საქმე სერიოზულად იყო, აღარავინ მეკითხებოდა, თანახმა ვიყავი თუ არა, მალენკოვისაგან ხრუშჩოვთან გამაქანეს. მოახსენეს, უარზეა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრობა არ სურსო.

- სწორად იქცევა,- თქვა ხრუშჩოვმა.- გიჟი ხომ არ არის? რად უნდა თქვენი მინისტრობა? ეგ ხომ მებრძოლი გენერალია...

გულზე მომეშვა. მაგრამ, უცბად მომიჭრა: - მაგრამ წასვლა მაინც მოგიწევთ.

სითამამე მოვიკრიბე და შევბედე:

- ნიკიტა სერგის ძევ, რაც გინდათ მიყავით, მაგრამ არმიას ვერ მივატოვებ!

- არც არის საჭირო. მე შენთვის გამონაკლისს დავუშვებ...

ამით საუბარი დამთავრდა. დიდხანს ვიმტვრევდი თავს, ხრუშჩოვი რა „გამონაკლისზე" ლაპარაკობდა-მეთქი?

მეორე დღეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიაზე გამომიძახეს. საკავშირო მინისტრად მაშინ სეროვი იყო. კოლეგიას შატალინიც ესწრებოდა. სწორედ იქ შევიტყვე, თუ რას ნიშნავდა ის „გამონაკლისი". დამნიშნეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად „საბჭოთა არმიის კადრებში დატოვებით". ასე რომ, 1988 წლამდე, გადადგომამდე ორი პირადი საქმე მქონდა.

- 1956 წლის მარტი თბილისში. პარტიის XX ყრილობის შემდგომი ცნობილი მოვლენები, როცა სტალინის პიროვნების კულტი ამხილეს. რა როლს ასრულებდა უშიშროების კომიტეტი მარტის იმ მოვლენებში?

- იქამდე, წელიწადნახევრის წინათ, უშიშროების კომიტეტი შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყო. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა გენერალი ჯანჯღავა, მე კი სუკ-ში დავრჩი.

ვესწრებოდი XX ყრილობას. თბილისიდან ყოველდღე მომახსენებდნენ არსებულ ვითარებას. სხვათა შორის, ახლა იმ მოვლენების შესახებ ბევრ ტყუილს წერენ. მაშინ ახალგაზრდობა ხომ სტალინის დასაცავად გამოდიოდა, ახლა კი პირიქით, სტალინს ვამხელთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში შექმნილი ვითარება ყრილობაზე მყოფ მაჟავანაძეს ასევე სსრ კავშირის უშიშროების კომიტეტსაც მოვახსენე. მაშინ თბილისს გარდა დაძაბული სიტუაცია იყო გორსა და ქუთაისში, სადაც ახალგაზრდობა სტალინს იცავდა. ყრილობის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყველა წევრი მატარებლით გამოემგზავრა, მე კი თვითმფრინავით გამოვფრინდი - ვითარება მოითხოვდა. თბილისში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგის მოადგილე... გვარი აღარ მახსოვს... იგი ადრე ქვეყნის შეიარაღებული ძალების პოლიტსამმართველოს უფროსად მსახურობდა, რა გვარი იყო?... ველარ გავიხსენე. თბილისში მაშინ საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა, ფაქტობრივად ყველა მოქმედებას მეთაურობდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წინაშე დავსვი საკითხი: ან ახალგაზრდობას ნება უნდა დავრთოთ, სტალინის ძეგლთან სახალხოდ გამოვიდნენ და თვითონვე უზრუნველყონ საზოგადოებრივი წესრიგის კონტროლი, ან ოფიციალურად ავკრძალოთ ამგვარი აქციები. ის მოსკოველი პასუხისმგებელი მუშაკი წინააღმდეგი წავიდა: - როგორ შეიძლება ნებართვის მიცემა, ეს ხომ XX ყრილობის ხაზს ეწინააღმდეგება. მაგრამ აკრძალვაც არ ივარგებს, ამან შეიძლება გამოიწვიოს...

ლენინის მოედანზე მაშინ ლენინის ძეგლს აგებდნენ. იქაც იკრიბებოდა ახალგაზრდობა. ასევე სანაპიროზეც, სტალინის ძეგლთან და რუსთაველის პროსპექტზე - კავშირგაბმულობის სახლთან. მოედანზე ჩემს თვალწინ ვიღაც ბიჭუნა ამწეზე აბობღდა და ზედ წვერზე დაამაგრა ლოზუნგი - „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!" მე მარტო დავდიოდი ამ „ცხელ წერტილებს" შორის, ასე რომ, რაც იქ ხდებოდა, ვიცი არა პატაკებით, არამედ საკუთარი თვალით ვხედავდი. ჩემი მისამართით გინება და შეურაცხყოფა არ გამიგია, არც არავითარი ანტისაბჭოთა გამოსვლები ყოფილა, პირიქით, ყველგან იმ ლოზუნგის ანალოგიური სიტყვები ისმოდა.

დრო გადიოდა, ვითარება იძაბებოდა, მაგრამ არავითარ გადაწყვეტილებას არავინ იღებდა. მაშინ (თავდაცვის მინისტრი, მგონია, ჟუკოვი იყო) ჯარის შემოყვანის საკითხი არ მდგარა. არ ვიცი, ვის შეუთანხმდა მჟავანაძე, მაგრამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა, გენერალმა ფედიუნინსკიმ იკისრა ცენტრალური კომიტე-

ტის, მთავრობის სასახლისა და კავშირგაბმულობის სახლის დაცვა, სანაპიროზე კი, სტალინის მონუმენტთან არავინ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომახსენეს, ახალგაზრდებმა ხელთ იგდეს ტრანსპორტი და ავტომობილების კოლონა გორისკენ მიემართებაო. ავჭალასთან დავეწიე კოლონას, ჩემი მანქანით გზა ჩავხერგე და მოძრაობა შევაჩერე. დავიყოლიე, უკან გამობრუნებულიყვნენ. ყოველ ძარაში 30-40 კაცი იჯდა, მანქანები გადატვირთული იყო და ყოველგვარი უბედურება შეიძლებოდა მომხდარიყო...

უკვე ოთხი დღე იმართებოდა მიტინგები, გამოსვლები, მე კი მოვახსენებდი... მოვახსენებდი... არავინ არაფერს ღონობდა. საზოგადოებრივი ტრანსპორტი დიდი ხანია აღარ მოქმედებდა, ქუჩებში, პარკებში უამრავ ახალგაზრდას მოეყარა თავი, ვითარება სულ უფრო იძაბებოდა... მაგრამ არავითარი ექსცესი - სროლა ან ხულიგნობა - არ ყოფილა. გამოსვლები მიმართული იყო ხრუშჩოვის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, ლენინ-სტალინის პარტიის დასაცავად. ასეთი იყო საერთო მიმართულება.

9 მარტის შუაღამისას მორიგემ მომახსენა, კავშირგაბმულობის სახლთან სროლაა. სანამ იქ მივირბინეთ, სროლა შეწყდა. რა მოხდა? თურმე რომელიღაც თბილისელმა კავშირგაბმულობის სახლის ხელში ჩაგდების ცდისას ჯარისკაცს თვალში მოახვედრა დროშის ტარი. ჯარისკაცმა კი უბრძანებოდ ავტომატის ჯერი გაისროლა. ატყდა სროლა. ამბობდნენ, აჯანყებულებიც ისროდნენო. მაგრამ ვერ დავადგინეთ - ცეცხლსასროლი იარაღით არც ერთი ჯარისკაცი არ დაღუპულა, დაჭრილებს მხოლოდ ნაჩხვლეტი ჭრილობები ჰქონდათ. სროლა სტალინის ძეგლთანაც ატყდა. ეტყობა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმ პასუხისმგებელმა მუშაკმა მარშალ ჟუკოვის განკარგულებით თბილისში შემოიყვანა დივიზია, ქუჩებში ჯავშანტრანსპორტიორები გამოჩნდა. სუკ-ი ამ საქმეში არ მონაწილეობდა. არ ვიცი, იქნებ არც გვენდობოდნენ. სამხედროებმა ჩვენთან კავშირი არ დაამყარეს. უბრალოდ, მომახსენეს, რომ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ჯავშანტრანსპორტიორში იჯდა, კოლონას წინ მიუძღოდაო. სროლამ 25-30 წუთს გასტანა. 23 თუ 25 კაცი მოკლეს. სულ ეს იყო. შემდგომში მოიგონეს, ასობით მოკლული იყო, ბევრი გვამი მტკვარში გადააგდესო. ტყუილია. ჯარისკაცთაგან არავინ დაღუპულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო დაჭერები, ამას აკეთებდა ჯარიც, მილიციაც, ხუკის ორგანოებიც. მომახსენეს, ჩვენს სარდაფში სამასზე მეტი დაჭრილი მოიყვანესო. სარდაფში ჩავედი და მთელი ღამე იქ დავყავი. ვიფიქრე: ეშმაკმა უწყის. იქნებ დაკავებულებს მართლაც სცემენ-მეთქი. ამიტომ გადავწყვიტე, მათთან ვყოფილიყავი. ვიჯექით, ვსაუბრობდით. დილით კაბინეტში დავბრუნდი. განკარგულება გავეცი, ყველა მცირეწლოვანი გავთავისუფლებინათ. მშობლები დავიბარეთ და შვილები გავატანეთ - ასორმოცდაათამდე ახალგაზრდა.

მოსკოვში სეროვს მოვახსენე - მაშინ ის სსრ კავშირის სუკ-ის თავმჯდომარე იყო. მან გამოგვლანძღა მეც და თბილისში გამოგზავნილი მისი მოადგილეც, მოზარდები რატომ გაათავისუფლეთო. იქამდე კი ხელი მოვაწერეთ კიდევ 25 კაცის განთავისუფლებას. მოსკოვიდან გვიბრძანეს: „გააუქმეთ განთავისუფლება!“ მოვახსენე, - გვიან არის, უკვე გავათავისუფლეთ-მეთქი. ამას ჭექა-ქუხილი მოჰყვა... რამდენიმე ხნის შემდეგ მოსკოვიდან დარეკეს, სეროვის ერთ-ერთმა მოადგილემ მითხრა: „თქვენი მოქმედება სწორია“. შემდეგ გამოირკვა, რომ სეროვს ხრუშჩოვისათვის მოეხსენებინა ჩემი ნამოქმედარი და იმასაც მოსწონებოდა...

მოგვიანებით დანარჩენი დაკავებულებიც გავათავისუფლეთ. თუმცა ზოგიერთი ხულიგნობისთვის გავასამართლეთ, ერთიც - ანტისაბჭოური გამოსვლისათვის. მახსოვს, გვარად წერეთელი იყო, მაგრამ სომეხი გახლდათ, სამხრეთ ოსეთში დარაჯად მუშაობდა...

- მაგრამ ორგანიზაციული დასკვნები? ნუთუ არავითარი ორგანიზაციული დასკვნები არ გამოუტანიათ 1956 წლის მოვლენების შემდეგ? ალბათ „ბარიერთან“ გამოგიძახეს.

- რა თქმა უნდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ყველა წევრი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამოგვიძახეს. ძირითადი მოხსენება გააკეთა იმ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილემ, რომელიც თბილისში ყველაფერს განაგებდა მარტის მოვლენების დროს. მან თქვა, რომ საქართველოში მოქმედებდნენ იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ორგანიზაციები, რომ იყო მენშევიკური განწყობილებანი... ერთი სიტყვით, ვგრძნობდი, რომ ყველა „ჯოხი“ ჩემზე ტყდებოდა, მაგრამ რა შუაში ვიყავი? მჟავანაძეს შიშით ენა ჩაუვარდა. მიქოიანი გამოვიდა: „მე ვიცნობ საქართველოს, მენშევიკური ბუნაგიაო“... გამოვიდნენ მოლოტოვი, სხვები.

ვხედავ, საქმე ცუდად არის, ყველა მხრიდან მოდის დეზინფორმაცია. ხრუშჩოვს ბარათი გავუგზავნე, - გთხოვთ, სიტყვა მომცეთ. მეოქი. ამასობაში ექვსი საათი გავიდა, შეუსვენებლივ ვბჭობდით. სიტყვა მომცეს. უმალ იერიშზე გადავედი, ასეთი ტაქტიკა ავირჩიე. განვაცხადე: - არავითარი იატაკქვეშა ორგანიზაციები საქართველოში არ ყოფილა და არც ახლაა, მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ. ან რომელ ანტისაბჭოთა ფორმირებაზე შეიძლება მსჯელობა, როცა მომიტინგე მასების ძირითადი ლოზუნგია „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას?!" აქ არის ვინმე, ვინც ამ ლოზუნგის წინააღმდეგია? ხმა არავინ ამოიღო. ამით ისინი ჩიხში მოვამწყვდიე... სეროვს მივმართე: - მე ხომ ნიადაგ მოგახსენებდით, რაც ხდებოდა საქართველოში სტალინის სახელთან დაკავშირებით, რა ვნებები ბობოქრობდა, რა მოვლენები მწიფდებოდა. მითხარით, რა გადაწყვეტილება მიიღეთ ამის გამო? არავითარი! საქმე უბედურებამდე მივიდა. მაშ, რაში მდებთ ბრალს პირადად მე, იმაში, რომ ცენტრმა დროზე არაფერი იღონა?

შემდეგ ხრუშჩოვმა ილაპარაკა. იმის მიუხედავად, რომ იგი არ მიყვარდა, უნდა ვაღიარო, მაშინ სამართლიანად მოიქცა, თქვა, - შეცდომა საქართველოში კი არა, ცენტრში დაუშვესო. ერთი სიტყვით, საბოლოოდ ამ საკითხზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ...

- სამოციან-სამოცდაათიანმა წლებმა სხვაგვარად მოაზროვნეობასთან ბრძოლის ნიშნით განვლო. სიტყვა „დისიდენტი" სალანძღავი გახდა და ინტელიგენციის ბევრ ისეთ წარმომადგენელს მიაკერეს, რომლებიც ცდილობდნენ, წინ აღდგომოდნენ ტოტალიტარულ რეჟიმს. სწორედ მაშინ გაჩნდა მეორე ტერმინიც „არგასაშვები". ასე უწოდებდნენ იმათ, ვისაც ორგანოები საზღვარგარეთ მივლინებით არ უშვებდნენ. ამ თანრიგში ჩარიცხეს ოთარ ჭილაძე, ოთარ იოსელიანი, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სხვა მოღვაწენი, ხოლო მათი ნაწარმოებები თაროებსა და უჯრებში იმტვერებოდა. როგორ აფასებთ ახლა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ მაშინ სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ განხორციელებულ პოლიტიკას?

- ისეთ ვითარებაში, როგორიც მაშინ იყო, ჩვენი მოქმედება სწორად მიმაჩნია. რა დასამალია და ანტისაბჭოური მოქმედება მძლავრობდა. მაგრამ, თუ იმ პოლიტიკას დღევანდელი პოზიციიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევხედავთ, რა თქმა უნდა, სწორი არ იყო მავანთა შეეწყობა სხვაგვარად მოაზროვნეობისათვის.

- 1964 წლის ოქტომბერი. ხრუშჩოვი ბიჭვინთაში ისვენებს და ეჭვიც არ ეპარება, რომ შეთქმულებას უწყობენ. თქვენ ჩახვედით ბიჭვინთაში, მთავრობის აგარაკზე, რა დავალებას ასრულებდით? და, ვინ მოგცათ ის დავალება?

- შეთქმულებაზე არაფერი ვიცოდი. ისე კი, ეჭვი მქონდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. რატომ? ბოლო ხანს მჟავანაძე კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდა ხრუშჩოვის მისამართით, თუმცა ყველამ ვიცოდით - მჟავანაძე ხრუშჩოვის მეგობარი იყო.

...ღამით შინ დამირეკა სსრ კავშირის სუკ-ის თავმჯდომარემ - სემიჩასტნიმ: „ხვალ ხრუშჩოვი ბიჭვინთიდან მოსკოვს მიემგზავრება. სასწრაფოდ უნდა ჩახვიდეთ ბიჭვინთაში და გამოაცილოთ“. მეტი არაფერი უთქვამს. უმალ მანქანით გავემგზავრე, რვა საათში ჩავედი. მთავრობის აგარაკზე მისვლა ვერც კი მოვასწარი, რომ ვნახე - ხრუშჩოვი უკვე აეროპორტში გასამგზავრებლად ემზადებოდა.

უნდა შევნიშნო, რომ ხრუშჩოვს ძალზე ეშინოდა ქართველებისა. ალბათ იმის გამო, რომ XX ყრილობაზე ამხილა სტალინის პიროვნების კულტი. სალანძღავი წერილები მისდიოდა. ისე რომ, უფრო თამამად გრძნობდა თავს, როცა ახლოს ვეგულებოდი. მანქანაში მიმიპატიჟა. თვითონ და მიქოიანი გვერდებზე ასაკეც სავარძლებზე ისხდნენ, გვერდით ხრუშჩოვის შვილი იჯდა. მეც ხრუშჩოვის უკან მოვთავსდი ღია მანქანაში. თბილოდა, კარგი ამინდი იდგა. ადლერის აეროპორტში ხრუშჩოვმა მკითხა, შეიძლება აქედან მაღალსიხშირიანი ტელეფონით დავრეკოო? ვაჩვენე, სადაც იდგა ტელეფონი. ჩემს თვალწინ დარეკა მოსკოვში. მაშინ რომელიღაც კოსმონავტი დაფრინავდა კოსმოსში და მის დაშვებას ელოდნენ. ხრუშჩოვმაც მისი ამბავი იკითხა. მეტი აღარაფერი უთქვამს. მის გასაცილებლად ჩამოვიდა პარტიის კრასნოდარის მაშინდელი სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი მედუნოვი.

ეს არის, რაც ვიცი. მეორე დღეს შევიტყვე, რომ ხრუშჩოვი გადაეყენებინათ. მერე ჭორი დაირხა, ხრუშჩოვი ინაურმა დააპატიმრაო. საიდან მოჩმახეს? მერელა მივხვდი, ღია მანქანით ვაცილებდით, თანაც წინ ფორმიანი პოლკოვნიკი იჯდა, ჰოდა, ხალხმაც იფიქრა, ხრუშჩოვი აგარაკზე დააპატიმრესო.

- სამოცდაათიანი წლების დამდეგს რესპუბლიკაში კორუფციამ უმაღლეს დონეს მიაღწია, რა იცოდით თქვენ ამის შესახებ?

- აბა, რა გითხრათ... კორუფციის მასშტაბი ისეთი იყო, რომ ამის შეუმჩნევლობა არ შეიძლებოდა.

- არავის წინაშე არ დაგისვამთ საკითხი იმის თაობაზე, რომ აპარატი უმაღლეს ეშელონებამდე კორუმპირებული იყო?

- რაც გასაკეთებელი იყო, ყველაფერს ვაკეთებდი.

- გასაგებია, მაგრამ რით უნდა ავხსნათ, რომ ბრეჟნევმა, რომელიც, როგორც ახლა გახდა ცნობილი, ზნეობრივი თვალსაზრისით არცთუ უმწიკვლო პიროვნება იყო, თვითონ უწყობდა ხელს კორუფციის გავრცელებას, საბოლოოდ მაინც შეისმინა მამხილებელი სიგნალები და დათანხმდა, მჟავანაძე პოლიტიკური ასპარეზიდან გაეშვა?

- ბრეჟნევი აიძულეს. მჟავანაძისა და მისი ცოლის წინააღმდეგ მამხილებელი მასალები იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ მათი უგულებელყოფა აღარ შეიძლებოდა. რესპუბლიკაშიც იყო ჯანსაღი ძალები, რომლებმაც გაილაშქრეს მოსყიდვისა და ერთმანეთის მფარველობის წინააღმდეგ. ამასაც უნდა გაწეოდა ანგარიში...

- ბატონო ალექსი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბევრ ახლანდელ ლიდერს სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების დამდეგს სდევნიდა სუკ-ის ორგანოები, გაასამართლეს, სასჯელსაც იხდიდნენ.

- რა შემიძლია გითხრათ?... თავის დროზე იყო კანონი, იყო სტატია ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ჩვენ კანონს ვემსახურებოდით. იმ დროის საზომით ჩვენს მოქმედებაში ყველაფერი სწორი იყო.

ნახეთ, რა ხდება ახლა... შეხედეთ, მოსკოვში საპირველმაისო მიტინგზე გამოაქვთ ნიკოლოზ II-ის პორტრეტი. სწორია? ზოგიერთები ოცნებობენ, საქართველოშიც აღადგინონ მონარქიული ხელისუფლება. ესეც სწორია?

- თქვენ, ბატონო ალექსი, მარტო იმის გამოც, რომ მრწამსით, საქმიანობის ყაიდით, სუკ-ის ორგანოებში სამსახურით, განასახიერებდით ჩვენი სისტემის ზნეობრივ საფუძველს, როგორ იზიარებთ ახლა ყოველივე იმას, რაც ჩვენს სამშობლოში ხდება?

- პირადად მე გარდაქმნას მივესალმები. დიახ, მან ჩვენს ძველ

8. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

ცხოვრებაში ბევრ რამეს გადაუსვა ხაზი, ბევრი რამეც სხვა კუთხით გააშუქა, მაგრამ იმის წინააღმდეგი კი გახლავართ, რომ ყველაფერს ძველს ვლანძღავთ. მე ახლა 82 წლისა ვარ, ჩემს პირად საქმეში უამრავი მადლობაა. მთელი სიცოცხლის მანძილზე პატიოსნად ვშრომობდი. ბევრი რამ ვიღონე საქართველოსთვის, მრავალგზის გადავარჩინე სხვადასხვა განსაცდელს. ყველაფერს ვერ იტყვი...

დღეს მხოლოდ ერთი რამის მეშინია: ხალხმა ერთმანეთზე არ აღმართოს იარაღი. ახალგაზრდობის ბედი - აი, რა მაფიქრებს ახლა. კანონებისადმი დაუმორჩილებლობამ, კანონების შეუსრულებლობამ, იცით, შეიძლება შორსაც შეგვატოპინოს.

ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მინახავს ძალაუფლებისათვის ბრძოლა, იმას, ვინც ამ ბრძოლაში ებმება, უფლება აქვს, გასწიროს საკუთარი თავი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში - სხვების, ხალხის სიცოცხლე. თავს ნებას ვაძლევ, დაგარწმუნოთ, რომ ბევრ დღევანდელ თავისუფლებისათვის მებრძოლს იმდენად საქართველოს ბედი არ აწუხებს, რამდენადაც პირადი კეთილდღეობა. ეს მე კარგად ვიცი.

ჩვენ პატარა ერი ვართ, როცა დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ვინ გვყავს მეზობლები. თანაც, მითხარით, როდის ყოფილა საქართველო სავსებით დამოუკიდებელი? ახლა დავით აღმაშენებელს აღმერთებენ. სანამ იგი საქართველოს გააერთიანებდა და განამტკიცებდა, ზღვა სისხლი დაიღვარა... ახლაც ეს გვწადია?

აპრილის დამდეგს სროლა ატყდა რუსთაველის პროსპექტზე, რაღაც ვერ გაიყვეს და... დაერივნენ ერთმანეთს. მთავარი ის კი არ არის, რომ საფრთხე შეუქმნეს უდანაშაულო გამვლელთა სიცოცხლეს, არამედ ის, რომ რაკი არგუმენტები ამოწურეს, მოისურვეს, ძალის გამოყენებით დაემტკიცებინათ თავიანთი სიმართლე. მითხარით, განა ეს მისასალმებელია?

- ბატონო ალექსი, მგონია, თავი აარიდეთ კითხვაზე პირდაპირ პასუხს. შევეცდები, სხვაგვარად გამოვხატო იგივე აზრი. სუკ-ი მრავალი ათწლეულის მანძილზე ხალხში პოპულარობით ვერ სარგებლობდა, მისი ავტორიტეტი შიშს ემყარებოდა. გრძნობდით ამას?

- საქართველოს სუკ-ში ამ მხრივ სულ სხვა ატმოსფერო სუ-

ფევდა. როცა 1954 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოვეცალ-
ვით, სუკ-მა სულ სხვა პოლიტიკას მიმართა, ჩვენ არა თუ
ვსჯიდით, ხშირად ვცდილობდით, გადაგვერჩინა უდანაშაულოები,
რომელთა მიმართ რაიმე ეჭვი არსებობდა. როგორ ვახერხებდით
ამას? პროფილაქტიკური მუშაობით. გამოიძახებ ადამიანს, გულახ-
დილად გაესაუბრები, დაარწმუნებ, რაშიც არ არის სწორი, გააფრთ-
ხილებ და საქმე უბედურებამდე აღარ მიდის, აღარ იღუპება კაცი,
ოჯახი. ამიტომაც ჩვენი ხაზით საქართველოში ცოტა პატიმარი იყო.

საერთოდ კი, გეტყვით, ადმინისტრაციული ორგანოები არასოდეს
უყვარდა ხალხს, მომავალშიც არ ეყვარება. დამსჯელი ორგანოების
სიყვარულს ვერასოდეს ვეღირსებით. ხშირად მივსულვარ ციხეში,
ბევრ პატიმართან მისაუბრია, მაგრამ არავის უღიარებია, სამართ-
ლიანად დამპატიმრესო. პირიქით, მკვლელიც, ქურდიც, ავაზაკიც
იმას გაიძახის, უბრალოზე ჩავვარდიო. ალბათ ამასვე ამბობენ მათი
ნათესავ-მეგობრები... სხვა საქმეა, როცა ორგანოები თვითონ ნერგა-
ვენ ძალმომრეობასა და უკანონობას, როგორც ეს იყო ოცდაათიან
წლებში. მახსოვს, 1937 წელს ჩვენს პოლკში ყველა მეთაური დაი-
ჭირეს, ყველა! აი, ეს არის საზარელი...

**- თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი სწორი იყო ბოლო 35 წლის
განძილზე? სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართალი ხართ თქვენი სინდი-
სის წინაშე?**

- დიახ! არ ვიცი, იქნებ ჩემს მუშაობაში შეცდომებიც იყო,
მაგრამ, ბოროტგანზრახული - არა. მაგალითად, მავანი არ გავუშ-
ვით საზღვარგარეთ - თავი დავიზღვიეთ... ასეც ხდებოდა. მაგრამ
თავმჯდომარე ყველაფერში ხომ ვერ გაერკვევა, იგი ხშირად ეყრდ-
ნობა თანამშრომლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას....

**- მითხარით, ბატონო ალექსი, სუკ-ის ორგანოებში მუშაობამ
ეჭვიანი, ფრთხილი ხომ არ გაგხადათ?**

- რა თქმა უნდა, ასეც შეიძლება იყოს. მაგრამ ბევრი რამ ისე-
თი ვიცი, რაც თქვენც, სხვებმაც არ იცით. ამიტომ გარესამყაროს
შესახებ მთელ ინფორმაციას ამ ცოდნის პრიზმაში ვატარებ.

**- მინდა შევნიშნო, რომ ბევრი რამ იქიდან, რაც წინათ ვიცო-
დით, ჭეშმარიტებას იყო მოკლებული, თქვენ არ მეთანხმებით?**

- გეთანხმებით. მაგრამ ცუდად რომ ვმუშაობთ? ენერგიას მუშაო-
ბაში კი არა, ლენინის ძეგლების ნგრევაში ვხარჯავთ. ბევრი ქალა-

ქის ქუჩებში გავლა სახიფათოა დანაშაულობათა გამო. თითქმის ყველაფერი ადგილზეა - ცენტრალური კომიტეტიც, მილიციაც, სუკ-იც, მაგრამ წესრიგი მაინც არ არის...

- მითხარით, არასდროს გიფიქრიათ, რომ ამაოდ იცხოვრეთ? რამდენი იმუშავეთ სუკ-ში და რას მიაღწიეთ?

- ამაოდ მარტო სუკ-ში კი არ ვიმუშავე. არმიაშიც ვიმსახურე. ვფიქრობდი, კომუნიზმს ვაშენებდით. მჯეროდა. ომი დაიწყო და სამშობლოს დასაცავად გავეშურე. შემდეგ ვიცავდი მას გარეშე და შინაგანი მტრების ხელყოფისაგან. ახლა კი თავს ვეკითხები: - რას ვიცავდი? სამოცდაორ წელიწადს სიცოცხლეს ვისწრაფებდი, საითაც მიბრძანებდნენ, იქით მივდიოდი. ჩემი უფროსი შვილი ხუთ სხვადასხვა სკოლაში სწავლობდა. ჩემთვის არასოდეს უკითხავთ, მსურდა თუ არა, შემესრულებინა ესა თუ ის საქმე... სახელმწიფოს ასე სჭირდებაო, გიბრძანებდნენ და უნდა შეგესრულებინა. მუდამ ვცდილობდი, პატიოსნად შემესრულებინა დაკისრებული საქმე...

- მაგრამ, განა თქვენი თავი მიგაჩნიათ ისეთ ადამიანად, რომელიც დამოუკიდებლად არ აზროვნებდა, უყოყმანოდ ასრულებდა სხვათა ნება-სურვილს? ალბათ თქვენთვის უცხო არ იყო ეჭვები, თქვენც დაფიქრებულხართ, სწორი გზით მიდიოდით თუ არა. იქნებ ვცდები?

- არა, არ სცდებით. მრავალჯერ ჩავფიქრებულვარ, მაგრამ მწარე ის არის, რომ ასეთი შედეგი მივიღეთ, მთელი ჩვენი ბრძოლის, მთელი გზის შედეგი, განა ამისათვის ვცოცხლობდით?

ორივენი ვდუმდით. დრო იყო, დიქტოფონი გამომერთო.

- გმადლობთ, ბატონო ალექსი, მომიტევეთ, ასეთი ხანგრძლივი საუბრით რომ დაგღალეთ!

≈ მოვდივარ. ვემშვიდობები გულდამძიმებულ მოხუცს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთს ესწრაფვოდა - სინდისნამუსით ემსახურა სამშობლოს საკეთილდღეოდ. რას ემსახურებოდა? ქიმერებს ხომ არა? მაგრამ, განა ის არის ამაში დამნაშავე?

(იბეჭდება შემოკლებით)

„7 დღე“, 1990 წ. 14 აგვისტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელგუჯა ჯოხაძე

დავუჯეროთ „გულდამძიმებულ მოხუცს?“

გენერალ-პოლკოვნიკ ა. ინაურის ინტერვიუს გამო

...დღეს, როდესაც ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა, იმ დიდ ბოროტებას, რასაც საქართველოს სუკ-ი ჩადიოდა დისიდენტთა და, საერთოდ, პროგრესულად მოაზროვნე ყველა პატრიოტი ქართველის მიმართ, მხოლოდ დანაშაული შეიძლება ეწოდოს, ხოლო ბოროტებასა და „გაუგებრობას“ შორის უდიდესი განსხვავებაა. იმედია, ის ადამიანები, რომელთა წინააღმდეგ „გაუგებრობები“ ხდებოდა გენერალ ინაურის სუკ-ის თავმჯდომარეობის პერიოდში, დამეთანხმებიან, რომ ეს ასეა.

... პირადად მე ხუთი წლის განმავლობაში მქონდა „ბედნიერება“ მასთან ურთიერთობისა, რადგან იგი იყო მუდმივი დამსვენებელი იმ სანატორიუმისა, რომელსაც ვხელმძღვანელობდი 1983 წლიდან 1988 წლამდე (ბიჭვინთა, სანატორიუმი „ლიძავა“). ასე რომ, ცოტა რამ მეც მომეკითხება ამ ადამიანის „გულდამძიმების“ შესახებ.

...ახლა 1956 წლის 9 მარტს თბილისში დატრიალებული საშინელი ტრაგედიის შესახებ მოგახსენებთ, რომელიც თურმე ქართველებს დაუწყიათ: „რომელიღაც თბილისელმა კავშირგაბმულობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლის ხელში ჩაგდების ცდისას ჯარისკაცს თვალში მოეხვედრა დროშის ტარი. ჯარისკაცმა კი უბრძანებოდ ავტომატის ჯერი გაისროლა". აი, ასე. ქართველებს უნდოდათ, კავშირგაბმულობის სახლი ხელში ჩაეგდოთ, ჯარისკაცს თვალში დროშის ტარი მოახვედრეს და ჯარისკაცმა მხოლოდ ამის შემდეგ ატეხა სროლა ავტომატით. ეს დაახლოებით იმ ახსნას ჰგავს, რაფიკ ნიშანოვმა უზბეკების მიერ ასობით თურქის ამოწყვეტა ფერგანაში რამოდენიმე კილო ხენდროსათვის კამათს რომ გადააბრალა. „სროლა სტალინის ძეგლთანაც ატყდა. ეტყობა, სკკპ ცკ-ის მუშაკმა, მარშალ ჟუკოვის განკარგულებით, თბილისში შემოიყვანა დივიზია, ქუჩებში ჯავშანტრანსპორტიორები გამოჩნდა. სუკ-ი ამ საქმეში არ მონაწილეობდა, არ ვიცი, იქნებ არ გვენდობოდნენ". იმას, ვისაც კრემლი არ ენდობა, 1953 წლიდან 1988 წლამდე სუკ-ის თავმჯდომარედ არ გააჩერებს, ლენინის სამ ორდენსა და სსრკ-ს გმირობას არ უბოძებს, გენერალ-პოლკოვნიკობას არ აღირსებს, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა! „სროლამ 25-30 წუთს გასტანა. 23 თუ 25 კაცი მოჰკლეს. სულ ეს იყო. შემდგომში მოიგონეს, ასობით მოკლული იყოო, ბევრი გვამი მტკვარში გადააგდესო. ტყუილია". აი, ასე, მოკლედ, მკვახედ, მოჭრილად: „23 თუ 25 კაცი მოკლეს, სულ ეს იყო..." გესმით? ტყუილიაო, იმიტომ, რომ ასე ამბობს გენერალ-პოლკოვნიკი ა. ინაური!

მაგრამ ერთი წუთით ე. შევარდნაძესაც მოვუსმინოთ: „შემდეგ შევიტყვე, რომ მას (ნ. ხრუშჩოვს) გაუცია ბრძანება, ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები შემოეყვანათ თბილისის ქუჩებში; 150 (!) ახალგაზრდა დაიღუპა დემონსტრანტთა წინააღმდეგ ამ ოპერაციის დროს. დიახ, იყო ასეთი რამ". (გაზეთი „თბილისი", 10 ივლისი, 1990 წ. სკკპ XXVIII ყრილობა). ა. ინაურის მიხედვით, გამოდის, რომ ე. შევარდნაძე ტყუის. მე კი ამ შემთხვევაში მაინც ე. შევარდნაძეს დავუჯერებ, თუმცაღა 150 კაციც ალბათ მხოლოდ მიახლოებული რიცხვია.

ნუთუ ყველაფერი ტყუილია, რასაც ამ ტრაგედიაზე ვისმენდით უფროსებისაგან ბავშვობიდან: სტალინის ძეგლთან ახალგაზრდა გოგონა ხიშტებზე ააგესო სამხედროებმა, კავშირგაბმულობის სახლის სახურავიდან ტყვიამფრქვევი ისროდაო, ხეებზე ამძვრალი ბავშვები ტყვიებით განგმირულები ასფალტზე ცვიოდნენო, მტკვარში გვამებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყრიდნენ ჯარისკაცებიო, რუსთაველის პროსპექტი სისხლით ყოფილი შეღებილიო და ა.შ. „23 თუ 25 კაცი მოკლეს, სულ ეს იყო". 25 კაცის სიკვდილი კი, როგორც ჩანს, არაფერია გენერლისათვის.

„ეშმაკმა უწყის, იქნებ დაკავებულებს მართლაც სცემენ-მეთქი, ამიტომ გადავწყვიტე, მათთან ვყოფილიყავი".

ხალხი ქუჩაში ავტომატებით დახვრიტეს და „იქნებ დაკავებულებს მართლაც სცემენ-მეთქი". ვინ ვინ და ა. ინაურმა უნდა იცოდეს, რომ დაკავებულებს არა მარტო სცემდნენ სუკ-ის სარდაფებში, არამედ აწამებდნენ! ყოფილა შემთხვევები, როცა ორთაჭალის ციხეში მამათმავალთა საკანში შეაგდებდნენ ჰატიმრებს. თუ დაავიწყდა, ნაძირალა ცირეკიძის „აღსარება" გადაიკითხოს 70-იან წლებში მ. კოსტავას და ზ. გამსახურდიას მიერ გამოცემულ მისსავე და მისივე უწყების მიერ აკრძალულ და დარბეულ ჟურნალებში („ოქროს საწმისი", „საქართველოს მაცნე").

გაოცებას იწვევს ა. ინაურის გამონათქვამი: „უნდა შევნიშნო, ხრუშჩოვს ძალზე ეშინოდა ქართველებისა. ალბათ იმიტომ, რომ XX ყრილობაზე ამხილა სტალინის პიროვნების კულტი. სალანძღავი წერილები მისდიოდა. ისე, რომ უფრო თამამად გრძნობდა თავს, როცა ახლოს ვეგულებოდი". ხედავთ, რა ერთგული გენერალი ჰყავდა ხრუშჩოვს საქართველოში? მას ქართველების ეშინოდა, მაგრამ როცა გენერალი ა. ინაური გვერდზე ჰყავდა, თავს თამამად და უსაფრთხოდ გრძნობდა.

არცთუ მაინცდამაინც მოსაწონია ა. ინაურის მიერ ვ. მჟავანაძის რამდენიმეჯერ აგდებითა და აუგად ხსენება - „მჟავანაძის და მისი ცოლის წინააღმდეგ მამხილებელი მასალები იმდენად სერიოზული აღმოჩნდა" და ა.შ. პირადად მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ვ. მჟავანაძე და მისი გარემოცვა უცოდველნი იყვნენ, მეტიც, კორუფციამ და მექრთამეობამ მაშინ მოიდგა ფეხი საქართველოში, მაგრამ ა. ინაური ხომ 1953 წლიდან სუკ-ის თავმჯდომარე გახლდათ, ე.ი. ვ. მჟავანაძის „ხელმწიფობის" პირველი დღიდან ბოლო დღემდე მის გვერდზე იდგა..

გენერლის პასუხებში არის ერთი, თითქოსდა უვნებელი გამონათქვამი, მაგრამ თუ ღრმად ჩაუფიქრდები, მკითხველო, მიხვდები, თუ რა „შორს ნასროლი ანკესია" ეს გამონათქვამი: „ხშირად ვცდილობდით, გადაგვერჩინა უდანაშაულოები, რომელთა მიმართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიმე ეჭვი არსებობდა. როგორ ვახერხებდით ამას? პროფილაქტიკური მუშაობით. გამოიძახებ ადამიანს, გულახდილად გაესაუბრები, დაარწმუნებ, რაში არ არის სწორი, გააფრთხილებ და საქმე უბედურებამდე აღარ მიდის". ე.ი. გენერლის თქმით, გამოიძახებდნენ „უდანაშაულოებს, რომელთა მიმართ ეჭვი არსებობდა", გაესაუბრებოდნენ, დაარწმუნებდნენ, რომ ის არ არის სწორი, უდანაშაულო ეჭვმიტანილი იზიარებს სუკ-ის სიმართლეს და მიდის სახლში. აი, ასე, ზოგან საკუთარ თანამშრომლებს გადააბრალა „რეჟისორთა დევნა" გენერალმა, 1956 წლის მარტის სისხლისღვრისა არაფერი იცოდა, საერთოდ სუკ-ს არავინ არაფერს არც ეკითხებოდა და არც არაფერს უთანხმებდა, გენერლის თქმით და ა.შ. რა საოცრად ჰგავს არა 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ რესპუბლიკის ხელმძღვანელთა განცხადებებს- „არაფერი ვიცოდითო!" იქნებ არც ის იცოდა გენერალმა, თვითმფრინავის გამტაცებელთა დახვრეტა რა ჯიუტად და ოპერატიულად მზადდებოდა? იქნებ მისივე უწყების სარდაფში რომ საკნებია, იქ არ იჯდნენ ის უბედური ახალგაზრდები? განა არ იცოდა გენერალმა, რომ ათასობით ქართველის მოთხოვნა ხელის მოწერებით არსებობდა იმ უბედურთა შესაწყალებლად? ნუთუ მათ დახვრეტასაც გარდაცვლილი ხრუშჩოვი და გარდაცვლილი ჟუკოვი ავალებდათ?

1986 წელს, ბიჭვინთაში მე გახლდით მოწმე, ერთ სუფრაზე, ერთ-ერთმა აფხაზმა პარტიულმა ხელმძღვანელმა დაუფარავი სინანულითა და გულისტკივილით ჰკითხა ა. ინაურს: „ალექსი ნიკოლოზის ძევ, ნუთუ ის გზააბნეული, საწყალი ბავშვები იმსახურებდნენ დახვრეტას სასჯელად? ნუთუ მართლა დაიდო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ეს საშინელი ცოდვა კისერზე და დაიხვრიტნენ ის ახალგაზრდები?" გენერალმა მკვახედ, მოჭრით, მაგრამ აუღელვებლად მიუგდო: „არ ვიცი, და ეს თქვენი საქმე არაა!". იმ სუფრაზე აფხაზი ერთი იჯდა, ქართველები მრავალი. ყველა ქართველს ენა ჩაუვარდა! შემკითხველმა კი, რა თქმა უნდა, „ათიანში" მოარტყა...

კრემლს თავისი საქმე არ ეშლებოდა. ა. ინაურის თქმით, „მოსკოვს სურდა, ამ თანამდებობაზე ყოფილიყო ქართულის მცოდნე, საქართველოში დაბადებული ქართველი, მაგრამ ისეთი, რომელიც აქ დიდი ხანია არ მსახურობდა, არავისთან იყო დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატიცკიმ გამიხსენა, მე ვიყავი ასეთი - ალიოშა ინაური".

მანაც არ გაუმტყუნა კრემლს, ერთგულად, თავდადებით, უმწიკვლოდ ემსახურა ა. ინაური სუკ-ისა და კრემლის იმპერიულ ინტერესებს, ამიტომაც იყო უცვლელი 35 წელი! „ბევრი რამე ვიღონე საქართველოსათვის, მრავალგზის გადავარჩინე სხვადასხვა განსაცდელს". საინტერესოა მაინც, რა იღონა ასეთი გენერალმა საქართველოსათვის? რა განსაცდელისაგან იხსნა მან საქართველო? იქნებ აშშ-ს ატომური ბომბი უნდა ჩამოეგდო საქართველოში და გენერალმა ინაურმა ჩაშალა ეს ოპერაცია? იქნებ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო საქართველოში გადატრიალებას ამზადებდა და „ალიოშა ინაურმა" ამოხსნა ეს „კროსვორდი?" იქნებ მასონთა ლოჟას = „ჰ-2" საქართველოში თავისი უხილავი ფილიალი ჰქონდა და გენერალმა ალექსი ინაურმა გამოამჟღავნა ეს უბედურება? იმას, ვინც საქართველოს იხსნიდა ჭეშმარიტი უბედურებისაგან, საკავშირო სუკ-ი და კრემლი 35 წელს რესპუბლიკის სუკ-ის თავმჯდომარედ არ გააჩერებდა. საერთოდ, საკავშირო სუკ-ის ისტორიაში ეს არის ერთადერთი და უნიკალური პრეცედენტი, როცა ერთი და იგივე ადამიანი 35 წელი უცვლელად ხელმძღვანელობს სუკ-ს! ერთადერთი როგორც ცენტრში, ასევე რესპუბლიკებში! ამით ალბათ ყველაფერია ნათქვამი.

რაც შეეხება გენერლის თვითდაჯერებულ ექსკურსს საქართველოს ისტორიაში („როდის ყოფილა საქართველო მთლად თავისუფალი?"), იმედია, ისტორიკოსები მოკრძალებით, მაგრამ მაინც შეახსენებენ გენერალს საქართველოს წარსულს.

და ბოლოს, ჟურნალისტი წერს: „მივდივარ, ვემშვიდობები გულდამძიმებულ მოხუცს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ერთს ესწრაფვოდა- სინდის-ნამუსით ემსახურა სამშობლოს საკეთილდღეოდ. რას ემსახურებოდა? ქიმერებს ხომ არა? მაგრამ ის არის ამაში დამნაშავე?"

თუკი ნაწილობრივ მაინც მოვეხმარე ი. ინაშვილს მისსავე შეკითხვებზე პასუხის გაცემაში, თავს ბედნიერად ჩავთვლი.

(იბეჭდება შემოკლებით)

„კაბადონი", 1990 წ. 8 დეკემბერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო კლარჯეიშვილი

9 მარტი, 9 აპრილი

(ინტერვიუ ვასილ მჟავანაძის თანაშემწე გივი მელაძესთან)

9 მარტი დღემდე თითქმის გამოუკვლეველია. ჩვენ ძალზე ცოტა რამ ვიცით 35 წლის წინ დატრიალებულ ტრაგედიაზე, ამიტომ, ვფიქრობ, დაგაინტერესებთ იმ დღეების ერთ-ერთი უშუალო მოწმისა და თვითმხილველის, 1956 წელს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის - ვასილ მჟავანაძის თანაშემწის, ბატონი **გივი მელაძის** მონათხრობი. ორიოდე სიტყვით ჩვენი გაზეთის სტუმარზე: **ბატონი გივი ამჟამად 72 წლისაა, მუშაობს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში კონსულტანტად, რომლის თავმჯდომარეც იყო 1969-88 წლებში. ის ძალზე საინტერესო ბიოგრაფიის მქონე და მრავლის მნახველი პიროვნება გახლავთ, თავად განსაჯეთ: ბატონი აკაკი შანიძის ასპირანტი სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს უმაღლეს დიპლომატიურ სკოლაში მეორე მსოფლიო ომის დასასრულს გაუგზავნიათ, რომლის დამთავრების შემდეგ, 1947 წელს, ბელგიაში იქნა მივლენილი საბჭოთა საელჩოს პრეს-ატაშედ. 1959-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

62 წლებში მუშაობდა საფრანგეთში, იუნესკოსთან საბჭოთა წარმომადგენლობის პირველ მდივნად, ევალებოდა მუშაობა იუნესკოს კულტურისა და ინფორმაციის (იუნესკოს საგამომცემლო საქმიანობა) დეპარტამენტების ხაზით; რესპუბლიკაში სხვადასხვა დროს იყო გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწე, სკოლების, მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე, სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგე, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

აი, რა მიამბო მან სისხლიანი 9 მარტის შესახებ.

- 1956 წელს, პარტიის XX ყრილობაზე ხრუშჩოვის მოხსენებამ „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ" გამოიწვია ახალგაზრდების მღელვარება, გაიმართა მასობრივი მანიფესტაციები, დემონსტრაციები, მიტინგები სტალინის დასაცავად.

ახლანდელი თაობისათვის, რომელმაც ცოტა რამ მაინც იცის და მომავალში ალბათ უფრო მეტს გაიგებს იმ სისხლიანი ბოროტებისა და დანაშაულობების შესახებ, რაც ხდებოდა საბჭოთა იმპერიაში, ძნელად გასაგები და ასახსნელია, თუ რატომ გასწირეს თავი ახალგაზრდებმა სტალინის დასაცავად... მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს მოხდა 35 წლის წინათ. საბჭოთა პროპაგანდის წყალობით, რასაც მხარს უბამდა მსოფლიოს კომუნისტური პრესა, შეიქმნა მითი სტალინზე, იგი აღიარეს „საბჭოთა ხალხების მამად", „ყველა დროისა და ყველა ხალხის დიდ ბელადად", „გამარჯვებული სოციალიზმის სულისჩამდგმელად", „მსოფლიოს მხსნელად კაციჭამია ფაშისტებისაგან"... მხოლოდ ერთი ფაქტი: 1949 წელს, როდესაც მსოფლიოში დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა სტალინის დაბადებიდან 70 წლისთავი, მე ბელგიაში ვმუშაობდი. საბჭოთა პრესა ფართოდ აშუქებდა იუბილეს, მაგრამ ოდნავადაც ვერ წარმოიდგენდით, თუ რა ხდებოდა სინამდვილეში. ყოველივე ეს საკუთარი თვალით უნდა გენახათ. საბჭოთა საელჩოს არ ჩაუვლიდა ბელგიელი, რომ არ გაჩერებულიყო, ქუდი არ მოეხადა და თავი არ დაეხარა საბჭოთა დროშის წინ სტალინის პატივსაცემად... და ამას აკეთებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებისმოყვარე ბელგიელები, დემოკრატიისა და უმაღლესი ზნეობის სულისკვეთებით აღზრდილი ადამიანები, ცივილიზებული ქვეყნის შვილები. სამწუხაროდ, ეს ფაქტია!

ცრუ პროპაგანდით მოტყუებული, გაბრუებული ახალგაზრდები, რომლებმაც სტალინის კრიტიკა აღიქვეს, როგორც „ეროვნული შეურაცხყოფა", „დიდი ქართველისა და ქართველი ხალხის გალანძღვა", სპონტანურად გამოვიდნენ ქუჩებში; ისინი მასობრივად მართავდნენ მანიფესტაციებს, მიტინგებს, მოჰქონდათ პლაკატები, ტრანსპარანტები: „ლენინი - სტალინი!" მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათ შორის, ვფიქრობ, ისინიც კი, ვისაც გულზე არ ეხატა არც სტალინი, არც კომუნისტური პარტია, არც საბჭოთა მთავრობა, თანაუგრძნობდა ახალგაზრდებს. ალბათ მიცვალებულის ლანძღვა-გინება ქართველმა კაცმა შეაფასა, როგორც უზნეობა.

ერთ-ერთი ინდოელი ჟურნალისტი წერდა: „საბჭოთა კავშირში პირველი თავისუფალი დემონსტრაცია გაიმართა იმ ადამიანის სამშობლოში და იმ ადამიანის პატივსაცემად, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე ახშობდა დემონსტრაციებს". კარგად არის ნათქვამი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ადგილობრივი პარტიული ორგანოები წარმართავდნენ მუშაობას შექმნილი ვითარების განმუხტვისა და აღელვებული ახალგაზრდობის დასამშვიდებლად. 9 მარტის წინა დღეებში ყოველდღიურად იმართებოდა ცეკას ბიუროს სხდომები, თათბირები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ცეკას ბიუროს წევრები, ქალაქისა და რაიონის პარტიული და ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები. მე დავესწარი ბიუროს ერთ გაფართოებულ სხდომას, სადაც განიხილებოდა ქალაქში შექმნილი ვითარება. დღემდე მახსოვს საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილის - გიორგი შიკინის აგრესიული გამოსვლა. მისი ლექსიკონიდან მახსენდება - „იმპერიალიზმის ხრიკები", „ანტისაბჭოური და ანტირუსული გამოხდომები"... ჩემთვის გაუგებარი დარჩა, ვის ადანაშაულებდა იგი, რა აინტერესებდა მას, რას ეძიებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტის დღეებმა შთაბეჭდილება შემიქმნა, რომ შიკინი თავის თავს უფლებას აძლევდა, ელაპარაკა დიქტატის ენით.

მაგონდება პარტიის ცეკას მეორე მდივნის - მიხეილ გიორგაძის საუბარი ჩემთან. იგი უაღრესად აღელვებული და შეწუხებული იყო. თითქოს გრძნობდა, რომ ახალგაზრდების გამოსვლები შეიძლებოდა ცუდად დამთავრებულიყო და აუცილებლობად თვლიდა, მიტინგის მონაწილენი (მიტინგები იმართებოდა სანაპიროზე მდებარე სკვერში - სტალინის ძეგლთან) დაეშალათ სახანძრო რაზმების დახმარებით, წყლის ჭავლით, მაგრამ, ჩანს, მის წინადადებას მხარი არ დაუჭირეს.

მდგომარეობა უაღრესად დაიძაბა 7-8 მარტს. ცეკას თანამშრომლების აბსოლუტურ უმრავლესობას, მათ შორის მეც, ცენტრალური კომიტეტის შენობა არ დაგვიტოვებია და როდესაც 9 მარტს (ალბათ 2 საათი იქნებოდა) სროლის ხმა მოგვესმა, პირველი მდივნის კაბინეტში შევვარდი... მაგიდაზე დამხობილ მჟავანაძეს ტელეფონი ეკავა და ბღაოდა: „не стрелять...“

მჟავანაძე, საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე კოვანოვი (შემდგომში საქართველოს კომპარტიის ცეკას მეორე მდივანი) და საკავშირო ლენინური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შელეპინი კრწანისის ერთ-ერთ აგარაკზე მუშაობდნენ მოხსენებაზე 9 მარტის ტრაგედიასთან დაკავშირებით. მოხსენება უნდა განხილულიყო საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმზე (შეიძლება რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე). რამდენჯერმე მომიხდა, მიმეტანა მათთვის სხვადასხვა საცნობარო მასალა, რომლებსაც მათ უმზადებდნენ ადმინისტრაციული ორგანოები, შევნიშნე, რომ შელეპინი განსაკუთრებით აგრესიულად იყო განწყობილი, კოვანოვი - პირიქით, ცდილობდა დაძაბულობის განმუხტვას, ისეთი გამოთქმების შერჩევას, რომლებიც მისაღები იქნებოდა მჟავანაძისათვის. სამეულის მიერ მომზადებული მოხსენება საბოლოოდ შიკინმა „გააშალაშინა“.

9 მარტს მომხდარ ტრაგედიას საქართველოს კომპარტიის ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური კომიტეტის ბიურომ მისცა პოლიტიკური შეფასება. იგი სამ ასეთ ძირითად მუხლს შეიცავდა:

1. ეს იყო უაღრესად სპონტანური, წინასწარ მოუმზადებელი და დაუგეგმავი გამოსვლები;

2. დემონსტრაციებს არ ჰქონია არანაირი ანტისაბჭოური ხასიათი, პირიქით, ხალხს მოჰქონდა ლოზუნგები წარწერით: „ლენინი-სტალინი"!

3. არც ახლა და საერთოდ, არასოდეს, საქართველოში არ ყოფილა ანტირუსული გამოვლენა. ჩვენთან ეს ორი ერი ყოველთვის ძმურად და მეგობრულად ცხოვრობდა.

ამ დოკუმენტმა დიდი როლი შეასრულა მაშინ. იმპერიის ხელისუფალთ აღარ მიეცათ საბაბი ქართველი ხალხის შემდგომი დასჯისა.

9 მარტის მსხვერპლთა რაოდენობა ჩემთვის დღემდე უცნობია...

ბატონი გივის მონათხრობისთვის მის მიერ აღნიშნული დოკუმენტიდან რამდენიმე ციტირება მინდოდა დამერთო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცენტრს გასული წლის სექტემბერში საქართველოს უშიშროების კომიტეტიდან საერთოდ გაუტანია საარქივო მასალები, მათ შორის, რასაკვირველია, 1956 წლის 9 მარტის საქმეც...

როცა ე.წ. „უძრაობის პერიოდში" დატრიალებული ტრაგედიის ამგვარი შეფასება მოვისმინე, გადავწყვიტე, გადამეხედა დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში ძალმომრეობის ანალოგიური ფაქტის შეფასებისათვის.

9 აპრილის მესამე დღეს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს ცნობა. გთავაზობთ ამონაწერს ამ ცნობიდან:

„...დღედაღამ, ხუთი დღის განმავლობაში, თბილისში, მთავრობის სახლის წინ, იმართებოდა არასანქცირებული მიტინგები და დემონსტრაციები, რის გამოც პრაქტიკულად მოშლილი იყო დედაქალაქის, მთელი რესპუბლიკის ცხოვრება. ბოლო დროს მიტინგების, მანიფესტაციის ორგანიზატორები სულ უფრო ხშირად და დაუფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რავად მოუწოდებდნენ უწესრიგობისა და გაფიცვებისაკენ, რომ-მაც საფრთხე შეუქმნეს საზოგადოებრივ უშიშროებას; მოურიდებლად გაისმოდა მთავრობის გადაყენების აშკარა ანტისაბჭოთა, ანტისოციალისტური და ანტიკომუნისტური, ჩვენი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების შეურაცხმყოფელი ლოზუნგები. მიტინგზე იყო მცდელობა, შეექმნათ ე.წ. „ეროვნული კომიტეტი" დროებითი მთავრობის ფუნქციებით... „მიტინგებისა და მანიფესტაციების მომწყობნი, არაფორმალურ გაერთიანებათა ექსტრემისტი ლიდერები პირდაპირ მოუწოდებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლების, სამართალდამცავი ორგანოებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, სისხლის ღვრისაკენ, არსებული წყობილების დამხობისაკენ..."

აი, კიდევ რამდენიმე ამონაწერი, ამჯერად საქართველოში გამომავალი რუსული გაზეთიდან. ეს პუბლიკაცია, რომელიც 14 აპრილს „ზარია ვოსტოკაში" დაიბეჭდა, კარგად ემახსოვრება საზოგადოებას. ეს ხომ ის წერილი გახლავთ, რომელმაც „აღაფრთოვანა" გენერალი როდიონოვი და ბრწყინვალე საშუალება მისცა, საკავშირო ტრიბუნიდან „ემხილებინა" ქართველი ხალხი, მისი „სიცრუე და დანაშაული":

"...მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს, პასუხი არ ვაგებინოთ უპირველესად მათ, ვინც სისხლისღვრამდე მიგვიყვანა, ვისაც თავიდანვე დაგეგმილი ჰქონდა ტრაგედია, გაანგარიშებული ჰქონდა იგი, გულგრილად მიგვიყვანა იმ სახიფათო წერტილამდე, რომლის იქითაც იწყება ქაოსი, ანარქია, მასების უწესრიგობა... ასეთ არეულობას ვერ აიტანდა ნებისმიერი ქვეყანა..."

"ისტერიის 5 დღე, როგორც ახლა ირკვევა, იყო კარგად დამუშავებული გეგმის მხოლოდ ერთი რგოლი, რომლის საბოლოო მიზანიც ფორმულირდებოდა - და ფორმულირდებოდა აშკარად, დამალვის გარეშე - ასე: პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება, არსებული წესწყობილების დამხობა, საქართველოს გამოყოფა სსრკ-დან, უცხოეთის ჯარების შემოყვანა..."

„...ისინი, ვინც ახლა, ტრაგედიის შემდეგ, ლაპარაკობენ მიტინგის მშვიდობიან ხასიათზე, ივიწყებენ, რომ იმ დღეებში ქალაქის

ცენტრალურ პროსპექტზე დღედაღამ გაისმოდა კომუნისტებისადმი ზიზღი. ზიკური გასწორების ბილწი მოწოდებები, ღვივდებოდა ანტირუსული და ნაციონალისტური განწყობილება, კარგად გაწვრთნილი და ორგანიზებული ადამიანთა ჯგუფები იჭრებოდნენ სხვადასხვა დაწესებულებებში, აჩერებდნენ ასობით, ათასობით მშრომელთა მუშაობას, სამგზავრო ავტობუსებს აბრუნებდნენ პარკში, ლეწავდნენ მინებს, ბილწავდნენ ძეგლებს, დამრტყმელი რაზმები იგზავნებოდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში უწესრიგობის, განხეთქილებისა და არეულობის გასავრცელებლად...“

პრესაში შესაშური „სიზუსტითა და ოპერატიულობით“ გაანალიზებული ფაქტები და მოვლენები, რომლებიც წინ უძღოდა 9 აპრილს, ცხადია, „ზემოდან“ მითითებით იბეჭდებოდა. ასე შეაფასა ეროვნული მოძრაობის გამოღვიძება მისმა „თანამდგომმა“ საქართველოს ხელისუფლებამ. მერე ყველას კარგად გვახსოვს, როგორ დააპატიმრეს „ზარია ვოსტოკაში“ ჩამოთვლილი „დამნაშავენი“, როგორ „დაგვაშოშმინეს“ ქალაქში ჯარის ჩაყენებითა და კომენდანტის საათის შემოღებით, როგორ ველოდით, რომ იგივე ტრიბუნიდან ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობიდან ერთ-ერთი მაინც აღუდგებოდა წინ როდიონოვისა და ძმათა მისთა ცილისწამებას... ძალზე დიდხანს ველოდეთ, ამაოდ ველოდეთ...

ამგვარი გახლავთ ერთი ფაქტის - ქართველი ერის წინაშე შეგნებულად ჩადენილი დანაშაულის შეფასებები. მათი შედარება იმდენად აშკარა და მკაფიო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ, ვფიქრობ, სიტყვის გაგრძელება საჭირო აღარაა. ამიტომ, თავს უფლებას მივცემ და ჩავთვლი, რომ მაშინ, როცა ჩვენი დღევანდელი ნომერი უკვე ისტორიად იქცევა, შთამომავლობას ეს პატარა წერილიც გაახსენებს, საიდან მოვდივართ, რანი ვართ და რა ტვირთიც გვიმძიმებს მხრებს.

(იბეჭდება შემოკლებით)

„ახალგაზრდა ივერიელი“, 1991 წ. 13 აპრილი

ემენ ტაკიძე

მე მაშინ პირველი მდივანი ვიყავი

(დარეჯან გაბუნიას ინტერვიუ ქუთაისის ქალაქკომის ყოფილ პირველ მდივანთან)

- მეშინოდა, არ დამდგარიყო მომენტი, როცა პირველი მდივანი კი მერქმეოდა, მაგრამ არავინ არაფერს შემეკითხებოდა... მოდით, ჯერ სკკპ XX ყრილობას გავიხსენებ: მეც დელეგატი ვიყავი. „ინტერნაციონალი" ვიმღერეთ. ყრილობა ისე მთავრდებოდა, პიროვნების კულტის თაობაზე არაფერი თქმულა. და, აი, ბოლოს გვიცხადებენ, ექვს საათზე ისევ შევიკრიბებითო. ამ საგანგებო შეხვედრაზე ოთხსაათნახევარი ისაუბრა ნიკიტა ხრუშჩოვმა. დარბაზი გაოგნებული იყო, არც შეკითხვა, არც კამათი, მხოლოდ დუმილი.

ქუთაისში ჩამოსულთ ცკ-ის წერილიც ფეხებში მოგვყვა. საქართველო მღელვარებდა.

მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა, დაიწყო ჯგუფური გამოსვლები, მიტინგები - ლენინისა და სტალინის სურათებით... კულმინაციას 8 მარტს მიაღწია. ცენტრალურ მოედანზე ახალგაზრდობა, მოსახლეობა მიტინგს მართავდა.

ჩემთან, სამუშაო ოთახში შემოვარდა, დიახ, შემოვარდა ერთი გოგონა, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტი, გვარად მეფარიშვილი, დაჟინებით, თავგანწირვით ითხოვდა ვ. მჟავანაძესთან შეხვედრას, თავს მოვიკლავ, თუ თხოვნას არ შემის-

9. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

1956 წლის მარტი. ქუთაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულებთ, მე მზად ვარ, სტალინისთვის მოვკვდეო. მაშინვე გავგზავნე თბილისში. მჟავანაძეს და ინაურს უსაუბრიათ მასთან, მერე თავად მიამბობდა თბილისის 9 მარტის ამბებს.

რეგიონში ორი სამხედრო დივიზია იდგა, ერთი ქართული, რომელსაც პეტრე ჩხობაძე მეთაურობდა და მეორე - რუსული კორპუსი კონსტანტინე პროვალოვის ხელმძღვანელობით.

კონსტანტინე პროვალოვმა შემომთავაზა მდგომარეობის საკონტროლოდ ორივე ნაწილიდან სამხედროების თანაბარი რაოდენობით გამოყვანა. ქართველი ჯარისკაცი ხომ ქართველი იყო უპირველესად... არ მივიღე ეს წინადადება და წესრიგის უზრუნველსაყოფად - კანონზომიერად - მილიციისა და ტექნიკის გამოყენება მივიჩნიე. ამ პერიოდში ჩვენთან იმყოფებოდა საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მაშინდელი მეორე მდივანი მიხეილ გიორგაძე. მან დაურეკა ვასილ მჟავანაძეს, ყურმილი გადმომაწოდა. მჟავანაძეს პირადად ვესაუბრე. ვუთხარი, თუ ჩემს წინადადებას არ მიიღებდნენ, შეიძლებოდა, წესრიგის სამხედრო დამცველთა მცდელობა ეროვნულ შეტაკებაში გადაზრდილიყო, რისთვისაც პასუხისმგებლობა დაეკისრებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა ქუთაისის საქალაქო კომიტეტს, არამედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს... ჩემმა წინადადებამ გაიმარჯვა. პეტრე ჩხობაძეს ვთხოვე, როგორმე აეცდინა მღელვარება დივიზიაში, რომ რუსულ კორპუსს მოქმედების საბაბი არ ჰქონოდა. მიტინგზე მივედი. ცენტრალური მოედანი - გაჭედილი ხალხით, ახალგაზრდობა - ბულვარში, ხეებზე, თეატრის, მუზეუმის სახურავებზე... ვნებათაღელვა, დაუოკებელი ემოციები, ტრანსპარანტები, ლენინისა და სტალინის სურათები, ორატორები, შიგადაშიგ ერთსულოვანი „ლენინ-სტალინ"! „ლენინ-სტალინ!..." მეც გამოვედი სიტყვით, ხალხმა მომისმინა. ბოლოს ვითხოვე, დავშლილიყავით. ამ დროს ჩემთან მოვიდა ქეთევან ძოწენიძე და მთხოვა, სტუდენტებს ლექსის წაკითხვა უნდათ, მიტინგი უნდა განვაგრძოთო. რა მეთქმოდა? ედუარდ შევარდნაძეს ვთხოვე, ფხიზლად ყოფილიყო (ახალგაზრდებში მას ავტორიტეტი ჰქონდა) და საქალაქო კომიტეტში დავბრუნდი. გადის ერთი საათი, ორი, სამი... მიტინგი არ იშლება, ამ დროს მეორე მიკროფონი გამოირთო, აღშფოთებული ხალხი პარტიის საქალაქო კომიტეტის შენობას მოაწყდა. ისევ გავედი, მიკროფონი აღსდგა, მიტინგი კიდევ რამდენიმე საათს გაგრძელდა... და დამთავრდა, მშვიდობიანად დამთავრდა...

რამდენიმე დღის შემდეგ საქალაქო კომიტეტის პლენუმი გაიმართა. ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე შჩიკინი- იოსიფ ვისარიონოვიჩი (ხომ კარგი სახელი და მამის სახელია?).

შჩიკინმა თავის გამოსვლაში გამაკრიტიკა „ანტისაბჭოთა" გამოსვლების „პოლიტიკური შეუფასებლობისათვის", მაგრამ დარბაზმა პირში სიტყვა შეატეხა, ეს ანტისაბჭოთა გამოსვლა არ ყოფილა, განა თქვენ ჩვენზე უკეთ იცით, ქუთაისში რა და როგორ იყოო?

78 წლის კაცი ვარ. მარტის ის დღეები ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მე დიდი გამოცდა ჩავაბარე. ამას ახლა უკეთ ვგრძნობ და კმაყოფილი ვარ.

გაზ. „იმერეთი", ქუთაისი, 1990 წ. აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ხოხიაშვილი

მარტის ტრაგედია

როცა ი. სტალინი გარდაიცვალა, მისი სიყვარულის გრძნობით აღზრდილი თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა თაოსნობით ყოველწლიურად ხუთიდან ცხრა მარტამდე სანაპიროზე აღმართულ სტალინის ძეგლთან იკრიბებოდნენ ახალგაზრდები და ატარებდნენ პროგრამით გათვალისწინებულ ცერემონიალს. ასე იყო 1956 წლის მარტის იმ დღეებშიც, როცა საზოგადოებამაც აუბა მხარი სტუდენტობას. ამჯერად მიზეზი იყო ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენების საფუძველზე სკკპ XX ყრილობის მიერ გამოცხადებული „სტალინის კულტის" კრიტიკა.

ყოველდღე ახალგაზრდები მღეროდნენ „გაფრინდი შავო მერცხალოს", საეკლესიო მელოდიებს, სხვა სიმღერებს, კითხულობდნენ გულის ამაჩუყებელ ლექსებს. ზოგნი ძეგლთან ღამესაც ათევდნენ.

ეს ყველაფერი მშვიდად, საზოგადოებრივი წესრიგის დაურღვევლად ხდებოდა. ამის უშუალო მოწმე მეც ვარ - იმხანად კალინინის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსის მოადგილედ ვმუშაობდი და მთელ დღეებს იქ ვატარებდი.

6 მარტს, დაახლოებით 11-12 საათზე, ძეგლთან მოვიდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ემილ სეხნიაშვილი, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი ვლადიმერ ჯანჯღავა, ამავე სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი ე. პაჭკორია, რომლებიც ძეგლთან მერხზე ჩამოსხდნენ და

იქიდან ადევნებდნენ თვალს ვითარებას. ორმა ახალგაზრდამ თავი ისინი და თხოვნით მიმართა:

- თქვენ თვითონ ხედავთ, სტალინის პატივსაცემად საზოგადოებამ გვირგვინების მოტანა დაიწყო. მათი ძეგლზე ატანის დროს რომ ვინმე არ დაშავდეს, გთხოვთ, გვათხოვოთ სახანძრო კიბე. და ერთიც: ძეგლთან უამრავი ხალხი იყრის თავს, რომელთაც ჩვენი ნათქვამი არ ესმით. გთხოვთ, დაგვიდგან მიკროფონი და ხეებზე ჩამოკიდონ რეპროდუქტორები.

ე. სეხნიაშვილმა უპასუხა: - თქვენს თხოვნას მოვახსენებთ ამხანაგ მჟავანაძეს, დაელოდეთ მის გადაწყვეტილებას. როგორც გაირკვა, ამის თაობაზე მჟავანაძეს თავის მხრივ უთხოვია ხრუშჩოვისთვის, რომელსაც ნება დაურთავს. ასე რომ, ახალგაზრდების სურვილი დააკმაყოფილეს.

ქალაქკომის მდივანი და მისი თანმხლებნი დარწმუნდნენ, რომ იქ ყველაფერი მშვიდად მიმდინარეობდა, დაემშვიდობნენ ახალგაზრდებს და წავიდნენ.

სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა პარტიის მეოცე ყრილობაზე ხრუშჩოვის მოხსენება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ". მახსოვს, მაშინ ეს საკითხი განსახილველად გამოიტანეს პარტორგანიზაციებში, სადაც იძულებით ფორმდებოდა ოქმები და იგზავნებოდა ცენტრალურ ორგანოებში, თითქოს ყველა კომუნისტი ერთსულოვნად იწონებდა სტალინის კრიტიკას. არადა, კომუნისტებმა, ახალგაზრდებმა ვერ შეძლეს წლობით ჩანერგილის ასე ერთბაშად უარყოფა.

8 მარტს ახალგაზრდობა დაიძრა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის - ვ.პ. მჟავანაძის სახლისაკენ. სურდათ, შექმნილი სიტუაციის გამო იგი სიტყვით გამოსულიყო სტალინის ძეგლთან შეკრებილი საზოგადოების წინაშე.

მე და ერთი ჩვენი თანამშრომელი შევედით ვ. მჟავანაძესთან და ამის თაობაზე მოვახსენე. იგი ძალიან შეწუხდა. ჩვენ ვთხოვეთ, წამოგვყოლოდა უნივერსიტეტში და შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოსულიყო. ჩვენი აზრი მოეწონა და წამოგვყვა, მაგრამ როცა ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზრდებმა გაიგეს, რომ მჟავანაძე აქედან ცეკაში წავიდა, ძალიან განაწყენდნენ და გაემართნენ ცენტრალური კომიტეტის შენობისკენ. აქ იმდენ ხალხს მოეყარა თავი, რომ ტევა აღარ იყო. გაისმოდა შეძახილები. მჟავანაძე იძულებული გახდა, გამოსულიყო აივანზე და რამდენიმე სიტყვა ეთქვა შეკრებილთათვის, სთხოვა, სიმშვიდე გამოეჩინათ. მაშინ საქართველოში იმყოფებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის არმიის სარდალი ჯუ დე. ზოგი მას ეწვია და სთხოვა სიტყვით გამოსვლა. ჯუ დემ უთხრა, ახლა შეუძლოდ ვარ და ხვალ გეწვევითო. მეორე დღეს, დილით კი მოსკოვს გაფრინდა.

დადგა 9 მარტი. დილიდანვე ძეგლთან ხალხმრავლობა იყო, გაუთავებლად მოჰქონდათ გვირგვინები. სტალინის დიდი, სამმეტრიანი სურათი მოიტანა რუსთაველის თეატრის კოლექტივმა. გრიმიანმა მსახიობებმა გაითამაშეს სცენები ლენინისა და სტალინის „მონაწილეობით". ასე ნაშუადღევი იქნებოდა, როცა გორის დელეგაცია გამოჩნდა. ერთ-ერთმა მათგანმა - ქალმა ტრიბუნიდან განაცხადა: - გორის საზოგადოება დიდ მადლობას უცხადებს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ასეთი კარგი წამოწყებისა და ორგანიზაციისათვის. გეპატიჟებით გორში. ვისაც დრო გაქვთ, წამობრძანდით და თქვენი თვალით ნახეთ, რა ხდება იქო.

წინადადებას ბევრი გამოეხმაურა და დაიძრა გორისაკენ. აი, აქ კი ჩვენმა ახალგაზრდობამ და ღონისძიების მომწყობი კომისიის წევრებმა დაუშვეს შეცდომა. მათი წასვლის შემდეგ მიკროფონში გაისმა მოწოდება, - წავიდეთ, დავიკავოთ რადიოსადგურიო. მართლაც, აღგზნებული ახალგაზრდობა დაიძრა კავშირგაბმულობის შენობისაკენ.

ყოველივე ეს აცნობეს მჟავანაძეს. მას, რა თქმა უნდა, შეეძლო ჩაექრო მღელვარება (თუ გნებავთ, წყლით დაეშალა ხალხი), მაგრამ, ეტყობა, დაიბნა და ყველაფერი ხურშჩოვს მოახსენა. თუ რა მოჰყვა მის განკარგულებას, ყველასათვის ცნობილია. რუსთაველის პროსპექტზე ატყდა სროლა. არაერთი დაიჭრა. გადარჩენილები მათ უპატრონოდ არ ტოვებდნენ, ზურგზე იკიდებდნენ, საშშვიდობოზე გაჰყავდათ და მანქანებით შინ აგზავნიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიციალური ცნობით, 22 ახალგაზრდა დაიღუპა. სინამდვილეში კი უთუოდ მეტი იყო.

ღამის ორ საათზე თუ უფრო გვიან რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს უფროსმა, კომისარმა ო. მუსერიძემ თავისთან შეგვკრიბა. მან დავალება მისცა ოფიცრებს, დადგენილი მისამართების მიხედვით სასწრაფოდ შეეკრიბათ და მოეყვანათ ჭირისუფლები. კომისარმა მიუსამძიმრა მათ და განუცხადა: - საშინელი ტრაგედიის წინაშე აღმოვჩნდით, რომლის გამოსწორებაზე ფიქრიც ზედმეტია. ახლა ჩვენი ვალია, მოვიკრიბოთ ძალ-ღონე და დაღუპული ახალგაზრდები დავკრძალოთ. თქვენ თქვენით რომ დაასაფლავოთ, ამას მოჰყვება მოსახლეობის დიდი მღელვარება, რომელიც შეიძლება უფრო საშინელ ტრაგედიაში გადაიზარდოს. ამიტომ გთხოვთ, გაგვიწიოთ ანგარიშიო.

მოთხოვნები კი ასეთი იყო: დაკრძალვა მოხდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე. დილის 5 საათზე ჭირისუფლებთან მივიდოდნენ მილიციის მუშაკები და წაიყვანდნენ იმ საავადმყოფოში, სადაც მათი მიცვალებული იყო დასვენებული. იქ დაღუპულის მხოლოდ დედას, მამას, დას, ძმას, ცოლს, შვილს შეეძლოთ მისვლა და სპეციალურად გამოყოფილ ოთახში საშუალება ექნებოდათ, ეგლოვათ მიცვალებული. ამის შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანით გადაასვენებდნენ სასაფლაოზე...

მახსოვს, ერთ-ერთი მიცვალებულის - ბორია ზარგარიანის ბებიამ კომისარს შესჩივლა: - ობლობაში და სიღარიბეში ვზრდიდი, რამდენჯერ უსაყვედურებია ჩემთვის, - მეზობლის ბიჭებს ყველას ქუდი ახურავს, მე კი არაო. ღმერთო, რა მეშველება...

კომისრის თხოვნით, მისმა ერთმა მუშაკმა ქუდი იყიდა და ჭაბუკს სასახლეში ჩაუდო. მაგრამ სასაფლაოზეც გულის ამაჩუყებელი ამბის მომსწრე გავხდი, როცა ბებიამ მთხოვა, ხუფი ამეხადა. აკრძალული გვქონდა, მაგრამ მოხუცი ისეთი მუდარით შემომცქეროდა, უარი ვეღარ ვუთხარი. ბებიამ პატივი დამდო, ხმამაღლა არ უტირია, საწყალი ჩუმად, თავისთვის ქვითინებდა. შემდეგ ცრემლი შეიმშრალა და ჩურჩულით მითხრა: - თქვენ აგაშენათ ღმერთმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გულისტკივილი შემომსუბუქეთ, ჩემი ბორია იმ ქვეყნად ... დოდ არ გაისტუმრეთო.

ასევე არ მავიწყდება ოთარ გობეჯიშვილის დასაფლავება. დედამისის ვედრებასაც ვერ გავუძელი და სასახლის ახდის ნებართვა მივეცი. უბედურმა ქალმა ჩანთიდან მაკრატელი ამოიღო და ოთარს თმა შეაჭრა. გული დამეთუთქა...

იმ ტრაგედიიდან კიდევ სხვა ბევრი რამ არასოდეს ამოვა ჩემი მეხსიერებიდან.

თბილისში მომხდარი ტრაგედიის შესასწავლად ხრუშჩოვმა გამოგზავნა კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ოვსიანიკოვი. მან მოინდომა, საექსპერტო კომისიის აქტში ჩაეწერათ, რომ დაღუპულებს ტყვიები წინიდან ჰქონდათ მოხვედრილი, ვითომც ახალგაზრდობა წინააღმდეგობას უწევდა ჯარისკაცებს. არ გამოუვიდა, აქტში ყველაფერი ისე ჩაიწერა, როგორც რეალურად იყო - ტყვიები ზურგიდან იყო ნასროლი. ეს ჩვენი საექსპერტო კომისიის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ დიდი ვალი გვაქვს 1956 და 1989 წლებში ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდების წინაშე. ჩემი აზრით, მათ ძეგლი უნდა დავუდგათ სანაპიროზე და რუსთაველის პროსპექტზე. ასევე უნდა შევქმნათ დაღუპულთა მუზეუმი (სასურველი იქნება, იგი მოეწყოს რუსთაველის პროსპექტზე, სამხატვრო გალერეის შენობაში), სადაც გამოფენილი იქნება სისხლიანი ტრაგედიების მსხვერპლთა ფოტოსურათები. დაე, თაობებმაც და დედაქალაქის სტუმრებმაც იცოდნენ ჩვენი ახალგაზრდობის სიმტკიცე, ერთსულოვნება და თავდადება საქართველოს მომავლისათვის.

„თბილისი“, 1990 წ. 9 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამერიკის ხმა“

ამოწერილია 1956 წ. 9 მარტს დაღუპული კიაზო ჭანტურიძის დედის - სონია მერაბიშვილის რვეულიდან ბელა წვერაძის მიერ.

1958 წლის 12 მარტი, დილის 6 საათი.

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის ქუჩები ქართველი სტუდენტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სისხლით მოირწყო.

დღეს ჩვენ გვინდა, გესაუბროთ ამ თემაზე.

1956 წლის 5 მარტიდან თბილისის ახალგაზრდობამ დაიწყო სტალინის ძეგლის გვირგვინებით შემკობა, სტალინის გარდაცვალებიდან 3 წლის თავთან დაკავშირებით. 7 მარტს ამან მწვავე ხასიათი მიიღო. 8 მარტს საქართველოს მთელი რაიონები დაიძრა და შეუერთდა მოსახლეობაც. ახალგაზრდების ეს „ავჯანყება“ გაგრძელება იყო ქართველ მამა-პაპათა იდეებისა. ავჯანყებულები მოითხოვდნენ ხრუშჩოვის გადადგომას, ქუჩებში გამოვიდნენ იმ პორტრეტებით, რომლებიც მათ აინტერესებდათ.

8 მარტს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციამ სტატია გაუგზავნა მოსკოვს, რითაც ატყობინებდა ავჯანყების ამბავს. მთავრობამ ეს არაფრად ჩააგდო, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდნენ.

9 მარტს ადგილობრივმა მთავრობამ უნდობლობა გამოუცხადა ქართული ჯარის ნაწილებს და მილიციას და განაიარაღა, ხოლო მათ, რომლებიც არ განაიარაღეს, თვითონვე დაყარეს იარაღი და კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეგორიული უარი განაცხადეს: „უიარაღო ქართველებთან ბრძოლაში ვერ გავალთო“. ამიტომ სპეციალურად გაიწვიეს მე-8 პოლკი და წინაღამით კავშირგაბმულობის სახურავში გახიზნეს.

9 მარტს, ღამით ჯარის ნაწილებსა და აჯანყებულებს შორის დიდი შეტაკება მოხდა მთავრობის სახლთან. განსაკუთრებით ბევრი დაეცა სანაპიროზე. იმავე დღეს ადგილობრივმა მთავრობამ განაცხადა, რომ დაღუპულთა რიცხვი 100-ს უდრისო, რაც არ იყო სწორი.

9 მარტიდან 15 აპრილამდე შეიკრა თბილისი და საზღვარგარეთიდან საქართველოში აღარავის არ უშვებდნენ. ამან უფრო დააინტერესა საზღვარგარეთის პრესა, კორესპონდენტები და მთელი ყურადღებით საქართველოსაკენ იყვნენ.

15 აპრილის შემდეგ რიცხვებში თბილისში ჩავიდა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი შვარცი, რომელმაც დაბრუნებისას განაცხადა, რომ თავისი თვალით ნახა ის ადგილები, სადაც დაიღუპა ახალგაზრდობა და თან დასძინა, რომ თბილისის ქუჩები დღესაც წითლად გამოიყურებაო.

როგორც შვარცმა განაცხადა, - დაკითხვისას გამოირკვა, რომ დაღუპულთა რიცხვი თითქოს 160-მდე იყო, მაგრამ არც ეს რიცხვია სწორი,- ამბობს შვარცი, - რადგან შეტევის დროს უამრავ დახოცილთა გვამი წყალში გადაყარეს და მტკვრის ტალღებმა შთანთქა, ნაწილი კი ოჯახებში შეხიზნეს და გააფრთხილეს, არ განეცხადებინათ მომხდარი ამბავი, ამიტომ გაძნელდა დაღუპულთა რიცხვის დაზუსტებაო.

ქართველო თანამემამულენო! ერთეული გამოსვლებით ვერაფერს ვერ გავხდებით, ერთეულ გამოსვლებს ერთეულადვე ჩაახშობენ. საჭიროა მოთმენა და კვლავ მოთმენა. მოთმენა საწინდარია გამარჯვებისა. მანამდე კი ჩვენ გვმართებს წმინდად შევინახოთ დაღუპულთა სახელები, პატივი ვცეთ მათ. ქართველების სული არასოდეს არ კვდება, იგი მარად ცოცხლობს და იცოცხლებს.

დე, მსოფლიოს ხალხებმა მოწიწებით მოიხარონ თავი დაცემულთა წინაშე.

დიდება მათ! დიდება მათ!

„ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. 26 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალხაზ ჭკადელი

„ამერიკის ხმა“

4 მარტი, 1991 წელი

გაზაფხულის პირველი თვე, მარტი გვაგონებს ბევრ ისტორიულ ამბავს, ზოგს ტკბილსა და საამოს, ზოგს სავალალოსა და სამგლოვიაროს. ამ უკანასკნელს განეკუთვნება 1956 წლის 9 მარტი, როდესაც საქართველოში მდგარმა საოკუპაციო ჯარის ნაწილებმა კრემლის განკარგულებით უდანაშაულო, მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა უმანკო სისხლით მორწყეს თბილისის ქუჩები და მტკვრის სანაპირო, დედაქალაქის მდინარის ტალღებს კიდევ ერთხელ შეუერთდა ქართველთა სისხლი. განვლო ზუსტად 35-მა წელმა, უფრო სწორად, 35 წელი შესრულდება 9 მარტს. მაშინდელმა ამბებმა საფუძვლიანად შეარყია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი. მცირერიცხოვანმა, დიდი კულტურისა და უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყანამ გაიღო სისხლი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ძიებაში. მაშინდელი საპროტესტო შეკრებები, მიტინგები და დემონსტრაციები დაკავშირებული იყო პარტიულ ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ წაკითხულ საიდუმლო მოხსენებასთან. მოხსენებაში მან დაგმო პიროვნების კულტი, ამავე დროს გამოამჟღავნა კრიმინალური დანაშაული, რომლის აქტიური მონაწილე თავად ხრუშჩოვი და მისი დამქაშები იყვნენ. დემონსტრაციების მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილე ქართველი ახალგაზრდები პოლიტიკურად სრულიად [illegible] იყვნენ სტალინისტები, პირიქით, ისინი მისი მოწინააღმდეგეები უფრო იყვნენ. ერმა ინსტინქტურად იგრძნო, რომ კრემლის ნაბიჯს ანტიქართული სარჩული ედო და სტალინი რომ რუსი ყოფილიყო, ან რომელიმე სხვა სლავი ერის შვილი, მაშინ მას გვირგვინს არ მოხდიდნენ და მავზოლეუმიდანაც არ გამოაბრძანებდნენ. ასე სწამდა ერს. სამშობლოს სიყვარულმა ისე მძლავრად ამოხეთქა, რომ მისი შეკავება ვერაფერმა ვერ შეძლო. 9 მარტის ამბოხებამ სულ მალე ჰპოვა ბუნებრივი გზა და გადაიქცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად და ბრძოლად. ეს მაშინვე იგრძნო კრემლმა და გადადგა ჯალათური ნაბიჯი, სისხლში ჩაახშო მღელვარე ქართველი ხალხის ბუნებრივი გამოვლინება.

თბილისის ამბებმა უბიძგა გმირ უნგრელ ხალხს, ხელში აეღო იარაღი, მაგრამ ხრუშჩოვის სამხედრო მანქანამ მათი სწრაფვაც ჩაახშო.

1956 წლის 9 მარტიდან განვლო 35 წელმა და 30 დღემ და მსოფლიო მოწმე გახდა უარესი ძალადობისა, როდესაც 1989 წლის 9 აპრილს გათენდა სისხლიანი კვირადღე.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. 7 მარტი

ფარნაოზ დულაშვილი

მხოლოდ სიმართლე...

...საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობის პერიოდში მე ამირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატად. ამ ყრილობაზე ამყარებდნენ დიდ იმედებს საბჭოთა ადამიანების სოციალური პირობების გაუმჯობესების საქმეში, გვპირდებოდნენ მრავალი სასიკეთო სიახლის შეტანას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრებაში.

ეს იყო პირველი ყრილობა, რომელიც 1961 წლის გაზაფხულზე გაიმართა ახლად აშენებულ კრემლის ყრილობათა სასახლეში. ყრილობამ 14 დღე იმუშავა, ხრუშჩოვის მიერ წაკითხული მოხსენების გამო (რომელიც მთელ დღეს გაგრძელდა) გამართულ კამათში გამოვიდა 165 დელეგატი და უცხოეთის ქვეყნებიდან მოწვეული სტუმარი. რევოლუციამდელი სტაჟის მქონე დელეგატებმა ვერ გაუძლეს ასეთ არაადამიანურ დატვირთვას და ყრილობის მე-7, მე-8 დღიდან ისინი პირდაპირ სხდომის დარბაზიდან მიჰყავდათ საკაცეებით საავადმყოფოში.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მე ყრილობაზე დამამახსოვრდა, გახლდათ ის, რომ 1980 წელს თურმე უკვე კომუნიზმში უნდა გვეცხოვრა. მე მოწმე გავხდი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს შორის თავგამოდებული შეჯიბრებისა! ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტად აღამაღლებდა და განადიდებდა ხრუშჩოვს. სრულიად სამართლიანად გააკრიტიკეს სტალინის კულტი, მაგრამ სრულიად უმართებულოდ, დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობით, იქმნებოდა ახალი კულტი ხრუშჩოვის სახით, და, რამდენადაც მახსოვს (მას შემდეგ 29 წელი გავიდა), კამათში ბოლოს დრამატურგი ა. კორნეიჩუკი გამოვიდა. მან სიტყვის დამთავრებისას რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიძახა: „გაუმარჯოს ჩვენს ბელადს- ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს!"

და, როგორ გგონიათ, გაუსწორა ვინმემ ა. კორნეიჩუკს ან სხვა ორატორებს, რომ პიროვნების კულტისა და ბელადომანიის ჟამი წარსულს ბარდებოდა? ნიკიტაც ხომ მუშტით ცდილობდა ქვეყნის მართვას...

...საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველ მდივნად ყოფნის დროს წილად მხვდა პატივი, რაიონში სტუმრად მიმეღო ჩვენი ქვეყნის პარტიის ლიდერი და მთავრობის მეთაური ნ. ხრუშჩოვი. მასთან შეხვედრის შემდეგ მოსკოვში, თბილისსა და ჩვენთან, რაიონში, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ხრუშჩოვი მეტად ცბიერი პიროვნება იყო.

მის პრაქტიკულ საქმიანობაში ასეთი კურიოზებიც შეინიშნებოდა: საქართველოს რომელიმე სანატორიუმში ჩამოსული დამსვენებელი გაუგზავნიდა ბიჭვინთაში დასასვენებლად მყოფ ხრუშჩოვს დეპეშას იმის თაობაზე, რომ მას ვიღაცამ ბაზარში დამპალი პამიდორი მიჰყიდა. ხრუშჩოვი დაუყოვნებლივ გამოიძახებდა თბილისიდან ბიჭვინთაში რესპუბლიკის მთელ ხელმძღვანელობას და აქვე, საქართველოს მიწაზე, მთავრობის მეთაური ყოვლად მიუღებელი, უწმაწური სიტყვებით ლანძღავდა მათ მხოლოდ იმისთვის, რომ ვიღაცამ ბაზარში დამპალი პამიდორი გაყიდა.

ქართველი ერის მიმართ ნ. ხრუშჩოვმა ვანდალიზმის არაადამიანური აქტი განახორციელა. 1956 წელს მან უბრძანა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს, არმიის გენერალ ფედიუნინსკის ქ. თბილისში გამართული მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტა. ფედიუნინსკიმ ეს ბრძანება განსაკუთრებული გულმოდგინებით შეასრულა, რასაც მრავალი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

და, აი, ასეთი ბარბაროსული აქციის შემდეგ ნ. ხრუშჩოვს ეყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინდისი, 1961 წელს ჩამოსულიყო თბილისში, საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე. მაგრამ, როგორც შემდგომში მასთან პირისპირ შეხვედრამ დამარწმუნა, ნ.ს. ხრუშჩოვი საქართველოში ჩამოვიდა არა როგორც ქართველი ერის კეთილმოსურნე, ქომაგი და მეგობარი, არამედ როგორც კაცი, რომელსაც სძულდა ქართველი ხალხი. მას სურდა, ეჩვენებინა ქართველთათვის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნის მპყრობელის გავლენა და ძალა. მას საქართველოში არაფერი მოსწონდა (გარდა საწებლებისა), არც ერთხელ არ მოსვლია პირზე უბრალო ადამიანური ღიმილიც კი. გურჯაანის რაიონში ყოფნისას მთელი დღის განმავლობაში ყველაფერს ზიზღით და შურის თვალით უყურებდა.

მაგრამ, მოდით, თანმიმდევრულად...

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამომიძახეს და მეუბნებიან: - საქართველოში სადღესასწაულოდ ჩამოდის მთავრობის მეთაური ხრუშჩოვი. გადავწყვიტეთ, ვაჩვენოთ გურჯაანის რაიონი, შენ რა აზრისა ხარ? რა შემეძლო მეთქვა? ჯერ ერთი, საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო, მეორეც - ასეთი რამ შესაძლოა ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მოხდეს და შემოთავაზებულ წინადადებაზე უარის თქმა, უბრალოდ, უაზრობა იქნებოდა...

...გადაწყდა, ხრუშჩოვის ხუთვაგონიანი მატარებელი რკინიგზის პატარა, მყუდრო სადგურ „მელაანში" მიგვეყო, რომელიც რაიონული ცენტრიდან დაახლოებით 20 კილომეტრით არის დაშორებული.

ღამის სამ საათზე მატარებელი სადგურზე ჩამოდგა. მე ნაბრძანები მქონდა, მატარებელთან დილის 8 საათზე გამოვცხადებულიყავი. ჩემი მისვლის შემდეგ ვაგონიდან ჩამოვიდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები, ხოლო 10 წუთის შემდეგ თავისი ვაგონიდან დიდი ამალის თანხლებით ჩამობრძანდა თვით ნ.ს. ხრუშჩოვი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანაძემ ხრუშჩოვს ჩემი თავი წარუდგინა:

- საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი, დუღაშვილი. ხელის ჩამორთმევის მოლოდინში ადგილზე გავშეშდი, ვიფიქრე, აი, ახლა ჩამომართმევს ხელს ჩვენი ქვეყნის პირველი კაცი და მკითხავს, - როგორაა, ახალგაზრდავ, საქმეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონში და ა.შ. ასეთია შეხვედრის წესი, ასე იქცევიან, ჩვეულებ-
რივად, ნორმალური და თუნდაც ზრდილობასუსტი ადამიანები. ეს-
მე სასტიკად ვცდებოდი. ჩემი გვარის, „დულაშვილის" გაგონებისთა-
ნავე, რომელიც ფონოლოგიურად მეტად ახლოა „ჯულაშვილთან" და
გამოძახილში ემსგავსება მას, სტუმარი მოიღუშა, გაიბღინძა,
ზიზღით შემათვალიერა, ხელი არ ჩამომართვა და გაეშურა მანქანის-
კენ, რომელიც სადგურის ბაქანზე სპეციალურად მისთვის გვყავდა
მორთმეული. აღარ ვიცოდი, რა მექნა. მოულოდნელობისაგან გაოგ-
ნებულსა და მორალურად დათრგუნულს, ჩემს გვერდით მდგომმა ვ.
მჟავანაძემ მხარზე დამადო ხელი და ხმადაბლა მითხრა, მანქანაში
ჩავმჯდარიყავი და მათ გავყოლოდი.

ავტომანქანების კორტეჟმა გეზი მდინარე ალაზნისკენ აიღო.
ხიდს გაღმა რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ და გრემის მონასტ-
რის მისადგომებთან შევჩერდით. იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ გავჩერ-
დით, თვალწარმტაცი სანახაობა იშლებოდა. მთელი სიდიადით მო-
ჩანდა ალაზნის ველის დიდებული პანორამა. მასთან, მაისის თვე
იდგა - გაზაფხულის ულამაზესი ხანა კახეთში.

სტუმარს გარს შემოვეხვიეთ და დავუწყეთ საუბარი იმის შესა-
ხებ, რომ ალაზნის ველის ეს რეგიონი სამრეწველო მევენახეობისა
და მეღვინეობის ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრად ითვლება. აქ
აწარმოებენ მსოფლიოში ცნობილ სამარკო ღვინოებს: „წინანდალს",
„გურჯაანს", „მუკუზანს", „ნაფარეულს", „კარდენახს", ნახევრადტკ-
ბილ ღვინოებს - „ქინძმარაულს", „ახაშენს", „ახმეტას", კონიაკებს-
„ენისელს", „გრემს", „საიუბილეოს", „თბილისს", „ვარძიას" და
სხვებს.

ხრუშჩოვი თვალმოჭუტული გვისმენდა და ჩვენს მონდომებაზე -
რაც შეიძლება კარგად წარმოგვედგინა მისთვის ამ სამოთხისეული
კუთხის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობანი - არავითარ რეაქციას არ
ამჟღავნებდა.

უცებ ყოველგვარი ლაპარაკი შეწყდა. ჩამოვარდა რაღაც უცნაუ-
რი სიჩუმე, რომელიც ისევ ნ. ხრუშჩოვმა დაარღვია, ყველას გასა-
გონად ამოღერღა: „აქ სიმინდიც კარგად წავაო" და პირდაპირ
მანქანისკენ გაემართა. დამსწრე ამხანაგები და სტუმრები, ხრუშჩო-
ვის თანმხლები პირნი, ადგილობრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელე-

ბი, უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილნი, გაწბილებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს და თვალებით ეკითხებოდნენ, თუ რას ნიშნავს და უზარმაზარი სახელმწიფოს მეთაურის მიერ გადმოსროლილი „გენიალური“ იდეა - ნუთუ ვენახები უნდა ამოეძირკვათ და ნიადაგობრივი კლიმატური პირობების მხრივ ამ უნიკალურ რეგიონში სიმინდი დაეთესათ?

სახტად დარჩენილი რამდენიმე წამში მოვეგე გონს და ვაღიარებ, რომ გულწრფელი სიბრალულით განვიმსჭვალე საბჭოთა ხალხისადმი, რომელსაც ამ ფსევდოინტერნაციონალისტის მითითებებით უნდა ეცხოვრა, ემოღვაწა იმ კაცის ნება-სურვილით, ვინც არც კი იცოდა და კარნახის გარეშე არ შეეძლო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სახელისა და მამის სახელის წარმოთქმაც კი.

და მაშინ, 1961 წელს, 19 წლის წინანდელი სევდიანი ისტორია გამახსენდა, რომელიც მანამდე არავისთვის გამენდო. ისეთი გრძნობა დამებადა, რომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელს დაკარგული ჰქონდა საღი განსჯის უნარი. მანაც ხომ არაერთი უსიამოვნება გადაიტანა ცხოვრებაში, სამამულო ომში შვილი დაკარგა, შვილი, რომელიც კაცის მკვლელი შეიქნა.

ეს კი ამგვარად მოხდა:

ომამდე ქ. კუიბიშევში ცირკის შენობა არ იყო. მდინარე ვოლგის პირას, გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში საცირკო წარმოდგენებისათვის ზაფხულის პერიოდში შაპიტოს აშენებდნენ. აქ იწვევდნენ საცირკო ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებს. 1942 წლის ზაფხულში საგასტროლოდ ქ. კუიბიშევში ჩამოვიდა ლილიპუტების ჯაზი ვიქტორ ვოლჟინის ხელმძღვანელობით. ანსამბლში გამოდიოდნენ ესტრადის ბრწყინვალე მსახიობები, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მომღერალი - ლილიპუტი მარია ვერჟბიცკაია. ცირკი მუდამ გადატენილი იყო ხალხით. ცირკთან პატარა სასაუზმე იყო მოწყობილი, რომელიც ძირითადად ცირკის თანამშრომლებს ემსახურებოდა. აქ ყოველთვის ყიდდნენ ბოთლებში ჩამოსხმულ, საქვეყნოდ ცნობილ ლუდს - „ჟიგულიოვსკოეს“ და „ვოლჟსკოეს“. ივლისისა თუ აგვისტოს ერთ დღეს იმ სასაუზმეში შევედი ერთი კათხა ცივი ლუდის დასალევად. ცოტა მოგვიანებით

10. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

აქვე შემოვიდა კარგად შეზარხოშებული ორი უფროსი ლეიტენანტი, ერთი - ავიატორი, მეორე - მეზღვაური. ოფიცრები ისე დამთვრალიყვნენ, რომ ძლივსღა იდგნენ ფეხზე და ერთმანეთს ეყუდებოდნენ. მთვრალი ოფიცრების დანახვაზე სასაუზმეში მყოფი ლილიპუტები ერთხმად აკიჟინდნენ და უმალ მიატოვეს იქაურობა. გულმა მიგრძნო, რომ აქ კარგი ამბავი არ უნდა დატრიალებულიყო, სახელდახელოდ გადავიხადე ლუდის საფასური და სასაუზმე დავტოვე.

იმავე დღეს, საღამოს ჩვენი საავიაციო შენაერთის უფროსთან პროკურორი გამოცხადდა და მოახსენა მომხდარი ტრაგედიის შესახებ: ლუდის („ვოლჟსკოეს") დალევის შემდეგ უფროს ლეიტენანტ-მეზღვაურს, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ, თავისი „მეგობრისთვის" - უფროს ლეიტენანტ - ავიატორისათვის შეეთავაზებინა, პისტოლეტის გასროლით ჩამოეგდო 20 მეტრის მანძილიდან ბოთლი, რომელსაც ის დაიდგამდა თავზე. „მოლაპარაკება" შედგა. უფროსმა ლეიტენანტ-ავიატორმა პისტოლეტის გასროლით ტყვია ბოთლის მაგიერ უფროს ლეიტენანტ-მეზღვაურს ჩააჭედა შუბლში. ფრონტის ხაზიდან შორს, ასეული კილომეტრების დაშორებით დაიღუპა ახალგაზრდა ოფიცერი. უფროსი ლეიტენანტ ავიატორი, მკვლელი, რომელიც ლეონიდ ნიკიტას ძე ხრუშჩოვი გახლდათ, არ გაუგზავნიათ საჯარიმო ასეულში. მას ციხეში პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ, როგორც შემდგომში გამოირკვა, ის ციხეშიც არ მჯდარა და მე, სრულიად შემთხვევითი გარემოების წყალობით, აღმოვჩნდი ერთადერთი პიროვნება, რომელიც მოწმე გავხდი ამ საშინელი ტრაგედიის დასაწყისისა და მისი დასასრულის.

1943 წლის მარტში, ქ. კუიბიშევში მომხდარი ტრაგედიიდან 8-9 თვის შემდეგ, სპეციალური დავალებით მიმავლინეს მოსკოვში, სამხედრო - საჰაერო ძალების მთავარ სამმართველოში. იქ მქონდა რამდენიმე შეხვედრა წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის აპარატის მუშაკთან - ინჟინერ-კაპიტან სერგეი კრილოვთან.

დავალების შესრულების შემდეგ, მეორე დღეს აეროდრომზე წასასვლელად ვემზადებოდი, მაგრამ ჩემს წასვლამდე კრილოვის კაბინეტში, სადაც მეც ვიმყოფებოდი, შემოვიდა ადმინისტრატიული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახურის მაიორი ქალი, კრილოვს პაკეტი გადასცა და თან ასეთ ყოლა: - ამხანაგ ნოვიკოვს ამხანაგ ხუდიაკოვისაგან. კრილოვმა კონვერტიდან ამოიღო ერთადერთი ფურცელი, წაიკითხა, გამომიწოდა და მითხრა: - შენ იცი ამ ტრაგედიის დასაწყისი და აგერ, წაიკითხე მისი დასასრულიც. მე წერილი წავიკითხე. პირველი საჰაერო არმიის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ხუდიაკოვი (მერე ის ავიაციის მარშალი გახდა) ნოვიკოვს მოახსენებდა, რომ გერმანელ ფაშისტებთან საჰაერო ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაიღუპა ლეონიდ ნიკიტას ძე ხრუშჩოვი.

ნ.ს. ხრუშჩოვს გრემის მონასტრის მისადგომებთან მდგარს რომ ვუყურებდი, მეხსიერებაში სწორედ ზემოთ მონათხრობი ტრაგიკული ისტორია ამოტივტივდა.

რა თქმა უნდა, ასეთი ამბები უკვალოდ არ ქრება. ისინი ღრმა კვალს ტოვებენ მახლობელთა, განსაკუთრებით კი - მშობელთა გულსა და გონებაში. ვფიქრობ, ჩემს მიერ მონათხრობ მწარე სიმართლეს არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ნ.ს. ხრუშჩოვის ფსიქიკაზე, რამაც ის ზედმეტად უკარება და ანჩხლი გახადა, მან ხომ ომში საყვარელი შვილი დაკარგა, რომელიც იმავე დროს კაცის მკვლელი იყო...

ნ. ხრუშჩოვის შეხვედრა საქართველოსთან ამით არ დამთავრებულა, ჩვენ უფრო ღრმა იმედგაცრუება გველოდა.

ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ჩაეტარებინათ ამიერკავკასიის რესპუბლიკების (აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს) სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი (ასე იწოდებოდა წინათ) ქ. თბილისში...

...თათბირისათვის ყველაფერი მზად იყო. ნ. ხრუშჩოვი მოსკოვიდან თავისივე მატარებლით ჩამოვიდა. გადაწყდა, შეხვედროდნენ მაღალი რანგის სტუმარს საქართველოს უძველესი დედაქალაქის - მცხეთის რკინიგზის სადგურზე. შეხვედრა შედგა. ავტომანქანების კორტეჟი საქართველოს სამხედრო გზით ქ. თბილისისკენ გამოემართა. მიუახლოვდნენ რა ქალაქს, ნ. ხრუშჩოვმა ყურადღება მიაქცია მდ. მტკვრის გასწვრივ მიმდინარე დიდ მშენებლობას და რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, რომლებიც მასთან ერთად ისხდნენ მანქანაში, ჰკითხა: - აქ რას აშენებთ? მას უპასუხეს, რომ ქ. თბილი-

სი გაშენებულია ტერასებზე, ქალაქის ცენტრში გამჭოლი ქუჩები თითქმის არ არის, ქალაქის დიდი რაოდენობის საბარგო და მსუბუქი ავტომანქანებისაგან განსატვირთავად ვაშენებთ სანაპიროს. ხრუშჩოვი გააფთრდა, უცენზურო სიტყვებით შეიგინა და წამოიძახა: - მე აბდელ ნასერისათვის ცემენტის გაგზავნა ვერ მომიხერხებია და თქვენ აქ სანაპიროების მშენებლობა გაგიმართავთო. მათ უთხრეს: - ნიკიტა სერგის ძევ, ეს ჩვენი ფონდირებული ცემენტია, რესპუბლიკა არავის არაფერს ართმევს და ქალაქისათვის პირველი მოთხოვნილების ობიექტს ვაშენებთო, ხრუშჩოვს ასეთი პასუხი არ მოეწონა და მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში მისვლამდე ხმა აღარ ამოუღია. ..

...ხრუშჩოვთან დაახლოებული ადამიანები, მისი ახლო ნათესავები, ყოველნაირად ცდილობენ, წარმოადგინონ იგი, როგორც სოფლის მეურნეობის დიდი მცოდნე. ფაქტობრივად კი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა მან კატასტროფამდე მიიყვანა...

...საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატიდან ხშირად ჩამოდიოდნენ სხვადასხვა თანამდებობის პირნი. ჩვენს შორის ძირითადად ნორმალური დამოკიდებულება სუფევდა. ისინი გულახდილად გვიყვებოდნენ პარტიის მთავარი შტაბის კულისებში მომხდარი ამბების შესახებ. სახელდობრ, ისინი გვეუბნებოდნენ, რომ ხრუშჩოვი არაკეთილგანწყობით ეპყრობოდა პოლიტბიუროს თითქმის ყველა წევრსა და წევრობის კანდიდატს. როგორც შორიდან ჩანდა, იგი შედარებით ნორმალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა ა. მიქოიანთან. შემდგომში ხრუშჩოვის დამოკიდებულება პოლიტბიუროს წევრებისადმი იქამდე გამწვავდა, რომ ისინი იძულებულნი შეიქნენ, სამუდამოდ გამოთხოვებოდნენ მთავრობის მეთაურსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლიდერს.

(იბეჭდება შემოკლებით)

„ახალი საქართველო“, 1990 წ. 29 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა ნოზაძე

სისხლიანი ცხრა მარტი

არალეგალური გამოცემები

მარტის მღელვარე დღეებში გამოჩნდა მთავრობის საწინააღმდეგო ხელნაწერი ფურცლები, მოწოდებები. ამას მოჰყვა სტამბურად დაბეჭდილი მცირე ფორმატის ბროშურები, ფურცლები, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ახალი, არასაბჭოური გერბიანი ფერადი პროკლამაციები, რომლებშიც დაგმობილი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა ხელისუფლება. მათი შემდგენელ-გამავრცელებლები ხალხს მოუწოდებდნენ - ებრძოლათ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ამ გამოსვლებთან დაკავშირებით, ჯერჯერობით ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, დროებით დაკავებულთა (291) და დაპატიმრებულ-რეპრესირებულთა (27) რაოდენობა 318 კაცს შეადგენდა. მათ შორის იყვნენ სტუდენტები (81), ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეები (51), მოსამსახურეები (65), მუშები (47), კოლმეურნეები (6), პენსიონერები (4) და სხვ., პარტიულობის მიხედვით: სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები (23), კომკავშირლები (163).

ერთ-ერთი იმათ შორის, ვინც ნაციონალისტად და ხალხის მტრად მოინათლა, იყო საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი **პეტრე მეუნარგია**, დაბადებული 1888 წელს.

მან „განთავისუფლების კომიტეტის“ ხელმოწერით 9 ანტისაბჭოთა ბიულეტენი შეადგინა, რომლებიც სხვადასხვა დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და პიროვნებებს ეგზავნებოდა.

პ. მეუნარგია დააპატიმრეს და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასჯელის მოსახდელად იგი შორეულ ციმბირში, მორდვეთის ასსრ დაბა იავასის შინაგან საქმეთა სამინისტროს „დუბრალვაგის“ ბანაკის მეშვიდე განყოფილებაში გაიგზავნა.

8 წელი მიუსაჯეს **მიხეილ ყიფიანსაც,** რომელიც მარტის მოვლენების დროს აქტიურად გამოდიოდა ანტისაბჭოთა სიტყვებით, აყენებდა მთელ რიგ მოთხოვნებს, რაც მიმართული იყო საბჭოთა მთავრობისა და პარტიის წინააღმდეგ. სასჯელის მოსახდელად ისიც იმავე ბანაკში გაიგზავნა, სადაც პ. მეუნარგია იმყოფებოდა.

გადასახლებაში, სასჯელის მოხდის ადგილზე ასეთი ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის მეუნარგიასა და ყიფიანზე განმეორებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ისინი 1957 წლის 24 ოქტომბერს მეორედ გაასამართლეს. საბოლოოდ სასჯელის ზომად შეუფარდეს თავისუფლების აღკვეთა 10-10 წლით. პ. მეუნარგიას ცხოვრებაში ამავე პერიოდიდან იწყება ახალი ტანჯვა-წამება: მოატარეს სურამის, მოსკოვისა და ყაზანის ფსიქიატრიული საავადმყოფოები, 1959 წლის 18 აპრილს მოუხსნეს ე.წ. იძულებითი მკურნალობა. გარდაიცვალა უპასპორტოდ 1972 წელს.

გივი ბარამიძე და **იროდიონ ფაჩულია** თეატრალურ ინსტიტუტში სტუდენტობის დროს დამეგობრდნენ. ისინი 1955 წლიდან იწყებენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. იროდიონ ფაჩულიამ ამავე წელს დატოვა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის დირექტორის მოადგილის პოსტი და სასტამბო საქმის დაუფლების მიზნით ერთი ხანი ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში მუშაობდა. აქედან მას ფარულად გაჰქონდა სასტამბო მოწყობილობა. გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სტამბიდან სასტამბო მოწყობილობა და კლიშეები ასევე ფარულად გაჰქონდა გივი ბარამიძეს. მეგობრებმა ასე შეძლეს პატარა სტამბის მოწყობა იროდიონ ფაჩულიას ბინაზე (ბოჭორიშვილის ქ. №45), სადაც 1956 წლის მარტიდან შეუდგნენ პროკლამაციების, მოწოდებების, მცირე ფორმატის ბროშურების ბეჭდვას.

პირველი მოკვლეული ნაბეჭდი ფურცელი - გაზეთი „სიმართლისათვის“ 1956 წლის მაისში გავრცელდა თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტსა და სტუდენტთა ქალაქში. მასში მოთავსებულია შემართვა ხალხისადმი, რომელშიც აღწერილია ცხოვრების მძიმე რობები, აგრეთვე ახალი ამბები, პატარა წერილები, ოთხსტრიქონიანი ლექსი და ილია რეპინის ცნობილი ნახატი „ბურლაკები ვოლგაზე" შემდეგი მინაწერით: „დიდი დასასრული არ ჩანს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?"

გაზეთს ხელს აწერს სარედაქციო კოლეგია.

1956 წლის ნოემბრის დღესასწაულის წინა დღეებში ვრცელდება იმავე შრიფტით აწყობილი და დაბეჭდილი პროკლამაცია: „პატრიოტებო ჩვენი ქვეყნისა, შეერთდით! 7 ნოემბერს არცერთი დემონსტრაციაზე!"

ამას მოსდევს მცირე ზომის (10X13 სმ) ბროშურა 12 გვერდზე. მის გარეკანზეა: „სალაღობელი. ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო №2, სვანეთი". შემდეგ გავრცელდა სხვა ნომრები. „სალაღობელის" მე-7 ნომერში დაბეჭდილია გ. ბარამიძისა და ი. ფაჩულიას ლექსები, პატარა ინფორმაციები, აგრეთვე შემდეგი ცნობა... „მარმარილოს ლოდისაგან დამზადებულია 9 მარტს დაღუპულთა მემორიალი. იგი მათი დაღუპვის ადგილას უნდა დაიდგას. გთხოვთ დაგვეხმაროთ".

ნაბეჭდ პროდუქციას გ. ბარამიძე და ი. ფაჩულია არალეგალურად ავრცელებდნენ სკოლებში, ტრამვაიში, კინო-თეატრებში, სასწავლებლებში, ხალხის თავშეყრის ადგილებში, ახერხებდნენ მის შეტანას პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, აგზავნიდნენ ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, ქუთაისში, გორში და სხვ. პირადად უგზავნიდნენ ზოგიერთ გამოჩენილ მწერალს.

1958 წლის იანვარში ი. ფაჩულიას და გ. ბარამიძეს აპატიმრებენ. ძიება დამთავრდა მარტში, იმავე წლის 26 მარტს კი სასამართლო პროცესმა ორივე მათგანს 8-8 წელი და სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო ხმის უფლების 3-3 წლით ჩამორთმევა გადაუწყვიტა. განაჩენი საბოლოო იყო და კასაციური წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

მაგრამ 1960 წლის 5 მაისს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ზედამხედველობის წესით განიხილა ი. ფაჩულიასა და გ. ბარამიძის საქმე. პრეზიდიუმმა „გადაჭარბებით მკაცრი" მიიჩნია 8-8 წელი და იგი 5-5 წელზე დაუყვანა. ეს პერიოდი მეგობრებმა შორეულ მორდვეთში, ზუბოვო-პოლიანსკის რაიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტპატიმართა ბანაკში გაატარეს. გაათავისუფლეს 1965 წლის იანვარში.

გ. ბარამიძე 1990 წლის იანვარში გარდაიცვალა, ი. ფაჩულია კი დღესაც განაგრძობს თავისი სპეციალობით მუშაობას და აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

იროდიონ ფაჩულიასა და გივი ბარამიძის მიერ „სალაღობელის" სახელწოდებით გამოშვებულ ფურცლებსა და ბროშურებს ეწერა „სვანეთი". ამით ისინი ცდილობდნენ, ჯერ ერთი, თვალი აეხვიათ ძიებისათვის, თითქოს ეს ორგანიზაცია მოქმედებდა თბილისიდან შორს, სვანეთში, და მეორეც, გაეძლიერებინათ მკითხველის შთაბეჭდილება.

მაგრამ თბილისიდან შორს მართლაც არსებობდა სტამბა. ძმებმა მიხეილ და გიორგი ფიცხელაურებმა ყაზბეგის რაიონის „ნათლისმცემლის" გამოქვაბულში გამართეს სტამბა ყველა საჭირო მოწყობილობით, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი პროკლამაცია დაბეჭდეს. აი, ერთი მათგანი:

სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის კავშირი

თავისუფლება საქართველოს

ქართველო ხალხო! ჩვენი ცოდნა - ადამიანური ცოდნაა. ჩვენი შემეცნებითი ძალები შეზღუდულია ისევე, როგორც ყველა ძალები... ჩვენი მიზანი არის, ეს ცოდნა ქართველი ერის თავისუფლებას მოვახმაროთ... თავისუფლება, დამოუკიდებელი ცხოვრება, ეს არის ეროვნული თავმოყვარეობის საკითხი, ეს არის ხელშეუხებელი რწმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა, რომელსაც ვერავინ უარყოფს.

ქართველო ხალხო! ნუ დაივიწყებთ ქართველი ახალგაზრდების სისხლს, რომელმაც შელება 9 მარტს ქუჩები... დროა, გავიხსენოთ ჩვენი წინაპარი გმირები და ჩვენც იმათებრ გავისარჯოთ საშშობლოსათვის ერთიანი ძალით.

გაუმარჯოს საქართველოს დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს საქართველოს ახალგაზრდობას, რომელიც იბრძოლებს ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ!

რას ჩამომჯდარხარ დადუმებული,
ქართველო! ასე სულ არ გიხდება,
ხელი ხმალს იკარ და ვეფხის მსგავსად
მტანჯველს ეკვეთე, ის მოგიხდება,
იხსენ საშშობლო გაჭირვებისგან,
ნათესს მოიმკი, არ წაგიხდება.

ტექსტს მთელ სიგრძეზე ირიბად, დიდი წითელი ასოებით გასდევდა სიტყვები: „ბრძოლის ხმა საკაძისა“.

ეს ფურცელი 240 ცალად დაიბეჭდა 1956 წლის ოქტომბერში და გავრცელდა მთელს რესპუბლიკაში, მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სტუდენტთა ქალაქში, ფოსტით გაიგზავნა ყველა ქალაქისა და რაიონის კულტურის განყოფილების მისამართზე. კონტროლისათვის, რასაც შენიღბულად ახორციელებდა მიხეილ ფიცხელაური, რამდენიმე კონვერტი ყაზბეგშიც გაგზავნა.

ამ ფურცელს მოჰყვა მეორე. აი, ისიც:

დადგენილება

სრულიად საქართველოს ახალგაზრდობის კავშირისა.

ის პიროვნება, რომელიც ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და ხელს შეუშლის საქართველოს გამათავისუფლებელ მოძრაობას კომუნისტური ზნე-ჩვეულებით... და გამცემლობით, დაისჯება სიკვდილით!

განაჩენს მოიყვანს სისრულეში ორგანიზაცია „ძალა“ (კონტრდაზვერვა).

ეს ფურცელიც იმავე მეთოდით გავრცელდა, როგორც პირველი. საგამომძიებლო ორგანოებმა მიაკვლიეს და გაანადგურეს „ნათლისმცემლის“ გამოქვაბული. სასტამბო მოწყობილობებთან ერთად იქ აღმოჩნდა რამდენიმე ტექსტის ანაწყობი ჩარჩოში. მათ შორის შემდეგი ლექსი:

„ნუ გ(ეშინიათ), გამაგრდით! დრო მოდის შებრძოლებისა,
მაშინ დაჩნდება ვაჟკაცი... ვისაც გული აქვს რკინისა,
უმისოდ სიტკბოს ვერ ვნახავთ, ბედია ამ ცხოვრებისა.
აგერ შუქიც სჩანს მტრედისფრად, დრო მოდის გათენებისა,
მტარვალნიც გრძნობენ დასასრულს, ხმა ისმის გაბრაზებისა...
მაგრამ გვიანაა - ამ ქვეყნად დღე მოდის ჩვენი ხალხისა“

იქვე აღმოჩნდა მოთხრობის - „თბილისის ცის ქვეშ“ მეორე კარი (ხელნაწერი 32 გვერდზე). მოთხრობა ასახავს 9 მარტის მოვლენებს თბილისში. ივი ეკუთვნის მიხეილ ფიცხელაურს.

მოთხრობიდან მოვიტანთ ერთ ამონაწერს:

„ეჰ! საქართველო, საქართველო! თეთრს გამომირევს ფიქრი შენზე. მაგრამ სად არის შემცნობელი, რომ ერთიანი მოქმედებით მტერს დავეძგეროთ? პირიქით, ზოგი ბოროტს დამიძახებს, ზოგი მოღალატეს და გამწირავენ დაუნდობლად მე სასიკვდილოდ... ასეთები ვართ ჩვენ, ქართველები, ვლუპავთ ერთმანეთს, სუსტდება ამით ჩვენი ძალები, მტერი კი, თქვენ თვითონ ახსენით, როგორ სარგებლობს...“

თუ როგორ ეხმიანება ეს სიტყვები თანამედროვე ვითარებას, ამაზე მსჯელობას არ გავმართავთ, მკითხველისათვის ეს ისედაც ნათელი იქნება.

1958 წლის 19 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახურული სხდომა.

სხდომაზე მიხეილ და გიორგი ფიცხელაურებმა ერთხელ კიდევ აღიარეს თავიანთი ანტისაბჭოთა მუშაობა და კითხვაზე - თუ რა იყო მათი მიზანი, ან რას გულისხმობენ ისინი ანტისაბჭოთა ფურცლებზე მათ მიერ გაკეთებული გერბით, უპასუხეს:

„ჩვენი ჩანაფიქრი და მიზანი იყო მთავრობის საწინააღმდეგო პროტესტი 1956 წლის 9 მარტს თბილისში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის გამო. ეს იყო ბრძოლა რუსეთიდან საქართველოს გამოყოფისათვის, ბრძოლა მისი სრული დამოუკიდებლობისათვის, რაც შეეხება სახელმწიფოებრივ წყობილებას, იგი ისევ საბჭოური, სოციალისტური უნდა დარჩენილიყო, რადგან ჩვენ სხვა სისტემას არ ვიცნობდით და არც გვიფიქრია ამაზე.

ჩვენს მიერ მოფიქრებულ და დამზადებულ გერბზე ჯვარი გულისხმობდა ქრისტიანულ, ხოლო მზე - მზიურ საქართველოს. არავითარი ორგანიზაცია არ ყოფილა, ჩვენს შესახებაც არავინ არაფერი იცოდა. ჩვენ მხოლოდ ორნი ვმოქმედებდით“.

სასამართლოს გადაწყვეტილებით მიხეილ და გიორგი ფიცხელაურებს საბოლოოდ სასჯელის ზომა 4-4 წელი განესაზღვრათ. ეს დრო ძმებმა შორეულ ციმბირში, მორდვეთში გაატარეს.

1956 წლის 16 მარტს დააპატიმრეს **ივანე კუხიანიძე,** გორის გაერთიანებული სამხედრო კომისარიატის ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი, დიდი სამამულო ომის მონაწილე.

საქმე განიხილა თბილისის სამხედრო ტრიბუნალმა. დადგენილ იქნა რომ ი. ა. კუხიანიძე ეწეოდა ფართო ანტისაბჭოთა პროპაგანდას. გორში გამართულ ხალხმრავალ მიტინგებზე წარმოთქმულ სიტყვებში იგი მკაცრად აკრიტიკებდა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ხელმძღვანელობას, გმობდა დახურულ წერილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაჩნდა იგი ქართველი ერის შეურაცხყოფად, ხალხს აუწყებდა, რომ ასეთივე მიტინგები და გამოსვლები მიმდინარეობდა მოსკოვში, ლენინგრადში, სტალინგრადში. ამასთან, ი. კუხიანიძე ხალხს მოუწოდებდა ბრძოლისკენ, არწმუნებდა მათ, რომ ქართველი ხალხის ამ გამოსვლებს მხარს უჭერდა დასავლეთ საქართველოში განლაგებული ქართული დივიზია, რომ მას პირადად იმედი აქვს ამ მასობრივი გამოსვლების წარმატებებისა. 11 მარტს მან მონაწილეობა მიიღო თბილისისა და გორის მოვლენების განხილვაში, წამოაყენა ქუთაისში ერთობლივი ხალხმრავალი მიტინგების კვლავ გამართვის წინადადება.

თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალმა 1956 წლის 9 ივნისს ი.ა. კუხიანიძეს 8 წლით პატიმრობა მიუსაჯა და სასჯელის მოსახდელად ისიც მორდვეთში გაგზავნეს, სადაც პ. მეუნარგიასთან და მ. ყიფიანთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა მათ მიერ შექმნილ „საქართველოს ეროვნული ხსნის კომიტეტის“ მუშაობაში.

1956 წლის მარტის მოვლენების რამდენიმე დღის შემდეგ დააპატიმრეს **მაყვალა ოქროპირიძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების კურსდამთავრებული, გორის რაიონული გაზეთის რედაქციის მაშინდელი ლიტმუშაკი. 9 ივნისს უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის სხდომამ მ. ოქროპირიძე ცნო 9 მარტის ამბების აქტიურ მონაწილედ, ამ მოვლენების ერთ-ერთ ხელმძღვანელად და წარმმართველად გორში და მიუსაჯა ერთი წლით პატიმრობა. ამასთან, მხედველობაში მიიღო მისი გულწრფელი აღიარება, ოჯახური მდგომარეობა და ეს განაჩენი შეუცვალა სამი წლის პირობითი სასჯელით. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ განაჩენის კასაცია არ შეიძლებოდა.

სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა პირობით (პატიმრობა, იძულებითი მუშაობა...) მსჯავრდებულ იქნენ აგრეთვე პედაგოგი **ვარლამ კუჭავა** (თბილისი), არქიტექტორი **ალექსანდრე ნინუა** და ინჟინერი **ვალერიან მჭედლიძე** (თბილისი), მძღოლები **შალვა აბრამიშვილი** (დუშეთი) და **პავლე ქერდიკაშვილი** (გორი), ეკონომისტი **კონსტან-**

ტინე ოსაძე (ქარელი), სარეწაო არტელ „მკერავის“ თავმჯდომარე **ზაალ ბახუტაშვილი** (თბილისი), ელექტრომექანიკოსი **ავთანდილ აბაშიძე** (თბილისი), მგლინავი **ელგუჯა ჩაჩავა** (თბილისი), კომპოზიტორი **სანდრო მირიანაშვილი** (თბილისი), მოსწავლეები: **თამაზ გელაშვილი, ოთარ ზვიადაძე** (თბილისი), დროებით უმუშევარი **ნოდარ მორჩილაშვილი** (თბილისი), სტუდენტები: **იური ბიბილეიშვილი** (ბათუმი), **რაულ ასათიანი, კონსტანტინე ჩხეიძე, ნოდარ დარჯანია, სიმონ უზუნაშვილი, გურამ მეიშვილი** (თბილისი) და სხვ.

ამგვარად, 1956 წლის მარტის ტრაგიკული მოვლენების გამო მსჯავრდებულ იქნა არა 22, როგორც ეს ოფიციალური სიითაა, არამედ სულ ცოტა 28 კაცი. არც ეს რაოდენობა უნდა იყოს სწორი. ძიებას განვაგრძობთ...

...მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გაგებაც, თუ რა მდგომარეობა სუფევდა საქართველოში განლაგებულ სამხედრო შენაერთებში, უწინარეს ყოვლისა კი, 74-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში. ეს დივიზია, რომელიც ომის დაწყების პირველივე წელს შეიქმნა, იმ დროს დასავლეთ საქართველოში იყო განლაგებული და შტაბი ქუთაისში ჰქონდა. ქალაქის გარნიზონი 4 მარტიდან (13 მარტამდე) ყაზარმულ, ვიმეორებთ, ყაზარმულ მდგომარეობაზე გადაიყვანეს, რაც წინასწარ გათვლილ-განსაზღვრული იყო.

მიუხედავად ამისა, ქუთაისში მიმდინარე ხალხმრავალ მიტინგებში მაინც აქტიურად მონაწილეობდა გარნიზონის მრავალი ოფიცერი და სხვა სამხედრო მოსამსახურე. აქვე გვინდა მკითხველს შევთავაზოთ ერთი ამონაწერი სააგენტურო ცნობიდან, მასში ვკითხულობთ:

„5-27 მარტამდე 74-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებში რეგისტრირებულ იქნა 43 არაჯანსაღი გამოსვლა, რომლებშიც დაგმობილია თბილისში სამხედროთა მოქმედება. გამომსვლელთა შორის არის 32 ოფიცერი, მათგან 3 პოლკისა და ბატალიონის, 13 ოცეულის, 6 ასეულის მეთაური, 5 პოლიტიკური მუშაკი და 5 სამედიცინო სამსახურის წარმომადგენელი. პარტიულობის მიხედვით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ 20, ხოლო კომკავშირის 10 წევრია...“

ნ. ხრუშჩოვმა ვერაგულად გამოიყენა მთავრობის საწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლებისადმი ქართული სამხედრო ნაწილების ლოიალური დამოკიდებულება და თვითნებურად დაშალა ქართული სამხედრო შენაერთები. ამასთან, ქართველი ოფიცრებისადმი განახორციელა მთელი რიგი დისკრიმინაციული ღონისძიებანი. უნდა ითქვას, რომ ქართველი ოფიცრების კადრების მიმართ უნდობლობის ეს პოლიტიკა ცენტრს აქამდე შემორჩა.

ახლა გვინდა, მკითხველმა იცოდეს, თბილისში მიტინგების დამრბევი და მოქალაქეთა დამხოცველი სამხედრო ნაწილების შესახებ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურატურის 1956 წლის 27 და 30 მარტის „ცნობებში“ გამართლებულია ეს სისხლიანი დარბევა და იგი „კონტრრევოლუციური“, ანტისაბჭოთა გამოსვლების წინააღმდეგ მიმართულ აქციად არის მიჩნეული. ამასთან, ამ ცნობებით პირველი სროლა თურმე მრავალრიცხოვან ბრბოში მყოფ „ანტისაბჭოთა გამოსვლების პროვოკატორებს“ დაუწყიათ, რომ 25 ათას კაციან ბრბოს გამოუყენებია იარაღი, ქვები, ბოთლები. არადა, საოცარი ლოგიკაა: ასეთ ხელჩართულ ბრძოლაში თურმე არცერთი სამხედრო მოსამსახურე არ დაღუპულა, მხოლოდ 4 დაჭრილა, მაშინ, როდესაც, იმავე ცნობებით, მიტინგის მონაწილეთაგან მოკლულია 21 და ამდენივეა დაჭრილი.

ასე შეეცადა ამიერკავკასიის სამხედრო სარდლობა და მისი პროკურატურა ესოდენ ტრაგიკული მოვლენის მიფუჩეჩებას, შთამომავლობისათვის სისხლისღვრის ფაქტისა და მისი ავტორების დამალვას. მან ეს გარკვეულად შეძლო კიდეც.

(იბეჭდება შემოკლებით)

„რესპუბლიკა“, 1991 წ. მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეკო ასლანიშვილი

„შეინახოს მულმივად“ ანუ „ბურლაკები“

1957 წლის 9 მაისის დილა. თბილისის უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან, კალათბურთის მოედანზე, ახლომახლო სახლებში მცხოვრებმა ბიჭებმა კროსი დაამთავრეს და გახვითქულებმა გრძელ სკამს მიაშურეს სულის მოსათქმელად.

- ბიჭოს, აქ რაღაც პაკეტი დევს, ფული არ შემოგვაპაროს ვინმემ! - გაიცინა ერთმა და დაუწებებელი ცისფერი კონვერტი გახსნა.

ყველანი ინტერესით დააცქერდნენ ამოღებულ ნაბეჭდ ფურცელს და... სიცილი უცებ მოისხიპა.

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა...

სიმართლისათვის

ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა ორგანო №2

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი მიზანი არ არის არც პროპაგანდა და არც აგიტაცია. ჩვენ მხოლოდ გვსურს, გამოვამზეუროთ ის შინაგანი ხანძარი, რომელიც ყველა ჩვენგანში ბჟუტავს, მაგრამ ვერ გაგვიმხელია, ვერ გვითქვამს. მიმოიხედეთ ირგვლივ და თვითონვე გაეცით პასუხი.

37 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აგიტაციით ვიკვე-

ბებით, დაპირებებს დასასრული არ უჩანს, ხოლო ცხოვრება დღითიდღე უარესდება. იღუპება ჩვენი ოდითგან განთქმული კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება, ფეხქვეშ გათელილია ადამიანის ღირსება, იგი მონად არის ქცეული, რომელიც მათხოვარივით შეჰყურებს საკუთარი შრომით შექმნილიდან სამოწყალოდ მიგდებულ ორიოდ ლუკმას. დემოკრატიის ნიღაბქვეშ იმალებიან ისინი, ვისაც ხალხისთვის გული არ შესტკივა, კომუნიზმს გვპირდებიან ისინი, ვისთვისაც ამჟამად კომუნიზმია...

...რედაქციისაგან: ჩვენ, 9 მარტის მონაწილეთა ნაწილმა, **სვანეთის მთებს შევაფარეთ თავი, რათა იქიდან სიმართლის ხმა მოგაწვდინოთ, ძვირფასო მეგობრებო.**

ფურცლის ბოლოს მოთავსებული იყო ი. რეპინის ცნობილი ნახატი „ბურლაკები ვოლგაზე“ წარწერით:

დიდი ხანია საბჭოთა ხალხი ამგვარად ეზიდება მუდმივ ჭაპანს, მაგრამ დასასრული არ სჩანს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?
სარედაქციო კოლეგია.

აღელვებული ბიჭები მდუმარედ შესცქერიან ერთმანეთს. მათი მზერა მრავლისმეტყველია.

- თურმე მართალს ამბობენ: ორგანიზაცია არსებობს,- ჩურჩულით ამბობს ბოლოს ერთი.

- სტამბაც ჰქონიათ!...

- რას კითხულობთ, ახალგაზრდებო? - მოულოდნელად თავს წამომდგარი კაცის ხმა ყველას აკრთობს.

უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის მასწავლებელი ფურცელს ათვალიერებს და ბაიასავით ყვითლდება.

- სად იპოვეთ? ეს ხომ ანტისაბჭოთა პროკლამაციაა! - შიშით იყურება აქეთ-იქით,- უნდა ჩავაბაროთ. თქვენ კი ენას კბილი დააჭირეთ, გაიგეთ?!

ბიჭები უხმოდ დგანან. მათ შორის ორი დამწყები მწერალია - ნოდარ დუმბაძე და ზაურ ბოლქვაძე...

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს - გენერალ-ლეიტენანტ ალექსი ინაურს იმავე საღამოს მოახ-

სენეს, „ბურლაკები“ ისევ გამოჩნდაო...

სუკ-ის IV განყოფილებაში კიდევ ერთი საბუთი ემატება საქმეს, რომლის პირობითი სახელია „ბურლაკები“.

ეს ფურცელი პირველად 1956 წლის მაისში გავრცელდა უნივერსიტეტისა და სტუდქალაქის ტერიტორიაზე. 1956 წლის ნოემბრის დღესასწაულის წინა დღეებში მიაკვლიეს იმავე შრიფტით აწყობილ პროკლამაციას: **„პატრიოტებო ჩვენი ქვეყნისა, შეერთდით! 7 ნოემბერს არცერთი დემონსტრაციაზე!“**

ჩეკისტები საგონებელში არიან - უკვე ერთი წელიწადია, მოქმედებს ანტისაბჭოთა ჯგუფი და არალეგალური სტამბა...

1957 წლის ივნისი. თბილისის ცენტრში გავრცელდა თვითგამოცემა, ბეჭდური ბროშურა „სალაღობელი“ - ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა ორგანო №7, სვანეთი.

* * *

სჯობს უცხოელთა მიენდო მტრობას
და ნუ ენდობი ნიკიტას ნათქვამს.
ებრძოლე სუფრულ პატრიოტობას,
თუ სინიდისი გაწუხებს მართლა.
ბრძოლით განკურნავ მრავალ ჭრილობას,
ლახვარი ჩაეც შავბნელ პარტიას,
რადგანაც იმის დროშაზე მხოლოდ
სიბოროტე და ტანჯვა ხატია.

ჰოეტს

- გაიღვიძე, ნუთუ წლებმა შეგაშინა,
რკინის სალტედ კისერზე რომ გახვევია,
გაუღვიძე ხალხს მამულის სიყვარული,
თუ ეს გრძნობა გულში კიდევ დაგრჩენია.

* * *

ბევრი ხომ არ არის - ორმოცი წელია
და ასე მგონია, მოხუცდა ქვეყანა.
ეს დრო და ეს ხანა, ოჰ, რარიგ ძნელია,

11. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ, როგორ მძვინვარებს მონობა ყველგანა.
მე მარად მაოცებს: ღარიბმა, ღატაკმა
თუ მრავალ ბრძოლაში სისხლი რად დაღვარა,
ან თანამოძმეთა საფლავი რად თხარა,
თუკი ის მომავალს განჭვრეტდა ამგვარად.

დაჭრილი არწივი

...კვლავ რომ სალ კლდეთა წვერთაგან
არწივნი აფრინდებიან,
მაშინ დუშმანის დედანი
მწარედა ატირდებიან.
და ხალხი ზვავად დაიძვრის
მთიელ მინდიას ძახილზე,
გივარგიც გზაში დაგვხვდება,
კაცი შეზრდილი მახვილზე.

* * *

თანამედროვე ცხოვრებამ საოცრად გადააჭარბა პირველყოფილ მონათა ცხოვრებას. იბრძოლეთ იმისათვის, რომ მივაღწიოთ მონური ცხოვრების დონეს მაინც, რომლის არსია, ხალხს აჭამოს, ჩააცვას და ამუშაოს. ძნელია, ასე შორიდან სიმართლის ხმა მიაწვდინო ყველა იმას, ვისაც მართლა უყვარს საშშობლო, თავისი ერის მოღალატე არ არის. მიუხედავად დაბრკოლებისა, ეს სტრიქონები მოაღწევს თქვენამდე. ამ მთებში მხოლოდ მილიონობით წამებულის სიყვარული გვასულდგმულებს.

* * *

მარმარილოს ლოდისაგან დამზადებულია 9 მარტს დაღუპულთა მემორიალი. იგი მათი დაღუპვის ადგილას უნდა დაიდგას. გთხოვთ, დაგვეხმაროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადის კიდევ ორი თვე. 1957 წლის აგვისტოს ბოლოს ქუთაისიდან საქართველოს მწერალთა კავშირის მისამართით ორი ცისფერი კონვერტი მოდის. ადრესატები არიან გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე, მაგრამ წერილები პოეტებამდე ვერ აღწევს - სხვები ხსნიან. მათში თითო „სალაღობელია".

სუკ-ში კვლავ იმართება ოპერატიული თათბირი. ხელმძღვანელობა ცოფებს ყრის: - მიაკვლიეთ, მთელი საქართველოს გადაბრუნებაც რომ მოგიხდეთ. უკვე არის რაღაც ძაფი - კონვერტებზე მისამართი ხელით წერია.

დიახ. ეს მართლაც საბედისწერო დაუდევრობა იყო!

და მთელი ძალით ამოქმედდა სუკ-ის უზარმაზარი, მძლავრი მექანიზმი.

საქმე №4642.

სამი სქელი ტომი გრიფით - „შეინახოს მუდმივად", 724 ფურცელი. დაწყებულია 1958 წლის 14 იანვარს, დამთავრებულია 1958 წლის 10 მარტს.

ეროდიონ ფაჩულია

ეროდი ლევანის ძე ფაჩულია: დაბადებული 1922 წელს, ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშში. ქართველი, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, თეატრმცოდნე. 1950 წელს დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი. ნასამართლევი არ ყოფილა, თბილისის სომხური დრამის თეატრის მთავარი ადმინისტრატორი. ცოლშვილიანი: ჰყავს 9 და 4 წლის ვაჟები. მცხ. თბილისში, ბოჭორიშვილის ქ. №45.

გივი ბარამიძე

გივი იასონის ძე ბარამიძე: დაბადებული 1929 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში. ქართველი, უპარტიო. უმაღლესი განათლებით. თეატრმცოდნე. 1953 წელს დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი. ნასამართლევი არ ყოფილა. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინემატოგრაფიის სამმართველოს სარეკლამო

ჯგუფის დირექტორის მოადგილე. ცოლშვილიანი. ჰყავს 4 წლის ვაჟი. მცხ. თბილისში, ხოდაშნის ქ. № 12.

წაყენებული აქვთ ბრალდება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლის I ნაწილით და 58-11 მუხლით.

„ბრალად ედებათ: არალეგალური სტამბის შექმნა. ანტისაბჭოთა ფურცლებისა და ბროშურების დამზადება და გავრცელება. მათი დანაშაულებრივი ქმედება მტკიცდება ბინებში მოწყობილი ჩხრეკით, მათი პირადი აღიარებითა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში არსებული სხვა მასალებით“.

ჩხრეკის ოქმიდან:

„ი. ფაჩულიას ბინიდან ამოღებული იქნა ანტისაბჭოთა ფურცელი „ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა ორგანო №2“ - 10 ცალი, სტამბურად დაბეჭდილი ლექსი „პოეტს“, პატარა კასა შრიფტით, „ბურლაკების“ კლიშე, 1956 წლის 9 მარტს დაღუპულ იუზა წერეთლის ფოტო, 59 მან. და 40 კაპიკი (ჩაბარდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ბუღალტერიას!)“.

ჩხრეკის ოქმიდან:

„გ. ბარამიძის ბინიდან ამოღებულ იქნა ანტისაბჭოთა ბროშურა „სალაღობელი“ - ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა ორგანო №7“ - 2 ცალი, გ. ბარამიძის მიერ დახატული კარიკატურა ანტისაბჭოთა წარწერით, ანტისაბჭოთა ლექსები, კლიშეები, „ზარია ვოსტოკას“ სტამბის საშვი“.

ძიება იყო მკაცრი და სკრუპულოზური. იგი ძირითადად ოთხი მაგისტრალური ხაზით მიმდინარეობდა:

რამდენი კაცისაგან შედგებოდა „ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა ორგანიზაცია“ და ვინ იცოდა მისი არსებობა?

სულ რამდენი ნომერი ანტისაბჭოთა ფურცელი და ბროშურა გამოუშვეს (მიკვლეულია მხოლოდ №2 პროკლამაცია, №7 ბროშურა და ერთი საშვიდნოემბრო მოწოდება)?

კიდევ რა ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდნენ?

სად და როგორ იშოვეს არალეგალური სტამბისთვის შრიფტი და სხვა მოწყობილობა?

ძიებამ დაადგინა:

ორგანიზაცია მხოლოდ ორი მეგობრის - იროდი ფაჩულიასა და გივი ბარამიძისგან შედგებოდა და მისი არსებობა უახლოესმა ადამიანებმაც კი არ იცოდნენ;

გამოსცეს მხოლოდ ის, რაც ნაპოვნი იქნა. №2 და №7, ასევე „სვანეთი“ თვალისასახვევად, შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით დააწერეს; სხვა ანტისაბჭოთა ქმედება არ ჩაუდენიათ;

შრიფტი ი. ფაჩულიამ ჩუმად გამოიტანა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საბეჭდი საამქროდან. ფურცლებს ბეჭდავდნენ მისივე სახლის სხვენზე.

უარყოფას აზრი არ ჰქონდა. არც ცდილან, თუმცა მშვენივრად იცოდნენ, რაც ელოდათ.

იქნებ მკრეხელობაც იყოს ამის თქმა, მაგრამ ტომების თვალიერებისას კმაყოფილებას, სიამოვნებას განვიცდიდი: რა ვაჟკაცურად ცდილობდნენ მეგობრები ერთმანეთის დაცვას. ასე იყო ძიებისას, ასე იყო სასამართლოზეც.

ამონაწერი 1958 წლის 26 მარტის დახურული სამსჯავრო სხდომის ოქმიდან:

ი. ფაჩულია - ფურცლების ბეჭდვის საკითხი პირველმა მე წამოვჭერი.

გ. ბარამიძე - ფაჩულიამ რატომღაც მეტი პასუხისმგებლობა აიღო თავზე. ჩვენ ერთნაირად უნდა ვაგოთ პასუხი, რადგან ორივემ მოვილაპარაკეთ ამ საქმეზე. ჩემს გარეშე ფაჩულია არაფერს აკეთებდა, ხოლო მე სავსებით ვიზიარებდი მის იდეებს.

მიიღეს კიდეც თანაბრად: 8-8 წელი და სასჯელის მოხდის შემდეგ საარჩევნო ხმის უფლების 3-3 წლით ჩამორთმევა. განაჩენი საბოლოო იყო და კასაციური წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა.

შეუფარავად, აშკარად, ლამაზად გააცხადეს მიზეზიც, რამაც ისინი „ანტისაბჭოთა ბოროტმოქმედებამდე“ მიიყვანა. ისევ **სასამართლო სხდომის ოქმს** *მოვუხმობ:*

ი. ფაჩულია: ჩემი გადაწყვეტილება აღმოცენდა 1956 წლის 9 მარტს, როცა უდანაშაულო ხალხის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღი იხმარეს... მე და ბარამიძემ ეს მოვლენა ჩავთვალეთ ქართველი ხალხის ეროვნულ ჩაგვრად, ფეხქვეშ იქნა გათელილი ჩვენი სამშობლო.

გ. ბარამიძე: ფაჩულიამ ამომწურავად თქვა და ვერაფერს დავუმატებ.

მორდვეთის ასსრ. ზუბოვო-პოლიანსკის რაიონი, პოლიტპატიმართა ბანაკი. საფოსტო ყუთი 385-7-1. სამშობლოში კი ქალების ამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, ულუკმაპურად დარჩენილი ოჯახები, მცირეწლოვანი ბავშვები.

1990 წლის 16 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ი. ფაჩულიასა და გ. ბარამიძეს 8-8 წლიანი სასჯელი, როგორც „გადაჭარბებით მკაცრი“, 5-5 წელზე დაუყვანა. გათავისუფლდნენ 1963 წლის იანვარში.

მას შემდეგ თითქმის საუკუნის მესამედი გავიდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე მათი „პოლიტიკური არაკეთილსაიმედოობა“ არავის დავიწყებია - მთელმა ცხოვრებამ შიშსა და ჩრდილში ჩაიარა.

წლეულს, იებერვალში ნატანჯმა გულმა უღალატა გივი ბარამიძეს. 60 წლისა იყო მხოლოდ.. უხმაუროდ, თითქმის შეუმჩნევლად წავიდა საქართველოს სიყვარულში სანთელივით ჩამწვარი კაცი. მე ის არ მინახავს, მხოლოდ იროდი ფაჩულიას ვიცნობ.

გმირული თითქოს არაფერი სცხია მის გარეგნობას. არ დავმალავ, იქნებ ამიტომ, ცოტა არ იყოს, უნდობლადაც მოვეკიდე, როცა რედაქციაში მოვიდა და თავს გადახდენილზე წერილი მოგვიტანა. გადავწყვიტე, თვითონ მენახა მათი საქმე.

სუკ-ის თანამშრომელთა ნებართვით, სამი დღე ვკითხულობდი არქივიდან გამოტანილ სამ ტომს.

დღეს სულ სხვაგვარს ვხედავ ამ 68 წლის ფუსფუსა, ჩასკვნილ კაცს და საოცრად მწყდება გული, რომ გივი ბარამიძე არ მინახავს. ისინი გმირები იყვნენ. საქართველო უნდა იცნობდეს თავის ღირსეულ შვილებს.

ახლა, როცა საზოგადოებრიობა აგრერიგად მიეჩვია „არაფორმალური“ დოკუმენტების პოლიტიკურ სიღრმეს, მჭევრმეტყველებას, არგუმენტირებას, იქნებ გულუბრყვილოდაც მოგეჩვენოთ „ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლთა“ თხზულებები. მაგრამ არ დაგავიწყდეთ: ეს 1956-1957 წლებია, ეს 9 მარტის ხოცვა-ჟლეტით კიდევ უფრო შემკვრივებული უკუნია, სადაც ჯერ ნათლის ერთი სხივიც კი არ ჭიატებს. „ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლნი“ ერთ-ერთი პირველი მერცხალი იყო საბჭოთა საქართველოს უკიდეგანოდ მოღუშულ ცაზე.

„შეინახოს მუდმივად“ - აწერია №4642 საქმის ტომებს.

შევინახოთ და გვახსოვდეს!

(იბეჭდება შემოკლებით)

„7 დღე“, 1990 წ. 22 ნოემბერი

გიორგი პაპუაშვილი

არდასავიწყებელი

ეს თარიღი, 1956 წლის 9 მარტი, ძალზე გაიცრიცა და ალბათ გადაირეცხებოდა კიდეც, ცხრა აპრილის ტრაგედიას რომ ხელახლა არ გაეხსნა საქართველოსთვის მესამედი საუკუნის წინათ მიყენებული ჭრილობა. ვიფიქრე, ეს ტკივილი მხოლოდ ჩვენ გვაწუხებს-მეთქი, ვინც მონაწილენი ვიყავით, მაგრამ არც ერს დავიწყებია. არც უნდა დავიწყებოდა, რადგან არდასავიწყებელია. დიახ, არდასავიწყებელი და არა დაუვიწყარი. შეცდომა არავის გეგონოთ.

იმ დღეებში თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტებს 51-ე საშუალო სკოლაში პრაქტიკა გვქონდა. წინა დღეს მეათე კლასში გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინი" გადავეცი. სულგანაბული იყო მთელი აუდიტორია: სტუდენტებიც და მოსწავლეებიც. პრაქტიკის ხელმძღვანელს, პროფესორ ივანე იმნაიშვილს სიამოვნების შარავანდედი ეფინა სახეზე. პოემის პირველივე სტრიქონების მოსმენით აღტაცებული მოსწავლეები იხვეწებოდნენ, - მე წამაკითხეო და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ლეონიძის ღონიერი სტრიქონების კითხვაში.

- ეჰ, ალბათ უკანასკნელად გადავცემთ ამ პოემას! - ამოიოხრა ასაკით ყველაზე უფროსმა სტუდენტმა ვახტანგ გიორგობიანმა.

- მომავალ წელს ამ პოემას აღარ ისწავლიან, მასწავლებელო? - იკითხა ერთ-ერთმა ბავშვმა შეშფოთებით და თვითონვე დაამატა,- ამის მაგივრად რაღა უნდა ისწავლონ?

შევატყვე, რომ ყველას დაენანა პოემის პროგრამიდან ამოღება.

ეს ხომ პოემა კი არა, შეუდარებელი ჰიმნია საქართველოსი. ...
ღეთ პოემიდან სახელი „სტალინი“ და იგივე ბრწყინვალებით იელ-
ვარებს ქართულ პოეზიაში. გული მეტკინა, ჩვენი მომავალი თაობა
იმ პოემას რომ ვეღარ მოისმენდა, რომლითაც ენას უნდა სწავლობ-
დეს ყველა ქართველი. სტალინის გაუფასურებაზე იმდენად არ
დამწყდა გული, რამდენადაც პოემის გადაგდებაზე. უსამართლობად
ჩავთვალე ყოველივე ეს და მომეჩვენა, რომ ახალი ხელისუფლება
სტალინს კი არა, საქართველოს ებრძოდა. და, როცა მეორე დღეს
ვიღაცამ კლასში შემოგვძახა, უნივერსიტეტიდან დემონსტრაცია
გვიახლოვდებაო, მასთან შესაერთებლად ყველანი უყოყმანოდ გამო-
ვედით კლასიდან. დაველოდეთ და შევუერთდით.

ხალხის კოლონა რუსთაველის პროსპექტზე გაიჭიმა.

- ლეე-ნინ!... სტაა-ლინ.. ლეე-ნინ!... სტაა-ლინ!...

ასეთი შეძახილებით მიდიოდა დემონსტრაცია.

მაშინ ვინ იყო ჩვენთვის სტალინი? როგორ ვიცნობდით? სტა-
ლინი იყო ბნელეთის დამამხობელი და სინათლის მომტანი, სტალი-
ნი იყო ხალხთა მეგობრობის დიდი მედროშე. სიმართლე რომ
გითხრათ, მართლაც ძმებივით ვიყავით ყველა ერის ხალხი და
ერთმანეთზე აუგის სათქმელად ენა არავის უბრუნდებოდა. სტალინი
მიგვაჩნდა მსოფლიოში ყველაზე სამართლიანი ქვეყნის შემქმნელად,
სადაც არავითარი კლასობრივი ჩაგვრა არ იყო და სადაც ღარიბთა
შვილებს სწავლის საშუალება მიეცათ. იმ დროს მე უკვე ორი შვი-
ლი მყავდა, მე და ჩემი ცოლი ჩვენი სტიპენდიით ვაცხოვრებდით
მთელ ოჯახს. სტალინი კი ყოველწლიურად ფასებს უკლებდა
ხალხისთვის აუცილებელი მოთხოვნის საქონელს. იგი მიგვაჩნდა მა-
მად და პატრონად, რომელსაც ჩვენზე გული შესტკიოდა და რომ-
ლის იმედიც გაუბზარავად გვქონდა. თუმცა მე თვითონ ექვსი
წლისას წამართვეს მამა „ტროცკისტობის“ თუ რაღაცის გამო,
მაგრამ სტალინს არაფერში ვადანაშაულებდი.

ვიღაცამ მაღაზიის ვიტრინა ჩაამტვრია. არ მესიამოვნა. ვიგრძე-
ნი, რომ მშვიდობიან დემონსტრანტებთან შემთხვევითი პირებიც იყვ-
ნენ მიკედლებულნი, რომელნიც ამღვრეულ წყალში თევზის დაჭე-
რას ცდილობდნენ.

- არ გინდათ, ხალხო, ნურაფერს ამტვრევთ! - გაბედა ვიღაცამ
ხმის ამოღება და სხვებმაც უმალ აუბეს მხარი. მგონი, იქიდან
განდევნეს კიდეც ვიტრინის ჩამტეხი.

პირველ საშუალო სკოლას რომ გავუსწორდით, ვიღაცამ დაიძა-

ხა, ცენტრალურ კომიტეტში ავბრუნდეთო. არ მესიამოვნა. ცენტრალურ კომიტეტთან შიში იყო დაკავშირებული...

როცა შიო ჩიტაძის ქუჩაზე ავბრუნდით, წინა რიგებთან განზე მოსიარულე ნოდარ დუმბაძე შევნიშნე. სტალინის გარდაცვალებისას ჯანსულ ჩარკვიანთან და სხვა ახალგაზრდა პოეტებთან ერთად სამგლოვიარო ლექსი წაიკითხა და იქიდან ვიცნობდი. გული მომეცა, - რაკიღა ნოდარ დუმბაძეც აქ გვყოლია, გავიმარჯვებთ-მეთქი.

ცეკას შენობას მივუახლოვდით.

-ლეე-ნინ!... სტაა-ლინ!... ლე-ნინ! სტაა-ლინ!...

- სტაა-ლინ!... ლეე-ნინ!... სტაა-ლინ!... ლეე-ნინ!... - გუგუნებდა ხალხი.

ერთხანს ყურადღებას არავინ აქცევდა ჩვენს ძახილს. მერე, როგორც იყო, ზემო სართულზე კარი გაიღო და აივანზე კაცი გადმოდგა.

ნოდარ დუმბაძე აივნის ქვეშ დაიმალა, როგორც კი აივანზე მჟავანაძე შენიშნა. გამიკვირდა, ასე რად მოიქცა-მეთქი, მაგრამ, როცა მან მხატვრულ ნაწარმოებში პირველმა წამოჰკრა ხელი სტალინის სახელს და ამ ამბით დავინტერესდი, მითხრეს, რომ მისი მშობლები სტალინის დროს დააპატიმრესო. ალბათ შეეშინდა, მეც არ დამაპატიმრონო. მაგრამ ნოდარი ხომ იმ შემთხვევაში სტალინის სახელს იცავდა და რატომ უნდა დაეპატიმრებინათ? ჩვენ ხომ ასე ვიცოდით, რომ მხოლოდ სოციალიზმისა და სტალინის მტრებს აპატიმრებდნენ? დრო შეიცვალა და ყველაფერი უკუღმა შებრუნდა? მტერი მოყვარედ იქცა და მოყვარე მტრად? იქ, დემონსტრანტებთან რომ მოდიოდა, უყვარდა თუ ეჯავრებოდა ნოდარ დუმბაძეს სტალინი? - ამეკვიატა კითხვები. როცა ერთმანეთს უფრო ახლოს გავეცანით და დავმეგობრდით, შეკითხვა დავუსვი, უყვარდა თუ ეჯავრებოდა სტალინი. და თუ ეჯავრებოდა, დემონსტრაციაში რაღად მონაწილეობდა? აი, რა მიპასუხა:

- ჩემს მტერს უყვარდეს, ძამა, სტალინი, მაგრამ მაშინ მიმაჩნდა, რომ სტალინის გინებით ქართველ ერს აგინებდნენ.

დიახ, მაშინ ყველას ასე მიგვაჩნდა და იმიტომ გამოვედით უშიშრად სტალინის სახელის დასაცავად. ეს იყო ეროვნული მოძრაობის დასაწყისი, რითაც ყველას დავანახეთ, რომ ქართველი ერი არ მომკვდარა და დამცირებას ნურავინ გაუბედავს, დათრგუნულია და მალე აღსდგება.

მჟავანაძემ გულს მოგვიფონა, - მეც თქვენთანა ვარო, ლენინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედანზე გადიით და მეც იქ მოვალო. გული მოგვეცა და მოედნის კენ ავიღეთ გეზი.

ორატორები ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ, ხანი გადიოდა, მაგრამ მჟავანაძე არსად ჩანდა. რამდენიმე ახალგაზრდამ კიდევ აურია. ვიღაცას სცემეს კიდეც, - სურათს რად იღებ, მოგზავნილი იქნებიო. ერთი სიტყვით, მონასტერი თანდათან ირეოდა.

ეს მოხდა რვა მარტს. მეორე დღისთვის მტკვრის სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან დანიშნეს მიტინგი. ალბათ მეც დავესწრებოდი, ბავშვების უნახაობა რომ გულზე არ შემომნთებოდა და ღამის მატარებლით სოფელში არ წავსულიყავი. მეორე დღეს კი ის საშინელება დატრიალებულიყო.

წლები გავიდა, ახალგაზრდობა და შუა ასაკი უკან დამრჩა, ანთებული გული და გრძნობა თანდათან ჩანელდა და გონებით ვსჯი. ჩვენ მართალნი ვიყავით მაშინ, ვისაც გვეგონა, რომ სტალინის დამცირებით ქართველ ერს ამცირებდნენ. გარდა იმისა, ხრუშჩოვი რომ აშკარად გვიგებდა ნიშნს, - აი, ქართველთა საამაყო შვილიო, ძაღლის თავი სხვაგანაც არის ჩაფლული. რეპრესიები ხომ სტალინის შემოღებული არ არის. ეს კურსი ხომ პარტიამ შეიმუშავა რევოლუციის პირველი დღეებიდანვე და ამ კურსიდან გადახვევა კომუნისტური პრინციპებიდან გადახვევად და ღალატად ითვლებოდა.

რეპრესიების შემოქმედი პარტია იყო და არა სტალინი. სისტემის დანაშაული სტალინს დაბრალდა. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი იყო. სტალინი რომ რუსი ყოფილიყო, ისე წარმართავდნენ მართვის სისტემას, ამ დანაშაულს არავინ გაუხსენებდა.

სამწუხარო ის არის, რომ ჩვენც ანკესზე ვეგებით და ყველაფერს სტალინს ვაბრალებთ, რაც კი განვლილ სამოცდაათ წელიწადში კაცობრიობას დაუშავებია.

ცხრა მარტით დაიწყო ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების კვლავ გამოღვიძება, რომელმაც ცხრა აპრილის გაბედულებამდე მიგვიყვანა. ცხრა მარტის გმირებიც უმწიკვლო კრავები იყვნენ საქართველოსგან ღმერთისთვის შეწირულნი და მათთვისაც უნდა აიგოს მემორიალი. მათი მიზანი ეროვნული თავმოყვარეობის დაცვა იყო და არა სტალინის პიროვნების კულტის გაგრძელების ცდა. განვლილმა წლებმა მთლიანად დაადასტურა ეს სინამდვილე.

„თბილისი“, 1990 წ. 11 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგორ პატარიძე

მამები

„რუსეთი არსებობს იქნებ მხოლოდ იმისთვის, რომ მსოფლიოს საშინელებათა გაკვეთილი ჩაუტაროს“.
ჩაადაევი

35 წელი გასულა იმ საშინელი დღიდან, 35 ზამთარი და ზაფხული, შემოდგომა და გაზაფხული. 35 წლის წინათ, 1956 წელს მე ვიყავი მოხერხებული და მკვირცხლი, ყოველ შემთხვევაში, გაცილებით სწრაფი, ვიდრე ის „სალდათები“, რომლებიც ჯავშნიანი მანქანებით მომდევდნენ და ავტომატებსა და ტყვიამფრქვევებს მიშენდნენ, მაგრამ მხოლოდ მოხერხება და სისწრაფე არ იყო საკმარისი გადარჩენისათვის, ბევრს ვერც ამან უშველა.

ეს ის ისტორიული დღეები იყო, როცა ქართველმა ახალგაზრდობამ, ერთადერთმა მთელს კავშირში, ასე ერთსულოვნად აღიმაღლა ხმა იმ პრინციპებისა და იდეების დასაცავად, რითაც გვზრდიდნენ და გვაიმედებდნენ წლების მანძილზე. მაშინ ქართველი ახალგაზრდების სისხლი საკუთარი მრწამსისა და პრინციპების დასაცავად დაიღვარა. და, ვაი, რომ ეს უმანკო, ვაჟკაცური სისხლიც მავანმა და მავანმა სტალინის ქართველობით ახსნა და ვიწრო ნაციონალისტურ გამოვლენად მონათლა, რაც არამც და არამც არ შეეფერება სიმართლეს. და ვინ უნდა იცოდეს ეს, თუ არა მარტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მრისხანე და გმირული დღეების უშუალო მოწმემ და მონაწილემ.

იმ დაუვიწყარ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე, რომლებიც ახლანდელთან შედარებით უფრო სტიქიური იყო, მაგრამ არანაკლებ მრავალრიცხოვანი და არანაკლებ გაბედულიც, ვაკრიტიკებდით, ვლანძღავდით, ვაგინებდით, მიწასთან ვასწორებდით სსრკ XX ყრილობის დელეგატებს, განსაკუთრებით ქართველებს, რომლებმაც, ჩვენი აზრით, არნახული ლაჩრობა გამოიჩინეს და კრინტი არ დასძრეს ყრილობაზე საკუთარი აზრისა და მრწამსის დასაცავად. ისინი ერთხმად უკრავდნენ ტაშს ნიკიტა ხრუშჩოვს და ბევრ მათგანს ტაშის დაკვრის დროსაც მკერდზე ისევ სტალინის გამოსახულებიანი მედლები და ორდენები ეკიდა. ახალგაზრდობის სახელით ჩვენ მათ პრინციპულობისათვის ვლანძღავდით, ისინი კი თურმე უფრო დიდი და საშიში დამნაშავენი ყოფილან. 1921, 1924, 1937 და მთელ შემდგომ წლებში სიტყვითა და კალმით ბოლშევიკურ ეშაფოტზე აგზავნიდნენ თავისსავე თანამემამულეებს, ჩვენს ნამდვილ მამებს, ბევრს თუ გზააბნეულს, ბევრს ჭეშმარიტ პატრიოტსა და საერთოდ კი უკეთეს ნაწილს ქართველობისას. ვაი, რომ ის არამზადები კიდევ ბევრჯერ და კიდევ ბევრგან წარმოადგენდნენ საქართველოს ხალხს, დელეგატების, დეპუტატებისა, თუ რწმუნებულთა სახით.

1956 წლის 9 მარტი ისტორიის კუთვნილება გახდა, კიდევ ერთხელ გამოადინეს სისხლი ისედაც სისხლდაცლილ საქართველოს, კიდევ ერთხელ ჩაიცვეს ქართველმა დედებმა შავები, კიდევ ერთი დღე გააშავეს საქართველოს კალენდარში. თერთმეტი წელი იყო გასული კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ომის დამთავრებიდან, სადაც საქართველომ თავისი მოსახლეობის მეოთხედი გაგზავნა, ყველაზე ჯანმრთელი, ყველაზე საღი და ყველაზე ძვირფასი ნაწილი საქართველოსი. დაჭრილები ჯერ კიდევ იშუშებდნენ ჭრილობებს, კიდურებდაგლეჯილები ჯერ კიდევ პროტეზებს ირგებდნენ, შინმოუსვლელებს ჯერ კიდევ ელოდნენ შინაურები.

საქართველო ჩუმად, მდუმარედ აბარებდა მიწას თავის მგზნებარე შვილებს, 9 მარტის მსხვერპლთ, ბევრი ოჯახი ალბათ - გვარის

ერთადერთ გამგრძელებელსა და უკანასკნელ იმედს. ხალხს დატ-
რების უფლებაც არ მისცეს. უდანაშაულო მსხვერპლნი ქურდულ
დავასაფლავეთ.

მოგვიანებით მიჩვენეს ტყვიები, რომლებსაც მაშინ გვესროდნენ. ტყვიების გარსაცემი სპილენძი სხვადასხვა ფერით იყო შეღებილი იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქიმიურ ნაერთში იყო ნაწრთობი და რა ხარისხის ტანჯვის გამოწვევა შეეძლო მოკვდინებამდე, ამიტომაც იშვიათია კაცი, რომელიც იმ ტყვიით დაჭრის შემდეგ გადარჩა. ყველაფერი გათვალისწინებული იყო, შურისმაძიებელნი არავის სჭირდებოდა, დაჭრილი უნდა მომკვდარიყო, მასთან ერთად უნდა დამარხულიყო წინააღმდეგობის გამოხატვის თვით სურვილიც. მიზანი ყოველგვარი საშუალებით გამართლებული და ეგებ ნაწილობრივ მიღწეულიც იქნა, მაგრამ ეს ჭირიც ზოგიერთივით მარგებელი შეიქნა, ბევრს აეხილა თვალი.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

1956 წლის 25 თებერვალს დამთავრდა კომპარტიის XX ყრილობა. ყრილობის დახურულ სხდომაზე კომპარტიის პირველი მდივნის - ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენებამ უდიდესი რეზონანსი გამოიწვია მთელს მსოფლიოში. ხუმრობა ხომ არ იყო, კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო და აღიარებული ლიდერი, „მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისა და მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი, პროლეტარიატის ჩაუქრობელი მზე, ყველა დროის უდიდესი გენია“ იოსებ სტალინი ხალხის მტრად და დამნაშავედ გამოაცხადეს.

ერთ მუშტად შეკრული მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა უმალ ორ ბანაკად გაიყო, ერთში აღმოჩნდნენ ნ. ხრუშჩოვის მომხრეები: გდრ, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, მონღოლეთი და სხვა. მეორეში - ჩინეთი, ალბანეთი, ჩრდილოეთ კორეა და რამდენიმე ბურჟუაზიული ქვეყნის კომპარტია მაო ძედუნის მეთაურობით. გამოუკვეთელი პოზიცია დაიკავა იუგოსლავიამ და რამდენიმე კაპიტალისტური ქვეყნის კომპარტიამ. პირველი ბანაკის წარმომადგენლები მოწინააღმდეგეებს შემდეგში დოგმატიკოსებს, ე.ი. მარქსიზმის დოგმატიკოსებს უწოდებდნენ, თავის თავს კი -

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედებით მარქსისტ-ლენინელებს, მოპირდაპირეები ანა-ზიონისტებს უძახდნენ, საკუთარ თავს კი - მტკიცე ლენინელ-სტალინელებს. დაბნეულმა სსრ კავშირის ხალხმა თავდაპირველად დუმილი არჩია. ერთადერთი - საქართველოს რესპუბლიკა ვერ შეურიგდა კომპარტიის კურსის ასეთ მოულოდნელ შემობრუნებას 180 გრადუსით.

გორის IV საშუალო სკოლის X კლასის მოწაფეებმა 1 მარტს კლასში შეკრებილი ფულით ნაყიდი პირველი ყვავილების გვირგვინი მივიტანეთ სტალინის მონუმენტთან გორში. მალე სტალინის გარდაცვალების დღის აღმნიშნავი კომიტეტი შევქმენით, რის შემდეგაც საქართველოს ყველა ქალაქში სტალინის ძეგლები ყვავილებში გაეხვია. ახალგაზრდობამ მალე მთელი ხალხი აიყოლია. ქუჩები და მოედნები ხალხით, ტრანსპარანტებითა და ყვავილებით აივსო. ბევრი რამ იყო გულუბრყვილო მაშინდელ პლაკატებსა და ლოზუნგებში. მაგრამ ერთი კი უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენდა: „სტალინი უდრის ლენინს!“

ახალგაზრდობის აბობოქრებას საზღვარი თითქმის არ უჩანდა, მოვითხოვდით კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრების გასამართლებას, მთავრობის რეორგანიზაციას. დაძაბულობამ და დაგროვილი ენერგიის აზვირთებამ კულმინაციას 9 მარტს მიაღწია. ეს დღე სტალინის დაკრძალვის დღე იყო. მაგრამ ვიღაცამ მოიგონა, რომ ეს დღე სტალინის მარჯვენა ხელად ცნობილი ვიაჩესლავ მოლოტოვის დაბადების დღეც ყოფილა და სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან შეგროვილ ზღვა ხალხს მოუწოდა, წასულიყვნენ თბილისის კავშირგაბმულობის სახლში მოლოტოვისთვის, როგორც სტალინის თანამებრძოლისა და მოწაფისათვის, იუბილეს მისალოცი დეპეშის გასაგზავნად. ხალხი მიაწყდა რუსთაველის პროსპექტს, იმ მანიფესტაციის არც ერთ წევრს აზრადაც არ მოსვლია რაიმე ძალადობისათვის მიემართა. მათ სურდათ, მიეღოთ დეპეშის გაგზავნის უფლება, მაგრამ მიუახლოვდნენ თუ არა მოწინავენი კავშირგაბმულობის სახლს, გაიღო კარები და ყველა სარკმელი, საიდანაც „ძამაცმა“ „სალდათებმა“ ავტომატისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლი გახსნეს. მალე ცეცხლი გაუხსნეს სანაპიროზეც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის ძეგლთან მდგარ ზღვა ხალხს. დახვრიტეს უბრალო, უდანაშაულო, მშვიდობიანი მომიტინგე ადამიანები, ახალგაზრდობა, რომელიც იმ იდეებს იცავდა, რისი დაცვისათვისაც მუდამ და ყველგან მოუწოდებდნენ.

განგებ თუ შემთხვევით, 9 მარტს დილიდან ქალაქის კინოთეატრების აფიშებზე უცნობი კინოსურათის დასახელება გაჩნდა - „ამ საღამოს ყველაფერი დამთავრებული იქნება". სამწუხაროდ, კინოსურათის საყურებლად არავის ეცალა. საღამოს მართლაც ყველაფერი დამთავრდა, თუმცა სროლა 10 მარტსაც ისმოდა ქალაქის ქუჩებში.

მსოფლიო პროგრესული აზრი ერთხმად გმობდა კრემლის ბანდიტების მოქმედებას, რომის პაპმა დასწყევლა ნიკიტა ხრუშჩოვი და ბულგანინი. ეს წყევლა ორივეს აუხდა.

1924 წლის ხოცვა-ულეტიდან 9 მარტის ტრაგედიამდე 32 წელი იყო გასული. გაივლის კიდევ 33 წელი და იმავე ადგილზე იმავე ძალის მიერ ახალი საშინელებით განმეორდება 9 აპრილის ბევრად შემზარავი ტრაგედია. მამებს 1956 წლის 9 მარტს გვხოცავდნენ, შვილებს - 1989 წლის 9 აპრილს.

რისთვის გასწირა თავი 9 მარტს ქართველი ახალგაზრდობის ნაწილმა? 3 წლის წინათ გარდაცვლილი სტალინისათვის? არა! „მგზნებარე ლენინელს" რომ სტალინი კი არა, სტალინიზმი გაეკრიტიკებინა, არაფერი მსგავსი არ მოხდებოდა, მაგრამ გაკრიტიკება სტალინის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობისა გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ მისი ქართული წარმოშობით და ეს ძალიან კარგად აღიქვა ქართველობამ. ახალგაზრდობა აღსდგა არა სტალინის, არამედ საკუთარი მრწამსისა და საშობლოს დასაცავად (ამიტომაც დამკვიდრდა ჩვენში ჭირსა თუ ლხინში 9 მარტს დაღუპულ პატრიოტთა სადღეგრძელო), ქართველობა აღსდგა თავისი მეობის დასაცავად.

იმპერიამ ეს ვერ აიტანა.

საბედნიეროდ, მამების სათქმელი შვილებმა დაამთავრეს.

„ახალგაზრდა ივერიელი", 1991 წ. 9 მარტი



თეიმურაზ მეტრეველი

ნუ დაღონდები, სიცოცხლევ!

სარედაქციო ფოსტის კითხვისას

უცნაური და ამოუცნობია ცხოვრება.

რა მოულოდნელად გვაგრძნობინებს იგი ზოგჯერ, რომ თურმე განუყრელია ბევრი ადამიანის ბედ-იღბალი მაშინაც კი, როცა ისინი ერთმანეთს პირადად არ იცნობენ. ოღონდ, ცხადია, უნდა შეგეძლოს, დაინახო და იგრძნო ეს ისევე, როგორც იგი ჩვენი გაზეთის მკითხველს - ნაზი ბენიძეს განუცდია.

„დიდი ხანია, ვერ გამომითქვამს, რაც ჩემს სულს აგერ 33 წელია მოსვენებას არ აძლევს", - გვწერს ქალბატონი ნაზი. და მერე ცდილობს, ხსოვნაში ასე ნათლად და მტკივნეულად აღბეჭდილი 1956 წლის 9 მარტის ბობოქარი მოვლენები აღადგინოს.

ერთ მუშტად შეკრულა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ანთებული ახალგაზრდობა. მათ გვერდით არიან, მათ ტკივილსა და სასოებას თანაზიარობენ საყვარელი მასწავლებლები. აქ, ამ წერილში, კერძოდ, ღვაწლმოსილი პედაგოგების - ქეთევან მარგველაშვილის, ნადეჟდა ახვლედიანის, ნადეჟდა კუსრაშვილის, ვანო ფანჯიკიძის, გიორგი ჯავახიშვილის სახელები გაიელვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ანაზდად ბარათის ავტორი მოგონებას წყვეტს და წლევანდელი გაზაფხულის ტრაგიკულ მოვლენებთან ავლებს პარალელს: გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებული ჩვენი ცნობილი მეცნიერის - შალვა ხიდაშელის წერილს იმოწმებს: „მსგავსი საშინელების მსხვერპლნი გახდნენ 33 წლის წინ, 1956 წლის 9 მარტს ახალგაზრდები. ამ ახალგაზრდების სახელები დავიწყების ფერფლით იფარება. უკვდავვყოთ მათი გვარები და სახელები, სანამ მათი ვინაობის დადგენა ჯერ კიდევ შეიძლება“.

ერთი ასეთი ახალგაზრდა ყოფილა სწორედ 18 წლის გოგონა, ნაზი ბენიძის სეხნია და მოგვარე!

მისი სახელი და გვარი ტრაგედიის მეორე დღეს დაღუპულთა სიაში უნახავთ. ბედად გადარჩენილი ნაზის სახლის კარებთან უამრავ ახალგაზრდას მოუყრია თავი, მაგრამ თურმე შიშით ვერავინ ბედავდა შინ შესვლას. ყველას ეგონა, რომ მათი ამხანაგი დაღუპული იყო. ზარდაცემული მოვარდნილა მასწავლებელიც, აწ განსვენებული ქეთევან მარგველაშვილი და როცა თავისი აღსაზრდელი ცოცხალი დაუნახავს, სიხარულისაგან გული წასვლია, მაგრამ, ვაი რომ, უნუგეშო აღმოჩნდა ნაზი ბენიძის სეხნიისა და მოგვარის ახლობელთა წუხილი.

როცა ვითარება მცირეოდენ ჩაწყნარებულა, ნაზის და მის მეგობრებს მიუკითხ-მოუკითხავთ და გაურკვევიათ, 9 მარტს დაღუპული გოგონა იმ საბედისწერო დღეს თურმე თელავიდან ჩამოსულა თბილისში.

“მაშინ რა ვიცოდი, რომ სანაპიროზე ორი ნაზი ბენიძე ვიდექით, - წერს ჩვენი მკითხველი, - ორივეს ერთნაირი გრძნობით გვიძგერდა გული, ოღონდ ეს არის, ჩვენგან ბედისწერას თურმე ერთ-ერთი უნდა გაეწირა.

ახლა, რამდენჯერაც ჩავივლი სანაპიროზე, არ შემიძლია, არ ჩავიდე იმ კიბეზე, არ გავჩერდე რამდენიმე წუთით და არ მოვიგონო ყველაფერი, რაც თავს გადაგვხდა“.

„კომუნისტი“, 1989 წ. 1 მაისი

12. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო კანდელაკი-შანიძისა

გოლების კელელი

...ჯერ მთავარი ფოსტის სახურავიდან დაუშინეს ტყვიები, მერე სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან წამოეწივნენ გაქცეულებს. იქ ტანკები სრესდნენ უმწეო გოგო-ბიჭებს. ჩემი თვალით ვნახე, როგორ ააგეს ქალიშვილი ხიშტზე (შემდეგ გავიგე, ის ქალიშვილი სტუდენტი გულიკო სვანი ყოფილა).

ალბათ იფიქრეთ, რა მინდოდა შუაღამისას ქუჩაში. მოგახსენებთ: სამ ბავშვს ვზრდიდი. დედით ობლები იყვნენ. უმცროსი - თენგიზი ბებიამ გაგზავნა ბიძასთან. უფროსებმა დაიბარეს, აბანოში მივდივართო. საღამოს ათი საათი იქნებოდა, დედამთილს ვუსაყვედურე, - ბავშვი რატომ გაუშვით-მეთქი. გული ცუდს მიგრძნობდა. ცოტა ხანში უფროსი ვაჟი აღელვებული შემოვარდა. - ბიჭები სად არიან, სროლაა, ბავშვებს ხოცავენო. გიჟივით წამოვხტი, მეგონა, ომი დაიწყო. ბიჭმა „დამამშვიდა", - ომი არა, ჩვენები გვესვრიანო. ამასობაში შუათანაც მოქანდა შეშინებული, - გვაპატიე, აბანოში არ წავსულვართ, ყველაფერი კიბის ქვეშ დავმალეთო.

გავცვივდით სახლიდან. ენაჩავარდნილი ჩემი მეუღლე ეზოში შეგვხვდა. სასაკლაო საკუთარი თვალით ენახა და არ სჯეროდა, - როგორ, მამები შვილებს ხოცავენო?! შუათანა ბიჭს ხელი მოჰკიდა და გაიქცა. მე და ჩემი უფროსი ვაჟი ერთად წავედით თენგიზის საძებნელად.

მთელი ღამე ვეძებდით. სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან ჩავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით და იქ ვნახეთ ის უბედურება. ბავშვი რომ არ მოეკლათ, წავ-ვაქციე და ზემოდან გადავეფარე. დღესაც არ ვიცი, როგორ გადავრ-ჩით. ერთიანად სისხლში ვიყავით მოსვრილი.

როცა წამოვდექი, დავინახე, გვამებს აგროვებდნენ, მანქანებზე აწყობდნენ და მიჰქონდათ. სად - არ ვიცი.

არ მახსოვს, დარეტიანებული და დაზაფრული როგორ მოვხვდი კამოს ქუჩაზე. გზები სულ გადაკეტილი იყო, ყველგან ტანკები იდგ-ნენ. შემლილივით შევვარდი საავადმყოფოში. მორიგე ექიმმა მიცნო, - დეიდა ნინო, ვის ეძებთო. როცა ვუთხარი, - თენგიზ შანიძეს-მეთ-ქი, დამამშვიდა, - ცოცხალია, მხოლოდ ზურგშია დაჭრილი და ოპე-რაციას უკეთებენო. ჩემი მეუღლე და შუათანა ვაჟი უკვე მოსუ-ლიყვნენ...

დილამდე თავზე ვადექი. დილით ქალების კივილი მომესმა. იქ-ვე უგრძნობლად იწვა რეზო გოგია. ტყვია თავში ჰქონდა მოხვედ-რილი. მასაც დედა ადგა თავზე. ისე გარდაიცვალა, ხმა არ ამოუ-ღია. გამთენიისას ჩემმა თენგიზმაც დალია სული...

33 წელიწადს დავდიოდი სასაფლაოზე. მხოლოდ წელს ვერ შევ-ძელი წასვლა. ავადმყოფობამ შემიშალა ხელი. 9 მარტის, საერთოდ, „ცხრის“ წერაც და თქმაც ძალიან მიჭირდა. ახლა 9 აპრილი... ღამეები არ მძინავს, ცრემლი არ მიშრება, ასეთი საშინელი ბარბა-როსობა ისტორიას არ ახსოვს...

„მამული“, 1989 წ. 1 ივნისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კარლო ადეიშვილი

9 მარტის მწუხრი

„აქ დაიდგმება 9 მარტს დაღუპულთა მემორიალი“ - ასე აწერია მარმარილოს უზარმაზარ შავ ლოდს მეფისნაცვალ ვორონცოვის „მშრალ ხიდთან“, სკვერის შუაგულში.

არავინ იცის, როდის ან რომელი ხელისუფლება აღასრულებს ამ დანაპირებს. სირცხვილი იმათ, ვინც დაივიწყა 9 მარტისა და 9 აპრილის გოლგოთას ღამეები. ძალიან „ივაჟკაცეს“ რუსებმა ორივე ცხრაში. შერჩათ ჯალათებს მაშინაც და მერეც. ძეხორციელი არ დასჯილა, ბეწვიც არ ჩამოვარდნია ვინმეს. ჩრდილოეთი მაინც „ძმა“ ყოფილა, ურუსოდ დავიღუპებით! გვინდა თუ არა, მაინც მისი გავლენის სფეროში უნდა შევძვრეთ.

რა დამავიწყებს 56-ის მარტის დასაწყისს ნისლიან თბილისში. ქუჩებში გამოსულ ხალხს, ზღვასავით მღელვარეს, ყალყზე შემდგარს, ეროვნული განწყობა ყველგან და ყველაფერში რომ იგრძნობოდა.

ყვავილებით, გვირგვინებით მოდიან პროცესიები მტკვრის სანაპიროსაკენ, როგორც მოდიდებული მდინარე ზღვისკენ. ამ პატარა სკვერის შუაგულში მაღალ კვარცხლბეკზე დგას ქვაში გასხეულებული, უამრავი ყვავილ-გვირგვინით შემკობილი სტალინის ძეგლი. დილიდან გვიან ღამემდე მოდიან, მოაქვთ დროშები, ლოზუნგები, პორტრეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღითიდღე მატულობს დემონსტრანტთა რიცხვი. მოდიან ეროვნულ-მიანი მოწაფეები, სტუდენტები, დაზგებმიტოვებული მუშები, ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრები გლეხები. მოდიან ვინ როგორ და ვინ რატომ. ეროვნული სულით შეპაჯრულნი თუ მოსეირენი.

- გორი, - ისმის ჩურჩული ხალხში, მაინც გორია წინა პლანზე, თბილისიდან გორში, გორიდან თბილისში და არავინ ეპუება მოსკოვს, საავდროდ კოპებშეკრულს, გამწყრალსა და ავის მოსურნეს.

შეფარვით ჩანს, სტალინი საბაბია, მიზეზი სულ სხვა - პროტესტი წლობით დაგუბებული ბალღამი რუსის რეჟიმის 200 წლის ბატონობისა ქართულზე და ქართველზე, ზიზღი კომუნისტური შოვინიზმისა, მომეტებულად კრემლისა, ხრუშჩოვისა, სტალინის ძველი „თანამებრძოლებისა“...

მთლად აირია ქალაქი, აიჭრა ცხოვრება, მოიშალა საქალაქო ტრანსპორტი. ავტობუს-ტროლეიბუსების სვლაგეზს მოქალაქეები განაგებენ ნებით თუ ძალით. რუსთაველზე თავისნება დაჰქრიან კერძო და სახელმწიფო მანქანები საქართველოს დროშებით და სტალინის პორტრეტებით. - დიდება სტალინს! დიდება ჯუღაშვილს! - ხმის ჩახრინწვამდე ყვირიან პატარა გოგო-ბიჭები. პროსპექტზე გარდიგარდმო ჩახერგილან ტროლეიბუსები. ორატორები მგზნებარედ მოუწოდებენ ხალხს, უკვდავყონ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, მამა და მასწავლებელი, საარაკო მთავარსარდალი, გენერალისიმუსი, საბჭოთა კავშირის გმირი იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი - სტალინი.

ეს ყველაფერი დღეს ხდება. გუშინ, შუადღისას ჭავჭავაძის პროსპექტზე უნივერსიტეტის IV კორპუსის აივანზე გამოვეფინეთ. სტუდენტთა ქალაქიდან დემონსტრანტების ვრცელი კოლონა მოედინება. ორგანიზებულად, ფეხაწყობილნი, თავაწეულნი მიემართებიან საქართველოს ცისფერმზიანი დროშებით. სულ თავში სტალინის შავბაბთაშემოვლებული უზარმაზარი პორტრეტი მოაქვთ. კოლონას ვასილ მჟავანაძე მოუძღვება. გრილი ნიავი მელოტზე გადმოფარებულ თმაბუჩქს უფოფრავს. უჭირს ქედმაღალს. ერთი ხელი სტალინის პორტრეტის ძგიდისთვის ჩაუვლია, მეორე - თმაბუჩქისათვის. მაინც კისერმოღერებული მოდის, ამაყად, ერის თავკაცი, წინამძღოლი და მოჭირნახულე. კომედიური მიზანსცენაა. ყველას ღიმილი

დასთამაშებს ამის შემყურეთ. ხალხის აღზევებას უფრთხის პოლიტ-ბიუროს კანდიდატობის კანდიდატი, მოსკოვის რისხვის ეშინია და ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებს.

სამსახურის შემდეგ, საღამო ხანს, ერთად დავდივართ ამ ექსპრომტულ, უჩვეულო საპროტესტო სანახაობაზე მე და ჩემი ყრმობის ძმაკაცი და მეზობელი ნოდარ ძნელაძე.

ერთი კოლონა ვერის ბაზართან, ბელინსკის ქუჩის კუთხეში ჩერდება. ბიჭები მაღლა ისვრიან ორატორს: „ძია იოსებ (საუბარია პოეტ იოსებ გრიშაშვილზე), სტალინის სეხნიავ, აივნიდან სიტყვა გვითხარ, ძია სოსო, შენ ხომ გიყვარდა ის დიდი კაცი, ქება-დიდებას ლექსებად უგალობდი“... არავინ იხედება. - ალბათ შინ არაა პოეტი, - ვიმშვიდებ გულს. ყოველ შემთხვევაში, მინდა, რომ ასე იყოს.

კვლავ და კვლავ ხელში იტაცებენ ორატორებს. თავისუფალი მგზნებარებით, აზრით დატვირთული ლოგიკით ჭეშმარიტ რევოლუციონერებს წააგავენ ეს ჩემი ყრმა თანამემამულენი. კინოთეატრის წინ, გორკის „დედის“ აფიშასთან ისეთ პარალელს ავლებენ ფილმსა და თბილისში მიმდინარე მოვლენებს შორის, გამოცდილ ორატორს შეშურდება.

კარგა შეღამებულზე ვაღწევთ ძეგლს. ზღვის მიმოქცევას წააგავს ხალხის ტორტმანი. საორგანიზაციო ჯგუფს კარგად მიჰყავს მიტინგი. - ნათელა ბუცხრიკიძე,- აცხადებს წამყვანი. „სტალინი გვიხმობს“ - კითხულობს ლექსს ქუთაისიდან სულ ახლახან ჩამოსული გოგონა. ტაშის გრიალში იძირება მისი ხმა.

“ქარი არა ქრის, ქარი არა ქრის, მაინც მწვერვალებს ედება ქარი“ - ვიმეორებ გულში. არც წვიმს, არც თოვს და მაინც პირქუშია ღამე, სიმძიმისგან დაბლა ჩამოწოლილი, რაღაც ჯოჯოხეთის მომლოდინე. ჩვენი მილიცია უიარაღოდ პატრულირებს, საოცრად ლმობიერია, ზრდილობიანი, დამყოლი, გაოგნებულად მორჩილი. თავისუფლების პრელუდიას ჰგავს ეს ყველაფერი. ჯერუნახავი, შეუცნობელი, ილუზიური, სანატრელი, გულის კანკალით ფინალამდე ამოუცნობი.

უცბად საოცარი სიჩუმე დგება და ამ სიჩუმეში ისმის ტყვიამფრქვევის კაკანი რუსთაველიდან, ჯორჯიაშვილის ქუჩიდან, კავშირგაბმულობის სახლიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭები მორბიან, ეტყობათ, დაჭრილები არიან, გვესვრიან. იმ არეულობაში ნოდარი დავკარგე.

მივაღწიე კავშირგაბმულობის სახლს. სასტუმრო „თბილისთან" პირდაპირ პარმაღზე საბრძოლო მზადყოფნაში დგას ჯავშანმანქანა „ბეემპე". ფეხი რომ შედგა საფეხურზე, იქვე დაგცხრილავს მეავტომატე, გადათელილ სკვერში სისხლიანი ქუდები ყრია. ჩაფხუტიანი მეავტომატეები სასტუმროს სახურავიდან აკონტროლებენ რადიოსადგურის შესასვლელს. სასტუმროს კუთხის შუშები ჩალეწილია, კედლები - დაცხრილული.

უკან რომ გამოვბრუნდი, ნოდარი სახლში დამხვდა. მიამბო, როგორ მიაწვნენ ჯარის ნაწილები მომიტინგეებს სტალინის ძეგლთან, სანაპიროზე. როგორ ცვიოდნენ მტკვარში ორლესული ხიშტით გულგაპობილი გოგო-ბიჭები, როგორ მიჰქონდა წყალს მათი გვამები.

დაჰქროდნენ სასწრაფო დახმარების მანქანები. მალულად გაჰყავდათ დაჭრილები ქალაქის განაპირა საავადმყოფოებში, იქიდან კი სახლში აპარებდნენ „პოლიტდამნაშავეებს".

მერე, კვირის მანძილზე, ჩუმად, 6-7 ჭირისუფლის თანხლებით კრძალავდნენ დაუტირებელ ცხედრებს. არავითარი პანაშვიდები, წესის აგება, სამგლოვიარო პროცესიები.

ეს იყო ამ 43 წლის წინ თბილისში, გუშინდელივით მახსოვს, ნოდარი ჩუმად ივჯდა. მერე დანისლული თვალებით შემომხედა და ამოიგმინა: - რა ვქნათ? სანამ უნდა გავუძლოთ ბედის ლახვარს?

ამას წინათ მთავრობის სახლთან ჩამოვიარე. შავ მარმარილოსთან შევჩერდი. 9 აპრილის მგლოვიარე დღეები მომაგონდა.

თავჩაქინდრული გავშორდი იქაურობას და ვერც შევამჩნიე, როგორ აღმოვჩნდი „მშრალ ხიდთან", გვირგვინებით მორთული სტალინის ძეგლი მომელანდა, ზღვა ხალხი, მიკროფონში გამომსვლელთა ხმები, კიკა ხრუშჩოვის ვოიაჟი პლეხანოვის პროსპექტზე...

სამჯერ პირჯვარი გადავიწერე და 9 მარტს და 9 აპრილს გარდაცვლილთა ლოცვა-კურთხევა აღვასრულე: - მოიხსენიე, უფალო, სული მათი...

ჟურნალი „ნოსტალგია", 1999 წ. აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ არავიაშვილი

აი, ასეთი იყო 1956 წლის 9 მარტი

1956 წლის 4 მარტი. მტკვრის სანაპიროსთან, ალექსანდრეს ბაღში აღმართულ სტალინის ძეგლის კვარცხლბეკზე რამდენიმე ყვავილი გაჩნდა. თბილისი უჩვეულო მდუმარებას მოეცვა. ალაგ-ალაგ ჯგუფებად შეკრებილი ახალგაზრდების ჩუმი და ცხარე კამათი ისმოდა. კვარცხლბეკი ყვავილებით გაივსო, გაჩნდა გვირგვინებიც. ვიღაც თამამმა ახალგაზრდამ თავის ოთხი წლის გოგონას სტალინზე ლექსი ათქმევინა. ეს იყო რაღაც უცნაურის დასაწყისი. გოგონა საშუალო სკოლის გოგო-ბიჭებმა შეცვალეს, გაჩნდნენ ორატორებიც. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა ხელმძღვანელობა იკისრეს. ხალხმრავალი მიტინგის დაშლა მილიციამ ვეღარ შეძლო. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მთელმა საქართველომ და საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკამ გაიგო. ცნობა წავიდა საზღვარგარეთაც.

1956 წლის 5-6-7-8 მარტის მიტინგები ორგანიზებულია, რომელიც დილიდანვე იწყება. მიტინგების მსვლელობის მთავარი თემა, თავისთავად ცხადია, შეეხებოდა მაშინდელი მთავრობის მიერ, ხრუშჩოვის ხელმძღვანელობით, სტალინის კულტის დაგმობას, რამაც ახალგაზრდობაში წინააღმდეგობის ძლიერი ცეცხლი დაანთო. თერთმეტი კაცისაგან შემდგარი კომიტეტი ორგანიზებულად უძღვებოდა 300-ათასიან მიტინგს. მიტინგი მიმდინარეობდა აგრეთვე ლენი-

ნის მოედანზე, სადაც გამოყენებული იყო სიტყვით გამომსვლელთათვის ძველი, მთავრობის საზეიმო ტრიბუნა, ამავე დროს ქალაქის ქუჩებში ავტობუსებით, სატვირთო და მსუბუქი მანქანებით მოსიარულე ახალგაზრდები ლენინ-სტალინის სახელის ძახილით, დროშების ფრიალით, ყიჟინით ხალხს მოუწოდებდნენ, მონაწილეობა მიეღოთ მიტინგში. იჭრებოდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებში, ინსტიტუტებში და კომიტეტის სახელით მოუწოდებდნენ საერთაშორისო გაფიცვისაკენ. მთელმა საზოგადოებამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი კომიტეტის გადაწყვეტილებას. თბილისი რამდენიმე საათში პარალიზებული იქნა, საქართველოს ყველა ბეჭდვითი ორგანო და აგრეთვე რადიო თითქოს ხალხის გავლენის ქვეშ მოექცა. იბეჭდებოდა სტალინზე დადებითი სტატიები. რადიო მთელი დღის განმავლობაში სტალინზე ლაპარაკობდა და მღეროდა. ეს იყო მთავრობის დროებითი დათმობა ხალხისადმი, რათა როგორმე დაეშალა მიტინგი. მათ, რომლებიც მიტინგებზე არ დადიოდნენ და ახსოვთ, ქუჩებში ლენინ-სტალინის სახელების ძახილით მოსიარულე ახალგაზრდები, ადვილად შეუძლიათ თქვან, ამტკიცონ, რომ ეს იყო და მეტი არაფერი, სტალინის გულისათვის დაიხოცნენ, მაგრამ ეს არ არის მართალი.

ტრიბუნებიდან განუწყვეტლად გაისმოდა:

- გაუმარჯოს სიტყვის თავისუფლებას!...
- ჩვენ არა გვსურს მონური ცხოვრება!...
- გაუმარჯოს ნამდვილ დემოკრატიას!...
- დაცული იქნეს ადამიანის უფლებები!...

პლაკატებიც იგივეს ღაღადებდა. მართალია, სტალინი ფიგურირებდა, მაგრამ დავაკვირდეთ და შემდეგ გავაანალიზოთ გამონათქვამი სიტყვების და წინადადებების არსი:

„ლენინ-სტალინის იდეებით გაგვზარდეთ, დღეს კი თვითონვე გმობთ ყველაფერს. შორს ჩვენგან მატყუარა მთავრობა“. „მოგვეცით მიცვალებული და ჩვენ მას გორში დავასვენებთ, აღარც ჩვენ ვიქნებით თქვენთან, გამოვეყოფით საბჭოთა კავშირს. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!...“

ტრიბუნაზე ძალით გამოჰყავდათ სტალინის პრემიის ლაურეატები, მწერლები, პოეტები, ისტორიკოსები, მთავრობის ხელმძღვანელები, აგრეთვე პარტიის ლიდერები, მიტინგებზე მონაწილეობას ღებულობდა საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი. ერთა შორის გათიშვა არ არსებობდა, პირიქით, ერთ მუშტად შეკრულნი წინააღმდეგნი იყვნენ იმდროინდელი, როგორც საქართველოს, ასევე საბჭოთა კავშირის მთავრობის ხელმძღვანელობისა. ხალხმრავალ მიტინგს აძლიერებდა სხვადასხვა რესპუბლიკებიდან სოლიდარობის ნიშნად ჩამოსული ასობით წარმომადგენელი. 8 მარტს მიტინგი უძლიერეს ძალად გადაიქცა. ტალღად აზვირთებული ხალხი სამართალს მოითხოვდა. მოითხოვდა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების გადადგომას. უკვე აღარ იყო ძალდატანებითი გამოსვლები. სტუდენტებს მუშები ცვლიდნენ, მუშებს - ინტელიგენცია. საღამოს 9 თუ 10 საათი იქნებოდა, კომიტეტიდან გაიგზავნა დელეგაცია საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში პირველი მდივნის მოსაყვანად. ამ დროს ვასილ მჟავანაძე იმყოფებოდა კრწანისში ჩინეთის შეიარაღებული ძალების მინისტრთან - ჯუ დესთან, რომელიც საქართველოში სტუმრად იყო ჩამოსული. ვ. მჟავანაძე დაემორჩილა ხალხის ნება-სურვილს, გამოვიდა მიტინგზე და აღუთქვა, რომ მათს მოთხოვნებს გადასცემდა მოსკოვს. პასუხს 12 საათისათვის დაგვპირდა. არ შეიძლება დაიმალოს და არ ითქვას, მიტინგის სახელით კომიტეტის მიერ შედგენილ 11-პუნქტიან დადგენილებაზე. ყველას ჩამოთვლა ძნელია, რაც მთავარია, ერთ-ერთი პუნქტის შინაარსი ასეთი იყო:

- გადაყენებული იქნან არსებული პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, არჩეული იქნას ახალი მთავრობა მოლოტოვის ხელმძღვანელობით.

თორმეტი საათის მომლოდინე ხალხი ცოტა დამშვიდდა. გაისმა სიმღერები. „გაფრინდი შავო მერცხალომ“ ღამის წყვდიადი გააპო. ათასობით კაცის ხმა თბილისის გარეუბნებს სწვდებოდა, გაიმართა ცეკვა-თამაში, ლექსებით გაჯიბრება.

მაშინ 27 წლის ვიყავი, მეუღლეს ვუთხარი, - შესაძლებელია -

პასუხი მოსკოვიდან საშინელი იყოს, სად გაიქცევი წლინახევრის ბავშვით ხელში, მეც ხელს შემიშლი, წაგიყვანთ სახლში და ... დავბრუნდები. მეუღლე ყოყმანით დამთანხმდა.

გული რაღაც საშინელებას გრძნობდა, 30 წუთის შემდეგ ისევ ადგილზე ვიყავი. ისევ სიმღერა, ისევ ცეკვა, პასუხს კი 20 წუთიღა აკლდა. და, აი, შეწყდა სიმღერა, შეწყდა ცეკვა, აზვირთდა ხალხი, მიაწყდა ტრიბუნას. ლენინის მოედნიდან ორმა ახალგაზრდამ მხრებში შებრჯენით აიყვანეს ახალგაზრდა ტრიბუნაზე. - უთხარი ხალხს, რაც მოხდა, უთხარი!- უმეორებდნენ. სამარისებური სიჩუმე სუფევდა. ახალგაზრდამ მკერდის მარცხენა მხრიდან სისხლით გაჟღენთილი ცხვირსახოცი ამოიღო: - გვესვრიან, აგრესორები. არ შეშინდეთ, გაუმარჯოს თავისუფლებას! შემდეგ მოდუნდა. თავი გვერდზე გადაუვარდა. იგი იყო მიტინგის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც 12 საათამდე მოკლეს. ტანკების ხმაურმა ღამის წყვდიადი შეაზანზარა. ხალხი არ შეშინდა, მაგრამ შეშფოთება იგრძნობოდა. ზოგი მაინც დაიძრა მარქსის სახელობის ხიდისაკენ, აქ კი ქალიშვილები პირქვე გაწვნენ და მთელი ხიდი შეავსეს. - გადაგვალაჯეთ, ლაჩრებო, დედა შეირთოს მან ცოლად, ვინც ახლა თავს დაგვანებებს და სახლებში წავა, მაგრამ ნამდვილად აღმოჩნდნენ ზოგიერთები, რომლებმაც ქალიშვილების ბეჭებზე გადარბენით თავს უშველეს. ტანკების ალყაში მოემწყვდა მთლიანად მიტინგი. კომიტეტმა ხალხი ორ ნაწილად გაყო, ნახევარი გაიგზავნა კავშირების სასახლეში, დარჩენილები მიტინგის მსვლელობას მისდევდნენ.

სანაპიროს ხალხს შეუერთდნენ ლენინის მოედნიდან. ათიათასობით კაცი თეთრი დროშებით მიადგა კავშირების სახლს, რამდენიმე წუთის შემდეგ რუსთაველის გამზირი ხალხით გაიჭედა.

კავშირების სახლის მეორე სართულიდან ავტომატების ცეცხლი გაიხსნა, ხალხი მოიცელა. თვალებს არ ვუჯერებდით. თვით შესასვლელიდანაც გახსნეს ცეცხლი. ხალხს უკან დასახევი გზა არ ჰქონდა, დაიცალა რუსთაველის გამზირი. ათობით მკვდარი და დაჭრილი დარჩა ქუჩაში, ხალხმა დაიწყო ბარიკადების აგება, რისთვისაც გამოიყენეს ავტობუსები, ტროლეიბუსები და სატვირთო მანქანები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწინ მიდგას, დაცარიელებულ გამზირზე ახოვანი, ჭაღარაშეპარული ხანში შესული კაცი ყვირილით რომ მოაბიჯებდა: - რას შვრებით, ფაშისტებო! ვის შვილებს ხოცავთ!... მეტის მთქმელი აღარ იყო, ტყვიამ დანარჩენი სათქმელი ტუჩებზე შეაყინა.

რა ხდებოდა ამ დროს სანაპიროსთან? ტანკები პირდაპირი მიმართულებით ხალხისკენ დაიძრა. გასაქცევი გზა ყველა მხრიდან ჩაკეტილი იყო. ხალხი ერთმანეთს თელავდა, აწვებოდნენ სანაპიროს მოაჯირს, მრავალი მათგანი უნებურად ვარდებოდა მტკვარში და იხრჩობოდა.

გათენდა. მანქანები კვლავ დაჰქროდნენ თბილისის ქუჩებში შავარშიიანი დროშებით, აღარ გაიძახოდნენ ლენინ-სტალინს. ისმოდა მრისხანე ხმები: - ჯალათებო, აგრესორებო, მკვლელებო!...

მოკლულებს მშობლები ან ახლობლები შემთხვევით თუ პოულობდნენ. ვისაც ეს „ბედნიერება“ ხვდა, მიცვალებულს სამი ან ოთხი კაცი ასაფლავებდა. საავადმყოფოში მოხვედრილ გვამებს პატრონებს არ უბრუნებდნენ. და თუ ვინმე ახერხებდა დიდის ნაცნობობით, ფარულად მიჰყავდათ ცხედარი სახლში, დამწუხრებული დედები შიშისაგან შავებს ვერ იცვამდნენ, რომ მთელი ოჯახი არ გაენადგურებინათ, აი, ასეთი იყო 1956 წლის 9 მარტი.

„ელექტრიკოსი“, 1990 წ. 9 მარტი

ჯონდო გვასალია

სისხლიანი 1956

ფაქტისა თუ მოვლენის ფიქსირება მაშინვე ან უახლოეს პერიოდში მაინცაა საჭირო და სასურველი. მაგრამ ხდება, რომ სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო ამას ვერ ახერხებ. მეც ასე დამემართა. მაგრამ, ვფიქრობ, დროის დიდი გადასახედიდანაც შეიძლება არ იყოს ინტერესმოკლებული 1950-იანი წლების გახსენება, მით უმეტეს, რომ მათი დაღი მთელი სიცოცხლის მანძილზე მოგვყვება.

1953 წლის 5 მარტი. რადიომ გადმოსცა ცნობა ი. სტალინის გარდაცვალების შესახებ. ჩვენ ყველანი, ჩემი ოჯახის წევრები, მეხდაცემულებივით ვიყავით. გვეგონა, რომ ზეცა ჩამოგვენგრა, ქვეყანა დაიქცა, გაოგნებულები, სასოწარკვეთილები ვიყავით. სტალინმა ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა ქვეყანაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, რომ ჩვენი საზოგადოების ყველა მიღწევას, ყველა გამარჯვებას მის სახელთან ვაკავშირებდით.

დაბნეული ახალგაზრდები (მაშინ 20 წლისა ვიყავი) ერთმანეთს ვეკითხებოდით: - როგორღა უნდა ვიცოცხლოთ? ქვეყანა როგორ იარსებებს სტალინის შემდეგ?

ეს არ იყო რიტორიკა. ჩვენი რწმენა გულწრფელი იყო და მტკიცე. ჩემი მეგობარი კაცი თავის დედასა და ბაბუას ეუბნებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოღონდ სტალინს ეცოცხლა და გინდა თქვენ დახოცილიყავით“. ეს არ იყო პოზა, ეს იყო ნაღდი, გულწრფელი გლოვა მამისა და მასწავლებლისა, რომლის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოგვედგინა.

სტალინი ჩვენთვის - ახალგაზრდა ქართველებისათვის დიდ საერთაშორისო ფიგურასთან ერთად იყო ეროვნული გმირიც, ეროვნული გენია, რომლის მსოფლიო დიდება ესალბუნებოდა ქართულ თავმოყვარეობას. ჩვენ ვამაყობდით სტალინით და ამასთან ერთად გვეამაყებოდა ქართველობა. ამიტომ უსაზღვრო იყო ხალხის გულისწყრომა და აღშფოთება, როდესაც 1956 წლის დასაწყისში გავრცელდა ხმები სტალინის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული „დახურული წერილის“ შესახებ.

თბილისის და საქართველოს მოსახლეობა მოიცვა „დახურული წერილის“ მიმართ საპროტესტო განწყობილებამ. ქართველი საზოგადოება იმ პერიოდში სტალინის კრიტიკას აღიქვამდა ეროვნული თავმოყვარეობის, ეროვნულ გრძნობათა შელახვად. არც უამისობა იყო. ადრე აგრე პატივსაცემი ქართველობა თითქმის სალანძღავად იქცა. არც ხრუშჩოვი იყო კეთილგანწყობილი ქართველების მიმართ. ამიტომაც ქართულმა საზოგადოებრიობამ და განსაკუთრებით ახალგაზრდობამ მწვავედ აღიქვა 1956 წლის თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა.

1956 წლის მარტის დასაწყისის თბილისში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა. მოვლენები თითქოს სტიქიურად ვითარდებოდა, მაგრამ ჰქონდა ერთი სისტემური ორგანიზაცია. ყველაზე უფრო აქტიურობდა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტობა.

1956 წლის 5 მარტს, შუადღის 12 საათისათვის, სტუდქალაქიდან სტუდენტთა კოლონა ჭავჭავაძის პროსპექტით დაიძრა უნივერსიტეტისაკენ. ხელში ეჭირათ ტრანსპარანტები წარწერით: „დიდება დიდ სტალინს!“ სტალინის სურათები და გვირგვინი. უნივერსიტეტთან მანიფესტანტებს შეუერთდა სტუდენტთა დიდი ჯგუფი. მოზრდილი კოლონა მელიქიშვილის, ლენინის ქუჩებისა და რუსთაველის პროსპექტის გავლით გაემართა ლენინის მოედნისაკენ. გზადაგზა დემონსტრანტებს უერთდებოდა მოსახლეობა, ძირითადად

ახალგაზრდობა. ლენინის მოედანი დემონსტრანტებმა გაავსეს. ისინი შეჩერდნენ ქალაქის საბჭოსთან, ხელოვნების მუზეუმთან (სასულიერო სემინარიის ყოფილი შენობა, სადაც სწავლობდა სტალინი). ლოზუნგები ასეთი იყო: „დიდება დიდ სტალინს", „უარი ვუთხრათ „დახურულ წერილს", „უკან წაიღონ „დახურული წერილი". ხალხი პუშკინის ქუჩისა და კოლმეურნეობის მოედნის გავლით მივიდა სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან და გვირგვინებით შეამკო ძეგლის კვარცხლბეკი. აქ დემონსტრანტები, ძირითადად სტუდენტი ახალგაზრდობა, სტალინის იდეებისადმი ერთგულების ფიცს სდებდა.

უნივერსიტეტის სტუდენტთა მაგალითს ქალაქის სხვა სასწავლებლების სტუდენტებმა და მოსწავლეებმაც მიბაძეს. 5-8 მარტს თბილისში ფაქტობრივად შეწყდა მეცადინეობა. გვირგვინებითა და ლოზუნგებით დარაზმული ახალგაზრდობა მიემართებოდა სტალინის ქანდაკებისაკენ, როგორც მექას წმინდა შავი ქვისაკენ. მანიფესტაციაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოვიდა მოსახლეობა. ქალაქში შეძახილებითა და სირენების გამაყრუებელი ხმაურით დაჰქროდნენ ახალგაზრდები. ცხოვრება პარალიზებული იყო. ჩვენს თვალწინ თითქოს ცოცხლდებოდა წარსულის რევოლუციურ სიტუაციათა გაკვეთილები. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია 9 მარტს - სტალინის დაკრძალვის დღის სამი წლისთავზე.

ამ დღეს სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან, დილიდან თავი მოიყარეს თბილისელებმა და რაიონებიდან ჩამოსულებმა, ძირითადად ახალგაზრდობამ. დაახლოებით დღის პირველ საათზე სტალინის ძეგლის კვარცხლბეკთან გამართულ ტრიბუნაზე მოვიდა საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობა ვასილ მჟავანაძის მეთაურობით. მასთან ერთად მოვიდნენ მსახიობები, მათ შორის აკაკი ხორავა და თამარ ჭავჭავაძე; გამოვიდნენ მოგონებებით სტალინზე, წაიკითხეს მისადმი მიძღვნილი ლექსები. სიტყვა წარმოთქვა მჟავანაძემაც. მან ქებით ილაპარაკა სტალინზე და სიტყვის დასასრულს მანიფესტანტებს მოუწოდა, დაიშალეთო.

მჟავანაძემ და მისმა თანმხლებმა პირებმა დატოვეს ტრიბუნა, მაგრამ მიკროფონებისათვის ხელი არავის უხლია. სანაპიროზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკრებილმა მანიფესტანტებმა თანდათანობით იწყეს დაშლა, დაშალა თითქმის მთელი მოედანი. ძეგლისწინა ტერიტორია ძიატოვეს მილიციელებმაც, რომლებიც წესრიგის დასაცავად იყვნენ მოხმობილნი.

ტრიბუნისა და მიკროფონების ასე მიტოვება იმთავითვე არ დამიჯდა ჭკუაში და რატომღაც შევყოვნდი მოედანზე. მალე დაშლილმა ხალხმა კვლავ იწყო მოგროვება. ტრიბუნაზე ერთიმეორეს ცვლიან ორატორები. მათ გამოსვლებში ისმის სტალინის ქება-დიდება და ხრუშჩოვის კრიტიკა. საღამოსათვის კრიტიკული გამოსვლები უფრო გამწვავდა, ხრუშჩოვის კრიტიკა გადავიდა მის ლანძღვაში. ტრიბუნიდან ისმის: „გაუმარჯოს სტალინს!", „უკან გაიგზავნოს „დახურული წერილი!", „ხრუშჩოვი მიეცეს პასუხისგებაში!" „წავიდეთ არსენალზე და ავიღოთ იარაღი!" „აქვეა თურქეთი".

ვუყურებ და ვუსმენ ყველაფერ ამას და თვალსა და ყურს არ ვუჯერებ! ეს ხომ რევოლუციური ლოზუნგებია, ისეთი ლოზუნგები, რომლის წარმომთქმელ დემონსტრანტებს ალბათ დაარბევენ. აქ უკვე მხოლოდ მაყურებლის როლში ვერ დარჩები! ან უნდა ჩაება სიტუაციაში, ანდა გაეცალო იქაურობას. ჩემს უნივერსიტეტელ მეგობარს ვურჩევ, დავტოვოთ იქაურობა. საღამოს 8 საათისათვის მდგომარეობა საოცრად იძაბება. შეადგინეს მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდობისადმი მიმართვის ტექსტი მხარდაჭერის თხოვნით. შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც მიმართვა უნდა გაეგზავნა კავშირგაბმულობის სახლიდან. ისმოდა მუქარა, რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში ხელში აიღებდნენ ფოსტა-ტელეგრაფს. ეს უკვე მეტისმეტია. ახალი ხანის რევოლუციურ მოთხოვნებში ყოველთვის იდგა ფოსტა-ტელეგრაფის ხელში ჩაგდების საკითხი! (დარწმუნებული ვარ, რომ ეს ლოზუნგები პროვოკატორების მიერაა ნასროლი, მაგრამ არ ვიცი, რა რანგის პროვოკატორებისა). მეგობარი სტუდენტი ძალით გამომყავს შეკრებილთა რიგებიდან. მართლაც, ძნელია დატოვო ასეთი მწვავე ვითარება. გამოვდივართ სანაპიროზე, მშრალი ხიდის მხარეს. იქ უკვე ჩამწკრივებულან ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები. არც ეს გარემოება მენიშნა კარგად.

დაახლოებით ცხრის ნახევარზე დემონსტრანტთა ერთი ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაემართა კავშირგაბმულობის სახლისაკენ. აქ კარი დაკეტილი დახვდათ. როდესაც ახალგაზრდებმა ძალით მოინდომეს შესვლა, კავშირგაბმულობის სახლში მყოფმა ჯარისკაცებმა ორი ახალგაზრდა ხიშტებზე ააგეს. მათთან ერთად იყო ქუთაისელი გოგონა, რომელიც მთელი დღის მანძილზე ძლიერ აქტიურობდა. გოგონამ გასისხლიანებული პერანგი გახადა მოკლულ ამხანაგს და ჯორჯიაშვილის ქუჩით დაეშვა სანაპიროსაკენ. იგი სტალინის ძეგლთან, ტრიბუნაზე აფრიალებდა გასისხლიანებულ პერანგს და მოგვიწოდებდა შურისძიებისაკენ.

ჯარისკაცებმა ქუთაისელი გოგონა ხიშტზე ააგეს. გახელებული და გამძვინვარებული ხალხი ჯორჯიაშვილის ქუჩით დაიძრა კავშირგაბმულობის სახლისაკენ. იქ, ახლოს მისულებს, სახურავიდან დაგვიშინეს ტყვიამფრქვევის ჯერი. პროსპექტზე მყოფ ჯარისკაცთა დაწოლით ხალხის ტალღამ უკან დაიხია სანაპიროსკენ. აქ ტანკები გველოდა. ტანკებმა გასრისა სტალინის ძეგლის წინ მყოფი ხალხი. მარქსის სახელობის ხიდიდან დავინახე, რომ ტანკებს გადარჩენილი დემონსტრანტები სანაპიროს ჯებირს მიაწყდნენ, რომელმაც ვერ გაუძლო მიწოლას და ისინი მტკვარში გადაცვივდნენ. თითქმის ყველა მათგანი დაიხრჩო.

9 მარტის მსხვერპლთა რაოდენობა ზუსტად არ ვიცი, ასახელებდნენ 400-500 კაცს. პროზექტურებში მოთავსებულ დახოცილთა უმრავლესობას ტყვიები ზურგსა და კეფაში ჰქონდა მოხვედრილი.

10 მარტს ქალაქი ნაომარს ჰგავდა. ქუჩები სამხედროებით იყო სავსე. დილით უნივერსიტეტში წასასვლელად გავედი ფიროსმანის ქუჩაზე. შემხვდა ორი ავტომატიანი ჯარისკაცი, შემომიბღვირეს: „Что смотришь, сукин сын!“ სადგურის მოედანზე ტანკები და სასწრაფო დახმარების მანქანა იდგა.

1956 წლის ტრაგედიამ ჩემი თაობის შეგნებაში მრავალი ფაქტისა და მოვლენის რევიზია გამოიწვია, სხვაგვარად აზროვნება გვასწავლა.

„ლიტერატურული საქართველო“, 1990 წ. 9 მარტი

13. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ურუშაძე

9 მარტი

ეე, როგორც თვითმხილველი და მონაწილე მარტის ტრაგედიისა, თავს ვალდებულად მივიჩნევ, აღვწერო ე.წ. „სისხლიანი პარასკევი“ და ის, თუ როგორ განვითარდა იმ დღეს მოვლენები. ეს იქნება თხუთმეტი წლის ბიჭის თვალით დანახული სინამდვილე ანუ ის, რასაც ალბათ ამგვარად გვიამბობდნენ დაღუპული ახალგაზრდები.

...9 მარტისთვის ხალხის მღელვარებამ აპოგეას მიაღწია და საჭირო იყო განმუხტვა. მოსალოდნელ შედეგებსა და მსხვერპლზე ლაპარაკიც დაიწყეს, მით უმეტეს, რომ საბჭოეთის ცხოვრებაში სისხლიანი მაგალითები მრავლად იყო.

საღამოს ტრიბუნა ორმოციოდე წლის კაცმა დაიკავა... ამ კაცს ვინაობა არ დაუმალავს და განაცხადა, უშიშროების თანამშრომელი ვარო. მე მისი გვარი არ გამიგონია, მაგრამ თურმე თავისი გვარიც დაუსახელებია. თუ კარგად ახსოვს და არ ეშლება იმ დროს ტრიბუნასთან ახლოს მდგომ რამდენიმე პიროვნებას და მათ შორის ფიზკულტურის ინსტიტუტის ლექტორს, ბატონ გოგი ალექსიძეს, გამომსვლელი გვარად გობრონიძე ყოფილა. ივი შემოვიდა წინადადებით, რომ მოლოტოვისთვის მიტინგის სახელით გაეგზავნათ დეპეშა - 9 მარტს მოლოტოვის დაბადების დღე იყო. ამისათვის შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც კავშირთა კავშირების

სახლისკენ დეპეშის გასაგზავნად... მაგრამ მათ დეპეშის გაგზავნა ვერ მოასწრეს. ისინი იქვე გარნიზონის ჯარების უფროსის - გლადკოვის ხალხმა აიყვანა. მხოლოდ ერთი მათგანი გამოექცათ... თუ გამოაქციეს. მახსოვს, იგი მიტინგზე მეტად აღელვებული დაბრუნდა და ტრიბუნიდან მოგვიწოდა, დავხმარებოდით ამხანაგების გამოხსნაში. მისი გამოსვლა იმდენად ემოციური და დამაჯერებელი იყო, რომ იქ დამსწრე ახალგაზრდობამ მაშინვე მხარი აუბა... იგი ჩვენი თანასკოლელი უფროსკლასელი გახლდათ. მისი გვარი არ ვიცოდი და არც მიკითხავს. აშკარად ჩანდა, იგი შემთხვევითი და ბრმად გამოყენებული პიროვნება იყო მოწყობილი პროვოკაციისა. ეს ახალგაზრდა სტალინზე ფანატიკურად შეყვარებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მიტინგებზე აქტიურობდა, გარეგნობითაც ცდილობდა, სტალინს დამსგავსებოდა, ისევე ატარებდა თმებს და ულვაშებს, კაშნეც ისე ჰქონდა მოხვეული, როგორც კობას ახალგაზრდობაში.

მიტინგიდან ახალგაზრდობა კავშირების სახლისკენ დაიძრა, ზოგმა ხის ტოტებიც კი მოტეხა, ეს იყო და ეს მათი იარაღი! მე და ჩემი ორი თანაკლასელი (რ. სინატაშვილი, ლ. ბარბაქაძე) წინ მივრბოდით. კავშირების სახლის საფეხურები დაუბრკოლებლად ავირბინეთ, კარებთან კი უკვე შეიარაღებული ჯარის ნაწილები იდგა.

ჩემი აზრით, ეს პროვოკაცია გამიზნული იყო გულუბრყვილო ახალგაზრდობისათვის. ეს იყო კარგად დადგმული სპექტაკლი, მცდელობა ვითომ კავშირების სახლის აღებისა მაშინ, როცა მას, როგორც სტრატეგიულ ობიექტს, ჯარი იცავდა.

მეგობრები ალბათ სირბილში ჩამომრჩნენ, მე კი კიბის ზედა საფეხურზე აღმოვჩნდი. ვხედავდი, წინ მდგომნი როგორ ცდილობდნენ ჯარისკაცების კორდონის გარღვევას. ისინი უკან ვერ დაიხევდნენ - ხალხი ამის საშუალებას არ მისცემდა. კარგად მახსოვს, ჩემს წინ მდგომი ულვაშიანი ბიჭი და ჯარისკაცი როგორ იყვნენ ჩაჭიდებულები ავტომატს. ბიჭი უკან ვერ იხევდა და ცდილობდა, ჯარისკაცისთვის ავტომატის გამოყენების საშუალება არ მიეცა.

კიბეები აძცირებდა ხალხის მასის სრულ ენერგიას. წინააღმდეგ

შემთხვევაში, კავშირების სახლში შევიჭრებოდით, ჯარისკაცები ვერ შეგვაკავებდნენ და მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა. ჭიდილი დიდხანს არ გაგრძელებულა. გაისმა სროლა. კაკანებდნენ ავტომატები და შეიძლება, სხვა იარაღიდანაც ისროდნენ, რადგან განსხვავებული ხმები ისმოდა. ჩვენდა გასაკვირად და საბედნიეროდ, ჩვენთვის, საფეხურებზე მდგომთათვის, არ უსვრიათ. ვფიქრობ, ორი მიზეზის გამო: პირველი - შესაძლებელია, ბრძანებამ სროლის შესახებ პირველ სართულზე ვერ ჩამოაღწია ან გვიან მისწვდა შემსრულებლებს, მეორე - შესაძლებელია, თვითონ ჯარისკაცებმა დაგვინდეს და არ გვესროლეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საფეხურებზე ნამდვილად ვერ აგვცდებოდა ტყვია და ამას ძალზე დიდი მსხვერპლიც მოჰყვებოდა. სროლის დაწყებისთანავე ჩვენს უკან მდგომი მასა გაიფანტა - ზოგი ტრანსპორტის ქვეშ, ზოგიც პირდაპირ ასფალტზე დაეფინა, ხალხისგან გათავისუფლებული კიბეები ჩავირბინეთ და იქვე, კედელთან ჩავწექით. სროლა ხუთ თუ ათ წუთს გაგრძელდა. ისმოდა შეძახილები. ზოგი გვამხნევებდა, - ნუ გეშინიათ, ჰაერში ისვრიანო; ზოგი ყვიროდა, - დაწექით, თორემ გაგვჟუჟავენო. დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ჰაერში ისროდნენ და ხალხს არ გაიმეტებდნენ. მაგრამ მიწყნარდა სროლა თუ არა, გაისმა დაჭრილთა კვნესისა და საშველად ხმობის ხმა. ამ ფაქტმა ყველა გაგვაოგნა. წელში მოხრილები გავიქეცით დაჭრილებისაკენ, რომლებიც სასტუმრო „თბილისის“ მხარეს იყვნენ, მაგრამ ჩვენს მისვლამდე მათ უკვე ორგანიზებულად აწვენდნენ სატვირთო მანქანების ძარებზე.

ხალხი დამფრთხალი და შეშინებული კი არა, უფრო გაოგნებული იყო მომხდარით. თითქოს სროლის განმეორების აღარ ეშინოდათ. ჯგუფებად იდგნენ, მსჯელობდნენ და მთავრობას აგინებდნენ... თანაკლასელები არეულობაში კიბეებზევე დამეკარგნენ. როგორც შემდეგ გაირკვა, ისინიც კედელთან ყოფილან ჩაწოლილები. საბედნიეროდ, გადარჩნენ.

...აღსანიშნავია, რომ საექსპერტო კომისიის უფროსი მაშინ ჟორა მათიაშვილი იყო, რომლის ვაჟიშვილი კიაზო ჩვენი თანასკოლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გახლდათ. მათიაშვილები ჩვენს ოჯახს ნათესავებადაც ერგებოდნენ და სწორედ მათგან შევიტყვეთ, რომ მათიაშვილთან რუსთაველის გამზირიდან ექსპერტიზაზე მხოლოდ ოცდასამი დაღუპული ახალგაზრდა, ჩვენი ასაკის ბიჭები, მიუყვანიათ. ყველას ზურგში ჰქონია ტყვია მოხვედრილი. სანაპიროზე დაღუპულები მასთან არ მიუყვანიათ. მაგრამ ნამდვილად ვიცი ის ამბავი, რომ დაღუპულებს ჩუმად მარხავდნენ, უკვალოდ დაკარგულებს კი არ აცხადებდნენ. ბევრი დაჭრილი შემდგომ გარდაიცვალა, ზოგიც იმ ავადსახსენებელი ამბის შემდეგ სამუდამოდ დაინვალიდდა.

ცხრა მარტის ტრაგედიის ჩემს მიერ აღწერილი ეპიზოდები ერთი პიროვნების მიერ დანახული ფრაგმენტებია იმ დიდი ტრაგედიისა, რაც საქართველომ გადაიტანა.

(იბეჭდება შემოკლებით)

თბილისი. 2000

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდო ზურაბიშვილი

სისხლიანი 9 მარტი

...10 მარტი... ღამენათევი, ნერვებდაგლეჯილი, ცრემლით გასავათებული ხალხი კარლ მარქსის მოედანზე მოგროვილიყო, გასასვლელი ქუჩებიც კი გატენილი იყო ნამტირალევი, გაოგნებული ადამიანებით. ხიდიდან მოედნისაკენ მოგრუხუნებს ტანკი. წინ დგას გენერალი ვლადიმერ ჯანჯღავა. ხალხს აფრთხილებს: „დაიშალენით, თორემ ვისვრი!“... ხალხი ადგილიდან არ იძვრის. ტანკი უახლოვდება თავმოყრილ, გარინდულ დემონსტრანტებს. ჯანჯღავას ხმას ბზარი ეპარება, ალბათ იმის ჯავრით, რომ მას არ უჯერებენ... მე მწამს, ისვრიან და კვლავ გაიმეორებენ წინა დღის ინსცენირებას...

ვეღარ მოვითმინე, ხალხის შუაგულში გავჩნდი და რაც ძალი და ღონე მქონდა, დავიყვირე: „ხალხნო, ესენი უნამუსოები არიან, დაიშალენით, თორემ ისვრიან, მოედანს კი ისე მორეცხავენ, არავის შეაწუხებენ“. არ ვიცი, რამ და რატომ იმოქმედა. ხალხი გარბოდა, გასწრებაზე იყვნენ. ტანკი შეჩერდა...

ჯანჯღავასათვის ცნობილი იყო ჩემი სახე, გადაცმული ხომ ბრძანდებოდა მიტინგებზე. როცა მანქანით წამიყვანეს, პირველად მის კაბინეტში შემიყვანეს, შემომხედა, გაიღიმა, ხელები გაშალა:

- როგორც იქნა, მოხვედი!

- ბატონო, რა ძნელი იყო ჩემი აქ მოსვლა. გამოგეგზავნათ უწყება და გეახლებოდით, რად მინდოდა ამდენი ხალხის მოცდენა?

- როგორ, უწყება რომ გამომეგზავნა, მოხვიდოდი?

- რასაკვირველია!

- ძალიან გიყვარს სტალინი?

- როგორც ყველას! თქვენ არ გიყვართ?

- მე მიყვარს იმიტომ, რომ მასთან ერთად ვიბრძოდი, შენ კი არც გინახავს!

- როგორ არ გვინახავს, ის ყველასთვის ერთნაირად საყვარელია. პირადი ნაცნობობა რა საჭიროა?!

როდესაც შესვლის წუთიდანვე შიმშილი გამოვაცხადე, კომისიებს მიგზავნიდა საკანში, მე ჩემი პრინციპი მქონდა, რწმენა ურყევი იყო და მართლაც შესაშური. მეექვსე დღეს თვითონ მეწვია და კვლავ მოითხოვა, საჭმელი მიმეღო.

- მე თქვენ არ გაწუხებთ ჩემი ხმაურით, ნურც თქვენ მაწუხებთ! - ვუთხარი მოკლედ და თავის ადიუტანტებიანად დატოვა საკანი.

...ჩვენ, ცოცხლად დარჩენილები, საკნებში მოგვათავსეს. მე 74-ე საკანში აღმოვჩნდი. მახსოვს, როგორ მიძახდნენ სხვა საკნებიდან, - ახალგაზრდები ნუ შიმშილობთო... ჩემს გვერდით საკანში ვახტანგ კაციტაძე იჯდა- სტუდენტი.

9 დღის შიმშილმა დააძაბუნა ორგანიზმი, ხელით ამიტანეს კიბეზე. შემახვედრეს მოსკოვიდან ჩამოსულებს - პერვუხინსა და კირიტჩენკოს. იმ დროს ისინი ჩვენი დეპუტატები იყვნენ. რა ბედის ირონიაა... როდესაც პერვუხინს ვესაუბრებოდი, მე ვუთხარი: - დღეს მე მასამართლებთ, მალე თქვენ გაგასამართლებენ-მეთქი.

მან გაკვირვებით შემომხედა:

- თქვენ ასე გგონიათ?

- მე არაფერი მგონია, ისტორია ასე გვკარნახობს!

ექვსი თვის შემდეგ ჟელეზნოვოდსკში შევხვდი, უკვე განთავისუფლებულს (მოხსნა ხრუშჩოვმა). წინ დავუდექი და ვეკითხები:

- თქვენ მე მიცნობთ? გახსოვართ?

მან ხმა არ ამოიღო, ისე მიყურებდა დაკვირვებით.

- გახსოვთ? „დღეს მე მასამართლებთ, მალე თქვენ გაგასამართლებენ“!...

- აა... მახსოვს, ნუთუ ისა ხართ? როგორ გაგიმართლდათ?!

იმ 56-მა წელმა ბევრჯერ ჩამცხო თავში. 38 წელიწადია ჟურნალისტი ვარ, არაერთ რედაქციასთან ვთანამშრომლობდი, მაგრამ ბევრგან ეშინოდათ ჩემი, რამდენჯერ მომაძახეს კიდეც: „56 წელი ნუ გგონიაო“...

ეს საბედისწერო 9 მარტი როგორ სიმბოლურად დაემთხვა 9 აპრილს. განა საქართველოს ჰყავს გასაწყვეტი ახალგაზრდები? ის ერთი შეცდომა როგორ არ გაითვალისწინეს ჩვენმა ვაიხელმძღვანელებმა?...

(იბეჭდება შემოკლებით)

„რესპუბლიკა“, 1991 წ. 9 აპრილი

მერი თოდუა

9 მარტიდან 9 აპრილამდე

...შებინდდა, სანაპირო ქუჩიდან ალვების ხეივანში ორმწკრივად დაწყობილი ხიშტებმომარჯვებული ჯარისკაცები გამოჩნდნენ, უხმოდ შემოვიდნენ ბაღში. რამდენიმე ჯარისკაცმა პირველ რიგში ხის ტოტზე მიმაგრებული რეპროდუქტორი ჩამოგლიჯა, კვარცხლბეკზე მანდილოსანი აიჭრა:

- დებო, დედებო, ჩემი შვილები აქ იყვნენ დღეს ჩემთან ერთად, ახლა არ ვიცი, სად არიან, ცოცხლები არიან თუ მოკლეს. თუ ჩვენი დახოცვა უნდათ ამ ჯარისკაცებს, მოვკვდეთ ერთად! და მუხლებზე დაეშვა. გამოჩნდნენ ტანკები, ჯარისკაცები გვიახლოვდებოდნენ. ჩვენ მჭიდროდ დავდექით ერთმანეთთან. ჯარისკაცები ისე ახლოს დადგნენ, რომ ერთმა მათგანმა ხიშტი პირდაპირ პალტოზე მომაბჯინა.

- გასწიე ეს ხიშტი, განა საბჭოთა ჯარისკაცი არა ხარ? მართლა ხომ არ ფიქრობ ამ ხიშტზე აგებას, - ამ სიტყვებით ხიშტს ხელი მოკიდე და გვერდზე გადავაწევინე. საიდანღაც ქართველი ოფიცერი მოვიდა.

- გემუდარებით, წადით აქედან, წადით! - შეგვეხვეწა იგი, მაგრამ ვინ აცალა მეტის თქმა.

- ვისთან ხართ, თქვენ, ქართველი ადამიანი, რა გინდათ ამათ შორის, მოღალატე, მოღალატე, - ავტეხეთ ყვირილი. - წადით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეხვეწებით, - იმუდარებოდა იგი, გვანიშნებდა, გავცლოდით, ... რობას და ვერაფერს რომ ვერ გახდა, სასოწარკვეთილი გატრიალდა.

მახსოვს რუსი ოფიცერი, რომელიც ძალზე აქტიურად ხელმძღვანელობდა ოპერაციას, ის მოკლე ბრძანებებს იძლეოდა, ხან გაუჩინარდებოდა, ხან ჩვენს წინ მდგომ ჯარისკაცებთან მოირბენდა რაღაც განკარგულებებით. რამდენჯერმე ჩემს წინაც დადგა. როცა ჯარისკაცს ხიშტი გვერდზე ძალად გავაწევინე, გაკვირვებულმა ვკითხე:

- როგორ, საბჭოთა ჯარისკაცი, რომელზედაც საბავშვო ბაღიდან ლექსებს ვსწავლობდით, გვესვრის?

- ბუდეტ სტრელიატ, ბუდეტ! ოი, ეშო კაკ ბუდეტ,- გაგულისებით მითხრა.

მალე ჯარისკაცები კვარცხლბეკზე ავიდნენ და იქ მყოფი ახალგაზრდების ჩამოყრა დაიწყეს. გაოგნებული ვუყურებდი, როგორ ცვიოდნენ ისინი იმ სიმაღლიდან ბეტონზე. კიდევ ერთხლ გაისმა შეძახილები: - გაუმარჯოს საბჭოთა წითელ არმიას! და განწირული გამოძახილი: - ვაშაა!

იგრიალა პირველმა ზალპმა. ხალხის ნაწილი კიბეებისკენ გაიქცა, ნაწილმა, რომელსაც აქამდე ისევ გაოცება დაუფლებოდა, მექანიკურად ნელ-ნელა დაიხია უკან. მეც გავტრიალდი. მინდოდა გაქცევა, მაგრამ მრცხვენოდა. კვლავ სროლა და ჩემს გვერდით მაღალი ყმაწვილი მოწყვეტით წაიქცა. წაქცევისას გვერდი გამკრა, დავტორტმანდი, მაგრამ თავი შევიმაგრე და მოკლულს დავაშტერდი. ასე ახლოს არ მენახა კაცის სიკვდილი. ახალგაზრდა გულაღმა გაიშოტა, ფეხები მოღუნა, შემდეგ მიწას მძლავრად დაუსვა ცალი ფეხი, მკლავები გვერდზე გადაყარა.

- მართლა მოგკლეს? - ვიკითხე და მივვარდი და უცებ ზურგში საშინელმა დარტყმამ ბურთივით სადღაც მისროლა, მომეჩვენა, რომ ბამბის ორმოში ჩავვარდი და რბილად ვირწეოდი.

- ნეტავ დედამ იცოდეს, რა ტკბილად ვკვდები! - ამის გაფიქრება იყო და ჩემთან ვიღაც ახალგაზრდამ მოირბინა.

- ნუ გეშინია, დაიკო, ახლავე გაგიყვან სამშვიდობოს, - დაიხარა და ამაყენა.

მთელ ზურგზე მდუღარე მოჩქეფდა თითქოს. - თავი დამანებე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ უშველე თავს, მე ვკვდები.

- არა, არა, არ მოკვდები,- მეუბნებოდა ის, მირბოდა და მეც მიმარბენინებდა.

- გამანებეთ თავი, არ მინდა გადარჩენა,- ვიძახდი და ვუძალიანდებოდი. უცნობი ხელს არ მიშვებდა. ჩემი თავი სასიკვდილოდ დაჭრილი მეგონა და ერთი სული მქონდა, სიკვდილამდე თუნდაც ერთი ჯარისკაცისთვის მომესწრო ხელის გარტყმა მაინც. როცა უცნობმა კიბეებამდე მიმარბენინა, ხელიდან გავუსხლტი და ჯარისკაცებისაკენ გავიქეცი. ჩვენს შორის სულ ერთი მეტრიღა თუ იქნებოდა მანძილი. მომცრო ტანის, სათვალიანი ჯარისკაცი აღმოჩნდა ჩემთან ყველაზე ახლოს, მას მივეჭერი და ორივე ლოყაზე ვლეწე. სიმართლეს არ დავუკარგავ, ხმა არ გამცა, მაგრამ მის გვერდით მეორე ჯარისკაცმა კარაბინი შემოატრიალა და კონდახი გვერდიდან ისე შემომკრა, კიბის საფეხურზე შემაგდო. საოცარი ის იყო, რომ ჩემს სხეულზე დარტყმის ხმა გავიგონე და ტკივილი კი არ მიგრძვნია. ისევ მოირბინა იმ ჩემმა მხსნელმა ყმაწვილმა.

- ხომ არ გაგიჟდი, ვის უნდა შეაკლა თავი,- დამიყვირა, მტაცა ხელი, იღლიაში ამომიდო ფუთასავით, კიბეები აირბინა, გზაზე გადამატარა, გზის გაღმა ჩაირბინა და ხელი გამიშვა. მიწა მოფენილი იყო წაქცეული ქალიშვილებითა და ვაჟებით, დღესაც არ ვიცი, დაჭრილები იყვნენ თუ დახოცილები. იმ წუთებში ჩემთვის არც სიკვდილს ჰქონდა ფასი, არც სიცოცხლეს. მთელი ჩემი არსება მოეცვა გაოცებას, რომ ჩვენი წითელარმიელები, რომლებზედაც, თავად მოგეხსენებათ, რა მაღალი წარმოდგენა გვქონდა და რა სიყვარული, ხალხს ესროდნენ. ზურგი სასტიკად მეწვოდა, ჯემპრს ქვემოთ შევაცურე ხელი და ზურგზე მოვისვი. გავოცდი, რომ სისხლმა არ შემიღება ხელი.

- მაშ, ტყვია არ მომხვედრია, ალბათ მაშინაც კონდახი დამარტყეს,- გავიფიქრე და რაკიღა დაჭრილი არ აღმოვჩნდი, ძალა დამიბრუნდა, ვიღაც წაქცეულს წყალი ვაპკურე, ვიღაცას შუბლზე ხელი გადავუსვი.

- ბიჭებო, აბა, ქამრები, კაშნეები მოიტანეთ სასწრაფოდ,- მოირბინა რამდენიმემ ყვირილით,- დაჭრილები მტკვარში გადაყარეს და უნდა ვუშველოთო.

ბაღი ნელ-ნელა ცარიელდებოდა, სად მიჰყავდათ, რანაირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰყავდათ, არ მახსოვს.

...ღამის სამი საათი იქნებოდა (მეორე დღეს, გ.ვ.), ჩვენს კამერაში ხნიერი, ცოტათი ხმელ-ხმელი კაცი შემოვიდა.

- შენ ჯარისკაცი გაგილახავს,- შემომიტია.

- ის ჩემი გალახული ჯარისკაციც მოიყვანეთ და ექიმიც, ნახოს, ვინ უფროა ნაცემი,- დავიყვირე ნერვებმოშლილმა.

უეცრადვე გავიდა, ხმის ამოუღებლად. დილის 4 საათზე წამიყვანეს დაკითხვაზე. ოთახში, ოვალური მაგიდის ერთ მხარეს ღამენათევი ორგანოს მუშაკები ისხდნენ. ტანად პატარა ვიყავი, სახეც ალბათ ბავშვური მქონდა, რადგან პირველი, რაც მკითხეს ეგ იყო:

- მართლა სტუდენტი ხართ?

პალტოს ტალახიან კალთაზე მეორე სუფთა კალთა მქონდა დაფარებული, ხელი შემთხვევით რომ გავუშვი, ტალახი დაინახეს.

- ეს რა არის, სად იყავით?

- ღამე ძეგლთან ვიყავი, რამდენჯერმე წავიქეცი.

- ვისთან იყავი?

აშკარად არ ეტყობოდათ, მაგრამ მათ თვალებში თანაგრძნობას ვხედავდი. - ესენიც ქართველები არიან, უდანაშაულო ხალხის დახოცვა ამათაც ხომ უნდა აღელვებდეს,- გავივლე გულში და ვუპასუხე.

- ამხანაგებთან.

- აბა, დაასახელე, რომელ ამხანაგებთან.

- განა ყველა ამხანაგი არ იყო, ვინც კი წუხელ ძეგლთან იდგა? - გავიკვირვე.

- ჭკუით იყავით, ახალგაზრდებო, ჭკუით,- დაყვავებით მითხრა ერთმა და მეტი აღარ ჩამკითხვია,- სტუდენტი ხარ, აღარ დაგაჯარიმებთ. 7 საათზე კი, როცა ტრანსპორტი მუშაობას დაიწყებს, გაგიშვებთ.

ისევ საკანში. დილით ტრამვაის წკრიალი ბულბულის ხმასავით ჩამესმა შორიდან. გათენდა, მაგრამ არავინ ჩქარობდა ჩვენს გაშვებას. რკინის კარებზე ვაბრახუნებდით თავგამეტებით. როდის-როდის გვითხრეს, თქვენს გაშვებას ინაურმა უნდა მოაწეროს ხელი და ჯერ მოსული არ არისო. სადღაც შუაღამისას გაგვიყვანეს კამერიდან. საქმართველოში საპარისებური სიჩუმე იდგა. ერთ ოთახში დაგვირიგეს წინასწარ ხელით დაწერილი ხელწერილები, რომელშიაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარის, სახელისა და მამის სახელის ჩასაწერად ადგილი იყო დატოვებული. მე, ეს და ეს, პირობას ვიძლევი, რომ არ დავაზიანებ საზოგადოებრივ წესრიგს, ზუსტად მახსოვს ხელწერილის სიტყვები. რა თქმა უნდა, შევავსეთ.

9 მარტს მომხდარი გულში ჩავიკალით. პირადად მე ძალზე მტკივნეულად განვიცადე იმ ღამეს ნანახი და განცდილი. - რატომ, რისთვის, ვინ აგებს პასუხს?- არ მასვენებდა კითხვები და პასუხს ვერ ვპოულობდი.

...ძალიან კარგად ვიცნობდი იუზა წერეთელს და არ შემიძლია, ჩემს მოგონებაში ადგილი არ დავუთმო მას. იუზას აეკვიატა აზრი, რომ მოკვდებოდა მალე და ისე, რომ სიკვდილის დროს მასთან ახლოს არ აღმოჩნდებოდა არც მშობელი, არც მეგობარი. ეს წინათგრძნობა დიდ დარდად ჰქონდა გულში. ერთხელ კინოსტუდიაში წავიდა და ითხოვა, რომელიმე ფილმში გადაეღოთ. იმ ხანად რეჟისორი სიკო დოლიძე „ეთერის სიმღერის“ გადასაღებად ემზადებოდა. სხვათა შორის, იუზა წერეთელი მოეწონა და ეპიზოდური როლიც დააკისრა:

იუზა წერეთელი (მარჯვნივ) კინოსინჯების დროს

- წარმოგიდგენია, მოვკვდები და ეკრანზე კი ჩემი სახე დარჩება,- მითხრა გახარებულმა.

მთელი დღეები კინოსტუდიაში იყო. ფილმის გადაღება დამთავრდა. მომიტანა ორი კადრი, რომელზედაც აღბეჭდილი იყო და თქვა:

- ეს ეპიზოდური როლია, მაგრამ მალე „ბაში-აჩუკის“ გადაღებას შეუდგებიან და იქ სოლიდურ როლს მაძლევენო.

...56 წლის მარტის დღეები იყო. მიტინგები მიტინგებს ცვლიდა, შემთხვევით შევხვდი, კინოსტუდიაში მიიჩქაროდა.- კი მაგრამ, რატომ მიტინგზე არ მიდიხარ, მთელი ახალგაზრდობა სტალინის ძეგლთან იკრიბება,- გავიკვირვე მე.

- ნეტავი შენ, რად უნდა სტალინს ჩვენი ქება-დიდება. ის ისე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც დიდია და ასე დარჩება ისტორიაში, - თქვა და კინოსტუდიაზე გააბა ლაპარაკი,- სანამ მოვკვდებოდე, უნდა ვიჩქარო, რაც შეიძლება მეტ ფილმში მივიღო მონაწილეობა. ისე როგორ უნდა წავიდე ამ ქვეყნიდან, რომ ეკრანზე არ დავრჩე?

პასუხად არაფერი მითქვამს. ეს იყო 7 მარტს, ცხრაში კი იუზა წერეთელი რუსთაველზე სასიკვდილოდ დაჭრეს ჯარისკაცებმა.

როცა წერეთლებთან სამძიმარზე მივედი, იუზას დედამ, მარო დეიდამ მიამბო:

- სროლის ხმის გაგონებისთანავე გავიჭერი ქუჩაში იუზას საძებნელად, მაგრამ სახლს ორმოცდაათიოდე მეტრით მოვშორდი თუ არა, ისე სასტიკად ამტკივდა გულ-ღვიძლი, რომ ჩავიკეცე და გაჭირვებით დავბრუნდი უკან. წამსვე ტკივილებმა გამიარა და ისევ გამოვედი სახლიდან. ისევ აუტანელი ტკივილები. დავრჩი შინ. მთელი ღამე უძილოდ გავატარე. კიდევ რამდენჯერმე ვცადე წასვლა, მაგრამ უშედეგოდ. თურმე სიკვდილის წინ იუზა იხვეწებოდა, - დედა მომიყვანეთ, ის გადამარჩენსო. ექიმებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს, მხოლოდ ნახევარი საათიღა იცოცხლა ჩემმა შვილმა.

წინათგრძნობა, რომელმაც იუზა წერეთელს წინდაწინ მოუხაზა მისი სიკვდილის წინა სცენა, დღეს აღარ მაოცებს, რადგან ახლა ხშირად წერენ რაღაც გამოუცნობ მოვლენებზე და იუზას შემთხვევაში მართლაც ყველაფერი ისე აეწყო, რომ იგი, მართალია, ექიმების ხელში, მაგრამ სიკვდილს მარტო, ახლობლების გარეშე შეხვდა.

როგორც იუზა წერეთელს, მის პატარა კინოროლსაც სიკვდილი ელოდა, იგი რეჟისორს ფილმიდან ამოაჭრევინეს, სურათის ჩვენების შემდეგ მაყურებლები ვაკის სასაფლაოზე გაემართებიან და იუზას საფლავზე მიტინგი გაიმართებაო.

9 აპრილს დატრიალებული უბედურება მხოლოდ შუადღისას გავიგე. მოსკოვიდან დიქტორი ურცხვად გადმოსცემდა ფალსიფიცირებულ ცნობას თბილისში, მთავრობის სახლის წინ განთიადისას მომხდარი ტრაგედიის შესახებ. ისტერიული ტირილი ამიტყდა.

მე ხომ მინახავს 9 მარტი. იმ დღეს, 9 აპრილს, 9 მარტიც გამოვიტირე პირველად ხმამაღლა, 33 წლის დუმილის შემდეგ.

„კოლხური დიადემა“, 1991 წ. 3 მაისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავადმყოფთა მიღების ჟურნალი გაქრა

„7 დღეში“ გამოქვეყნებულმა შოთა ნოზაძის წერილმა - „სისხლიანი 9 მარტი“ ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა, რომელშიც ერთი სიტყვაც კი არ არის მოგონილი.

მაშინ სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი. სწორედ ამ კურსზე გვასწავლიდნენ პათოლოგიურ ანატომიას. ჩვენი კათედრა კამოს (ამჟამად დიმიტრი უზნაძის) ქუჩაზე იყო. მიუხედავად იმისა, რომ იმ შენობაში 33 წელია აღარ ვყოფილვარ, ზუსტად მახსოვს მორგის მდებარეობა, რომელიც სარდაფში იყო მოთავსებული. როდესაც 1956 წლის 10 მარტს, დილით, იმ ტრაგიკული 9 მარტის მეორე დღეს, კათედრაზე მივედი, სანიტარი შემხვდა, მითხრა, მომყევიო და მორგში ჩამიყვანა. მაშინ ვნახე პირველი საშინელება (მეორე კი - 1989 წლის აპრილის სხვადასხვა რიცხვებში სასამართლო - სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს მორგში, როდესაც ტრაგიკულად დაღუპული გოგონების სხეულის გაკვეთას ვესწრებოდი). სასექციო მაგიდაზე ერთიმეორეზე ეყარა ბიჭების გვამები, ზოგს ტანსაცმელი ჰქონდა შემოხეული, ზოგიც შიშველი იყო. მათ შორის ესვენა ერთი გოგონაც (დღესაც შემიძლია იმ ადგილის მითითება). ვიკითხე მისი ვინაობა. მითხრეს ლამარა სვანიაო. მახსოვს, ცრემლი ვერ შევიკავე.

იმავე დღეს ლექცია გვქონდა ზოგად ქირურგიაში (კამოს ქუჩაზე მდებარე სასწრაფო დახმარების საავადმყოფოში). მისაღებში დავათვალიერე ავადმყოფთა მიღების ჟურნალი. ჩემი საკუთარი თვალით წავიკითხე იმ ტრაგიკული ღამის ჩანაწერი - 73 გვარი და იქვე: „მოკვდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად“. მეორე დღეს ჟურნალი გაქრა. ეს ერთი ღამისა და ერთი საავადმყოფოს არასრული მონაცემებია. დანარჩენი...

„7 დღე“, 1990 წ. 17 ოქტომბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზა ზაალიშვილი

რამ გააკლებინათ

ჩემს წერილს ვუძღვნი იმ უბედურ დედებს, რომელთაც იმ საბედისწერო 1956 წლის 9 მარტს დაღუპული თავიანთი უმანკო შვილები ვერც კი დაიტირეს, ვერ მოესიყვარულნენ უკანასკნელად, ვერ იჯერეს გული მათი ცქერით, ზოგიერთმა მკვდარი შვილი ვერც კი ნახა - თავდახურული და დაბეჭდილი კუბოები მალულად, საიდუმლოდ წაიღეს სასაფლაოებზე და ჭირისუფლებმაც ქურდულად გააცილეს უკანასკნელ გზაზე ძვირფასი ცხედრები.

ჭირისუფალთა შორის ყველაზე „ბედნიერი" ის იყო, ვისაც უფლება მისცეს, სასაფლაოზე, სამარეში ჩასვენების წინ მაინც დაეხედა თავისი მიცვალებულისათვის.

ასეთი „ბედნიერი" აღმოჩნდა დეიდაჩემიც - ელიკო ზაუტაშვილი-თოფურიასი, რომელმაც სასოებით და ტანჯვით გაზრდილი თავისი უფროსი ვაჟიშვილი თემურ თოფურია ვაკის სასაფლაოზე მიაბარა მიწას. ჭკვიანი, კეთილშობილი, ყველას მოსიყვარულე ჭაბუკი ბრმა ტყვიის მსხვერპლი გახდა, გამწარებული დედა კი იმასღა ტიროდა, - შვილო, ნეტავ უწესო, ქურდი, ბანდიტი ყოფილიყავი, ცოხეში იქნებოდი და გადამირჩებოდიო!

დეიდაჩემის მეუღლე - ვლადიმერ (ლადიკო) თეიმურაზის ძე თოფურიაც 1937 წლის განუკითხაობას შეეწირა. ლამაზი და ამაყი ვაჟკაცი იყო ლადიკო თოფურია, მაგრამ წუთისოფლის სიმუხთლეს ვერც ის გაექცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაპატიმრებამდე ლადიკო თოფურია ხე-ტყის სახერხი ქარხნის დირექტორად მუშაობდა. მალე ნარკომად დაწინაურებასაც უპირებდნენ და, აი, იქ გაჩნდა შური... ამას ისიც დაემატა, რომ ოჯახს ახალი ბინა ჰქონდა, უკვე მოწყობილი და დღედღეზე უნდა გადასულიყვნენ. ის ბინა მის ცოლ-შვილს თვალითაც აღარ უნახავს... ქმრის დაპატიმრების შემდეგ დეიდასაც უპირებდნენ გადასახლებას ტაშკენტში, ან სამივე შვილით უნდა წასულიყო, ან ბავშვთა სახლში ჩაებარებინა ისინი, მაგრამ გადარჩნენ... დიდი ტანჯვის შემდეგ მოსკოვიდან იმის ნებართვაც მიიღეს, რომ ძველ ბინაში მაინც დაეტოვებინათ. ესეც დიდი ბედნიერება იყო იმ დროს...

გაუბედურებულ ოჯახს ნათესავები ეხმარებოდნენ, მაგრამ შეშინებულნი მალულად თუ მიაწვდიდნენ რამეს. დეიდასთვის ყველაზე დიდი იმედი თავისი და დარიკო იყო, ისიც მასავით გაუბედურებული- 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა მისი ქმარი მუხრან ჩახაიაც. დები წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ ბავშვები ერჩინათ.

ეს კიდევ არაფერი - საბუთების მიხედვით ლადიკო თოფურია 1937 წლის 2 ივნისს დააპატიმრეს და გარდაიცვალა 10 ივლისს ე.ი. ერთ თვეში. იმ გაჭირვების ჟამს კი დეიდა ლუკმაპურს აკლებდა შვილებს და მთელი სამი წლის განმავლობაში ფულს და ამანათს აწვდიდა ქმარს... კიდევ ერთი ცინიზმი: რეაბილიტაციის შემდეგ (1958 წ.) დეიდამ ცნობა მიიღო, თითქოს ლადო გარდაიცვალა, მაგრამ ეს ტყუილი იყო, ის მოკლეს!

ელენე თოფურია პატარა ცისანასა და თემურისთან ერთად

დეიდა 29 წლისა დაქვრივდა. უსახლკაროდ დარჩენილ დიასახლისს სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა: უფროსი, ცისანა - 7 წლის, თემური - 5-ის, უმცროსი, მალხაზი კი - 40 დღის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყალი ქალი არანაირ შრომას არ თაკილობდა. მან პირნათ-ლად შეასრულა დედური ვალი. წესიერი შვილები გაზარდა, ასწავ-ლა, გზაზე დააყენა. ქალიშვილი ფარმაცევტი გახდა, გათხოვდა. თე-მურმა შვიდწლედის დამთავრების შემდეგ როსტოვის ოლქში, სუვო-როვის სახელობის სკოლაში განაგრძო სწავლა, მაგრამ მეორე თუ მესამე კურსზე იყო, რომ აქაც უწია ბოროტმა თვალმა. ვიღაცამ დააბეზღა, „მავნებლის“ შვილიაო და გულნატკენი ბიჭი უკან დაბრუნდა. დეიდას ასე უთხრეს: - თქვენს შვილს აქ სწავლის უფ-ლება არა აქვსო. გამწარებული ქალი ტიროდა, - რისიც მეშინოდა, არ ამცდაო!

თემური ჯარში გაიწვიეს, ბათუმში მსახურობდა. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ საბუთები მოაგროვა და უმაღლესში აპირებდა ჩაბარებას. სწორედ ეს საბუთები და 5 მანეთი აღმოაჩნდა ჯიბეში, როცა მოკლეს!

უბედური ქალის თავზე წისქვილი არ დატრიალებულა, თორემ სხვა ყველაფერი ნახა. ახლაც, ამ უდიდესი მწუხარების ჟამს, სხვა-ზე მაგრად იყო, მრავალგზის შეშინებული დანარჩენ შვილებს უფრთხილდებოდა. ყველაფერს უსიტყვოდ ითმენდა, ოღონდ შვილის დამარხვის უფლება მიეცათ, ქმრის რეაბილიტაციის ცნობა ჯერ ხომ არ ჰქონდა!...

თემურის და ცისანა იგონებს: „ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მკვდარ ძმასაც წამართმევდნენ და როცა თქვეს, დასაფლავების ფულია გადასახდელიო, არავის დავანებე, სასწრაფოდ გადავიხადე. საფლავის პირასაც თითქოს ვჩქარობდი საცოდავი თემურის ჩასვე-ნებას, ვშიშობდი, რამე არ მომხდარიყო და უკან არ წაეყვანათ.“

ჰო, დაშინებულები იყვნენ... და კვლავ ცინიზმი - ჯერ მოუკ-ლეს შვილები და შემდეგ დასაფლავების ფულიც გადაახდევინეს (301 მანეთი).

გამწარებული მშობლები სხვადასხვა ინსტანციებში გზავნიდნენ წერილებს, კითხულობდნენ, „რატომ მოუკლეს შვილები“, მაგრამ ამაოდ! დეიდა კი იმედს არ კარგავდა, რომ 9 მარტს დახოცილი ბავშვების გახსენებისა და დაფასების დროც დადგებოდა.

14. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

26 მაისის „ლიტერატურულ საქართველოში“ ბელა ჭეიშვილი წერდა- „მე ვიცნობდი კიაზო ჭანტურიძეს“. მინდა, ბელას შევეხმიანო: - მეც ვიცნობდი კიაზოს, ოღონდ პირადად კი არა- ფოტოსურათით. დეიდაჩემის ალბომში საბრალო თემურის სურათის გვერდით მრავალი სურათია, მათ შორის დედისერთა კიაზო ჭანტურიძისაც.

ვიცნობდი მათ, ვიცნობდი მათს გაუბედურებულ დედებს, რომლებიც საერთო ჭირს დაემეგობრებინა და გულს იმითღა იჯერებდნენ, რომ ერთად დადიოდნენ სასაფლაოზე შვილების დაბადებისა თუ გარდაცვალების დღეებში.

9 მარტს გარდაცვლილები ყველას შვილები იყვნენ, ყველანი კი თითოეულის დედა!

ქალბატონ სონია მერაბიშვილის, შანიძის, ლოლუას და სხვათა გარდა განსაკუთრებით დამამახსოვრდა იუზა წერეთლის დედა. იგი, როგორც წესი, თავისი შვილის ნაცვლად ყოველ წელს ულოცავდა დაბადების დღეს თემურს.

აი, ერთი მათგანი: „თემურის, გილოცავ დაბადების 33 წელს, 1965 წელი ყოფილიყოს ჩვენი გამარჯვების წელი. 4/I-65 წ. იუზა“.

რა გამარჯვებას უსურვებდა იუზა თემურს? იქნებ იმას, რომ მათი უმანკო სისხლი ტყუილუბრალოდ არ დაღვრილა?!

გჯეროდეთ, ჩვენო ძვირფასებო: იუზა, თემურ, კიაზო, რაულ, ოთარ, თამუნა, ნათია, მზია, რომ თქვენს მიერ 9 მარტს და 9 აპრილს დანთხეული სისხლი უბრალოდ არ ჩაივლის და თქვენს ქვეყანასაც ეშველება!

„ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990 წ. 8 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ნაცვლიშვილი

ასე დაგეშალეს

1956 წლის მარტში თბილისში მომხდარი მოვლენების შემდეგ ხრუშჩოვს ალბათ მოსვენებას უკარგავდა კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული ქართული დივიზიის არსებობა, მით უმეტეს, ბატონი ნიკიტა ქართველ ხალხს თურმე დეპორტაციას უპირებდა. ასე გადაწყდა ბოლო ქართული დივიზიის ბედი. 9 მარტის მეორე დღეს ჩამოგვართვეს დანაყოფში არსებული ტყვია-წამლის ხელუხლებელი მარაგის კომპლექტი, ხოლო უკვე აპრილის მეორე ნახევარში სასწრაფოდ ჩაგვაბარებინეს მთელი იარაღი და საბრძოლო ტექნიკა. დივიზიის ნაწილები მუდმივი დისლოკაციის ადგილიდან ცალ-ცალკე გაიყვანეს. ლეგიონი, რომელშიც მე ვმსახურობდი, აფხაზეთში მოხვდა. ბოლოს, მაისის დასაწყისში, განაიარაღეს ობიექტების დასაცავად დარჩენილი ასეულიც და ჩვენი ადგილი სხვა ნაწილებმა დაიკავეს. მუდამ მახსოვს და ახლაც ცრემლს მგვრის საბრძოლო დროშასთან გამომშვიდობების ცერემონიალი: როგორ მოვიყარეთ მუხლი ყველა ოფიცერმა (ლეგიონის მეთაურის ჩათვლით) და თვალცრემლიანებმა გავაცილეთ კავკასიიდან ყირიმამდე მძიმე ბრძოლებში გამოვლილი ქართული სამხედრო ღირსების ეს ბოლო რელიქვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთ მეთაურს შემოგვთავაზეს შედარებით მაღალი თანამდებობები, ოღონდ სრულიად მიუღებელ პირობებში, კერძოდ, მე შემომთავაზეს იმიერბაიკალის სამხედრო ოლქში სამსახური და თანაც... ცოლ-შვილთან ერთად დაუყოვნებლივ გამგზავრება, რაც ორი ბავშვის გაწირვას უდრიდა. ასე აღმოვჩნდით ქართველი ოფიცრები საყვარელ საქმეს მოწყვეტილნი, ხოლო ჩვენი ნაწილის პირველწლიანი ქართველი ჯარისკაცები - „მუშათა ბატალიონში" რუსეთის უკიდურეს ტერიტორიაზე. მიმაჩნია, რომ სწორედ აქ შეწყდა ქართველთა შორის სამხედრო მემკვიდრეობითობის პროცესი.

სწორედ აქ აღმოჩნდნენ ორდენებით მკერდდამშვენებული ოფიცრები მათთვის შეუფერებელ სამუშაოებზე, რის გამოც ზოგი მათგანი საპატიმროშიც კი მოხვდა.

სწორედ აქ წარმოიშვა სამხედრო სამსახურისადმი ახალგაზრდობის ამრეზილი დამოკიდებულება. აქ დაეცა ავტორიტეტი ცნებისა - სამშობლოს დაცვა, რომლითაც ასე ამაყობდა თითოეული ჩვენთაგანი, რიგითი ჯარისკაციდან პროფესიონალ სამხედრო ოფიცრამდე. ჩვენ აღგვაფრთოვანებდა გალაკტიონის სიტყვები - „ყველა ნიჭზე დიდი არის ქვეყნის დაცვის ნიჭი". ახლა რატომღაც მიაჩნიათ, რომ არ შეიძლება ეროვნული ჯარის შექმნა. ორი დივიზიის ჩამოყალიბების და დაშლის მოწმე ვარ. არ მაქვს ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა ნიუანსის ცოდნის პრეტენზია, მაგრამ საშუალო რანგის ოფიცრის დონიდან ყველაფერს ვხედავ და ვგრძნობ. ასე, რომ შეუძლებელი არაფერია, მაგრამ რას იზამ, როცა დიდი ისტორიის მქონე შენს ქვეყანას აულად მიიჩნევენ, ხოლო ეროვნულ საჯარისო ნაწილს ასეულს უტოლებენ?!

გაზ. „იმერეთი", ქუთაისი, 1990 წ. აგვისტო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ჩხიკვაძე

ნუთუ კიდევ ერთხელ შერჩებათ?!

ნინამდებარე სტატიის დაწერის სურვილი აღგვეძრა მას შემდეგ, რაც წავიკითხეთ იგორ როდიონოვის წერილი „როდის შეწყვეტენ არმიისა და სახელმწიფოს მასხარად აგდებას?“ (ჟურნალი „მოლოდაია გვარდია“, №9, 1990 წ.).

რა თქმა უნდა, იცანით: ეს ის იგორ როდიონოვი გახლავთ, თავის დროზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი რომ იყო; ეს ის გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვია, რომელმაც ჯერ ავღანეთში „გაითქვა სახელი“, ხოლო შემდეგ, ჩვენდა საუბედუროდ, თბილისის მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევის ხელმძღვანელი და ცხრა აპრილის სისხლიანი ტრაგედიის აღმსრულებელი გახლდათ.

მას შემდეგ წელიწადნახევარზე მეტი გავიდა, მაგრამ კონკრეტული დამნაშავეები - აქციის ჩატარების სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები დღესაც არ არიან დასჯილნი. არადა, ამას მოითხოვს უდანაშაულოდ დაღუპულთა დაღვრილი სისხლი, მათი სულები, მართლმსაჯულების ელემენტარული ლოგიკა...

აი, რას წერს როდიონოვი: „სუმგაითსა და თბილისში, ფერღანასა და აფხაზეთში, ბაქოსა და ყარაბაღში, ისე, როგორც ვილნიუსში, არმია ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პირდაპირ მითითებებს და აკეთებდა ამას ღრმა ტანჯვით და კრიჭაშეკრული, მაგრამ ასრულებდა წესდებისა და ფიცის ჯარისკაცისათვის წმიდათა წმიდა მოთხოვნებს. არმია სახელმწიფოს იარაღია და თავისი უმაღლესი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მისთვის კანონია“.

აქ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ საკითხავი ის არის, თუ ვინ უბრძანა თვით როდიონოვს მშვიდობიანი მომიტინგეების სისხლიანი რბევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ არ ასახელებს როდიონოვი კონკრეტულ პირებს, ვინც გასცა ბრძანება?

აგრძელებს რა თავის მოსაზრებებს, როდიონოვი წერს: „ამჟამად შსს და სუკი სარგებლობენ ხელმძღვანელობის დეზორგანიზაციით და დროებითი გამოუცდელობით და იმის მაგივრად, რომ გაბედულად შეუდგნენ თავიანთი პირდაპირი ვალდებულებების შესრულებას, ისინი არმიის „ფართო ზურგსუკან „მიდიან“.

აი, რა აზრს გამოთქვამს გენერალი როდიონოვი თბილისის ამბებთან დაკავშირებით: „დარწმუნებული ვარ, თბილისშიც შეიძლებოდა არმიის ჩაურევლად იოლად გასვლა, მაგრამ ვიღაცა შეუპოვრად ცდილობდა და მიაღწია კიდეც ამას“.

ყველასათვის ცნობილია, რომ თვით როდიონოვი თავიდან ყველაზე უფრო წინააღმდეგი იყო სამხედრო ძალის გამოყენებისა, რაც თავის დროზე ე. შევარდნაძემაც აღნიშნა თბილისში გამოსვლის დროს.

საკუთრივ როდიონოვი ზემოაღნიშნულ წერილში ე. შევარდნაძის შესახებ შემდეგს წერს: „ჩვენმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ე.ა. შევარდნაძემ განაცხადა, რომ იგი მზადაა, გადადგეს, თუ თბილისის ამბების შესახებ სრული სიმართლე არ დადგინდება; პატივისცემით ვეპყრობი მინისტრის ამ განცხადებას. ვინ უშლის ხელს, დაადგინოს სიმართლე?“

ძალზე საინტერესოა იქვე იგორ როდიონოვის შემდეგი გამოთქმა: „დაე, ხალხმა გაიგოს, ვინ არის ამ პროცესების საიდუმლო დირიჟორი, ვინ არის შემსრულებელი და ვინ მიუშვა საზოგადოება ასეთ გახრწნამდე“. ნამდვილად, რომ მისაღებია მოსკოვის ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის უფროსის ეს სიტყვები. ჩვენს ხალხს, ქართველ ხალხს სწორედ რომ სწყურია, გაიგოს ცხრა აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებული სრული სიმართლე.

სკკპ XXVIII ყრილობაზე წარდგენილი ვრცელი თვითანგარიშის შემდეგ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ ყრილობის დელეგატთა კითხვებზე გაცემულ ერთ-ერთ პასუხში აღნიშნა: „...შემდეგ დავუჯერეთ ხრუშჩოვს; ხრუშჩოვსაც ვწერდი წერილებს. მას ასე მივმართავდი: ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ... აღტაცებას გამოვთქვამდი და სხვებთან ერთად ვადიდებდი „დიად ათწლეულს“. შემდეგ შევიტყვე, რომ მას გაუცია ბრძანება, ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები გამოეყვანათ თბილისის ქუჩებში. 150 ახალგაზრდა დაიღუპა დემონსტრანტთა წინააღმდეგ იმ ოპერაციის დროს“.

ალბათ ყველა ხვდება, რომ აქ ლაპარაკია 1956 წლის 9 მარ-

ტის სისხლიან ამბებზე.

ცნობისათვის: იმ დროს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი იყო გენერალ-პოლკოვნიკი ი.ი. ფედიუნინსკი. ეს ის ფედიუნინსკი გახლდათ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ბლოკადის დროს, ლენინგრადის ფრონტს ხელმძღვანელობდა, შეცვალა რა თვით განთქმული გიორგი კონსტანტინეს ძე ჟუკოვი 1941 წლის 7 ოქტომბრიდან.

სწორედ 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული აქციის ჩატარების ხელმძღვანელად მოგვევლინა ფედიუნინსკი. ჩვენ არ შევუდგებით ამ სისხლიანი ტრაგედიის აღწერას. იგი კარგად ცნობილია, მაგრამ მინდა დავუმატო ერთი:

ამ აქციიდან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ გენერალი ფედიუნინსკი სასწრაფო წესით თბილისს მოაშორეს და სამუშაოდ მოსკოვში გადაიყვანეს.

როგორ ჰგავს ორივე გენერლის - ფედიუნინსკისა და როდიონოვის ბედი ერთმანეთს.

ცნობილია, რომ საქართველოს მაშინდელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ვასილ მჟავანაძის მეთაურობით ორგზის საბჭოთა კავშირის გმირს - ფედიუნინსკის გაცილების ბანკეტი მოუწყო. მის პატივსაცემად ბევრი სადღეგრძელო შეისვა: მისი დამსახურებისა დიდ სამამულო ომში, მისი როლისა ლენინგრადის ბლოკადის დროს და ა.შ. ყველაფერი კარგად, საზეიმოდ და მშვიდობიანად ჩაივლიდა, რომ ერთ-ერთ იქ დამსწრეს არ წარმოეთქვა დაახლოებით ასეთი სიტყვა: „გადღეგრძელებთ, გენერალო! მართლაც, რომ გმირი ბრძანდებით. მიდიხართ, მაგრამ იცოდეთ, სადაც უნდა წახვიდეთ, ქართველი ახალგაზრდების სისხლი თან წაგყვებათ და მას ვერსად დაემალებით“.

საპასუხო სამადლობელ სიტყვაში გენერალმა ფედიუნინსკიმ თქვა: „...მე მივიღე პირადად ნიკიტა სერგის ძის და მარშალ ჟუკოვის ბრძანება, რომ დამებომბა თბილისი. მე ეს ბრძანება არ შევასრულე და გამოვიყენე მინიმალური საშუალება“...

წუთით წარმოვიდგინოთ, რა დღეში აღმოჩნდებოდა დაბომბვის მერე ქალაქი და რა მასშტაბისა იქნებოდა მსხვერპლი...

დიახ, ადვილი მოსალოდნელი იყო, ქართველების მიმართ კიდევ უფრო საშინელი დანაშაული ჩაედინათ. ისიც ცნობილია, რომ „ძვირფას ნიკიტა სერგის ძეს“ გადაწყვეტილი ჰქონდა ქართველების საქართველოდან ციმბირში გადასახლება...

„მამული“, №2, 1991 წ. იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარლენ სულხანიშვილი

გივი ვეფხვაძე

დღევანდელი გადასახედიდან

9 მარტი!... 9 აპრილი!... როგორ ჰგავს ეს ორი თარიღი ერთმანეთს!... იმ დაწყევლილ ორმოცდათექვსმეტსა და ოთხმოცდაცხრაშიც უდანაშაულო ქალიშვილებისა და ჭაბუკების სისლით მოირწყა რუსთაველის გამზირი...

9 აპრილმა მოულოდნელად გაგვახსენა 9 მარტის ერთი მივიწყებული და ბევრისთვის უცნობი ეპიზოდი, რომელიც ქართველ მილიციელთა რაინდულ სულზე მეტყველებს. რომ არა ჩვენი მილიციის თავდადება და თანადგომა, რომლებიც მკერდით ეფარებოდნენ უიარაღო, უმწეო და გაოგნებულ ბავშვებს, ტლანქი საბჭოური ჩექმები, ხელკეტები და გამზირზე მოჯირითე მძიმე საბრძოლო ტექნიკა გაცილებით მეტ მსხვერპლს მოიტანდა...

ასე იყო მაშინაც, იმ ავბედით ორმოცდათექვსმეტშიც.

9 მარტის ტრაგედიის შემდეგ ქალაქში ხალხი შეშინებული დადიოდა. თუ ქუჩაში ნაცნობები ერთმანეთს შეხვდებოდნენ, ცდილობდნენ, დიდხანს არ შეჩერებულიყვნენ - საუბრობდნენ ჩურჩულით და თან შეშფოთებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. გადიოდა დღეები. გაზაფხულის მზე ნელ-ნელა იკრებდა ძალას. პირველი მაისი ახლოვდებდა და თითქოს ყველას ერთი საფიქრალი გაუჩნდა: - - ასეთი უმოწყალო ხოცვა-ჟლეტის შემდეგ რა საზეიმო ელფერი უნდა ჰქონოდა ტრადიციულ საპირველმაისო აღლუმს. ბევრი იმასაც ამტკიცებდა, რომ ხალხი დემონსტრაციაზე არ გავაო.

ჩვენ მაშინ საშუალო სკოლას ვამთავრებდით. წინა დღით დირექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორმა მკაცრად გაგვაფრთხილა,- ვაი იმისი ბრალი, ვინც ხვალ პარადზე არ მოვაო. ჩვენც რა ჩარა გვქონდა. მეორე დღეს, დილის შვიდ საათზე, ცირკთან, სანაპიროზე მოვიყარეთ თავი. მზიანი ამინდი იყო. ვიდექით ასე, იალაღებზე გადასარეკი ცხვრებივით და ველოდებოდით, როდის დაიძრებოდა ჩვენი კოლონა მთავრობის სახლისაკენ... დავიღალეთ. იქვე ტროტუარზე ჩამოვჯექით. ერთმა ჩვენმა მეგობარმა, გივი ყვავილაშვილმა, შინიდან წამოღებული ქაღალდში გახვეული პური და მოხარშული თევზი გამოგვიწოდა... თევზის სუნმა ისევ 9 მარტი გამახსენა: იმ ღამეს ძია ვანო (ასე ვეძახდით ერთ დროს უბანში ყველასათვის ნაცნობ კეთილ კაცს, ვანო ყვავილაშვილს),რომელიც თურმე თევზაობიდან ბრუნდებოდა, ხიშტით მკლავში მსუბუქად დაუჭრიათ. სანაპიროდან ათიოდე ბავშვი თავისთან წაუყვანია და შეუფარებია. მრავალრიცხოვანი ოჯახის მამა კალინინის მოედანზე ერთ პატარა, მიწისპირა სახლში ცხოვრობდა. დილით ახალი თევზით გამასპინძლებია ბავშვებს და ისე გაუსტუმრებია.

...პარადზე ჩვენი გასვლის ჯერი დადგა. მთავრობის სახლის წინ სპეციალურად აღმართულ ტრიბუნაზე რესპუბლიკის ხელმძღვანელები და საპატიო სტუმრები იდგნენ. რეპროდუქტორებში ისმოდა გაუთავებელი სადღესასწაულო მოწოდებები: „გაუმარჯოს პირველ მაისს... კომუნისტურ პარტიას... ხალხთა მეგობრობას.. ვაშა! ურაა!...“ კოლონებიდან კი აქა-იქ თუ ვინმე წამოიკნავლებდა „ურას“... და ასე ულიმღამოდ მიჰყვებოდა კოლონა კოლონას... როგორც იქნა, გავაღწიეთ მთავრობის სასახლეს და პუშკინის ქუჩის ჩავლით დაბლა დავეშვით. მშრალ ხიდზე რომ გავედით, ნაბიჯი შევანელეთ. სანაპიროს სკვერი, იქ, სადაც ორიოდე თვის წინ განუკითხავად დახოცეს ბავშვები, ცარიელი იყო. დაობლებულივით მდგარ სტალინის ძეგლს გავხედეთ და მერე უსიტყვოდ, გაუბედავად, მაგრამ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავედით სკვერში.

გივი ყვავილაშვილი

დემონსტრაციიდან დაბრუნებულები ერთხანს უნდობლად გვიყურებდნენ, ხოლო შემდეგ თითო-ოროლა კაციც ჩვენს კვალს აჰყვა და სულ ცოტა ხანში ორმოციოდე ადამიანმა მოიყარა თავი. სკვერს ხალხი თანდათანობით ემატებოდა. უცებ გივი ყვავილაშვილს ასეთი აზრი დაებადა: - მოდით, ბიჭებო, შავი ნაჭერი მოვიტანოთ და დაღუპულთა მოსახსენიებლად კვარცხლბეკზე ჩამოვკიდოთო. ამ წინადადებამ ერთბაშად აგვიტაცა და სირბილით შინისაკენ მოვკურცხლეთ... ცოტა ხანში გახუნებული შავი ხავერდის ნაჭრითა და ჩაქუჩ-ლურსმნებით ხელდამშვენებულები ქოშინით მივადექით სკვერს, მაგრამ... სტალინის ძეგლთან ათიოდე წუთში უამრავ ხალხს მოეყარა თავი, რომლებსაც მილიციის ცხენოსანთა რაზმი ყოველგვარი მუქარისა და ძალადობის გამოყენების გარეშე, უხმაუროდ, მშვიდად სთხოვდა, გაეთავისუფლებინათ სკვერი... ჩვენ შორიახლო ვიდექით და გვიკვირდა - ასეთი ზრდილობიანი მილიციელები არასოდეს გვენახა... არც ხალხს გამოუხატავს რაიმე აგრესია. იმ დღემ მშვიდობიანად და უმტკივნეულოდ ჩაიარა და ამას უნდა ვუმადლოდეთ ქართველ მილიციელთა დიდსულოვნებასა და თავდაჭერას, მათ შინაგან კულტურას.

მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა... ბევრს დღემდე მოუშუშებელ იარად შემორჩა გარდასულ დღეთა სატკივარი... ბევრი მათგანი დღეს ჩვენს შორის აღარაა და ახლა, როდესაც ახლოვდება ხსოვნის დღე, გვინდა, ყველა მოვიგონოთ, ყველა კეთილი და ამ ქვეყნიდან ვალმოხდილად წასულნი... ძია ვანო, გივი, გულიკო, მაია თუ თენგიზი, შოთა, ლევანი, იუზა და თემური... რომელი ერთი უნდა ჩამოთვალოს კაცმა... ისინი კარგი ჭაბუკები და ქალიშვილები იყვნენ...

„თვალთაი“, 1998 წ. 29 აპრილი - 5 მაისი



მამუკა ბაკაშვილი

შეიქმნა „9 მარტის საქველმოქმედო საზოგადოება“

ტელე-რადიოდეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართა „9 მარტის საქველმოქმედო საზოგადოების“ დამფუძნებელი კრება, რომელსაც ესწრებოდნენ ტრაგედიის მონაწილენი, დაღუპულთა მშობლები და ახლობლები. კრება გახსნა საინიციატივო ჯგუფის წევრმა, რეჟისორმა გივი ვეფხვაძემ. მან მოკლედ ილაპარაკა საზოგადოების შექმნის საჭიროებაზე, შემდეგ კი დამსწრეთ გააცნო საზოგადოების პროგრამა და წესდება. წესდების თანახმად, „9 მარტის საქველმოქმედო საზოგადოება“ შექმნილია თვითმმართველობის პრინციპზე. მისი წევრი შეიძლება იყოს ყველა რელიგიისა და ეროვნების ადამიანი. საზოგადოების ვალია კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობა, ხელმოკლე ოჯახების დახმარება და სხვა.

საზოგადოების წევრებმა ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად დაისახეს ტრაგედიის სრულყოფილი გამოკვლევა და 9 მარტის მემორიალური ბაღის გაშენების საკითხი.

ბატონმა გივი ვეფხვაძემ კრების მონაწილეებს გააცნო ერთი საინტერესო ფაქტი. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია გადაღებული ყოფილა კინოფირზე, რომელიც ამერიკაშია და მისი ჩამოტანა სწორედ ამ საზოგადოებამ უნდა ითავოსო.

საზოგადოების პირველი ყრილობა უახლოეს ხანს გაიმართება. იმედია, იგი კიდევ უამრავ წევრს შეიძენს.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წ. 24 აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარდა პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა, ფილმის გადაღების პერიოდში და შემდგომაც ჩვენს სარედაქციო ფოსტას დღითიდღე ემატებოდა წერილები, რომლებიც შეძლებისდაგვარად აცოცხლებდნენ იმ კადრებს, რომელთა თვითმხილველნიც მათი ავტორები იყვნენ.

ეს წერილები იმ დღეთა მომსწრეებს ათეული წლების მანძილზე მივიწყებულ ეპიზოდებს აღუდგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი მათიაშვილი

1956 წლის მარტის ეროვნული შეუიარაღებელი აჯანყება

აჯანყების მეთაურები

1. ხოცუაშვილი ვალერიან გიორგის ძე - დაბად. 1925 წელს, II მსოფლიო ომის მონაწილე. ჯარში მსახურობდა 1943-1950 წლებში. 1951-1956 წწ. იყო თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი. აჯანყების დროს სწავლობდა V კურსზე. როგორც დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე და სტუდქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, სტუდქალაქში მცხოვრებ სტუდენტებსა და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტ ახალგაზრდობასა და პროფესორ-მასწავლებლებში სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

სწორედ მისი დიდი მუშაობის შედეგად იქცა სტუდქალაქი აჯანყების კერად, ხოლო თვითონ - ბატონი ვალერიან ხოცუაშვილი სტუდენტების მიერ ერთხმად იქნა აღიარებული აჯანყების შტაბის მეთაურად.

1956 წლის მარტის პირველი რიცხვებიდან 9 მარტამდე სტუდქალაქიდან წამოწყებული და განხორციელებული ყველა აქციის მეთაური ბატონი ვალერიან ხოცუაშვილი იყო. მანვე შეადგინა შტაბში 12-მუსლიანი მოთხოვნები ჩინეთის მაშრალ ჯუ დეს სა-

ხელზე. ეს მოთხოვნები ეხებოდა ი.ბ. სტალინისა და ქართველი ერის ღირსებების დაცვას. ვ. ხოცუაშვილი იყო აგრეთვე იმ დელეგაციის მეთაური, რომელმაც მთავრობის აგარაკზე კრწანისში აღნიშნული მოთხოვნები გადასცა მარშალ ჯუ დეს. ეს იყო 8 მარტს.

ყოველივე ამის გამო საიმპერიო ხელისუფალთა მითითებით ბ-ნი ვალერიან ხოცუაშვილი დაპატიმრებულ იქნა.

2. ქინქლაძე იოსები (სოსო) (ავჯანყების შტაბის წევრი) - II მსოფლიო ომის მონაწილე, ინვალიდი (მარცხენა ხელზე ჰქონდა პროთეზი), თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, საუკეთესო მომღერალი. დემონსტრაციების დროს დიდებულად მღეროდა „გაფრინდი, შავო მერცხალოს".

საერთოდ, საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილენი გაფრინდი, შავო მერცხალოს" გარდა ვმღეროდით „ხასანბეგურას", „დილას" საქართველოს ჰიმნს და ა.შ.

3. გოგოჭური ბერდია (ავჯანყების შტაბის წევრი) - თსუ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, რომელმაც პირველმა გაიყვანა სტუდქალაქიდან ი.ბ. სტალინის გარდაცვალების დღეს - 5 მარტს, დღის 4 საათზე სტუდენტების დიდი ჯგუფი. ამ ჯგუფს სტუდქალაქიდან მტკვრის სანაპირომდე გზადაგზა უერთდებოდნენ ილია ჭავჭავაძის გამზირზე (მაშინ უნივერსიტეტის ქუჩა ეწოდებოდა) მდებარე ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, აგრეთვე მრავალი თანამგრძნობი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა. ი.ბ. სტალინის ძეგლამდე მსვლელობა საკმაოდ დიდ დემონსტრაციაში გადაიზარდა.

არაა სწორი ცნობა, თითქოს დემონსტრაციები 2-4- მარტსაც იმართებოდა. არა! ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. პირველი დემონსტრაცია მოაწყო ბერდია გოგოჭურმა 5 მარტს პირადად ბ-ნ ვალერიან ხოცუაშვილისა და შტაბის დავალებით. ესაა ისტორიული ჭეშმარიტება!

1-4 მარტს კი ი.ბ. სტალინისა და საქართველოს ღირსების დასაცავად უნივერსიტეტის აუდიტორიებში იმართებოდა ცხარე კამათი და დისკუსიები, 5 მარტიდან კი ბრძოლა ქუჩებში გადავიტანეთ.

ბერდია გოგოჭური მარტის ამბების უაღრესად აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი მეთაური იყო.

4. ბარბაქაძე ილია (ავჯანყების შტაბის წევრი) - თსუ ისტორიის

ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივანი, IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტი, რომელმაც თავის მოადგილე აკაკი მათიაშვილთან ერთად 6 მარტს, დღის 3 საათზე სტუდქალაქიდან სტუდენტი ახალგაზრდობის კიდევ უფრო დიდი ჯგუფი გაიყვანა მტკვრის სანაპიროზე. მსვლელობა ი.ბ. სტალინის ძეგლამდე მძლავრ დემონსტრაციად იქცა.

მსვლელობის მარჯვენა ფრთას მიუძღოდა ილია ბარბაქაძე, მარცხენას - აკაკი მათიაშვილი.

მილიცია ცდილობდა, შეეცვლევინებინა ჩვენთვის მსვლელობის მარშრუტი, სახელდობრ ძნელაძის ქუჩისაკენ, მაგრამ ჩვენ ერთი ნაბიჯითაც არ გადაგვიხვევია რუსთაველის პროსპექტიდან, გავიარეთ მთელი პროსპექტი და დღევანდელი თავისუფლების მოედნიდან გავემართეთ ი.ბ. სტალინის ძეგლისაკენ. მანამდე პუშკინის ქუჩაზე, ხელოვნების მუზეუმის ახლოს გავმართეთ საპროტესტო მიტინგი, რომელზეც თსუ ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ინდიკო სეფაშვილმა წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა, სადაც მკაცრად დაგმო საბჭოთა იმპერიის მესვეურთა შოვინისტური, ანტიქართული პოლიტიკა და დაიცვა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები.

ზემოთ ვახსენე მილიცია. გულწრფელობა, პატიოსნება და ისტორიული სიმართლე მოითხოვს, პირდაპირ ვთქვათ, რომ ქართული მილიციის თანაგრძნობა მთლიანად ჩვენთან იყო 9 მარტის სისხლიანი დღის ჩათვლით. იგივე გამეორდა 1989 წლის 9 აპრილის მხეცური ხოცვა-ჟლეტის დროსაც.

5. მათიაშვილი აკაკი (ავჯანყების შტაბის წევრი) - თსუ ისტორიის ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივნის პირველი მოადგილე, IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტი. ილია ბარბაქაძესთან ერთად 6 მარტის მანიფესტაციის მეთაური.

7 მარტიდან სამოქალაქო კონტროლი მთელ თბილისზე ჩვენს ხელში იყო. მხედველობაში მაქვს საწარმო-დაწესებულებათა აბსოლუტური უმრავლესობა, ტრანსპორტი და ა.შ.

ჩვენი ძირითადი ლოზუნგი იყო: „ლენინ-სტალინ - მაო ძედუნ!"

6. ლოლუა რაული - ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი. მართალია, ავჯანყების შტაბის წევრი არ იყო, მაგრამ გვერდიდან არ გვცილდებოდა. განსაკუთრებით ახლოს იყო ავჯანყე-

ბის შტაბის ხელმძღვანელთან - ვალერიან ხოცუაშვილთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემონსტრაციების უზრუნველყოფა ი.ბ. სტალინის სურათებით, გვირგვინებითა და ტრანსპარანტებით რაულ ლოლუას ჰქონდა დაკისრებული.

7. **სეფაშვილი ინდიკო** (ავჯანყების შტაბის წევრი) - თსუ ისტორიის ფაკულტეტის V კურსის ფრიადოსანი სტუდენტი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 6 მარტს ხელოვნების მუზეუმთან გამართულ მიტინგზე სტუდენტების მიერ ხელში აყვანილმა ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. მარტის ამბებში გამოირჩეოდა დიდი აქტიურობით.

8. **ბერძენიშვილი თენგიზი** (ავჯანყების შტაბის წევრი) - თსუ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, ყველა ღონისძიების აქტიური მონაწილე.

9. **გოგოჭური ნიკო** - თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის წარჩინებული სტუდენტი. თავის ბიძაშვილთან - ბერდია გოგოჭურთან ერთად მარტის ამბების დროს მტკიცედ და თავდადებით გვედგა მხარში.

1956 წლის მარტის ამბების აქტიური მონაწილენი

1. **ლაფაჩიშვილი რომანი** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის წარჩინებული სტუდენტი.

2. **უგულავა ვახტანგი** - საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, სტუდქალაქის საბჭოს წევრი.

3. **ლომაია ჭაბუკი** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის წარჩინებული სტუდენტი.

4. **მუჯირიშვილი ოთარი** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტი.

5. **სპანდერაშვილი (კახელიშვილი) თენგიზი** - თსუ ისტორის ფაკულტეტის IV კურსის წარჩინებული სტუდენტი.

6. **თედეევი ბათუ** - ცნობილი მოჭიდავე, დიდი ძალ-ღონის მქონე, თსუ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი. 7 თუ 8 მარტს რამდენიმე დემონსტრანტთან ერთად თოკით ავიდა ამიერკავკასიის სამხედრო შტაბის II სართულზე და აიძულა მისი ხელმძღვანელები, შენობის აივანზე გამოეკიდათ ი.ბ. სტალინის სურათი.

7. **თოდუა იური** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენტი.

8. **ჩართოლანი ისლამი** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი.

9. **ჩართოლანი შოთა** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი.

10. **ავქოფაშვილი დავითი** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის წარჩინებული სტუდენტი.

11. **სანიკიძე მამია** - ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.

12. **არჩემაშვილი მოსე** - თსუ სტუდენტი.

13. **ბერიძე დიმიტრი** - ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი.

14. **ქიშმარია შალვა** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი

15. **რურუა ენდი** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის მოწინავე სტუდენტი (IV კურსი).

16. **სოფრომაძე გურამი** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტი.

17. **ცხადიაშვილი გიორგი** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

18. **შეყილაძე მიხეილი** - თსუ ისტორიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

მხეცური ხოცვა-ჟლეტის შემდეგ

საბჭოთა იმპერიის შავბნელი ძალებისა და არამზადა, შოვინისტი ხრუშჩოვის ბრძანებით განხორციელებული მხეცური ხოცვა-ჟლეტის შემდეგ 1956 წლის მარტის ეროვნული აჯანყების მონაწილეთათვის ბევრი რამ გახდა ცნობილი.

პირველი ის, რომ ჩვენი გაჟლეტის გადაწყვეტილება კრემლმა საბოლოოდ 8 მარტს მიიღო, როცა ამავე დღეს (საღამოს საათებში) საჩქაროდ თბილისიდან გადააფრინეს (ალბათ მეტროპოლიაში!) აქ მყოფი ჩინეთის მარშალი ჯუ დე და საფრანგეთის პრეზიდენტი ვენსან ორიოლი, რათა მათ არ ენახათ იმპერიის ჯალათების მიერ ქართველთა სისხლით მორწყული თბილისის ქუჩები.

მეორე ის, რომ ჩვენი მხრიდან შეიარაღებული ან დიდი წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში საბჭოთა იმპერია ტანკებითა და ავია-

15. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

ციით აპირებდა თბილისის აღებას. მნახველები ამბობდნენ, რომ ნორიო-მარტყოფის შემოგარენი სავსე იყო იმპერიის ტანკებით, ხოლო ვაზიანის სამხედრო აეროდრომი ყოველ წუთს ელოდა ბრძანებას თბილისის დასაბომბავად.

მესამე ის, რომ ბოროტების იმპერია ჩვენს წინააღმდეგ 9 მარტის მხეცური ხოცვა-ჟლეტის შემდეგაც აპირებდა ფართო მასშტაბის რეპრესიებს, რაზედაც, როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტის გამო ხრუშჩოვს ხელი აუღია. ვამბობ, მოგვიანებით, რადგან ჩვენ, საწყალ სტუდენტებს, სად გვქონდა იმისი თავი, რომ რადიომიმღებები შეგვეძინა და „ამერიკის ხმის" ან „ბი-ბი-სისათვის" მოგვესმინა, როგორ ეხმაურებოდა მსოფლიო თბილისში დატრიალებულ მხეცურ ხოცვა-ჟლეტას.

ჩვენი ერთადერთი საინფორმაციო წყარო ცენზურის კლანჭებში მყოფი საბჭოთა პრესა და თბილისის ხაზის რეპროდუქტორები იყო, რომლებიც გადასცემდენ თბილისის სამხედრო კომენდანტის, გენერალ გლადკოვის სისხლისგამყინავ ბრძანებებს ჩვენს დასაშინებლად და დასათრგუნავად.

იმპერიის მიერ დატრიალებული მხეცური ორგიის შემდეგ რეპრესიების საფრთხის გამო რამდენიმე დღის განმავლობაში აღარ მივდიოდით ჩვენს საყვარელ საბუდარში - სტუდქალაქში. ზოგმა თბილისში უახლოეს ნათესავ-ნაცნობებს შევაფარეთ თავი, ზოგმა რაიონებს მიაშურა.

პირადად მე და ჩემი მეგობრების ერთი ჯგუფი დავრჩით თბილისში, ახლობელთა ბინებში და იქედან ვადევნებდით თვალს მოვლენების განვითარებას. მასობრივი დაჭერებისა და რეპრესიების შემთხვევაში გადაწყვეტილი გვქონდა, სანადირო თოფებით წავსულიყავით ახმეტის ტყეებში და ცოცხალი თავით არ დავნებებულიყავით უტიფარ მტერს. მართალია, კბილებამდე შეიარაღებულ მოძალადეებთან ვერაფერს ვერ გავხდებოდით, მაგრამ არც ცოცხლებს გვინდოდა მათ სისხლიან კლანჭებში ჩავარდნა.

საბედნიეროდ, ტყეში გასვლა აღარ დაგვჭირდა: „უცოდველმა" მგლებმა „ცოდვიანი" კრავები შეგვიწყალეს... და ჩვენც კვლავ მივაშურეთ ჩვენს სასწავლებლებს და მშობლიურ სტუდქალაქს, მივაშურეთ სისხლით გაუმაძღარი და სისხლში ამოთხვრილი ბოროტების იმპერიის მიმართ უფრო ძლიერი სიძულვილით გამსჭვალულებმა...

...მარტის II ნახევრის (რიცხვი ზუსტად აღარ მახსოვს) პირვე-

ლი ღამეა, რაც მე და ჩემი მეგობარი თენგიზ ბერძენიშვილი სტუდქალაქის V კორპუსში ჩვენს საცხოვრებელ ოთახში ვიმყოფებოდით. ერთმანეთს მივუსამძიმრეთ ჩვენი მრავალტანჯული ერის თავზე დატრიალებული დიდი უბედურება, თანამებრძოლების დაღუპვა, გავუზიარეთ იმ სისხლიანი ღამის მძიმე შთაბეჭდილებანი და მძიმე ფიქრებში ჩაძირულები დასაძინებლად დავწექით.

დავწექი, მაგრამ მძიმე ფიქრები და სულიერი ჭრილობები ახალი ძალით ამეშალნენ და თვალი ვერ მოვხუჭე. საოცარი სიამაყე დამეუფლა, რომ საბჭოთა იმპერიის შავბნელ და შოვინისტურ ძალებს ჩვენი ხატზე საფიცარი საქართველოსა და ქართველი ერის ლანძღვა-გინებისა და დამცირებისათვის მოვუწყეთ ეროვნული აჯანყება, რომ ჩვენი ისტორიული სიმართლე სისხლიანმა ჯალათებმა მხოლოდ იარაღის ძალით დაამარცხეს დროებით.

ვერ მოვითმინე, ფრთხილად გავაღვიძე თენგიზი და ვუთხარი: - თენგიზ! არ გიხარია, რომ ქართველი ხარ? საწოლზე წამოჯდა და მითხრა: - თუ ძმა ხარ, მარტო ამისათვის გამაღვიძე? - დიახ, მარტო ამისათვის გაგაღვიძე!

უხმოდ წამოდგა საწოლიდან, გადამეხვირა, თავი მკერდზე მომაყრდნო და ატირდა. მეც ავტირდი. მანამდე ვქვითინებდით, სანამ გული არ მოვიოხეთ. ამ ტირილში ერთმანეთში იყო არეული სიამაყე, სიხარული და ნაღველი.

ეს იყო ყველაზე წმინდა, გულის სიღრმიდან მომდინარე ცრემლები იმ ცრემლთაგან, რაც მე და ჩემს უძვირფასეს მეგობარს, თენგიზ ბერძენიშვილს ჩვენი სიცოცხლის მთელ მანძილზე დაგვიღვრია.

ეროვნული აჯანყების სისხლის მორევში ჩახშობამ ვერ დააშინა ქართველი ხალხი. ბრძოლა გაგრძელდა სხვა გზებითა და საშუალებებით. მისი ერთ-ერთი გამოხატულება იყო 1956 წლის მირკანის ბოლო დღეები, როცა მთავრობის სახლში შეგვკრიბეს საქართველოს ახალგაზრდობის ათასამდე წარმომადგენელი, მათ შორის მრავალი სტუდენტი. შეკრებას ჰქონდა ერთადერთი ფარული მიზანი: ჩვენი „დამოძღვრა", ჩვენთვის „ჭკუის სწავლება" და, რაც მთავარია, დაშინება იმპერიის „ძლევამოსილებით". კრებაზე კრემლმა თავისი დამქაში შელეპინი მოავლინა, რომელიც იმპერიის ახალგაზრდობის თავკაცობას იბრალებდა.

კრებამ, მისი მოწვევის თაოსანთა სურვილის საწინააღმდეგოდ,

სათანადო პასუხი გასცა შელეპინის ანტიქართულ გამოხდომას, რომელიც შეეცადა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მისი ანტიკოლონიური, ეროვნული აჯანყება შეეფასებინა როგორც შოვინისტურ-ნაციონალისტური გამოსვლა. თავხედობა და მკრეხელობა ამაზე შორს ვერ წავა - თვითონ პირწავარდნილი შოვინისტი და ქართველი ხალხის ავისმდომელი შელეპინი ჩვენ, მონობის წინააღმდეგ მებრძოლებს, შოვინისტობას გვწამებდა.

მისი თავხედური გამოსვლის დროს მთელი დარბაზი გუგუნებდა ხმამაღალი შეძახილებით: „ტყუიხარ", „არა ხარ მართალი", „არ არის სწორი" და ა.შ. იგი ქართველმა ახალგაზრდებმა არსებითად ტრიბუნიდან ჩამოვაგდეთ. არ მივეცით მშობლიური ერის ლანძღვა-გინებისა და შეურაცხყოფის უფლება და საშუალება.

სამაგიეროდ დარბაზში მყოფნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შევეგებეთ აწ განსვენებული მამულიშვილის - **გელა ბანძელაძის** ვაჟკაცურ და ბრწყინვალე გამოსვლას, რომელმაც სამარცხვინო ბოძზე გააკრა კრემლის ხროვა და მისი ანტიქართული პოლიტიკა. მისი სიტყვით გამოწვეულ ჩვენს აღფრთოვანებას და მოწონებას საზღვარი არ ჰქონდა. გამოსვლის დროს გ. ბანძელაძეს სახელდახელოდ დაწერილ ლექსებსა და მოწონების ბარათებს უგზავნიდნენ. და განა იმ ჟამს მისთვის არსებობდა ამ ქვეყნად იმაზე მაღალი ჯილდო, ვიდრე ეს ლექსები და ბარათები იყო?!

სამაგიეროდ იმპერიამ არ აპატია გელა ბანძელაძეს ეს თავგანწირული გამოსვლა და სულ მალე სამსახურიდან დაითხოვეს. მაგრამ ვერავითარმა დევნა-შევიწროებამ ვერ გატეხა ღირსეული მამულიშვილისა და მეცნიერის გმირული სული. იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დარჩა ბოროტების იმპერიის წინააღმდეგ შეურიგებელ მებრძოლად.

ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის კვლავ გრძელდებოდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ ქართული ემიგრაციის მიერ. იგი ხან ძლიერდებოდა, ხან ნელდებოდა, მაგრამ არასოდეს არ წყდებოდა.

1992 წელი, 24 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან ხოცუაშვილი

9 მარტი - მემკვიდრე წარსულისა და წინამორბედი შემდგომი ბრძოლებისა

ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის არის გამოკვეთილი დღეები, რომლებიც ნიშანსვეტებივით მოჩანან განვლილი სიცოცხლის ფონზე. მათ ვერ წაშლის ვერავითარი მიწიერი თუ სულიერი ძალა, ვერც გაანელებს. დრო კი არ სცვეთს მათს სიდიადეს, პირიქით, ყოველ ახალ გზაგასაყარზე ადამიანის სულში ახალის ძალით წარმოჩინდებიან და ვითარცა წყვდიადში გზამკვლევი ვარსკვლავი, სწორ ბილიკს შეგაყენებენ. ეს დღეები აჩრდილებივით ნიადაგ თან დაგყვებიან, გეჩურჩულებიან, გმოძღვრავენ, გარიგებენ, გტუქსავენ, გსაყვედურობენ, მოგიწოდებენ და, გნებავთ, გიბრძანებენ კიდეც: მოკვდი დედასამშობლოს წმინდა მიწის სადარაჯოზე და მამა-პაპის საფლავზე გადამთიელს ბინძურ ფეხს ნუ დაადგმევინებ. იცოცხლე შენი ერის სიცოცხლით, იყავ მისი ტკივილისა თუ სიხარულის თანაზიარი, რამეთუ შენი ხალხის ერთი პატარა ნამცეცი შენცა ხარ. სწორედ ასეთად დარჩა ჩემს მეხსიერებაში 1956 წლის 9 მარტის ბობოქარი დღეები.

ის, რაც თბილისში მოხდა 1956 წლის მარტში, ძნელია, ყველა დეტალში აღიდგინოს ადამიანმა, არც ჩემი მოგონება აცხადებს მომხდარის სრული სურათის წარმოდგენის პრეტენზიას. ისიც ცხადია, რომ დრომ თავისი საქმე უკვე გააკეთა, ბევრი რამ დავიწყებას მიეცა, მაგრამ ვიდრე ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან იმ მდუღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე დღეების მონაწილენი, ყველაფერი უნდა გაკეთდეს ეროვნული
შეძლებისდაგვარად აღდგეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ საამაყო ფურცლის სრული სურათი.

მე მაშინ ი.ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამამთავრებელი, მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი. როგორც სკკ პარტიის წევრს, დავალებები არ მაკლდა, ვიყავი ფაკულტეტის პარტიული კომიტეტის წევრი და, რაც მთავარია, სტუდენტთა ქალაქის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარე. 1955 წლის დამლევსა და 1956 წლის დამდეგს ყველა გრძნობდა, რომ ი.ბ. სტალინის წინააღმდეგ იქმნებოდა რაღაც საეჭვო შეხედულებანი, ახალი მიდგომა მისი როლისა და ავტორიტეტის შეფასებისადმი, რამაც განსაკუთრებული სიცხადით იჩინა თავი 1956 წლის თებერვლის თვიდან, პარტიის XX ყრილობის შემდეგ.

სწორედ ამ მწვავე საკითხებზე, სტალინის ისტორიულ როლსა და საერთაშორისო ავტორიტეტზე, რუსული შოვინიზმის მარწუხებში მოქცეული საქართველოს მომავალ ბედზე უნივერსიტეტის სტუდენტურ წრეებში, აუდიტორიებში, ლექციებზე, სემინარულ მეცადინეობებზე, კერძო საუბრებში ჩვენი სახელოვანი ლექტორების - **აკაკი სურგულაძის, მათე ალექსიშვილის, დავით გვრიტიშვილის, გოგი გვიშიანის, სიმონიშვილის,** ასპირანტების - **დავით ჯაბიძისა და ვახტანგ ჯანჯღავას** მონაწილეობით იმართებოდა ცხარე დისკუსიები.

მოკლედ, ხელისუფლების სათავეში ნიკიტა ხრუშჩოვის მოსვლის შემდეგ სტალინისა და ბერიას მიმართ ანგარიშსწორება ქართველი ხალხისადმი სიძულვილის გაღვივების საერთო კამპანიაში გადაიზარდა. ასეთ სიძულვილს თვით ხრუშჩოვი და მისი გარემოცვა აღვივებდა. დადიოდა ხმები, თითქოს რაღაც გამოგონილი სამხედრო მოსაზრებით იმპერიის ხელმძღვანელობა ქართველი ხალხის აყრას და გადასახლებას აპირებდა. ხრუშჩოვის ხროვა რუს და არარუს ხალხებში შეგნებულად ავრცელებდა პროვოკაციულ ხმებს, თითქოს ომის დროს სტალინის მითითებით საქართველოდან არმიაში არ მიჰყავდათ ახალგაზრდობა, რომ სტალინის გავლენით საქართველო განთავისუფლებული იყო ყველა სახის გადასახადისა და სახელმწიფო ხესხისაგან. მახსოვს, ერთ-ერთ გამოსვლაში, შეეხო რა ომის შემდგომ თათრების, ოურქი მესხების, ინგუშებისა და სხვა ხალხების იძულებით გადასახლებას, ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ სტალინს სურდა უკრაინელი ხალხის აყრა და გადასახლება, მაგრამ იგი დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ერი იყო და ვერ გაბედაო. გასაგებია, როგორ იმოქმედებდა რუსეთ-
გით უკრაინელზე ეს პროვოკაციული განცხადება. ასეთი სიცრუე და
ცილისწამება თავის საქმეს აკეთებდა. საშინელი ამბები ისმოდა
რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები თუ დროებით ჩასული
ქართველებისაგან. ეს დისკრიმინაცია ყველაზე უფრო არმიის ნაწი-
ლებში შეიმჩნეოდა. მახსოვს ასეთი შემთხვევა. ჩემი მეუღლის ბი-
ძაშვილი, ფასანაურელი გენო აფციაური 9 მარტის სისხლიანი ამბე-
ბის შემდეგ გაიწვიეს არმიაში. იგი შეუპოვარი ხასიათის ახალგაზრ-
და იყო, მშობლიურ მიწასა და ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული,
კეთილი და სამართლიანი. ერთ რუს ოფიცერს სტალინი და სა-
ქართველო ბინძური გინებით მოუხსენებია თურმე. გენოს თავი ვე-
ღარ შეუკავებია და კარაბინის კონდახით თავი გაუპია თავგასული
ოფიცრისთვის. იგი გაასამართლეს და მკაცრად დასაჯეს. მამამისმა
- სიმონ აფციაურმა და მცხეთის შ/ს ორგანოს მუშაკმა, გენოს
მამიდაშვილმა შალვა რევაზიშვილმა რუსეთის თითქმის ყველა ცი-
ხე შეაჯერეს, მაგრამ ამაოდ, გენოს ასავალ-დასავალს ველარსად
მიაგნეს. ჩანს, ციხეშიც რუსული შოვინიზმის მსხვერპლი შეიქნა
ბედშავი.

1956 წლის თებერვლის დამლევსა და მარტის პირველ რიცხვებ-
ში ვითარება საგრძნობლად დაიძაბა. ახლა უკვე აშკარად, ყოველგ-
ვარი შენიღბვის გარეშე ერთ საწონზე აღმოჩნდა სტალინ-ბერია და
უდანაშაულო, ბედკრული საქართველო. ხრუშჩოვის უკანასკნელმა
პროვოკაციულმა გამოსვლებმა ცეცხლზე ნავთი დაასხა და სტუდენ-
ტი ახალგაზრდობის მოთმინების ფიალაც აივსო. სანაპიროზე,
სტალინის ძეგლთან, მიტინგებმა უწყვეტი ხასიათი მიიღო. ახლა უკ-
ვე ქართველი ხალხის ისტორიული ხვედრი გამხდარიყო მსჯელო-
ბის საგნად. სტალინი კი გვენანებოდა, რადგანაც იმ რუსეთმა გა-
ნუმზადა ანათემა, რომელსაც მთელი თავისი ტიტანური ენერგია
შეალია.

ქუჩებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, ორგა-
ნიზაცია-დაწესებულებებს, სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებსა თუ
ქარხნების მუშათა წრეებს დღეიმდე ემატებოდა. თავი-
დანვე ერთსულოვნება სუფევდა, არავითარ დაპირისპირებას, პოლი-
ტიკური ქულების დაგროვებას, თავის გამოჩენის ცდას ადგილი არ
ჰქონია. ყველა ერთი იდეით იყო დარაზმული, უჩუმრად, უხმაუროდ,
უპრეტენზიოდ ასრულებდა ნებისმიერ დავალებას. ყველაფერი კი 5
მარტიდან დაიწყო.

უნივერსიტეტში შეკიკრიბეთ სტუდენტები, რათა დაგვეგეგმა, რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახით აღგვენიშნა ეს თარიღი. როგორც მახსოვს, შეკრებას ესწრებოდნენ ინდიკო სეფაშვილი, ილია ბარბაქაძე, აკაკი მათიაშვილი, ბერდია და ნიკო გოგოჭურები, დიმიტრი ბერიძე, გიორგი ცხადიაშვილი, მიხეილ შეყილაძე და სხვანი (მაპატიონ შეკრების სხვა მონაწილეებმა, თუ ყველას გვარი და სახელი ვეღარ გავიხსენე). ჩემს მიერ ჩამოთვლილი სტუდენტები ძირითადად ისტორიის ფაკულტეტის სხვადასხვა კურსიდან იყვნენ. გადავწყვიტეთ, იმავე დღეს, 5 მარტს, დღის მეორე ნახევარში სტუდენტთა ქალაქში მცხოვრები სტუდენტები გამოგვეყვანა ქუჩაში და მოგვეწყო მასობრივი სამგლოვიარო მსვლელობა სანაპიროსაკენ, სადაც აღმართული იყო სტალინის ბუმბერაზი ძეგლი. ამ საქმის ორგანიზაცია, როგორც სტუდქალაქის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარეს, მე დამევალა. თათბირის შემდეგ მივატოვეთ ლექციები და სტუდენტთა ქალაქს მივაშურეთ. მეხუთე კორპუსის მეოთხე ოთახში (აქ და მეშვიდე კორპუსის მეშვიდე ოთახში, სტუდენტთა საბჭოს სამუშაო ოთახში, ხდებოდა ხოლმე შეკრებები), სადაც ვცხოვრობდით თანაკურსელები - მე, გიორგი (ბუხუტი) ცხადიაშვილი და მიხეილ შეყილაძე, ხანმოკლე თათბირის შემდეგ კონკრეტული დავალებები გავინაწილეთ და საქმეს შევუდექით. გავამზადეთ რამოდენიმე გვირგვინი, შავარშიაშემოვლებული სტალინის სურათი, პირადად დავუკავშირდი კორპუსების სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარეებს (ასეთი საბჭო თორმეტ კორპუსში გვყავდა) და დავავალე, მაქსიმალურად გამოეყვანათ თავთავიანთი კორპუსებიდან სტუდენტები დემონსტრაციაზე. ეს პირველი დემონსტრაცია შემდგომ დღეებში თოვლის გუნდასავით აგორდა და ზვავად გადაიქცა.

ტყუილად დაიბრალებს ვინმე საერთო ხელმძღვანელობას, რამეთუ ყოველ აქციას თავისი ხელმძღვანელი ჯგუფი ჰყავდა. ყოველი უმაღლესი სასწავლებელი, სკოლა, ორგანიზაცია-დაწესებულება, ფაბრიკა თუ ქარხანა თავად აწყობდა დემონსტრაციებს ან მიტინგებს. როცა ქუჩაში გამოჩნდებოდნენ, შემხვედრი ხალხიც უერთდებოდა. იყო შემთხვევები, როცა სხვადასხვა უბნიდან მომავალი დემონსტრაციები გზად ერთმანეთს შეუერთდებოდნენ და სტალინის ძეგლთან მიტინგსაც ერთად მართავდნენ.

●

9 მარტის ჯოჯოხეთური ღამის შემდეგ დამარცხებულ-განადგურებულებმა, დაქანცულ-დაუძლურებულებმა, ბოღმით პირგამეხებუ-

ლებმა შევაღეთ ოდესღაც ლაღი, აწ წყვდიადად ქცეული სტუდენტთა ქალაქის ალაყაფის კარები.

10 მარტს, საღამოს ჩემთან სტუდქალაქში მოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი მამია სანიკიძე. თვალცრემლიანნი ვსაუბრობდით ჩვენს განუყრელ მეგობარ, მამიას თანაკურსელ რაულ ლოლუაზე, რომლის ლამაზი, ნათელი სახე უწყალოდ დაესახიჩრებინათ ჯალათებს.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ კარებზე დააკაკუნეს. კარები მამიამ გააღო. ოთახში შემოვიდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი მამაკაცი. რუსები იყვნენ, მათ შემოჰყვა ჩვენი ფაკულტეტის პარტკომის მდივანი აბულაძე, რომელიც ძალით წამოეყვანათ.

...მერე იყო პატიმრობის დღეები.

კეთილ ადამიანს რა გამოლევს ქვეყანაზე. სამედიცინო შემოვლის დროს ორ დღეში ერთხელ მაინც საკანში შემოდიოდა ერთი სათნო შეხედულების დარბაისელი, შუახანს მიღწეული ექიმი ქალი. იგი რუსი გამყოლების თანდასწრებით ქართულად დაწვრილებით გადმოგვცემდა, თუ რა ხდებოდა გარეთ, ქალაქში. ერთხელ მითხრა: - ნუ გეშინიათ, სულ მალე უკლებლად ყველას გაგათავისუფლებენ, თქვენს პატიმრობაზე რესპუბლიკის პროკურორმა კუჭავამ სანქცია არ გასცა: დემონსტრაციებზე მონაწილეობა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებაა, თუ ვინმეს კონკრეტული დანაშაული მიუძღვის, მასალები წარმოადგინეთო.

მორიგ შემოვლაზე მითხრა, - ვინმე ქ...ძისაგან ხარ დაბეზღებულიო (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ). გარდა დემონსტრაციებზე აქტიურობისა, ბრალად გედება კრწანისში მყოფ ჩინეთის დელეგაციაზე თავდასხმის ორგანიზება და თუ ეს ბრალდება დაგიდასტურდა, გადასახლება არ აგცდებაო.

რამდენიმე დღის შემდეგ დაკითხვაზე წამიყვანეს. გამომძიებელმა ქაღალდი და კალამი დამიდო წინ და მითხრა, - ავტობიოგრაფია დაწერეო. როცა წაიკითხა, დაკვირვებით შემომხედა და მკითხა, - ახალგორიდანა ხარო? - კი - მეთქი, - ვუპასუხე. ჩემი დის სახელი მითხრა, შენი ვინ არისო. ჩემი და მაშინ პარტიულ სამუშაოზე მუშაობდა. ვუპასუხე, ვინც იყო. გაჯავრებულმა ჩაილაპარაკა, - ამის დედა ვატირე, ამ ქაღალდებს უნდა ვჯღაბნიდეთ ახლა და წირქვლის ღვინოს არ უნდა ვეჯდეთო? ეს ღვოისნიერი ადამიანი გახლდათ **სულიკო ბლიაძე**, ახალგორის რაიონის პროკურატურის თანამშრომელი, რომელიც მობილიზებული იყო სახელმწიფო უშიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როების კომიტეტში „დამნაშავეთა“ საქმის გამოსაძიებლად.

- სტუდქალაქში „შპიკი“ გყავთ,- მითხრა ბატონმა სულიკომ (გვარიც დამისახელა, რომელიც ექიმის ნათქვამს დაემთხვა), - თუ ხელში ჩამივარდა, დედას ვუტირებო.

რამდენიმე დღეში ციხიდან გამომიშვეს.

არ შემიძლია, არ გავიხსენო ერთი კურიოზული ამბავიც. ბავშვები ვაკის სხვადასხვა უბანში დაარბენინებდნენ ღორს, რომელსაც გაპარსულ გვერდებზე ერთ მხარეს ნიკიტა ეწერა, მეორეზე - ხრუშჩოვი. ერთ დღეს ღორი დაიკარგა. სუკის აგენტებს და მილიციის მუშაკებს საქმე გაუჩნდათ. დღე ერთი იყო და, მათი სტუმრობა ათასი. სუკი ეძებდა, ვინ დააწერა ღორს ნიკიტა ხრუშჩოვი, მილიცია - ვინ მოიპარა ღორი. სტუდენტებმა ორივე ბრალდება მოვიგერიეთ.

კიდევ ერთ საინტერესო ამბავზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება, რომელსაც თვითონ არ შევსწრებივარ, მაშინ დაკავებული ვიყავი, იგი საბჭოთა კავშირის გმირმა, ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტმა დავით ჯაბიძემ მიამბო. სისხლიანი დღეების შემდეგ მჟავანაძეს რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება მოუწევია. სხვა ბრალდებებთან ერთად ასეთი რამეც უთქვამს, - რომ უნივერსიტეტი, რექტორიდან დაწყებული უკანასკნელ სტუდენტამდე, გათახსირებამდე მივიდა, იდეოლოგიური მუშაობა საერთოდ ჩაშლილია და ამაზე პასუხი უნდა აგოთო. ბევრ გამომსვლელს მისთვის კვერი დაუკრავს და, აი, სიტყვა ითხოვა თურმე უნივერსიტეტის რექტორმა, დიდმა მამულიშვილმა, აკადემიკოსმა **ვიქტორ კუპრაძემ.** იგი შეეხო ტრაგედიის მძიმე შედეგებს, გააანალიზა მისი გამომწვევი მიზეზები და ბოლოს რამოდენიმე შენიშვნა მისცა ცკ-ის პირველ მდივანს, რაც დიდ გამბედაობად შეიძლება ჩაითვალოს. - ვასილ პავლეს ძევ,- უთხრა თურმე, - თქვენ საქართველოს გარეთ ხართ გაზრდილი, შესაძლოა, ქართული ენა, თავისი დახვეწილობითა და სიღრმით მსოფლიოში ცნობილი ენა, ზოგიერთ ასპექტში გარკვეულწილად დავიწყებული გაქვთ ან თავიდანვე არ გისწავლიათ, ამიტომ მოგიწოდებთ, საჯარო გამოსვლის წინ გადაშალოთ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და ამოიკითხოთ ცალკეული თქვენთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობა და შემდეგ წარსდგეთ ხალხის წინაშე. აი, თუნდაც დღეს ასე რომ მოქცეულიყავით, უხერხულობას თავს დააღწევდით და არავითარ შემთხვევაში არ იხმარდით სიტყვას - „გათახსირება“, და მეორეც, უნივერსიტეტში არა გვყავს არცერთი სტუდენტი, რომელსაც გამოცემული ჰქონდეს რაიმე ნაშრომი, რომელზეც სხვა სტუდენტები აღიზრდებოდნენ. ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაფერი ის, რაც სტუდენტებმა იციან, რაც სწამთ და სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი, თქვენ ასწავლეთ. ჩვენ ვასწავლეთ ყველამ ერთად სტალინის, სამშობლოს სიყვარული და თუ ჩვენ ისე ღრმად შევიჭერით სტუდენტთა სულიერ სამყაროში, რომ იმისათვის, რაც ჩვენ ვასწავლეთ, ახალგაზრდობა ტყვიას არ უშინდება და სიცოცხლეს სწირავს, უნივერსიტეტში იდეოლოგიური და ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა ჩავარდნილი კი არა, უმაღლეს დონეზე ყოფილა აყვანილი.

ბატონი ვიქტორის ამ სიტყვებზე სმენადქცეული დარბაზი ფეხზე წამოდგა, ტაშის ქუხილით მიესალმა ერის საამაყო შვილის გაბედულ სიტყვას. ქართველი კომუნისტების თავკაცი ზარის ხმამაღალი ჟღარუნით ამაოდ ცდილობდა თურმე აუდიტორიის დაწყნარებას.

მაინც როგორ შეიძლება შეფასდეს 1956 წლის მარტის მოვლენები? ეს იყო სტიქიური, უიარაღო გაბრძოლება ღირსებააყრილი, დამცირებული, შეურაცხყოფილი ხალხისა, რომლის მოთმინების ფიალა ააავსო თვითმპყრობელობის თავაშვებულმა კოლონიურმა თარეშმა.

გამოსვლებმა ახალგაზრდულ წრეებში აიდგა ფეხი და თავის ორბიტაში მოაქცია საზოგადოების ყველა ფენა, მთელი ქართველი ხალხი, რომელიც უთანასწორო ორთაბრძოლაში ჩაება. 9 მარტი იყო ქართველი ხალხის ხანგრძლივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაგისტრალური ხაზის ერთი, მორიგი ეტაპი, რომელმაც ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში კვლავ გამოაღვიძა და ახალი ბრძოლებისთვის დარაზმა ეროვნული ძალები. ეს იყო მემკვიდრე ძველი, განვლილი გზისა და წინამორბედი შემდგომი ბრძოლებისა.

9 მარტს მოჰყვა 60-70-იანი წლების ამბები, 1978 წლის 14 აპრილი, 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილი და ტანჯვით მოპოვებული თავისუფლება, რომელსაც დღესაც ყოველის მხრიდან ეხეთქებიან მღვრიე ტალღები, წასალეკავად ემუქრებიან.

ღმერთო, შენ იყავ მფარველი ამ წმიდა გზაზე შემდგარი საქართველოსი.

1992 წ. 23 აგვისტო
დაბა ახალგორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ეცადაშვილი

შეიძლებოდა თუ არა ტრაგედიის თავიდან აცილება?

პარტიული სკოლის მსმენელები - მე, ილია მუხიგულაშვილი და რევაზ ბზიშვილი 10 მარტს დილის 5 საათზე ჩავედით რუსთაველის პროსპექტზე, სადაც სახანძრო მანქანები სისხლიან ადგილებს რეცხავდნენ.

შემდეგ ფეხით წავედით სტუდენტთა ქალაქში, სადაც ჩემი უმცროსი ძმა ცხოვრობდა, ოთახი დაკეტილი დაგვხვდა.

გადავწყვიტე, გორში წავსულიყავი, სადაც მაშინ ცოლ-შვილით ვცხოვრობდი. საბედნიეროდ, ჩემი ძმა იმ ღამეს მშვიდობიანად ჩასულიყო გორში და სტალინის მონუმენტთან გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე ვნახე.

თბილისის მსგავსად გორშიც ახალგაზრდობამ 4-5 მარტიდან დაიწყო გამოსვლები. მასში მონაწილეობდნენ აგრეთვე ქარელის, კასპისა და სხვა რაიონებიდან ჩამოსულებიც. მომიტინგენი ძირითადად სტალინის ძეგლთან იყრიდნენ თავს.

10 მარტს დილის 10 საათისათვის ათასობით ადამიანი იყო შეკრებილი სტალინის მოედანზე, ხალხი თანდათან ემატებოდა. შორიახ-

ლოს განლაგებული იყვნენ შეიარაღებული სამხედრო ნაწილები, ტანკები.

წესრიგს იცავდენ უიარაღო მილიციის მუშაკები, გამოცდილი ჩეკისტები - გ. რაზმაძე, ზ. კუდუხაშვილი, ა. ბზიშვილი, შ. და ვ. გენგიურები და სხვა.

11 საათზე პარტიის რაიკომში მივედი. იქ დამხვდნენ საქალაქო და რაიონული კომიტეტის პირველი მდივნები - ვასილ ჩოფიკაშვილი, იოსებ რთველიაშვილი და სხვა ხელმძღვანელები, მაღალი ჩინის სამხედროები. გენერალმა პუტილოვმა ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელებს წინ დაუდო ამიერკავკასიის სარდლის - ფედიუნინსკის დეპეშა და აუხსნა, რომ მას ევალებოდა, მიეღო გადამჭრელი ზომები მიტინგის აღსაკვეთად.

ძალიან დაძაბული ლაპარაკი მიმდინარეობდა. რაიონის ხელმძღვანელებმა სამაგალითო პრინციპულობა გამოიჩინეს და სამხედროებს თავიანთი გეგმა გააცნეს.

კარგად მახსოვს, ვასილ ჩოფიკაშვილის, ბუნებით უწყინარი კაცის, გაფთრებული ლაპარაკი. მან გენერალს უთხრა: „თქვენ, როგორც პარტიის ქალაქკომის წევრი, როგორც კომუნისტი, რომელიც აღრიცხვაზე იმყოფებით ქალაქის ორგანიზაციაში, მოვალე ხართ, შეასრულოთ პარტიული კომიტეტის მოთხოვნა და დაგვეხმაროთ მიტინგის მშვიდობიანად დაშლაში. მართლაც, ქალაქისა და რაიონის მთელი აქტივის ძალისხმევით 10 მარტს, საღამოს 11 საათისათვის მიტინგი ფაქტობრივად დაიშალა, თუ არ ჩავთვლით მორიგეებსა და ღამისმთევლებს, რაც 12 მარტამდე გრძელდებოდა.

ქალაქისა და რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელთა პრინციპულობამ ასე ააცილა სისხლისღვრა გორელებსა და მეზობელი რაიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს.

1956 წლის 9 მარტს თბილისშიც ასე რომ მოქცეულიყვნენ, ამდენი უდანაშაულო ახალგაზრდა არ შეეწირებოდა იმ ბარბაროსულ ხოცვა-ჟლეტას.

1989 წელი

ვაჟა ფაჩულია

მიტინგს ლენინი და სტალინიც „ესწრებოდნენ“

1956 წელს 28 წლის ახალგაზრდა რეჟისორად ვმუშაობდი გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრში. როგორც მოგეხსენებათ, თეატრი ეპოქის საყვირი გახლავთ და ამ მხრივ არც ჩვენი თეატრი იყო გამონაკლისი. იმ დროისათვის ჩვენს რეპერტუარში ყველაზე „საკასო“ სპექტაკლად ითვლებოდა გ. ნახუცრიშვილის პიესის მიხედვით დადგმული „სიჭაბუკე ბელადისა“, რომელიც მე განვახორციელე. სპექტაკლში ნაჩვენები იყო, გორელი ბიჭი, გიმნაზიელი სოსელო როგორ იქცა სტალინად, რუსეთის რევოლუციის სხვათაგან გამორჩეულ ბელადად.

ცხადია, გორელები სტალინის ყველაზე დიდ ჭირისუფლებად თვლიდნენ თავს და, ამდენად, 1956 წლის მარტში გორი მოვლენების ეპიცენტრში იყო. დასავლეთ საქართველოდან წამოსული ხალხის ტალღა ჯერ გორში შეჩერდებოდა, სადაც ცენტრალურ მოედანზე, სტალინის ძეგლთან 5 მარტიდან დღე და ღამ პერმანენტული მიტინგები მიმდინარეობდა, შემდეგ კი თბილისისკენ მიემართებოდნენ, სადაც სანაპირო სკვერში, სტალინის ძეგლთან ასევე უწყვეტი მიტინგები იმართებოდა. თბილისიდანაც ყოველდღე უამრავი ხალხი ჩამოდიოდა გორში, მიკროფონში არ წყდებოდა ადგილობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივი თუ ჩამოსული ორატორების გამოსვლები.

ჩვენ, თეატრის კოლექტივიც, უჩვეულო მღელვარებამ მოგვიცვა და ხელმძღვანელობას მოვთხოვეთ, თეატრს მისეული ფორმებითა და საშუალებებით გამოეხატა თავისი დამოკიდებულება მიმდინარე პროცესებისადმი, რომ განზე გადგომა არამართებული იქნებოდა.

გორის კომკავშირის კომიტეტის პირველ მდივანთან (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) სიტყვიერი შეთანხმებით, გადაწყდა, თეატრის კოლექტივი დედაქალაქში გამგზავრებულიყო და იქ მომიტინგეთა წინაშე წარმსდგარიყო სპექტაკლის - „სიჭაბუკე ბელადისა" ფინალით: ზამთრის სასახლის კარი იღება, საიდანაც გამოდიან ლენინი, სტალინი, ძერჟინსკი, კიროვი და სხვები. ამის ორგანიზება და ხელმძღვანელობა მე დამევალა.

9 მარტს ბამბეულის კომბინატმა სასწრაფოდ მოიყვანა საბარგო მანქანა, რომელიც სახელდახელოდ ჯავშსნოსანისათვის დაემსგავსებინათ. მანქანის ძარაზე მოთავსდნენ მსახიობები შესაბამისი გრიმითა და კოსტიუმებით. სტალინი იყო როგორც გენერალისიმუსის ფორმაში (მსახიობი **ელვარდ არაქელოვი**), ასევე კობასა (მსახიობი **გივი ციცქიშვილი**) და სოსელოს (მსახიობი **ომარ ჩუბინიძე**) სახითაც. გვერდში ედგნენ ლენინი (მსახიობი **ოთარ ლომიძე**), ძერჟინსკი (მსახიობი **ლადო ცხვარიაშვილი**), წულუკიძე (მსახიობი **სერგო ტატალაშვილი**) და სხვ. არც თანხმლები წითელარმიელები და მეზღვაურები დაგვვიწყებია.

გავემართეთ თბილისისაკენ. გზადაგზა ოვაციებით გვხვდებოდნენ. იმდენი ხალხი გამოგვყვა, სტალინის სახელობის სანაპირომდე ძლივს მივაღწიეთ. მომიტინგეებმა რომ დაგვინახეს, „ლენინი" და „სტალინი" ხელით აიყვანეს სტალინის ძეგლთან მოწყობილ ტრიბუნაზე. ხალხის აღტყინებამ ყოველგვარ მოსალოდნელ ზღვარს გადააჭარბა. მომიტინგეებმა ერთხმად მოითხოვეს, მთელ ამ პროცესიას მთავრობის სახლის წინ ჩაევლო. ძნელია, აღწერო ის მღელვარება და სიხარული, რაც ამ მსვლელობას ახლდა.

მეტად რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით. საღამოს 8 საათზე გორში სპექტაკლი იყო დანიშნული - „სიჭაბუკე ბელადისა", რომ-

ლის მთავარი გმირები 7 საათზე ჯერ ისევ რუსთაველის ბოლს-პექტზე იყვნენ. ხალხი წასვლის ნებას არ გვაძლევდა. ბოლოს ისევ მსახიობებმა იმარჯვეს. გრიმი ჩუმად მოიხსნეს და მსუბუქ მანქანებში გადასხდნენ. გორში ღამის 11 საათზე ძლივს ჩავაღწიეთ. მაყურებელი ისევ გველოდა. ის განუმეორებელი სპექტაკლი არც მსახიობებს და არც მაყურებელს ალბათ არასოდეს დაავიწყდებათ.

ღამის ორ საათზე ხალხთან ერთად ქუჩაში გამოვედით. ამ დროს მანქანამ დაამუხრუჭა. იქიდან ახალგაზრდა გადმოვიდა, რომელსაც სისხლიანი პერანგი ეჭირა: - ძმებო, წამოდით, თბილისში მომიტინგეებს ესვრიან!

იმ ღამეს კიდევ ერთი ტრაგიკული ფურცელი ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში.

ამ ამბებიდან თხუთმეტიოდე დღის შემდეგ შედგა საქართველოს კომუნისტური პარტიის გორის რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომა, სადაც რაიონის კომკავშირლების თავკაცმა ხელი დაიბანა, არაფერი ვიცოდიო. მე ყველაფერი ჩემს თავზე ავიღე. სამსახურიდან გამათავისუფლეს, ცხრა მსახიობს კი საყვედური მისცეს. როგორც შემდეგ შევიტყვე, „ამერიკის ხმას“ იმავე საღამოს გადმოუცია ეს ფაქტი.

მაშინ გორის რაიკომის პირველი მდივანი იყო ბატონი ვასილ ჩოფიკაშვილი, რომელმაც ბუიროს შემდეგ გამაფრთხილა, - ქალაქიდან არ წახვიდე, უსათუოდ დაგაბრუნებ სამსახურშიო. მართლაც, დაახლოებით სამი თვის შემდეგ, ბიუროს შემდეგსავე სხდომაზე გადაწყდა ჩემი დაბრუნება თეატრში, უფრო მეტიც, უმუშევრობის პერიოდშიც კულტურის სახლში გამაფორმეს და ხელფასს მაძლევდნენ.

ასე, რომ პარტიულ თანამდებობებზე, შეიძლება არც ისე მრავლად, მაგრამ ნამდვილად იყვნენ ღირსეული ადამიანები.

2000 წელი

შალვა ადომლიშვილი

„ხსოვნა დარჩება და დღენი წავლენ“...

ტერენტი გრანელის ლექსის ეს ტაეპი შემთხვევით არ მოვიხმე ამ წერილის სათაურად. იმ სისხლიანი 1956 წლის 9 მარტის შემდგომ დიდი დრო გავიდა, მაგრამ ჩემი ხსოვნიდან არასდროს ამოიშლება მარტის იმ დღეებში მტკვრის სანაპიროზე ნანახი და გადატანილი.

ამ მომენტისათვის ფრიად ნიშანდობლივია ამავე ლექსის მეორე ტაეპი: „უხილავია ალბათ ხილულში“... ხილული - თავისთავად, მაგრამ უხილავიც ბევრი რამ მენიშნა დღევანდელი გადასახედიდან ქართველთა მაშინდელ ნამოქმედარში. იქნებ ეს წინაპართა სულის ყივილი იყო. იქნებ დაგუბებული ბოღმის ერთიანად გადმონთხევის წადილი, ან იქნებ სხვა რამ, ვინ იცის... დროს თავისი მიაქვს და ახლა ძნელია, ყველაფერი პირვანდელი სიზუსტით აღვადგინო. და მაინც, უმთავრესი შემორჩა ხსოვნასაც და სულსაც. იმ ჯოჯოხეთური დღეების კოშმარული მომენტები დავიწყების ბურუსმა ვერ დაფარა.

სტალინის სიკვდილის შემდგომ იმპერიაში პოლიტიკური ვითარება თუ მიმართულება ერთბაშად არ შეცვლილა. პირველ წელს შედარებით სიმშვიდე იყო, სტალინის პიროვნების დამამცირებელი

16. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

არც რაიმე თქმულა და არც დაწერილა. ასევე იყო მეორე წელიწადს. მაგრამ აი, 1955 წლის შემდგომ კრემლიდან გამონაჟონმა ჭორმა თუ სინამდვილემ ჩვენამდეც მოაღწია. და ბოლოს, ცნობილი გახდა ხრუშჩოვის ინიციატივით მიღებული დადგენილება პიროვნების კულტის დაგმობის თაობაზე. მაშინ კი ვნებებმა იფეთქა და წლობით დაგუბებულმა ბოღმამ გადმოხეთქა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დერეფნებსა თუ აუდიტორიებში ჯერ ჩურჩულით ვლაპარაკობდით, შემდეგ ჩვენს აზრს უფრო ხმამაღლა გამოვთქვამდით სტუდენტები. ბოლოს კი, როცა ყველაფერი გაირკვა, ერთბაშად ვიხუვლეთ. მართლაც ხუმრობა ხომ არ იყო - გვიგინებდნენ და გვილანძღავდნენ კაცს, რომლის დიდებასაც აკვნიდან ჩაგვძახოდნენ, რომლითაც იწყებოდა ყველა სიმღერა, რომელსაც ეძღვნებოდა თითქმის ყველა ლექსი, პოემა, ბალადა თუ ნოველა... არც ის იყო ნაკლებ მნიშვნელოვანი, რომ ამ ფაქტში საქართველოს დისკრედიტაცია ინიღბებოდა.

5 მარტს, დაახლოებით 11 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსიდან ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტთა უმრავლესობა, ორმოციოდე ქალ-ვაჟი მწკრივად დავეწყვეთ და სტალინის ძეგლისაკენ ავიღეთ გეზი. მილიციის მუშაკები გვერდიდან გვითვალთვალებდნენ სტალინის სურათით მიმავალთ. არავის უცდია ჩვენი მსვლელობის აღკვეთა. ეს იყო მხოლოდ - ვერაზე განათლების მინისტრი, უნივერსიტეტის პროფესორი, ჩვენი ლექტორი გიორგი ჯიბლაძე გადაგვიდგა წინ და დაჟინებით მოითხოვდა, შეგვეწყვიტა აქცია. ჩვენ არ შევისმინეთ ბატონი გიორგის შეგონება, სვლა განვაგრძეთ და მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ეგრეთ წოდებული „მშრალი ხიდის“ მახლობლად, პატარა სკვერში აღმართულ სტალინის უზარმაზარ მონუმენტს მივადექით.

სკვერი უკვე სავსე იყო თბილისელებით, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულებით. მონუმენტის ირგვლივ ზღვა ხალხი იდგა და ძეგლის წითელი გრანიტის კვარცხლბეკს ცოცხალი გვირგვინებით ამკობდნენ. გვირგვინების ამ ზღვას ჩვენგან მიტანილიც შეემატა.

ერთი რამ აშკარა იყო - რაღაც უცნაურად მოჭარბებული სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამამე დაუფლებოდა ბაღში მყოფთ თუ ქალაქის ქუჩებში - გამეფ ლელთ. მიტინგის მონაწილეთა გამოსვლები ჩვეულებრივს არ ჰგავ-და, ისეთი არ იყო, როგორსაც წლების მანძილზე შევეჩვიეთ.

იმ ხანად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტ-რი ჯუ დე საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა, შემდგომ მოკავშირე რესპუბლიკებში დაიწყო მოგზაურობა და სტალინის გარდაცვალების წლისთავის დღეებში საქართველოსაც ეწვია. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მოერიდა უცხო ქვეყნის ჩინოსანთა სიარულს ქალაქში და კრწანისის რეზიდენციაში გამო-კეტეს. მთავრობის რეზიდენციასთან მცირე დროში დიდძალი ხალ-ხი შეიკრიბა. იყო დროშებისა და ლენინ-სტალინის პორტრეტების ფრიალი. მეორე სართულის აივანზე პარტიის ცენტრალური კომი-ტეტის მეორე მდივანი მიხეილ გიორგაძე გადმოდგა და ხალხს დამშვიდება დაუწყო, მაგრამ მისი შეგონება არავინ შეისმინა. აბობოქრებულმა ხალხმა დაიწყო ყვირილი: „ჯუ დე! ჯუ დე! „ჯუ დე!“ ბოლოს, სხვა გზა რომ აღარ იყო, ჩინეთის თავდაცვის მი-ნისტრი დაჰყვა აბობოქრებული ხალხის ნებას და აივანზე გამოვი-და. მან მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და ასე შემოიარა მთელი მოხვეული აივანი (სხვათა შორის, როგორც შემდგომ შევიტყვეთ, ჯუ დესთვის ეთქვათ - შენს პატივსაცემად მოვიდა ეს ხალხი). მთავარი ის გახლდათ, რომ ჯუ დემ ბოლოს და ბოლოს გაიგო, რა ხდებოდა მაშინ თბილისში, ხდებოდა კი ისეთი რამ, რაც ათეული წლების მანძილზე არ ახსოვდათ თბილისელებს.

ეტყობა, რესპუბლიკის ხელმძღვანელებს მოთმინების ფიალა აევ-სოთ და 9 მარტის დილას ძეგლთან მოვიდნენ. სანაპიროზე ჩემი მისვლისას ტრიბუნაზე ვასილ მჟავანაძე იდგა და ზღვა ხალხს მოუ-წოდებდა, დაშლილიყო. მისი შეგონება უდაბნოში მღაღადებლის ხმად რჩებოდა. სანაპიროდან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვა-ნელთა წასვლის შემდეგ ძეგლის მახლობლად მარტოოდენ სუკის თავმჯდომარე ალექსი ინაური დარჩა. იგი ღია სამხედრო მანქანაში ფეხზე იდგა კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცებით გარშემორტყმული და ამაოდ ცდილობდა, დაეყოლიებინა ხალხი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშლილიყვნენ.

მეგობარმა შემომთავაზა,- გორში წავიდეთო. წავედით. ქალაქი გორი აბობოქრებულ ოკეანეს მოგაგონებდათ. გორიდან საღამოს მატარებლით წამოვედით თბილისში. მცხეთაში მცირე ხნით შევჩერდით და მაშინ შევიტყვეთ თბილისში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის ამბავი. აფორიაქებულებმა ვაგზლიდან პირდაპირ სანაპიროს მივაშურეთ.

საყოველთაო გნიასსა და არეულობაში ჩემი ყურადღება მიიპყრო საშუალო ხნის ქალმა, რომელსაც თავზე შავი სისხლიანი ხილაბანდი ჰქონდა წაკრული. იგი ჯიქურ აიჭრა ტრიბუნაზე და ხალხს მოუთხრო, თუ რა მოხდა რუსთაველის პროსპექტზე, მშვიდობიან დემონსტრანტებს რუსის ჯარისკაცებმა როგორ დაუშინეს ტყვიები. შეშლილს ჰგავდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიტყვებს.

ღამის პირველი თუ ორი საათი იქნებოდა, ჯარისკაცები რომ გამოჩნდნენ, ხეების ჩრდილიდან ნელ-ნელა ამოისვეტნენ და ბაღში მყოფთ ნახევარრკალად შემოერტყნენ. ზოგი ტრიბუნაზე ავიდა, დანარჩენები ხალხს შეერივნენ. თავდაპირველად კონდახებს ხმარობდნენ, მერე კი... ტრიბუნიდან ძირს ყრიდნენ იქ მდგომთ. ის საცოდავი სისხლით მოსვრილი ქალი პირველი მსხვერპლი გახდა. იმის იმედით, რომ ხელს აღარ მახლებენო, მკერდზე ლენინის სურათი აიფარა, მაგრამ ლენინის სურათიანად წამოაგეს ხიშტზე. ახალგაზრდას, რომელიც ჯარისკაცებს უძალიანდებოდა, კონდახით თავი გაუხეთქეს, ვიღაცას ჩექმებით შედგნენ... ამ არეულობაში როგორღაც ნაპირზე მოვხვდი, ხიდამდე გამოვაღწიე და მარქსის მოედნისაკენ გავიქეცი. აი, მაშინ დაიწყო სროლა. ავტომატების ჯერი ახლოსაც გაისმა. მე და ჩემი მეგობარი ხიდის ბეტონის მოაჯირს ავეკარით და პირდაპირ ტროტუარზე დავწექით. მართლაც განკითხვის ღამე იყო.

სულით ხორცამდე შეძრული სახლამდე მივლასლასდი. მთელი ღამე ტანკების გრუხუნი ისმოდა. ტანკებით ავსებულიყო თბილისი.

1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართლოს კობაიძე

9 მარტმა ბიძგი მისცა ეროვნულ მოძრაობას

თბილისის მე-6 ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდი (დღევანდელი 55-ე საშუალო სკოლა). სკოლის წინ მილიციის შენობა იყო. ერთ დილას, სკოლაში რომ მივედი, დავინახე, რომ მილიციის შესასვლელთან გამოკიდებულ წითელ დროშას შავი ლენტი ჰქონდა შემოვლებული. ეს იყო 1953 წლის 5 მარტი. შესვენებისას მოსწავლეები დერეფანში ჩაგვამწკრივეს და გვამცნეს ბელადის გარდაცვალება... ქუჩები ხალხით იყო სავსე. ისმოდა საყვირების ხმა. გლოვობდა დიდი თუ პატარა.

1954 წლის მარტში შევაგროვეთ ფული, შევუკვეთეთ გვირგვინი და სანაპიროზე მივიტანეთ...

ასე იყო 1955 წელსაც... ფულს უფროსი კლასელები აგროვებდნენ ხოლმე.

1956 წელს საქართველოს მოსახლეობა სკკპ XX ყრილობის გამო გაღიზიანებული იყო. ხრუშჩოვმა ყრილობაზე გააკრიტიკა სტალინი, მანამდე კი ბერიას მოუღო ბოლო; ყოველივე ამას მოჰყვა ეროვნული სულის გამოღვიძება, რამაც 1956 წელს სულ სხვა ხასიათი მისცა სტალინის ხსოვნის დღეებს, ერი თავს დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა, თორემ ათიათასობით ადამიანს რა ძალა მიიყვანდა სანაპიროზე ან გორში. 5 მარტიდან მოყოლებული 9 მარტის საღამომდე თანდათანობით „დამძიმდა" დღეები. ემოციებმა ჯებირი გადმოლახა.

9 მარტს სანაპიროდან (სადაც სტალინის ძეგლი იყო აღმართული) ამხანაგები გორისაკენ გავეშურეთ.

გორში, იქ, სადაც ამჟამად სტალინის ძეგლი დგას, მოედანი სავ-

სე იყო ადგილობრივი და სტუმრად ჩასული ადამიანებით. ...ის შენობის თავზე ავედით და იქიდან ვადევნებდით თვალყურს. შებინდებისას თბილისში დავბრუნდით. სადგურიდან სანაპიროსაკენ გავემართეთ და მომიტინგეთა ზღვაში ჩავიძირეთ. ისმოდა სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები, კითხულობდნენ ტელეგრამებს, მოჰქონდათ გვირგვინები, მოითხოვდნენ იმპერიისაგან საქართველოს გამოყოფასა და დამოუკიდებლობას... აკრძალული იყო ფოტოაპარატის ხმარება და გადაღება, უბის წიგნაკში რაიმეს ჩაწერა.

ერთი სიტყვით, თბილისი დუღდა.

საღამოს 9 საათისათვის გამოაცხადეს, რომ კავშირგაბმულობის სახლში დააპატიმრეს 5 თუ 6 ახალგაზრდა და უნდა გავათავისუფლოთო. იქვე მდგარ სატვირთო მანქანაზე ავცვივდით, ზოგი ძარას იყო ჩამოკიდებული და ასე მივედით კავშირგაბმულობის სახლამდე. ლენინის, სტალინის, ვოროშილოვის სურათები წინ გავიმძღვარეთ და კიბეებს ავუყევით. მე მესამე თუ მეოთხე რიგში ვიყავი. კარების გაღებას სროლა მოჰყვა. ჩაიმსხვრა შუშები, დაიცხრილა შესასვლელი კედლების ზემო ნაწილი, განსაკუთრებით მარცხენა მხარე. მეწინავენი შევჩერდით. პირველი ტყვიები ბელადების სურათებს მოხვდა და იმათ, ვისაც პორტრეტები მიჰქონდათ. პირველი რიგი ჩაიკეცა. თითქმის იგივე დღე ეწია მეორე რიგს. მე, როგორც ვთქვი, მესამე თუ მეოთხე რიგში ვიყავი და მხოლოდ იმის წყალობით გადავურჩი სიკვდილს, მცირე ჭრილობა მივიღე თავის არეში და კიბეებზე წავიქეცი. ზემოდან ვიღაც დამეცა. მკვდარი იყო. მისგან თავი გავითავისუფლე და ხოხვით ჩამოვედი კიბეზე. მოპირდაპირე მხარეს გაჩერებული ტროლეიბუსისკენ გავემართე. სროლა კიდევ ისმოდა, ტროლეიბუსში კონდუქტორი ეგდო მკვდარი. გონზე რომ მოვედით, კვლავ შენობის შესასვლელისაკენ გავეშურეთ მკვდრებისა და დაჭრილების გამოსაყვანად, მაგრამ შიგნიდან სროლა აგვიტეხეს, ვერ ვშველოდით დაჭრილებს, მათი გამოყვანის ყოველ ცდას სროლით პასუხობდნენ. აუწერელი ცოდვა ტრიალებდა. ის, რაც მოხდა, ყოვლად მოულოდნელი იყო. კავშირგაბმულობის შენობაში ჯარისკაცები არ შემიმჩნევია. ტყვიები, ჩემი აზრით, КГБ-ს თანამშრომლებმა დაგვიშინეს. ავტომატიდან ნასროლი ტყვიები ზემოდან, ჭერიდან მოდიოდა, უშანგი მერკვილიშვილს შვიდამდე ნატყვიარი ჰქონდა მკერდზე. იგი ჩემი სკოლელი იყო, მე-11 კლასში სწავლობდა. იუზა წერეთელიც მისი კლასელი იყო. ჩემზე ერთი წლით უფროსები იყვნენ...

ხალხი ბობოქრობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის მოლოდინში, რომ მალე გამოჩნდებოდა ჯარი, რუსთაველის თეატრის წინ ორი ტროლეიბუსი ჩავაყენეთ და გზა გადავკეტეთ, მაგრამ შევცდით. ტრაგედიიდან ასე ერთი საათის შემდეგ ჯავშანტრანსპორტიორები შემოვიდნენ ბესიკის ქუჩიდან და არა ლენინის მოედნიდან. ისროდნენ ჰაერში, გვიშვერდნენ ავტომატებს და თოფებს, დააქროლებდნენ ხალხში მანქანებს. ჩვენ თავს ვიცავდით ქვით, ჯოხით, დროშის ტარით და თვით ლენინ-სტალინის დაცხრილული სურათებითაც კი...

ღამის 12 საათის შემდეგ ლენინის მოედნის მხრიდან შემოვიდა ჯარისკაცებით სავსე სატვირთო მანქანები და განლაგდნენ სამხატვრო გალერეის წინ. გავემართეთ ზემელის მიმართულებით. კონიაკის ქარხანასთან, ბელინსკის ქუჩის დასაწყისში ჩატარდა იმპროვიზებული მიტინგი. ორატორები მოითხოვდნენ, ქუთაისიდან ჩამოეყვანათ ქართული ლეგიონი. ქუთაისში გაგზავნეს კიდეც მანქანა (შემდეგ გავიგე, რომ ქუთაისის ქართული ლეგიონი თურმე ორი დღით ადრე განაიარაღეს და დაშალეს).

თავზე ჭრილობაშემხმარი, თმებშეტრუსული დილის 5 საათზე ჩემს საძებნელად გამოსულ დედასა და ბიძაშვილს მივყვებოდი სახლისაკენ. თბილისში სამხედრო პატრული დათარეშობდა... თბილისი გლოვობდა...

ასახელებენ დახოცილებისა და დაჭრილების სხვადასხვა რაოდენობას. პირველად ვინც მივედით კავშირგაბმულობის სახლთან, ვიქნებოდით დაახლოებით 50 კაცი. პირველი ორი-სამი რიგიდან ცოცხალი თითქმის არავინ არ გადარჩენილა, დანარჩენები დაიჭრნენ გულმკერდის ან თავის არეში. კიბეებზე და ტროტუარზე დახოცილები ეყარნენ, ასე 20 ან 22 ახალგაზრდა, ერთიც ტროლეიბუსში მოჰკლეს. მსხვერპლი სხვაგანაც იყო, მაგრამ რამდენი, არ ვიცი.

1956 წლის 9 მარტმა ბიძგი მისცა ეროვნულ მოძრაობას. გააცოცხლა წინა საუკუნის ყველა ის გამოსვლა, რომელიც მიმართული იყო ცარიზმისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1956 წლის 9 მარტს უნგრეთის აჯანყება მოჰყვა, შემდეგ ჩეხოსლოვაკიისა...

1956 წლის 9 მარტს ჰქონდა უდიდესი რეზონანსი, მან აჩვენა მსოფლიოს საბჭოეთის ნამდვილი სახე, რომ იგი წარმოადგენდა არა განმათავისუფლებელ ქვეყანას, არამედ იმპერიას, სისხლისმსმელს, მონობისა და გადაგვარების ჯურღმულს...

1992 წ. 13 მარტი

მიხეილ აივაზაშვილი

ნანახი და განცდილი

50-იანი წლები იყო.

1956 წლის თებერვალში, სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ გავრცელდა დახურული წერილი სტალინის წინააღმდეგ. ამ წერილის გასაცნობად სტუდენტობას თავი მოგვიყარეს ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (მაშინ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ვიყავი). ტევა არ იყო. წერილი წაგვიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, მიტროფანე კუჭავამ. დაუსრულებლად ისმოდა სტალინის სალანძღავი სიტყვები, რომლის ბოლო აკორდი იყო: „აი, საქართველოს საამაყო შვილი!“ განა საკმარისი არ იყო ჩვენთვის კერპად ქცეული სტალინის პიროვნებაში ბზარის შეტანა, რომ ახლა ეროვნული გრძნობების შელახვა, გათელვა არ მომხდარიყო? საქართველომ რაღა დააშავა? - აი, კითხვა, რომელიც ყველა ქართველს მოსვენებას უკარგავდა.

●

...ძნელია, აღწერო ის საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რაც კავშირგაბმულობის სახლის წინ ხდებოდა. ჯარისკაცთა სისასტიკეს ემატებოდა მათ მიერ ხალხის აბუჩად აგდება, ცინიზმი. ტყვიამფრქვევთან იჯდა ორი-სამი ჯარისკაცი, ერთ-ერთ მათგანს ეჭირა ალამი და როცა მემიზნე ტყვიამფრქვევით ხალხის მორიგ ჯგუფს ცელავდა, მთელი აღტაცებით და მხიარული შეძახილებით აფრიალებდა დროშას. დემონსტრანტებს იარაღი არ ჰქონიათ და რომც ჰქონოდათ, დარწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნებული ვარ, არ იხმარდნენ, რათა ჯარისკაცებისათვის საბაბი მიეცათ, თუმცა სალდათები უსაბაბოდაც კარგად ისროდნენ სიკვდილის მთესველ ტყვიებს. ჩანდა, რომ კავშირგაბმულობის სახლი წინასწარ საგანგებოდ იყო შეიარაღებული - ტყვიამფრქვევებს ისროდნენ ფანჯრებიდან, სახურავიდან. თითქოს შაშხანები და ტყვიამფრქვევები საკმარისი არ ყოფილიყოს, ტანკები შემოაჯირითეს ხალხში.

●

ჩვენი ყურადღება მიიპყრო შემზარავმა სურათმა. ერთმა სტუდენტმა, რომელიც რაღაც ძალებით ტანკზე ასულიყო, ლულაზე წინ გაცოცება დაიწყო, მიაღწია კიდეც მის წვერს და დაეკიდა. ბიჭს თეთრი პერანგი ეცვა, თუმცა რაღა თეთრი, დაჭრილი იყო და პერანგი წითლად შეღებვოდა. ტანკისტი გაშმაგებით აქანავებდა ლულას აქეთ-იქით, რომ ბიჭი ჩამოეგდო. ტანკის ლულის წვერზე მოქანავე სისხლით შეღებილი სხეული დროშასავით ფრიალებდა და თითქოს ეუბნებოდა მტარვალებს: „აჰა, სვავებო, გაძეხით ჩვენი უდანაშაულო სისხლით". იმ ჩოჩქოლსა და შეხლა-შემოხლაში ბოლომდე ვეღარ მივადევნე თვალი ამ შემაძრწუნებელ სურათს. განა როდემდე გაძლებდა მისი ღონემიხდილი და სისხლში ამოსვრილი სხეული მოქანავე ტანკის ლულაზე?

●

გარნიზონის უფროსის, გლადკოვის მიერ რადიოთი გადმოიცა, რომ 12 საათის შემდეგ ცხადდებოდა კომენდანტის საათი და ვინც ქუჩაში იქნებოდა, დააპატიმრებდნენ. ტყვიას არ შევუშინდით და დაპატიმრებას როგორ შევუშინდებოდით. ისევ სანაპიროზე, ძეგლთან მივედით. ორატორებმა უფრო მეტი ემოციებით გააგრძელეს გამოსვლები. არ გაუვლია დიდხანს და ჯარისკაცები იქაც დაგვესხნენ თავს. ძეგლთან უფრო სასტიკად გაუსწორდნენ ხალხს, მეტი სადიზმით. აცვივდნენ ტრიბუნაზე და ხელისკვრით ჰყრიდნენ იქ მდგომთ, ქვევით მდგარი ჯარისკაცები კი ხიშტზე აგებდნენ მათ და განზე ისროდნენ. ვინც ამ ხიშტებს გადაურჩა, არც მათ დასწევიათ კარგი დღე, კვარცხლბეკის ფუძეზე ანთხევდნენ ტვინს. ყველაფერი ერთმანეთში აირია. მაღლა, გზაზე ავიჭერით.

მშრალ ხიდს რომ ეძახიან, უკვე იმაზე გადავდიოდი კომუნარე-

ბის ბაღის მიმართულებით, რომ ერთი მილიციელი მხრებზე დამახტა შემახილით: „დაიღუნე, შე შობელმაღლო, რა წელგამართული მიდიხარ, ვერა ხედავ, ტყვიის წვიმა მოდისო“. მეც, როგორც დამღუნა, იმ მდგომარეობაში გავაგრძელე გზა, ასე ვთქვათ, უსაფრთხო ზონისაკენ.

ხელისუფლებამ მილიციას ხუთი მარტის დილას იარაღი იმიტომ აჰყარა, რომ ხალხისთვის მხარი არ დაეჭირათ. მილიციის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იმ საბედისწერო დღეებში ხალხის საერთო სუნთქვით სუნთქავდა, მხარში ედგა მას. ჰოდა, ამ მილიციელმაც ტყვიას ამაცდინა.

●

დავიწყეთ დაჭრილების აკრეფა. ერთი დაჭრილი გოგო ოთხმა ბიჭმა წამოვიყვანეთ კოლმეურნეობის მოედნისაკენ. პუშკინის ქუჩის კუთხეში მდებარე საავადმყოფოში მივიყვანეთ. ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ოღონდ თვალების დახამხამება უჭირდა. ექიმმა ჭრილობა დაათვალიერა. ტყვია მარჯვენა ძუძუს ქვეშ მოხვედროდა და უბე სისხლის კოლტებით ჰქონდა სავსე. ექიმმა ჭრილობის სინჯვა გააგრძელა და როცა ზურგით გადააბრუნა, სიმწრისაგან ავცახცახდი, გოგოს ბეჭის ძვალი გახვრეტილი კი არა, გამონგრეული ჰქონდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი ტყვიის კვალი. ფეთქებადი ტყვიებით დაჭრილთა გადარჩენა კი შეუძლებელია. ექიმმა, რომელსაც გოგოს მაჯა ეჭირა ხელში, თვალები დაუხუჭა. საშველი აღარ იყო.

იმავე ღამეს დამაპატიმრეს და შემაგდეს კავშირგაბმულობის სახლის უკან მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ციხეში, სადაც ჩემს გარდა უამრავი ხალხი იყო. გაუთავებელი დაკითხვების შემდეგ გამომიშვეს 18 მარტს, ღამით.

მეორე დღეს გამოვცხადდი ინსტიტუტში. წამიკითხეს დადგენილება კომკავშირიდან ჩემი გარიცხვის თაობაზე. გარიცხული ვიყავი 1958 წლის ზაფხულის დასაწყისამდე, სანამ ყაზახეთში ყამირზე წასვლამ არ მოუწია ჩვენს კურსს. ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გივი აზაურაშვილმა წამიყვანა ორჯონიკიძის რაიონის კომკავშირის კომიტეტში და იქ ჩემს მაგიერ აღუთქვა, რომ ყაზახეთში თავდადებული შრომით გამოვისყიდდი დანაშაულს.

1956 წლის მარტის ტრაგედია იყო ხელისუფლების წინასწარგამიზნული ქმედება მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ, რასაც გამართლება არა აქვს.

1988 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როლანდ სინატაშვილი

თბილისი, 1956 წლის 9 მარტი

1953 წელი. გაზაფხული. მე-7 ვაჟთა საშუალო სკოლაში (დღევანდელი 53-ე საშ. სკოლა) ჩვეულებრივი ჟრიამული არ ისმის.

სტალინი გარდაიცვალა - მეხივით გავარდა ხმა. თითქოს არ გვჯერა, ვერ წარმოგვიდგენია. გუნიასა და კერესელიძის ქუჩის კუთხეში, სადაც უბნის ბიჭები ვიკრიბებოდით, არავინ ჩანს. მე და ჩემი ორი ამხანაგი ქვევით ვეშვებით. პროსპექტი რუსთაველის ძეგლიდან ბერიას მოედნამდე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) ხალხითაა გაჭედილი. „ზარია ვოსტოკას" რედაქციამდე ძლივს გავძვერით. დგანან თბილისელები მწუხარე სახეებით და რადიოთი მოლოტოვის, ბერიას, მალენკოვის... სამგლოვიარო სიტყვებს ისმენენ. მოსწავლეებს წითელ ყელსახვევებში შავი ნაჭრები ჩაუტანებიათ...

სკოლაში გვაფრთხილებენ, არ გავაცდინოთ გაკვეთილები, ნუ ვივლით სტალინის ძეგლთან, სადაც ხალხმა შეკრება იწყო, რომელიც 1956 წელს უდიდეს სახალხო მოძრაობად იქცა. საბჭოეთში, როგორც წესი, ყველა ღონისძიება ზემოდან, ერთადერთი მმართველი პარტიის, კომუნისტური პარტიის, კარნახით იგეგმებოდა. 9 მარტი კი ხალხის ნების გამოხატულება იყო.

სინამდვილეს გვერდს ვერ აუვლი. გვასწავლიდნენ და გვჯერო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და: რუსი უფროსი ძმა იყო; ლენინი - უკვდავი; სსრ კავშირის კომუნისტური პარტია - მესაჭე; სტალინი-ბელადი.

დიდ, მძიმე ომში ბრწყინვალე გამარჯვებამ ხალხს ომამდელი უბედურება დაავიწყა. და მაინც, ძველი თაობა შეურიგებელი წავიდა, ახალმა თაობამ კი სიმართლე არ იცოდა. იცოდა, რომ სტალინმა:

- ქართულ ლიტერატურას დაუბრუნა დიდი ილია;

- 1936 წელს შალვა ნუცუბიძეს რუსულად ათარგმნინა „ვეფხისტყაოსანი";

- გერმანელ ტყვეში არ გაცვალა ძე მისი - იაკობი;

- საფრანგეთიდან დააბრუნა საქართველოს განძი დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევით;

- ხუთ წელიწადში აღადგინა ომისაგან დანგრეული მეურნეობა და ძირითადი მოხმარების პროდუქტებსა და საქონელზე ფასები გააიაფა.

მაგრამ სოსელო რუსულ გარემოში მკაცრი და დაუნდობელი გახდა.

მოკლედ, მიდიოდა რუსეთი მძიმე ჩექმებით „კომუნიზმის გზით" და სხვებთან ერთად საქართველოსაც მიათრევდა. ყოველი დილა ჩვენში კრემლის კურანტების ხმითა და რუსული ჰიმნით იწყებოდა, ქართულ გერბზე კი ეწერა: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" (?!)

1954-1955 წლებში დაიწყო სტალინისა და ბერიას საწინააღმდეგო კამპანია. მოსკოვსა და სხვა ქალაქებში ქართველების შეურაცხყოფა ეროვნულ შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ასეთი რამ ხდებოდა როგორც სამოქალაქო ურთიერთობებისას, ასევე ჯარში - ჩვენ ვიბრძოდით, თქვენ კი სტალინმა გადაგარჩინათ, ახლა კი ჩვენს ხარჯზე ცხოვრობთო და სხვა მისთანანი. არადა, ფაქტები საწინააღმდეგოს ღაღადებდა.

დადგა 1956 წელი- რუსული რეაქციის წელი. მარტის პირველი რიცხვებიდან ხალხმა იწყო სვლა სანაპირო სკვერში, სტალინის ძეგლთან. 5 მარტს საკმაოდ ბევრი ხალხი შეგროვდა, მოჰქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ თაიგულები, გვირგვინები.

6 მარტს იგრძნობოდა, რომ თბილისელების გარდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდანაც დაიწყეს ჩამოსვლა. იყვნენ მოსწავლეები, სტუდენტები. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ვეღარ აკონტროლებდა სიტუაციას, ვერც ხელს უშლიდა ხალხს, ვინაიდან მოსკოვიდან არავითარი ბრძანება არ ჰქონდა მიღებული.

სტალინის ძეგლთან იმდენ ხალხს მოეყარა თავი, ტევა არ იყო. გამოდიოდნენ სიტყვებით.

7 მარტს სკოლიდან ისევ ძეგლთან წავედით. დაღამდა. ხალხის რაოდენობა შემცირდა. დარჩნენ ძირითადად ახალგაზრდები. სტუდენტი ბიჭები ორგანიზაციულ საკითხებზე ლაპარაკობენ.

მე და კიდევ სამ ბიჭს ძეგლის ოთხივე კუთხეში მორიგეებად გვაყენებენ. ერთი საათის შემდეგ გვცვლიან. საკმაოდ ცივა. მობუზულები ვართ, მაგრამ სახლში მაინც არ მივდივართ.

სტუდენტები მთელი ღამე ჰყვებიან საქართველოს ისტორიას, ისეთ რამეებს, რაც არსად არ უსწავლიათ, ვერც წიგნებსა თუ პრესაში ამოიკითხავდით. მოსწავლეები სულგანაბულნი ვუსმენთ. იმ ღამეს პირველად გავიგე იმ ტკივილებზე, რაც 1801, 1921 წლებმა მოუტანა საქართველოს. ისიც ითქვა, სტალინმა რუსეთის სიდიადეს საქართველოს დამოუკიდებლობა შესწირაო.

8 მარტსაც არ წყდება სანაპირო სკვერში ხალხის ტალღა. მოდიან ცალ-ცალკე, ჯგუფ-ჯგუფად... მოაქვთ თაიგულები, გვირგვინები წარწერებით.

გამოჩნდნენ ოპერატორებიც, რომლებიც იღებდნენ კადრებს.

რადგან ვითარება სულ უფრო და უფრო იძაბებოდა, სასწრაფოდ გააფრინეს თბილისში სტუმრად მყოფი მარშალი ჯუ დე და საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვენსან ორიოლი. რა ინფორმაცია ჩაიტანეს მათ თავიანთ ქვეყნებში თბილისის მარტის ამბებთან დაკავშირებით, ჩვენთვის უცნობი დარჩა.

9 მარტს მდგომარეობა დაიძაბა. ხალხი ელოდა მართალ სიტყვას, მაგრამ ხელისუფლებას ამისი არც სურვილი და არც ვაჟკაცობა არ ჰქონდა. სულმდაბლებს თანამდებობების დაკარგვისა ეში-

ნოდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და ჩემი კლასელები - ოთარ ურუშაძე და ლევან ბარბაქაძე ერთად ვდგავართ და გამომსვლელებს ხარბად ვუსმენთ. ბევრი რამ ჩვენთვის ძალზე უცხოა.

შეკრებილთა მოთხოვნები სტალინის საკითხიდან თანდათან პოლიტიკურ, ეროვნულ მოთხოვნებში გადაიზარდა:

- შეწყდეს ქართველი ერის შეურაცხყოფა;

- გაფართოვდეს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები და ა.შ.

ქართველი ხალხი ითხოვდა ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, იმას, რაც მსოფლიოს თავისუფალ, დამოუკიდებელ ქვეყნებს დიდი ხნის მიღებული ჰქონდათ.

...მე და ლევანი სხვებთან ერთად კავშირგაბმულობის სახლის წინ აღმოვჩნდით. ოთარი ხალხში სადღაც დაგვეკარგა. ეს შენობა ექვსსართულიანია, ფართო შესასვლელი კიბეებით. პირველ სართულს, უფრო სწორად, ნახევარსართულს, ექვსი ფანჯარა და ერთი ჭიშკარი აქვს. ყველა მათგანი დაკეტილი იყო, არავინ ჩანდა. შენობის შესასვლელს სუსტი შუქი ანათებდა. წინ მყოფნი, მგონი, შეყოვნდნენ. ისინი უკვე კიბეებზე იყვნენ, უკანანი აწვებოდნენ. მე და ლევანმა ფეხის წვერებზე ავიწიეთ, კარგად რომ დაგვენახა, რა ხდებოდა წინ.

ამ დროს გაისმა გამაყრუებელი სროლა ავტომატური იარაღიდან. ისროდნენ თბილისში ჩაყენებული უპატრონო, მხეცურად აღზრდილი მე-8 პოლკის საბჭოთა სამხედროები. წინმდგომები ტყვიებმა მოცელა. ხალხის ტალღამ გვერდზე მიგვაგდო. მოვხვდით კარებსა და პირველ ფანჯარას შორის. ისროდნენ ფანჯრებიდანაც, სახურავიდანაც.

ხალხი ამას არ ელოდა. თავბრუ დამეხვა. თავი კინოში მეგონა, ვერ გამეგო, სიზმარი იყო თუ ცხადი. მე და ლევანს სიბრაზე და ცრემლი გვახრჩობდა.

როგორც იქნა, სროლა შეწყდა. რამდენიმე მანქანა გამოჩნდა დაჭრილების წასაყვანად. ჩვენც მივეხმარეთ და მერე რუსთაველს გავუყევით.

ოფიცერთა სახლთან ქუჩა ტროლეიბუსებით იყო გადახერგილი. ტროლეიბუსებს შუა გავძვერით და დავინახეთ ათამდე სამხედრო ტექნიკით სრულად აღჭურვილი ჯავშანმანქანა.

- მკვლელებო! სისხლისმსმელებო! წაეთრიეთ აქედან! - დავიყვირეთ გამწარებულებმა, მივაფურთხეთ და შევიგინეთ კიდეც. ავტომატმომარჯვებული სამხედროები გაბოროტებული მონღოლის თვალებით გვიმზერდნენ. შეგვეშინდა და უკან გავიქეცით.

ძეგლთან ჩასვლა გადავწყვიტეთ. ძნელაძის ქუჩაზე რამდენიმე კაცი შეგვხვდა.

- არ წახვიდეთ, იქ საშინელება დატრიალდა, უამრავი დახოცეს, ჩვენ ძლივს დავუსხლტით,- გვითხრეს მათ.

გამოჩნდნენ სამხედროები. ხალხს აკავებდნენ. სხვა გზა არ გვქონდა, იქაურობას გავერიდეთ. მთაწმინდაზე ავედით და რუსული ეკლესიის ახლოს ჩამოვჯექით. ნახევრად ჩაბნელებული ქალაქიდან გაურკვეველი ხმები და კანტიკუნტი სროლა ისმოდა.

მერე იყო დაჭერები, გასამართლება იმ ახალგაზრდებისა, რომელთაც მხოლოდ ერთადერთი „დანაშაული“ ჰქონდათ - სამშობლოს სიყვარული.

1957 წ. 9 მარტს, საღამოს მე და ჩემი რამდენიმე ამხანაგი - თემურ ჭელიძე, ჯემალ აზრუმელაშვილი, ზურაბ ბასილაია ჩავედით სანაპიროზე. მიუხედავად რეპრესიებისა, საკმაო რაოდენობის ხალხს მოეყარა თავი. სინათლე გამორთული იყო. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ სანთლებით ხელში, იხსენებდნენ დაღუპულებსა და იმ დიდ ტკივილს, რაც გადაიტანეს. უშიშროების სამსახურის მუშაკებმა იმ საღამოსაც „თავი გამოიჩინეს“ და რამდენიმე ახალგაზრდა დააპატიმრეს...

დაღონებულები ქაშვეთის ეკლესიაში შევედით. სანთლები ავუნთეთ სამშობლოს ერთგულ მამულიშვილებს...

9 მარტმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეროვნულ მოძრაობას, რომელმაც 1989 წლის 9 აპრილს პირველმა შეაზანზარა გარედან შელამაზებული და შიგნიდან ჩამპალი იმპერია.

2000 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეით ბაკურაძე

მოუშუშებელ ჭრილობად დარჩება

...ჩვენი კოლონა გორიდან თბილისში საღამოს დაბრუნდა. როცა ძეგლთან მივედით, ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა. ამ დროს სიტყვით გამოდიოდა ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მსახიობი ემანუილ აფხაიძე.

(ემანუილ აფხაიძე გარდა მსახიობური ნიჭისა, გულადობითაც გამოირჩეოდა. 9 მარტის სისხლიანი ტრაგედიიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ოპერის თეატრში ის, როგორც სატირის დიდოსტატი, კონცერტზე გამოდიოდა. თითი გაიშვირა ლოჟაში მჯდომ მაშინდელ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნისაკენ და ომახიანად დასჭექა:

თანამდებობა, დღეს რომ გაქვს,
ხვალ სხვაგან გადაბარგდება,
კაცობა თუ გაქვს დარჩება
არასდროს დაგეკარგება! (გ.ვ.).

მდგომარეობა ძლიერ დაძაბული იყო. ტრიბუნაზე ავიდა საქ. კპ ცკ-ის მდივანი დავით მჭედლიშვილი, რომელსაც მრავალი შეკითხვა დაუსვეს. დაგვპირდა, - თხუთმეტ წუთში დავბრუნდები და პასუხს გაგცემთო, მაგრამ წავიდა და უკან არ დაბრუნებულა, ხალხი კი პასუხს ელოდა.

ამ დროს მოგვიახლოვდა მოხდენილი აღნაგობის კაპიტანი, ეროვ-

ნებით რუსი, ჯერ საპატიო ყარაულში ჩადგა, შემდეგ ცალკე გაგვიხმო რამდენიმე სტუდენტი (მაშინ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი ვიყავი) და გვაცნობა, - ჩემს თავს მოვალედ ვთვლი, როგორც ადამიანი, გითხრათ, რომ გადაწყვეტილია, ღამის თორმეტი საათისთვის მიტინგის დასაშლელად სამხედრო ნაწილებმა იარაღი იხმარონო. დიდი ჭოჭმანის შემდეგ იმის შიშით, რომ აღელვებული მასა პროვოკაციას არ წამოგებოდა და რაიმე დანაშაული არ ჩაედინა, გადავწყვიტეთ, ეს ცნობა არ გაგვეხმაურებინა. ხალხი მჭედლიშვილის მოყვანას და მისგან დაპირებულ პასუხს მოითხოვდა. ასე მღელვარედ შესრულდა თერთმეტი საათი. საპატიო ყარაულში ვიდექი, როცა სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა შემაშფოთებელი ამბავი მოიტანა,- ჩვენს მიერ კავშირგაბმულობის სახლში მოსკოვში მოლოტოვთან დეპეშის გასაგზავნად გაგზავნილი რვა სტუდენტი დააკავეს და ლენინის მოედანზე სამხედროებმა მიტინგი დაშალესო. იმ დაძაბულ სიტუაციაში ეს ცნობა აფეთქებასავით გაისმა, რასაც ჩვენგან საპასუხო რეაქცია მოჰყვა. ძეგლის ახლოს მყოფი სტუდენტები სასწრაფოდ დავსხედით სატვირთო თუ სამგზავრო ავტომანქანებზე და გავემართეთ კავშირგაბმულობის სახლისაკენ.

მთავარი კარებიდან (რომელიც მთლიანად მინისა იყო) მკაფიოდ დავინახე ტყვიამფრქვევი ორი მეტყვიამფრქვევით, რომელთაც მარჯვნივ და მარცხნივ თითო მეავტომატე ედგათ, გვერდითი კარების უკან კიდევ იდგა თითო მეავტომატე. მივხვდი, რომ კარების შემტვრევის შემთხვევაში გასროლა გარდაუვალი იქნებოდა.

ამ მეტისმეტად დაძაბულ სიტუაციაში რამდენიმე გამაფრთხილებელი გასროლა ალბათ დადებით შედეგს გამოიღებდა, მაგრამ ეს არავის უცდია, მთავარი კარების შელებას მოჰყვა ტყვიამფრქვევის გაბმული კაკანი პირდაპირი დამიზნებით (თუმცა დამიზნება არც იყო საჭირო) და ავტომატის ჯერი. წინა რიგი მოიცელა. დაჭრილ-დახოცილები კიბეებზე თავდაღმა ეკიდნენ. დანარჩენებში თავდაცვის ინსტინქტმა გაიღვიძა და ერთი ზედახორა შეიქნა. როგორც იქნა მივაღწიე შენობის მარცხენა კედელთან. უკან დახეულებსაც

17. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯალაბაძე (მარცხნიდან მეორე)

ვასილ იმერლიშვილი (მარცხნიდან მეორე)
გიორგი ქავთარაძე (საწოლში)
ვალერიან ჩოჭური (მარჯვნივ ზემოთ)

ბონდო რუხაძე

გვესროდნენ. მოვბეზრდი, არცერთი ჩვენთაგანის ცოცხლად გაშვება არ უნდოდათ. კედელზე აკრულმა როგორც იქნა კიბის ბოლომდე ჩამოვაღწიე და გამოსასვლელში ჩავიჩოქე. რომ იტყვიან, გამოუსწორებელი ათეისტი ვარ, მაგრამ იმ დღეს მართლაც სასწაულებრივად გადავრჩი.

სამწუხაროდ, ისეთი ავტორიტეტული ადამიანი, როგორიც აკ. ბაქრაძეა, წერდა, თითქოს სროლის შემდეგ ჩვენ ყველაფერი მივატოვეთ და გავიქეცით, რაც არ არის სწორი. სროლის შეწყვეტის შემდეგ მე და ჩემმა ამხანაგებმა კავშირგაბმულობის სადარბაზოდან გამოვიყვანეთ ოთხი დაჭრილი, რომლებიც მსუბუქი მანქანებით გამყოლის თანხლებით საავადმყოფოში გავაგზავნეთ. ასევე იქცეოდა ბევრი სხვაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მერე გახდა ცნობილი, გამოყენებული იყო ფეთქებადი ტყვია, ამიტომ ძირითადად დახოცილები იყვნენ, დაჭრილები კი ძალზე ცოტა.

რუსთაველის პროსპექტზე ჯავშნიანი ავტომობილები ტყვიამფრქვევს უშენდნენ ქუჩაში და ტროტუარზე მყოფთ, ასევე დამიზნებით. დავინახე, როგორ წაიქცა ოპერის თეატრის წინ სამი ადამიანი. ორი მკვდარი იყო, ერთი - დაჭრილი. დიდი ჯგუფი გავემართეთ ლენინის მოედნისაკენ. ჩიტაძის ქუჩიდან ტანკის ხმა მოგვესმა. იმ საშინელ არეულობაში ვერ დავინახე, მაგრამ მერე ჰყვებოდნენ, გულნარა სვანი როგორ გადაუდგა წინ რუსთაველისკენ მიმავალ ტანკს, ელვის სისწრაფით შეხტა წინიდან, ჩამოეკიდა ქვემეხის ლულას და ტანკისტის სამზეურს ჩამოეფარა. გულნარა სვანის მოქმედება იყო საოცარი თავგანწირვის მაგალითი, ჭეშმარიტად გმირობის ტოლფასი. შემდეგ ჩვენი კოლონა, ალბათ ათასზე ბევრად მეტი ადამიანი, გავემართეთ ქალაქის მილიციის სამმართველოსაკენ და მოვითხოვეთ იარაღი. მილიცია თვითონ განიარაღებული იყო და ჩვენ რას მოგვცემდა, გამოგვისტუმრეს დარიგებებითა და თავშეკავებისაკენ მოწოდებით. შევბრუნდით სანაპიროსაკენ, რომ ძეგლთან გაგვეღწია, მაგრამ სამხედროების გაძლიერებულ შეიარაღებულ დანაყოფებს სანაპიროზე გასასვლელი ყველა ქუჩა დაეკავებინათ. ერთ ჯგუფს როგორღაც გაეღწია ძეგლთან. ძეგლის მხრიდანაც განუწყვეტელი სროლა მოისმოდა, რომელიც 10 მარტის დილის ხუთ საათამდე არ შეწყვეტილა. ძეგლთან მოეკლათ გულნარა სვანი, რის შესახებაც მეორე დღეს გავიგეთ.

დახოცილთა საერთო რაოდენობა დღემდე არავინ იცის. 100-მდე ცხედარი ალბათ მარტო კავშირგაბმულობის შენობის შესასვლელში და მის ახლო-მახლო იქნებოდა. სისხლის წარმოუდგენლად დიდი გუბე იდგა კინოთეატრ რუსთაველის წინ. კავშირგაბმულობის სახლის ფანჯრებიდან ტყვიამფრქვევს პირდაპირ უმიზნებდნენ იმ მომენტში დამთავრებული კინოსეანსიდან გამოსულ მაყურებელს. ჯავშნიანი ავტომობილიდან ქუჩაში, ტროტუარზე ტყვიებს უშენდნენ გამვლელებს. ძეგლთან კი, რომ იტყვიან, პირდაპირ ცოდვის კალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიალებდა თურმე, რაც მთელი ხუთი საათი გაგრძელდა. ამ ამბებიდან ორი კვირის შემდეგ ორთაჭალის კაშხალში მტკვარში გადაყრილთა 14 გვამი უნახავთ.

მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ სახანძრო რაზმები, რომლებიც ნახერხს აყრიდნენ სისხლის გუბეებს და წყლის ძლიერი ჭავლით რეცხავდნენ, რათა ბოროტების კვალი წაეშალათ.

იმ ბობოქარ დღეებში ყველას გვამოძრავებდა ერთი მიზანი - უმაღლესი იდეალებისათვის ბრძოლა და სამშობლოს სიყვარული, ამიტომაც თავის წარმოჩენას არავინ ცდილობდა. თანაც ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, სამწუხაროდ, მრავალი შესანიშნავი ახალგაზრდის მხოლოდ გარეგნობა შემორჩა მეხსიერებას.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მთელი იმ ხნის განმავლობაში თბილისში არ დაფიქსირებულა არცერთი სისხლის სამართლის დანაშაული. სრულიად უსაფუძვლოა ჭორებიც, რომ თითქოს ჩვენ კავშირგაბმულობის სახლის ან მთავრობის სასახლის აღება გვინდოდა.

იმ დროს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი იყო ფედიუნინსკი, თბილისის გარნიზონის უფროსი- გლადკოვი, ხოცვა-ჟლეტა განხორციელდა პოლკოვნიკ მაკუშევის ბრძანებით.

მას შემდეგ საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მაგრამ 1956 წლის 9 მარტი მოუშუშებელ ჭრილობად დარჩა ყველა ჩვენგანის გულში.

1991 წელი

ხაშურის რაიონი, სოფ. ახალუბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ნანიტაშვილი

ბელადებსაც გადაუარეს

1956 წელს მოსწავლე ვიყავი და სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციას ვხელმძღვანელობდი. როცა 9 მარტის მოვლენები დაიწყო, ამხანაგებთან ერთად მეც ყოველდღე დავდიოდი სანაპიროზე მდებარე სკვერში, მაინტერესებდა ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა.

9 მარტსაც მივედით. სანაპირო ხალხით იყო გადაჭედილი. სტალინის ძეგლთან, ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ გამომსვლელები; ამბობდნენ პატრიოტულ ლექსებს; ისმოდა ფანდურის ხმა, სიმღერები. საოცარი აღმაფრენა და ერთსულოვნება სუფევდა მიუხედავად იმისა, რომ ქართველების გარდა სხვა ეროვნების ადამიანებიც ბლომად იყვნენ. წესრიგს თვით ხალხი იცავდა. მხოლოდ მაშინ აჩოჩქოლდებოდნენ, როცა ვინმეს დააკავებდნენ და მიტინგამდე მისვლის საშუალებას არ აძლევდნენ. მყისვე იქმნებოდა ჯგუფი მათ გასათავისუფლებლად.

ნაშუადღევს შემოიტანეს ხრუშჩოვის სურათი, რომლისთვისაც პირში ნამდვილი კარტოფილი გაეჩარათ. ტრიბუნაზე აიყვანეს ბელადის კოსტიუმებში გამოწყობილი და გაგრიმული მსახიობები, რომლებიც გორელებმა გამოგზავნეს. შემდგომში ვაჟა ფაჩულიამ მითხრა, ჩემი მოფიქრებული იყოო (მაშინ ვაჟა გორის თეატრში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჟისორად მუშაობდა[1].

ძველთან მთავრობის წარმომადგენლებიც მოვიდნენ, პირადად ვასილ მჟავანაძეც.

ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც. ამ დროს ამბავი მოიტანეს, კავშირგაბმულობის სახლთან ჯარისკაცებმა ახალგაზრდებს სროლა აუტეხეს, დაჭრილებიც არიან და დახოცილებიცო. უკვე სანაპიროზეც ისმოდა სროლის ხმა. კავშირგაბმულობის სახლისკენ გავიქეცით მისაშველებლად.

მართლაც, კავშირგაბმულობის შენობას ჯარისკაცები იცავდნენ. ისმოდა სროლის ხმა. კინოთეატრ „რუსთაველის" წინ ვიდექი, როცა დავინახე, რომ ლენინის მოედნის მხრიდან ტანკები მოემართებოდნენ. რამდენიმე ბიჭმა უცებ მოვითათბირეთ, კინოთეატრის შენობაში შევვარდით, იქიდან ლენინისა და სტალინის პატარა ბიუსტები გამოვიტანეთ და შუა ქუჩაში დავალაგეთ, თეთრად შემოხაზულ წრეში, რომელსაც მანქანები გარს უვლიდნენ, მთავრობის სახლის წინა მოედანზე კი დროშები გავფინეთ მიწაზე იმ იმედით, რომ ტანკები ბელადებსა და დროშებს ვერ გადაუვლიდნენ.

ამასობაში ტანკებიც მოგვიახლოვდნენ და რამდენიმე ხანს მართლაც შეყოვნდნენ. მე გახარებული შევხტი ერთ-ერთ ტანკზე და ლულაზე ჩამოვჯექი. ტანკისტმა ლულა დაატრიალა ისე, რომ დიდ რკინის ბოძს მოხვდა. მე მიწაზე დავენარცხე, მაგრამ არაფერი მომსვლია, უცებ წამოვხტი ზეზე. ამ დროს ვიღაცამ გასცა ბრძანება და ტანკები კავშირგაბმულობის სახლისკენ დაიძრნენ. გაოგნებულები ვუყურებდით, როგორ გადაუარეს ბელადებსა და დროშებს, იმ ბელადებს, რომლებმაც რუსებს უზარმაზარი იმპერია შეუქმნეს. ეს იყო ჩვენი პირველი ბავშვური იმედგაცრუება, რომელმაც შემდგომში ბევრ რამეზე დაგვაფიქრა, თვალი აგვიხილა და მწარე რეალობა დაგვანახა.

2000 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ კოპალეიშვილი

მისთვის სამყარო უკვე აღარ არსებობდა

ის იყო, მორიგმა ორატორმა სიტყვა დაამთავრა, რომ მიკროფონთან ერთიანად შეშფოთებული კაცი მივიდა. ხალხს ტაშის დაკვრა აღარ აცალა და პირდაპირ დაიწყო: - თქვენ აქ ერთმანეთს ტაშს უკრავთ, იქ კი- კავშირგაბმულობისა და მთავრობის სახლებთან ჩვენებს ტყვიებს ესვრიან, წავიდეთ, მივეშველოთო. მაგრამ ახლა მეორე მიიჭრა მიკროფონთან:

- მთავრობამ შეიძლება ცარიელი ვაზნები ისროლა, სურს, აქედან გაგვიტყუოს და აქაურობა მილიციამ დაიკავოს, ნაწილი დავრჩეთ და ძეგლი დავიცვათო. ვინც ზემოთ, კიბეებთან ვიდექით, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე გავედით. მართლაც მოგვესმა სროლის ხმა. ორ ჯგუფად გავიყავით. ერთი სამხატვრო გალერეისკენ წავიდა, მეორე კი, რომელშიც მეც ვიყავი, კეცხოველის ქუჩაზე გამოვიდა და ქაშუეთის ეკლესიის წინ მდებარე ქუჩას აუყვა. მთავრობის სახლის კიბეები ავირბინეთ და მარმარილოს სვეტებთან გამწკრივებული მერვეპოლკელების წინ შევჩერდით. ჯარისკაცებს ხიშტიანი თოფები წინ გამოეშვირათ და მწკრივად იდგნენ. მათ უკან უფროსები გარბი-გამორბოდნენ, რაღაცას ჰყვიროდნენ...კი, აქ ნამდვილად უსვრიათ. სისხლის ნაკვალევია აქა-იქ. ამან წონასწორობიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიყვანა ჩემს გვერდით მდგარი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ორივე ხელით ეჭირა სტალინის სურათი. უფრო სწორად, ძე ვიდექი მის გვერდით, რადგან მეგონა, ეს სურათი მეც მიხსნიდა ხიფათისაგან. - ვის, ვის უნდა ესროლოთ,- შეჰკივლა ქალმა, - ამას? - სურათი წინ გაიშვირა და ჯარისკაცებისაკენ გადადგა ფეხი.- უკან! - ავისმომასწავებლად გამოსცრა გამოცივებულმა სახემ. ქალი არ შეეპუა, მაინც გადადგა წინ ნაბიჯი. ჯარისკაცმა თოფი მოიქნია და ხიშტი სურათს აძგერა. მინა ჩაიმსხვრა. ხიშტმა ბელადის პორტრეტი გახია და ჩარჩო გვერდით მოისროლა, ერთიანად დამეხილი ქალი წამით ხელგაშვერილი დარჩა. ხელი ჩავჭიდე და უკან დავქაჩე. იოლად დამყვა... მისთვის სამყარო უკვე აღარ არსებობდა... კიბეებზე ხალხის მეორე თუ მესამე ტალღა ამორბოდა. აქვე, ჩემს გვერდით იგრიალა ზალპმა. აღარ მახსოვს, როგორ გამოვედი იქიდან და სირბილით როგორ დავეშვი კოლმეურნეობის მოედნისაკენ.

1993 წ. 17 აპრილი

ეთერ ხახუბია

ჯებირმონგრეულ მდინარესა ჰგავს ეს მოგონება

ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ხდება ისეთი მოვლენა, რომელიც წარუშლელ კვალს ტოვებს, ან ტკბილ ან მწარე მოგონებად რჩება.

სწორედ ასეთი მწარე მოსაგონარი გახდა ჩემთვის და ბევრი სხვა ქართველისათვის 1956 წლის 9 მარტი.

არ ვიცი, საიდან დავიწყო მოგონება, მიჭირს ყველაფრის გახსენება.

დღევანდელი გადასახედიდან ბევრისთვის შეიძლება ძნელად გასაგები იყოს, რატომ გასწირეს თავი ახალგაზრდებმა სტალინის დასაცავად, მაგრამ სტალინი ხომ აღიარებული იყო გმირად, საბჭოთა კავშირის მამად, ყველა ხალხის დიდ ბელადად, მსოფლიოს მხსნელად. ასეთი პროპაგანდით გაბრუებულებმა სტალინის კრიტიკა აღვიქვით, როგორც ეროვნული შეურაცხყოფა, ამიტომაც სპონტანურად გამოვედით ქუჩებში და მოვითხოვდით სტალინთან ერთად მისი მასწავლებლის - ლენინის გაკრიტიკებას და მისი მოღვაწეობის ახლებურად შეფასებასაც.

აქტიური ახალგაზრდების მეთაურობით შეიქმნა საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც მოუწოდებდა სტუდენტებს, არ შესულიყვნენ

ლექციებზე და სტალინის ძეგლთან მიტინგზე ევლოთ. ხუთიდან
დან დღითიდღე მატულობდა გაფიცულთა რიცხვი. ყველაზე მეტად
აქტიურობდა სტუდენტთა ქალაქი, რომელმაც პირველმა დაიწყო გა-
მოსვლები. 8 მარტისათვის მთლიანად გაიფიცნენ სასწავლებლები.
მთიდან დაგორებულ გუნდას დაემსგავსა მოძრაობა. იმატა მიტინგებ-
ზე გამომსვლელთა რიცხვმა. სამწუხაროდ, ნაკლებად ჩანდა ინტე-
ლიგენცია, შეშინებულები თავიანთ ნაჭუჭში ისხდნენ, არც შემდეგ
აუსახავთ მომხდარი ტრაგედია, პირიქით, ბევრმა მეტად ცუდი რო-
ლიც კი ითამაშა ამ ამბებში. მინდა გავიხსენო ჩემთან დაკავშირე-
ბული შემთხვევა:

10 მარტს, დილით თბილისი მკვდარ ქალაქს დამსგავსებოდა. კავშირგაბმულობის სახლთან ბედად გადარჩენილი სიქაგამოცლილი წავლასლასდი ინსტიტუტში იმ იმედით, რომ ლექციები არ ჩატარ-დებოდა. მე მაშინ ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსზე ვსწავლობდი. ყველა სტუდენტი ადგილზე იყო იმის შიშით, ვაითუ გაცდენა პოლიტიკურ დანაშაულში ჩაგვითვალონ და ინსტიტუტიდან გაგვრიცხონო.

პირველი ლექცია აწ განსვენებულ შ. კ...ის გვქონდა (სამამულო ომის მონაწილე, ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებული, სუკის აგენტად ცნობილი). ლექტორს არც განუცდია, არც წუთიერი დუმილით არ აღუნიშნავს ჩვენი თანაკურსელი რაულ ლოლუას დაღუპვა, ჩვენ რაულ ლოლუას ვგლოვობდით, მან კი ლექციის თემად მაინცდამაინც პიროვნების კულტის საკითხი აირჩია, რითაც აგუზგუზებულ ცეცხლს ფიჩხი დაუმატა და აღელვებული, ტრავმირებული სტუდენ-ტები უფრო გაგვაღიზიანა. ,,სტალინი მოღალატეა, სტალინი მავნე-ბელია, სტალინი დიქტატორია, ომი გერმანიასთან მან დაიწყო, იუგოსლავიასთან კავშირი მან გაწყვიტა" - და სხვა. ჯერ კიდევ გუშინ სტალინის ქება-დიდებაში იყო, ახლა კი მის მავნებლობას, მოღალატეობასა და დიქტატორობას ამტკიცებდა.

აუდიტორია ახმაურდა,- სად იყო პარტია, თუ სტალინი ამდენ შეცდომას უშვებდა?- ეკითხებოდნენ აქეთ-იქიდან. ლექტორი არ პასუხობდა და ყურადღებას ითხოვდა, მე მივუახლოვდი და შე-კითხვა გავუმეორე: - ბატონო შალვა, სად იყო პარტია, ნუთუ ვერ ხედავდა სტალინის შეცდომებს?

- ხედავდა, მაგრამ მალავდა, სტალინის ეშინოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მაშასადამე, სტალინს ქვეყანა რომ დაეღუპა, პარტია ხმას არ ამოიღებდა?

- დიახ, ვერ ამოიღებდა!

- ქურდის შემნახავი ქურდია, - ვთქვი მე.

- ე.ი. შენი აზრით, გამოდის, რომ ხრუშჩოვი, მალენკოვი, ბულგანინი მავნებლები არიან, არა?

- დიახ, ბატონო შალვა, ასეა.

ლექცია ჩაიშალა. როგორც მერე გავიგე, მას წერილი დაუწერია უშიშროების კომიტეტის სახელზე, სადაც ჩემს დაკავებას ითხოვდა და ხელმოსაწერად მიუტანია რექტორთან, სტუდენტებისთვის მეტად საყვარელ პიროვნებასთან, ალექსანდრე ფალავანდიშვილთან. ბატონ ალექსანდრეს, რა თქმა უნდა, უარი უთქვამს და სასტიკად აღშფოთებულა, - შვილების მამა მაინც არ იყოთ, როგორ იმეტებთ ამ მამით ობოლ გოგონასო.

11 მარტია, ჩემთვის სიკვდილამდე დაუვიწყარი დღე. ვსხედვართ ისევ პირველ ლექციაზე, პროფესორ ნორიკაძის ლექცია გვქონდა ფსიქოლოგიაში. უცებ კარები გაიღო, შემოვიდა დეკანი, ბატონი გ. ლეჟავა, მე გამომიძახა, ხელი ბეჭებზე მომხვია და მითხრა: - ჩემო გოგონა, ჩემო შვილო, გარეთ მოსულნი არიან უშიშროების წარმომადგენლები, ნუ გეშინია, ჩვენ შენთანა ვართ, იცოდე, არ წამოგცდეს რაიმე შენს საწინააღმდეგოდ.

ორმა გადაცმულმა სუკის თანამშრომელმა უშიშროების კომიტეტში მიმიყვანა. გამჩხრიკეს, მომხსნეს ქინძისთავი და 72-ე საკანში მომათავსეს.

მეორე დღიდან დაიწყო გაუთავებელი დაკითხვები, ჩემს საქმეს იძიებდა გამომძიებელი ლორთქიფანიძე. დავიწყე შიმშილობა. ხშირად ვტიროდი, როცა წარმოვიდგენდი, რა მელოდა - იუგოსლავიაში უნდა წავსულიყავი შეჯიბრებაზე, არ გამიშვებდნენ, გამრიცხავდნენ კომკავშირიდან, ინსტიტუტიდან... ჩემი კურსელების ერთი ჯგუფი ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარესთან, გიორგი სიხარულიძესთან მისულა: - გამოუშვით ჩვენი ჩემპიონი (იმ წელს ჩემპიონი გავხდი ტანვარჯიშში), თორემ ლექციებზე არ შევალთო.

25 დღის შემდეგ გამომიშვეს.

ვიგონებ ყოველივე ამას და მიჭირს წერა, თვალები ცრემლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევსება. მოკლედ, გამათავისუფლეს, ლექციებზეც დავიწყე სიარული, მაგრამ წამება ამით არ დასრულებულა. კომკავშირის ცეკამ განიხილა ჩემი საკითხი. გამრიცხეს კომკავშირიდან და ინსტიტუტში სიარულიც ამიკრძალეს. ერთი წლის განმავლობაში მალულად ვვარჯიშობდი ჩემს მწვრთნელთან, თედეევთან, რომელიც მშობლიურ მზრუნველობას მიწევდა, ეკონომიურად მეხმარებოდა. ერთი წლის შემდეგ რის ვაი-ვაგლახით აღვიდგინე თავი. შემდეგ გავხდი სპორტის ოსტატი, მონაწილეობას ვიღებდი საქართველოს, საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ვიყავი და ბოლომდე დავრჩი უსამართლობის მტერი, ამიტომაც შემდგომშიც ხშირად განვიცდიდი დევნა-შევიწროებას, როგორც „პოლიტიკურად არასაიმედო". მშველოდა ის, რომ მიყვარდა ჩემი პროფესია, საქმე, შრომა, ადამიანები. გამოვზარდე 12 სპორტის ოსტატი, დაწერილი მაქვს 100-ზე მეტი მეთოდური და პუბლიცისტური ნაშრომი. ვარ ოპტიმისტი, რამაც აქამდე გამაძლებინა.

1991 წელი

P.S. ბოლო ათეული წელი ურთულესი ხანა იყო საქართველოს ისტორიაში - ეროვნული მოძრაობის არნახული აღზევება, კვლავ უდანაშაულო მსხვერპლი, 9 აპრილი, რომელმაც მარტის იარები გააახლა, დაცემა, ტერიტორიების დაკარგვა... ჩვენი ყველა უბედურების მიზეზი კი ისევ და ისევ რუსეთის იმპერიაა, მაგრამ მჯერა, რომ საქართველო უცილობლად გაიმარჯვებს, რადგან ქართველი კაცის ხერხემალში გატეხვა შეუძლებელია და არ არსებობს ძალა, რომელიც ხელს ააღებინებს უმთავრეს მიზანზე, რასაც საქართველოს თავისუფლება ჰქვია.

ე.ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ დემეტრაძე

ასე დასრულდა ერთიანერთი ქართული დივიზიის არსებობა

ანაპის სახელობის წითელდროშოვანი 74-ე მსროლელი გვარდიული დივიზია, რომლის შტაბიც ქუთაისში იყო, ერთ-ერთ საუკეთესო სამხედრო შენაერთად ითვლებოდა მთელ საბჭოთა არმიაში. თუმცა იგი ქართულ დივიზიად იწოდებოდა, მაგრამ აქ მხოლოდ პოლიტმეცადინეობა ტარდებოდა ქართულ ენაზე, დანარჩენი ყველაფერი რუსულად სრულდებოდა.

დივიზიამ სახელოვანი გზა განვლო. II მსოფლიო ომის დროს ქალაქ ანაპის განთავისუფლებისათვის მას ეწოდა „ანაპის" სახელობისა, სამხედრო ოპერაციების წარმატებით შესრულებისათვის კი - გვარდიული და წითელდროშოვანი.

უცნობი ჯარისკაცი, რომელიც თბილისში, გამარჯვების პარკში განისვენებს, ამ სახელოვანი დივიზიის ჯარისკაცი იყო, ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისას დაღუპული.

ომისშემდგომ პერიოდში დივიზიაში თავმოყრილი იყო ყველა სახის სამხედრო იარაღი ავიაციის გარდა.

დივიზიას ხელმძღვანელობდა გენერალ-მაიორი პეტრე (ჭიჭიკო) ჩხობაძე.

შტაბის უფროსი იყო პოლკოვნიკი ი. კაჭკაშვილი (დივიზიის დაშლის შემდეგ ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამხედრო კათედრის უფროსის მოადგილე).

დივიზიის პოლიტიკურ მუშაობას უძღვებოდნენ პოლკოვნიკი გ. კოჭლაძე და მისი მოადგილე პოლკოვნიკი ი. გიორგბერიძე.

ოპერატიული განყოფილების უფროსი იყო პოლკოვნიკი დ. ქსოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელი, მოადგილე - ვიცეპოლკოვნიკი ნ. კიკალიშვილი.

ზურგის სამსახურს უძღვებოდნენ: პოლკოვნიკი ი. ცინცაძე (შემდგომში აჭარის შინაგან საქმეთა მინისტრი), მოადგილე - ვიცეპოლკოვნიკი ა. ჩიხრაძე.

სპეცსამსახურებს ხელმძღვანელობდნენ: დაზვერვას - პოლკოვნიკი დ. გიორხელიძე და კონტრდაზვერვას - ვიცეპოლკოვნიკი ს. ოდიშარია.

საჰაერო თავდაცვის უფროსი იყო პოლკოვნიკი ი. გაგუა, კავშირგაბმულობისა - მაიორი ნ. გეგეჭკორი.

სპორტულ-ფიზკულტურული ცხოვრების სული და გული იყო მაიორი შალვა დუმბაძე. დივიზიის შემადგენლობაში სამხედრო სამსახურს გადიოდნენ ცნობილი სპორტსმენები. საკმარისია, დავასახელოთ სამი ცნობილი მოკრივე - თენგიზ გუჯაბიძე, ფრიდონ ლომიძე და თათაოს მიქაელიანი, რითაც შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რა სიძლიერის სპორტსმენები გამოდიოდნენ დივიზიის სახელით.

კომკავშირის ლიდერი იყო ლეიტენანტი გიორგი მახარაშვილი, რომელიც შემდგომში ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა.

ჩამონათვალი სრულყოფილი არ არის და დიდ ბოდიშს ვუხდი მათ, ვინც ვერ მოვიგონე.

ახლა კი უშუალოდ იმაზე, თუ როგორ ტექნიკურად აჰყარეს საბრძოლო იარაღი დივიზიის ნაწილებს და შემდეგ გამოუცხადეს დაშლის შესახებ.

იმ საბედისწერო წლის მარტის დასაწყისში დივიზიის ყველა საარტილერიო ნაწილი თბილისთან ახლოს - ვაზიანში ე.წ. „ზამთრის სროლებზე" იმყოფებოდა. 9 მარტს, გვიან ღამით, სასწრაფოდ ჩაგვსხეს ვაგონებში სადგურ ვაზიანში და გეზი დასავლეთ საქართველოსკენ ავიღეთ. ეშელონმა გზა ვაზიანიდან ზესტაფონამდე შეუჩერებლივ გაიარა.

ზესტაფონის სადგურზე მოსახლეობამ ჯარისკაცებს ქვები დაგვიშინა. ჩვენ თბილისში ჩატარებული სისხლიანი ოპერაციის შემსრულებლები ვეგონეთ. არადა, სწორედ ზესტაფონში გავიგეთ, თუ რა მოხდა თბილისში, როგორ გაუსწორდნენ მშვიდობიან მომიტინგე ხალხს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცები, რომლებსაც მეთაურობდა ოლქის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი ივანე ივანეს-ძე ფედიუნინსკი.

ჩვენი სამხედრო ნაწილი დისლოცირებული იყო ქ. ზუგდიდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჩავედით, აღმოჩნდა, რომ ჩვენი ადგილი უკვე დაეკავებინათ რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, ჩვენს დივიზიას ევალებოდა, დახმარება გაეწია საბჭოთა მრეწველობის სხვადასხვა დარგებისთვის. თანაც, ვინაიდან ეს დახმარება ხანგრძლივი იქნება, საჭიროა ყველა სახის იარაღის დემონტაჟიო. დემონტაჟის სამუშაოები ჩაატარეს რუსმა ჯარისკაცებმა თავიანთი ოფიცრების კონტროლის ქვეშ.

ჩვენი სამხედრო ნაწილი გაემგზავრა ქალაქ ცხაკაიაში, სადაც სამხედრო აეროდრომის ტერიტორიაზე დანიშნული იყო დივიზიის ნაწილების შეკრება. დივიზიის მეთაურმა პ. ჩხობაძემ გვამცნო, რომ, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, ქართული დივიზია დაიშალა, პირადი შემადგენლობა დემობილიზებულია პირველი წლის მსახურების გარდა, რომლებიც სამსახურის გასაგრძელებლად გაგზავნეს სხვადასხვა სამხედრო ოლქში. აღსანიშნავია, რომ ქართველი ჯარისკაცები მოხვდნენ მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო სამშენებლო ნაწილებში.

რაც შეეხება ქართველ ოფიცრებს, სამსახურის გაგრძელება შესთავაზეს ურალისა და ციმბირის სამხედრო ოლქებში, რაზედაც მათ უარი განაცხადეს.

ასე ვერაგულად, მზაკვრულად მოექცნენ ნაციონალურ სამხედრო კადრს. კომუნისტური იმპერიის ხელმძღვანელობამ, რადგან ქართული დივიზია დიდ საშიშროებას წარმოადგენდა მათთვის, ასე ტექნიკურად მოახდინა ჩვენი განიარაღება.

ყველა სამხედრო შენაერთის სიამაყეა მისი საბრძოლო დროშა, რაც უწმინდესია. დროშას თვალისჩინივით უფრთხილდებიან; დროშასთან საპატიო ყარაულში დგებიან საუკეთესოთა შორის საუკეთესონი. აი, ასეთი სიწმინდისა და სიამაყის მიმართ მიიღეს სამარცხვინო გადაწყვეტილება - დივიზიის დაკეცილი დროშა ჩაბარებოდა სამხედრო ოლქის არქივს (იმ დროს მდებარეობდა მაშინდელ ძნელაძის ქუჩაზე).

ეს არასასიამოვნო პროცედურა დაევალათ პოლკოვნიკ ი. კაჭკაშვილს და ორ ჯარისკაცს - ალექსანდრე კაციტაძეს და რაფაელ მერაბოვს.

ასე დასრულდა ამ სახელოვანი სამხედრო შენაერთის არსებობა.

2000 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



დოდიკა (დავით) ჯაყელი

ასე დაშალეს ქართული დივიზია

Იმ წლებში ქუთაისში ქართული დივიზიის ჯარში ვიხდიდი სავალდებულო სამხედრო სამსახურს. რიგითი ჯარისკაცი ვიყავი, სასწრაფო დახმარების მანქანა მებარა.

1956 წლის მარტი, ქუთაისი.

9 მარტის მოვლენებს არა მარტო ქალაქის მოსახლეობა, ჯერ-მედ ჩვენც, ჯარისკაცებიც, გულისყურით ვადევნებდით თვალს. ერთი-ორჯერ ქუთაისში გამართულ მიტინგებსაც დავესწარით, მახსოვს, მოედანი ხალხით იყო გადაჭედილი...

ათ მარტს დივიზიაში ხმა დაირხა, წუხელის თბილისში სამხედროებმა მიტინგი დაარბიეს და ხალხი დახოცესო. ყველანი ავღელდით - ჯარისკაცებიც და ოფიცრობაც. სახელდახელო მიტინგზე გადავწყვიტეთ, იარაღი აგველო და თბილისისკენ წავსულიყავით. ასეც მოხდა. დედაქალაქისკენ მიმავალ მატარებელში შევცვივდით. ვაგონებში რომ ტევა არ იყო, ზოგი ვაგონების სახურავებზეც მოვკალათდით. ზესტაფონამდეც არ ვიყავით მისული, რომ რუსმა ჯარისკაცებმა მატარებლის შემადგენლობა გააჩერეს და ისევ ქუთაისში დაგვაბრუნეს. ისეთი საბრძოლო ტექნიკით იყვნენ შეიარაღებულნი, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა.

ამის შემდეგ რამდენიმე დღეში ქუთაისში არსებული ქართული დივიზია დაშალეს და ბიჭები სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში გადაგვისროლეს.

2000 წელი.

18. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

ნიკოლოზ აბულაძე

მილიციას რა შეეძლო

იმ პერიოდში ვმუშაობდი ქ. თბილისის მილიციის სამმართველოში ხელმძღვანელ მუშაკად მილიციის პოლკოვნიკის ჩინით. ასე, რომ მეც გახლავართ იმ ამბების მონაწილე.

9 მარტს მივიღე განკარგულება, რომ თბილისის სამმართველოს პირად შემადგენლობას სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, ე.ი. იარაღით ხელში, ალექსანდროვის ბაღთან დაეკავებინა პოზიციები. ამ დროს იქ იდგა „მე-8 პოლკი", რომელსაც მეთაურობდა ჩერიგოვი.

ქალაქში საგანგებო სიტუაცია იყო. მთავარ ძალად გამოიყვანეს ავტომატებითა და ტანკებით შეიარაღებული შინაგანი ჯარები. მდგომარეობა უფრო და უფრო იძაბებოდა. ამდენად, მილიციელთა მხრიდან ერთ შემთხვევით გასროლასაც კი შეიძლება მილიციასა და „მე-8 პოლკს" შორის შეტაკება გამოეწვია, რასაც უსათუოდ უფრო დიდი ტრაგედია მოჰყვებოდა. ამიტომაც მე მივიღე, ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილება - შემადგენლობა უიარაღოდ გავიყვანე მითითებულ ადგილას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე იყო სასტიკი სროლა კავშირგაბმულობის სახლთან. ქალაქის კომენდატმა მაკუშევმა უბრძანა ჩერიგოვს, გაეხსნათ ცეცხლი. ეს ბრძანება მოდიოდა ამიერკავკასიის სარდალ ფედიუნინსკისაგან. დაიხოცა ძალიან ბევრი, დაიჭრა უფრო მეტი.

გამომძახა შს მინისტრმა, გენერალ-ლეტენანტმა ვ. ჯანჯღავამ და მიბრძანა, რომ ერთი პოლკით მიტინგის მონაწილეებისთვის ალყა შემომერტყა და დაშლისაკენ მომეწოდებინა. ხალხმა არ დაგვიჯერა. მაშინ პოლკის მეთაური იძულებული გახდა, ჰაერში სამჯერ ესროლა. მომიტინგეებს შეეშინდათ და გაიქცნენ, სტალინის ძეგლის ფეხებთან დარჩა ორი ქუთაისელი ახალგაზრდა, რომელთაც სტალინის პორტრეტი ეჭირათ. მივიდნენ ჯარისკაცები და წინადადება მისცეს, წასულიყვნენ. ისინი არ დაემორჩილნენ. მაშინ ჯარისკაცებმა ხიშტი მუცელში ატაკეს და გადმოაგდეს ქვევით.

ამ სურათის წარმოდგენა ჩემთვის დღესაც გაუსაძლისია. მილიციამ ბევრი იმუშავა ხალხის დასაცავად, ზოგი მილიციის მუშაკი სცემეს კიდევაც და დაასახიჩრეს, მაგ. თალაკვაძე, ნოვრუზაშვილი, შიხინაშვილი და სხვები. მაგრამ განიარაღებულ მილიციელებს რა შეეძლოთ.

ვაკის სასაფლაოზე ღამით მანქანებით მოჰქონდათ კუბოები. საფლავები წინასწარ იყო გათხრილი. მილიციას უნდა უზრუნველეყო მათი ჩუმად, უხმაუროდ, ყოველგვარი ცრემლისა და დატირების გარეშე დასაფლავება.

გაუსაძლისი იყო გამწარებული დედების ცქერა, რომელთაც ცრემლის უფლებაც წაართვეს.

ველარ მოვითმინე და შევძახე:

- ხალხნო, იტირეთ, ილოცეთ!

მეც მათთან ერთად დავტიროდი უღმერთო ძალის მსხვერპლთ.

1992 წ. 23 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჟღენტი

ექსპერტებმა ივაჭკაცეს

ჟურნალ „სოფლის ცხოვრების“ 1989 წლის 27 მაისის ნომერში 1956 წლის 9 მარტს დაღუპულთა სურათები იყო გამოქვეყნებული. ორი მათგანი ვიცანი - გულიკო სვანი და იუზა წერეთელი. სულით ხორცამდე შემძრა ამ სურათების ხილვამ და სტატიის წაკითხვამ, რადგან დრომ ვერ გააფერმკრთალა 9 მარტის ტრაგედია.

მე მაშინ ქალაქის პირველ საავადმყოფოში ვმუშაობდი. იმ ავბედით ღამეს ჩვენთანაც მოიტანეს ცხედრები. უმრავლესობას ტყვია ზურგიდან ჰქონდა მოხვედრილი, უფრო მეტად- კეფაში; იყვნენ ხიშტით განგმირულნიც. აქედან ცხადია, რომ გაქცეულებზეც ნადირობდნენ ისევე, როგორც 9 აპრილს.

კარგად მახსოვს, იყო ზეწოლა, სასამართლო ექსპერტიზის ექიმებს დაღუპულთა ისტორიები ისე შეედგინათ, თითქოს მათ ტყვიები ზურგიდან კი არა, წინიდან ჰქონდათ მოხვედრილი, რომ ვითომ წითელი არმია „თავს იცავდა“ „მტრის“ თავდასხმისაგან! სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა, აწ განსვენებულმა **კონსტანტინე ერისთავმა** და სხვებმაც კატეგორიული უარი განაცხადეს ყალბი ისტორიების შედგენაზე.

მაშინ პასუხი არავის უგია უდანაშაულო ახალგაზრდების ბარბაროსული ჟლეტის გამო. 1956 წელს 34 წლისა ვიყავი. მას შემდეგ 33 წელია, რაც ყოველ 9 მარტს სიონის ტაძარში სანთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს ვანთებ იმ დღეს დაღუპულთა სახელზე.

არც 9 აპრილის გამო უგია ვინმეს პასუხი. იმ დღეს ჩემს ვაჟთან ერთად ვიყავი რუსთაველის პროსპექტზე. საღამოს 8 საათზე დავტოვე იქაურობა, უკან ღამის 4 საათისთვის დავბრუნდი. ცოდვის კალო უკვე დამთავრებული იყო. ახალგაზრდების ნაცვლად ჩვენი თაობის ხალხი რომ დავღუპულიყავით, ბედნიერება იქნებოდა. ესეც ჩვენი უიღბლობაა. ძველ ბერძნებს უთქვამთ: ომის დროს შვილებს მშობლები ასაფლავებენ, მშვიდობიანობის დროს კი - პირიქით.

როგორც მაშინ, ახლაც „სამართლებრივი" სახელმწიფოს მესვეურები, „დემოკრატები" (სამწუხაროდ, შინაურები) სინამდვილის დამახინჯებას ცდილობენ, აწყობენ რა დაბრალება-გადაბრალების უნიჭო სცენებს.

არადა, რუსეთის იმპერიამ, საერთაშორისო სამართლის კანონებით, პასუხი უნდა აგოს კაცობრიობის წინაშე ყველა დანაშაულისათვის: 1804 წელს მთიელთა აჯანყების ჩახშობა; 1810 წელს - იმერეთის; 1812 წელს - კახეთის; 1841 წელს- გურიის; 1857 წელს- სამეგრელოს; 1905 წელს კაზაკთა მიერ მაშინდელ გოლოვინის პროსპექტზე დაღვრილი სისხლი; 1921, 1924, 1956, 1989 წლები...

რითი განსხვავდება ის გავარვარებული ნიჩაბი, 1624 წლის 13 სექტემბერს შირაზში ჯალათმა ქეთევან დედოფალს შუბლში რომ დასცა, იმ ორლესული ნიჩბისაგან, ქრისტიანული რუსეთის „განმათავისუფლებელმა", ინტერნაციონალურმა საბჭოთა არმიამ 1989 წლის 9 აპრილს ჩვენი დედების, დების, ძმებისა და ბავშვების წინააღმდეგ რომ გამოიყენა?

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის დამმონებელი რეჟიმის წინააღმდეგ არ დამცხრალა და არც არასოდეს დაცხრება, ვიდრე საქართველო სრულ დამოუკიდებლობას არ აღიდგენს.

1989 წ. 2 ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაჩენი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1956 წ. 18 ივლისს ქ. თბილისში სასამართლოს დარბაზში დახურულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: პ. ნადირაშვილის

სახალხო მსაჯულები: 1. ასლამაზიშვილი, 2. ცაბაძე

წაქაძის მდივნობით, პროკურორ ბლიაძისა და ადვოკატ ჩიქოვანის მონაწილეობით განიხილა საქმე №7 ბრალდებისა გამო ᲫᲣᲫᲣᲜᲐ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡᲐᲡᲣᲚᲘ ᲞᲐᲥᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ 1936 წ. დაბადებულის, დაბადებული ქ. ბორჯომში, მცხოვრები ქ. თბილისში, დიდუბის ქუჩის 2-რე „ა“ შესახვევი №2, ეროვნებით ქართველის, გაუთხოვარის, ლენინის სახელობის თბილისის სარკინიგზო საინჟინრო ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტის, უპარტიოს, წინათ პასუხისგებაში არ ნამყოფის, წაყენებული ბრალდება, დანაშაული გათვალისწინებული საქ. სსკ 5810 მუხლის მე-2 ნაწილით.

სამსჯავრო გამოძიების მასალებით კოლეგიამ დადგენილად სცნო შემდეგი: თანახმად საბრალდებო დასკვნისა ჟ.ბ. პაქსაშვილი პასუხისგებაშია მიცემული იმისათვის, რომ 1956 წლის 9 მარტს იმყოფებოდა რა ქ. თბილისში სანაპიროზე ი.ბ. სტალინის ძეგლთან, თავმოყრილ ხალხის წინაშე წარმოსთქვა თითქოს ანტისაბჭოთა პროვოკაციული ცილისმწამებლური სიტყვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, პაქსაშვილი თავის თანამაცხოვრებლებთან ავრცელებდა ანტისაბჭოთა ცილისმწამებლურ აგიტაციას, რაც გამოიხატებოდა ხალხის მტერ ბერიას დაცვაში. აღნიშნული ბრალდება სასამართლოს სამსჯავრო გამოძიებით არ დადასტურდა, ბრალდებული პაქსაშვილი კატეგორიულად უარჰყოფდა და უარყო მათზე წაყენებული ბრალდება. ბრალდება პაქსაშვილის მიმართ ძირითადად აგებული იყო მოწმე მ.გ. რულკოვას ჩვენებაზე, რომელიც მის მიერ მიცემული იყო წინასწარი გამოძიების დროს, ხოლო სასამართლოს სამსჯავროს გამოძიების დროს მოწმე რულკოვამ აღნიშნა, რომ ქართული ენა არ იცის, თვითონ მას არ წაუკითხავს და არც იცის, ეწერა თუ არა რაიმე ანტისაბჭოთა შინაარსის პაქსაშვილს თავის გამოსვლისათვის მომზადებულ ჩანაწერში, რულკოვამ წინასწარ გამოძიებას უჩვენა სხვა მოწმეების ნაამბობი და მას პირადად არ დაუნახავს პაქსაშვილმა ნამდვილად ღუმელში დასწვა თუ არა მის მიერ დაწერილი ტექსტი. სასამართლოს სხდომაზე დაკითხულ მოწმეებმა ე.ი. კოტრიკაძემ, ე.ლ. და მ.ნ. ოსიტაშვილმა არ დაუდასტურეს მოწმე რულკოვას ჩვენება პაქსაშვილის მიმართ და განმარტეს, რომ პაქსაშვილსა და რულკოვას შორის არ იყო კარგი ურთიერთობა, რომ მათ პაქსაშვილისაგან არ მოუსმენიათ ანტისაბჭოთა ხასიათის გამოთქმები. როგორც ზემოთ დასახელებულმა მოწმეებმა, ასევე მოწმე ცქიტიშვილმა განმარტა, რომ პაქსაშვილმა მათ უთხრა, რომ სტალინის ძეგლთან გამოვიდნენ მისთვის უცნობი პირები ანტისაბჭოთა პროვოკაციული ცილისმწამებლური სიტყვებით და არა თვითონ პაქსაშვილი. ამრიგად პაქსაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდება დანაშაული გათვალისწინებული საქ. სსკ 58 10 მუხლის მე-2 ნაწილით არ დადასტურდა, დადგენილი იქნა, რომ პაქსაშვილმა 1956 წ. 9 მარტს მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში მომხდარ მასიურ უწესრიგობაში მით, რომ 5-9 მარტის განმავლობაში უმეტეს შემთხვევაში ინსტიტუტში გააცდინა მეცადინეობა, არ შეასრულა ხელისუფლების კანონიერი მოთხოვნილება, შეეწყვიტათ მიტინგზე ყოფნა დამთავრების შემდეგ, რითაც მან ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქ. სსკ 58 16 მუხლის მე-2 ნაწილით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც კოლეგიამ ჩასთვალა დამტკიცებულად და ამიტომ იხელმძღვანელა რა სსკ 319 და 320 მუხლებით დაადგინა:

პაქსაშვილზე წარდგენილი ბრალდება გათვალისწინებული სსკ 58 10 მუხლის მე-2 ნაწილით გადაკვალიფიცირდეს სსკ 58 16 მუხლის მე-2 ნაწილზე, რის საფუძველზე ჟუჟუნა ბესარიონის ასულ პაქსაშვილს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით. სასამართლომ მიიღო მხედველობაში, რომ პაქსაშვილი პირველად არის მიცემული პასუხისგებაში, წინათ არ ყოფილა შემჩნეული ანტიკანონიერ მოქმედებაში, არის ახალგაზრდა, წინასწარ პატიმრობაში იყო სამი თვე, არის ავადმყოფი, რომ მას პატიმრობაშივე გაუკეთეს ოპერაცია, არის მესამე კურსის სტუდენტი, ამჟამად არ არის მიზანშეწონილი მისი პატიმრობაში ყოფნა, ამიტომ სსკ 50 მუხლის საფუძველზე დარჩენილი სასჯელი პაქსაშვილის მიმართ ჩაითვალოს პირობით ორი წლის საგამოცდო ვადით. ჟუჟუნა ბესარიონის ასული პაქსაშვილი პატიმრობიდან განთავისუფლდეს.

განაჩენი საბოლოა და საკასაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავმჯდომარე - პ. ნადირაშვილი

სახ. მსაჯულები: პ. ცაბაძე, 2. ასლამაზაშვილი

(სტილი დაცულია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჩოდრიშვილი

სანამ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი არ აღიარებს მარტის მოვლენების დროს დაშვებულ შეცდომებს, საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს

(საქ. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე გამოსვლიდან)

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას ტელეფილმის - „9 მარტი, 1956 წელი“ გადამღებ კოლექტივს

ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები გაზეთ „საქართველოს“ მ/წ 7 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ სუკის პოდპოლკოვნიკის, ბ-ნი ი. ბარამიძის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს „ერისადმი დიდი გულშემატკივრობა იყოს ის, თუ რამეზე თვალს დახუჭავდი, ისიც ისე, რომ სუკის ხელმძღვანელობას და რიგით თანამშრომლებსაც კი არ გაეგოთ“... ამ დაუმსახურებელი, რბილად რომ ვთქვათ, „დახასიათების“ ღირსნი ნამდვილად არ არიან რესპუბლიკის სუკში ნამსახური ოფიცრობის, უწინარესად 1937 წლის ტრაგედიას შეწირულ ქართველ ჩეკისტთა უმრავლესობა, ბ-ნ ი. ბარამიძეზე და მავანზე და მავანზე გაცილებით უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიოტულად რომ იყვნენ გამსჭვალულნი ეროვნული პრობლემების მიმართ.

გაახლებთ 1956 წლის 9 აპრილს საქართველოს სუკის პარტიულ კონფერენციაზე (მას რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელობის გარდა ესწრებოდნენ სკკპ ცკ-ის პასუხისმგებელი თანამშრომლებიც) ჩემი გამოსვლის 20 გვერდიან ტექსტს. სტრიქონებს შორის ნააზრევი ქვეტექსტის ამოკითხვა, ვფიქრობ, არ უნდა გაგიჭირდეთ.

პატივისცემით

რევაზ ჩოდრიშვილი,

საქართველოს სუკის ყოფილი კაპიტანი (ვიმსახურე 1944 წლის 2 იანვრიდან 1956 წლის 9 აპრილის ჩათვლით) და პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი

...მართალია თუ არა, რომ 5-9 მარტს თბილისსა და გორში ადგილი ჰქონდა მასობრივ ანტისაბჭოთა, კონტრრევოლუციურ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ გამოსვლებს, როგორადაც იგი მონათლეს ზოგიერთმა არაშორსმჭვრეტელმა ამხანაგებმა? უფრო მეტიც, ნუთუ უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ ახლა ისინი გვთავაზობენ, აღმოვაჩინოთ ამ მასობრივი გამოსვლების მკაცრად შენიღბული „ცენტრი", რომლის არარსებობაც ასე აშკარაა?

...მე და ამხანაგ მარგიევს მარტის მოვლენების ამ არაობიექტური შეფასების თაობაზე საუბარი გვქონდა საქართველოს კპ ცკ-ის მდივანთან, ამხანაგ გიორგაძესთან, რომელმაც ასეთი შეფასების რამდენიმე ავტორი დაასახელა და განაცხადა, რომ მათი აზრი არ ნიშნავს,რომ ეს პარტიის აზრია.

მაშინ იბადება ბუნებრივი კითხვა - სადღაა პარტიის აზრი? პასუხი შეიძლება იყო მხოლოდ ერთი- სამართლიანობა უთუოდ გაიმარჯვებს. ჩვენი დიადი პარტია ყოველთვის აღწევდა ამას და ამჯერადაც მიაღწევს.

მაშ, რა მოხდა 5-9 მარტს თბილისსა და გორში? ჩემი აზრით, ეს იყო ანტიპარტიული გამოსვლები, რაშიც ვერ დავადანაშაულებთ ხალხს. იგი გამოიწვია რესპუბლიკის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის უმოქმედობამ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ინსტანციების ხელმძღვანელთა მიერ გატარებული ცალკეული ღონისძიებები მიმართული იყო არა ამ მოვლენების აღკვეთისკენ, არამდე, პირიქით, ხელს უწყობდა მის გაღვივებას.

მთელი ერი იყო გაოგნებული, არ იცოდა, რა ხდება და რატომ ხდება. 5 მარტს „საპატიო" მიზეზით დაიკეტა საყვავილეები, კედლებიდან ხსნიდნენ სტალინის სურათებს, დიდ ორგანიზაციებში პარტიული ამხანაგები აგიტაციას ეწეოდნენ, რომ არ გამოეშვათ კედლის გაზეთების სტალინისადმი მიძღვნილი სპეციალური ნომრები, არ მოეწყოთ ორგანიზებული მსვლელობა სტალინის ძეგლთან და ა.შ. მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასეთი აგიტაციით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი სეხნიაშვილი. მათ, ეტყობა, დაავიწყდათ დიალექტიკის მარტივი კანონი, რომ რაც მეტია დაწოლა, მით უფრო მეტია წინააღმდეგობა!

...განა ძნელი მისახვედრია, რომ მსგავს საქციელს არ შეიძლებოდა არ ემოქმედა ჩვენს ნაციონალურ და არა ნაციონალისტურ გრძნობებზე?

...მე შეგახსენებთ თქვენ, რომ არ არსებობს მარქსიზმ-ლენინიზმის რომელიმე კლასიკოსის ისეთი ნაშრომი, სადაც ნათქვამი იყოს, რომ ჩვენ არასოდეს არ ვუშვებთ შეცდომებს, რომ კომუნისტი სავსებით დაზღვეულია შეცდომებისაგან.

...მინდა, მოკლედ შევჩერდე თათბირზე, რომელიც საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში ჩატარდა 28 მარტს, სადაც ზოგიერთი სამხედრო პირი თავის გამოსვლაში ცდილობდა, ბოლომდე არ ეთქვა სათქმელი, მიეჩქმალა ცალკეული მომენტი მარტის მოვლენებიდან, რასაც შეუძლებელია, თათბირის მონაწილეთა მხრიდან არ მოჰყოლოდა შეკითხვები.

მაგალითად, პოლკოვნიკ ნოვიკოვს დაუსვეს კითხვა: „თქვენ კარგად გახსოვთ, რომ ჯარისკაცებს შაშხანებიდან ხიშტები მოხსნილი ჰქონდათ?" როცა მან ამ კითხვას დადებითად უპასუხა, დარბაზიდან გაისმა ხმები: „არ არის მართალი, შაშხანებიდან ხიშტები მოხსნილი არ იყო!" იყო ასეთი კითხვაც: „შესაძლებელია თუ არა შესაბამისი ბრძანების გარეშე ჯარისკაცთა უმრავლესობას ერთდროულად გაეხსნა ცეცხლი?" „დიახ, შესაძლებელია,- უპასუხა ნოვიკოვმა,- სტალინის ძეგლთან ჯარისკაცთა მიერ ერთდროული გასროლა მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მექანიკურად, ყოველგვარი ბრძანების გარეშე, მას შემდეგ, რაც გვერდიდან გაისმა ერთი გასროლა".

ამხანაგებო! თქვენ ისე განსაჯეთ, როგორც გენებოთ, მე პირადად კი ამის დაჯერება არაფრით არ შეძიძლია.

... არ შემიძლია არ შევჩერდე კიდევ ერთ საკითხზე, რომელიც აღნიშნულ თათბირზე წამოტივტივდა. წითელი ჯვრის რომელ საერთაშორისო კანონში წერია, რომ უმოქმედოდ მდგარმა სამხედრო სასწრაფო დახმარების მანქანამ პირველადი სამედიცინო დახმარება არ გაუწიოს დაჭრილ მოქალაქეებს? მედპერსონალის პასუხი ამ კითხვაზე, რომ თითქოს მანქანა სავსე იყო თავიანთი დაჭრილებით, არადამაჯერებლად ჟღერს, რადგან იმ ღამეს სტალინის ძეგლთან მხოლოდ ორი ჯარისკაცი დაიჭრა.

ამხანაგებო! მე საგანგებოდ შევეხე ცენტრალური კომიტეტის 28 მარტის თათბირს. თვითონ თათბირი და შემდგომი ზოგიერთი გადაწყვეტილება იძლევა საფუძველს, იფიქრო, რომ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს სურს დაიკავოს სამხედროების მფარველის პოზიცია, რომლებიც ნამდვილად არ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი რატომ ესწრაფვის ამას, ეს კიდევ გასარკვევია.

მე თქვენ გეკითხებით - თბილისის გარნიზონის უფროსს, გლადკოვს ნუთუ არ შეეძლო ჯანჯღავასგან აეღო მაგალითი. როგორ მოხდა, რომ ჯანჯღავამ მოახერხა ჯარისკაცების გამოყვანა ფუჭი ვაზნებით, გლადკოვმა კი - ვერა? ან კიდევ, იყო თუ არა აუცილებლობა იმისა, რომ საბრძოლო აღჭურვილობით შეიარაღებული ჯარისკაცები გამოეყვანათ?

რა თქმა უნდა, არ იყო. სხვა პასუხი გამორიცხულია და ვინც საწინააღმდეგოს მტკიცებას მოჰყვება, ჩემი აზრით, იგი უნდა შეფასდეს, როგორც სოციალიზმის საქმის აშკარა მტერი და ჩამოეხსნას ნიღაბი.

სად იყო იმ დროს თბილისის კომუნისტთა 40-ათასიანი არმია, მისი აქტივი? ცენტრალურმა კომიტეტმა ორგანიზებულად რატომ არ გაგვიყვანა იქ?

გლადკოვმა და მისმა მსგავსებმა რა პასუხი უნდა გასცენ 22 მოკლულისა და 60-მდე დაჭრილი „რევოლუციონერის" ახლობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, რომელთა უმრავლესობას, როგორც სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლო-სამედიცინო ექსპერტიზის აქტებით ოფიციალურად დადგინდა, ზურგში აქვს ნასროლი. მათ შორის ბევრი არასრულწლოვანია.

აღშფოთებულმა მოსახლეობამ სამართლიანად უწოდა 9 მარტს- „სისხლიანი პარასკევი". ხალხი ვერ ხედავს იმ რეალურ ძალას, რომელიც მას რწმენას დაუბრუნებს.

... ერთი რამეც მაკვირვებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი ნაცადი ხელმძღვანელი ამხანაგები - ხრუშჩოვი, ბულგანინი, მოლოტოვი და სხვები აქამდე რატომ დუმან? იმიტომ ხომ არა, რომ მათ მიერ იფარება სინამდვილე. მე მეჩვენება, რომ ეს ასეა, შეუძლებელია, სხვანაირად იყოს.

რამდენიც უნდა წერონ „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" ფურცლებზე ცენტრალური კომიტეტისა და ხელისუფლების ერთობლივი ზრუნვის შესახებ საქართველოს მოსახლეობაზე, მე ვფიქრობ, რომ მანამ, სანამ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი არ აღიარებს მარტის მოვლენების დროს დაშვებულ შეცდომებს, ქართველი ერის, საქართველოს მოსახლეობის ვერავითარ მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს.

რესპუბლიკის ხელმძღვანელებში სუფევს რაღაცნაირი დაბნეულობა, უსუსურობა, უპრინციპობა გადაწყვეტილებების მიღებისას, რაც ქვეყნის ყველა რგოლის მუშაობაზე უკიდურესად უარყოფითად მოქმედებს. ზოგიერთ მათგანს, ისე, რომ ფაქტებში არც კი გარკვეულა, ნაჩქარევი დასკვნები გამოაქვს და დაპატიმრებათა გაზრდას მოითხოვს, ზოგი- პირიქით, ზოგს ეშინია, არ გაანაწყენოს სამხედროები, ზოგს კი სურს, ყველა პასუხისმგებლობა მოიხსნას...

ნუთუ ჩვენს შორის არ არიან ამხანაგები, რომლებსაც შეეძლოთ, აქ გამოსულიყვნენ უფრო კარგად, მეტი სიმართლით. ჩვენს შორის ასეთები არიან, თანაც უამრავი, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ მათ რატომღაც მომლოდინე პოზიცია უკავიათ და ელიან, სანამ ზევიდან არ უკარნახებენ...

(იბეჭდება შემოკლებით)

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საბურთალოს რაიკომს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

გთხოვთ, ჩაიბაროთ ჩემი პარტბილეთი და ჩამთვალოთ სკკპ-ს რიგებიდან გასულად (უკვე 5 თვეა, არ ვიხდი საწევროს), პარტიისა, რომლის იდეებსაც ნამდვილად ვიზიარებდი და რომლისაც აღარაფერი არ მწამს ჯერ კიდევ 1956 წ. 9 მარტს თბილისში გადაგვარებული კომუნისტური ხელისუფლების მიერ ხელოვნურად დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, თუმცა მის რიგებში ვირიცხებოდი ფორმალურად მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ არ წამრთმეოდა ცხოვრების ელემენტარული უფლებები, ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1956-1958 წწ., როდესაც პარტიიდან გარიცხულს 1956 წ. 9 მარტის ამბებთან დაკავშირებით, თბილისში მუშაობაც კი ამიკრძალეს და ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ჩემი შემდგომი ცხოვრება, რომ პარტიის რიგებში „აღდგენაზე" 1958 წ. არ მომხმარებოდა (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) ჩემი ინსტიტუტელი თანაკურსელი, აწ განსვენებული ბატონი გიორგი გეგეშიძე. ყველაზე კურიოზული კი ისაა, რომ პარტიიდან გარიცხვისას ჩამიწერეს „გაირიცხოს პარტიულ კონფერენციაზე ანტიპარტიული გამოსვლისათვის", ხოლო აღდგენისას 1958 წელს - „გამოეცხადოს სასტიკი საყვედური პოლიტიკურად მავნე გამოსვლისათვის".

ღმერთმა შეგვაძლებინოს თავისუფალი საქართველოს სამსახური.

რევაზ ჩოდრიშვილი

17.04.1991.

თამაზ მამულაშვილი



შიში

ფილმის - „9 მარტი - 1956“ გადაღებისას გაზეთში მიმართვა დავბეჭდეთ, სადაც ვიუწყებოდით, რომ, უამრავი თვითმხილველის განცხადებით, 10 მარტს საავადმყოფოები დაღუპულებით იყო სავსე; რომ ჯარისკაცებმა დახოცილებისა და დაჭრილების ერთი ნაწილი მტკვარში გადაყარეს, მეორე ნაწილი კი სადღაც წაიღეს; რომ ედუარდ შევარდნაძემ დაღუპულთა რაოდენობა დაასახელა 150 ადამიანი, ზვიად გამსახურდიამ- 400-მდე, ნოდარ ნათაძემ - 1500-მდე... ვთხოვდით ყველას, ვინც რაიმე იცოდა 9 მარტს დახოცილთა შესახებ, დაგვკავშირებოდა, ეცნობებინა ჩვენთვის.

რამდენიმე დღის შემდეგ ერთმა ნაცნობმა დარეკა:

- მამაჩემს წაუკითხავს გაზეთში თქვენი მიმართვა და მითხრა,- ერთი ჩემი თანამშრომლის შვილი მოჰკლესო მაშინ სანაპიროზე.

- რა გვარია?

ნაცნობმა გვარი დაასახელა.

- სიაში ასეთი არავინ არის. ჰკითხე, მისამართი თუ იცის, სად მოვძებნოთ.

ნაცნობმა ახლა ქუჩა დაასახელა:

- ნომერი ზუსტად არ ახსოვს - 91 ან 71-ო. იკითხეთ და მიგასწავლიან. თვითონ ის კაცი მას მერე მალე გარდაიცვალა, მაგრამ მიდით ოჯახში ჩემი სახელით და ყველაფერს გეტყვიანო.

წავედით, მაგრამ იმ გვარისა არც 91 ნომერში ცხოვრობდა ვინმე და არც 71-ში. რამდენჯერმე ჩამოვიარეთ კენტი ნომრების რიგი და იმედი რომ გადაგვეწურა, მაშინ მივაგენით.

ოდესღაც დიდ ოჯახში ერთადერთი ქალი დაგვხვდა. როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიტყო, რისთვის ვიყავით მისული, იჭვნეული მზერა შეგვავლო და უარი გვტკიცა:

- არ ვიცი, ბატონო. მე რძალი ვარ. ამ ოჯახში იმ ამბებიდან ორი წლის შემდეგ შემოვედი. მე როგორც ვიცი, ის ბიჭი თბილისის ზღვაზე დაიხრჩო.

- იქნებ ოჯახის უფროს წევრებს ვკითხოთ.

- ყველა გარდაიცვალა, ბატონო.

- ნათესავები, ახლობლები? იქნებ იმათ ახსოვთ, ტყუილს ხომ არ იტყოდა ამ ხნის კაცი?

- მხოლოდ ჩემი მამამთილის ძმაა ცოცხალი, სოფელში ცხოვრობს.

- იქნებ იმან გვითხრას რამე, სად ცხოვრობს?

ქალმა ირიბად გაიღიმა:

- იმან რა უნდა გითხრათ?!

არანაირმა თხოვნამ და მტკიცებამ არ გასჭრა. ვერ გეტყვით, ჩვენი ნაცნობის მამა შეცდა თუ... მეტი არც არავინ გამოხმაურებია ჩვენს მიმართვას.

ნუთუ ისეთი დიდი დროა 35 წელი, რომ ყველაფერი უკვე დავიწყების ფერფლმა დაფარა?- ვფიქრობდით გადამღები ჯგუფის წევრები. სწორედ ამ დროს წავიკითხეთ გაზეთ „თბილისში“ ერევნელი ქირურგის - მინას მინასიანის ნაამბობი, რომელმაც ფარდა ახადა დიდ საიდუმლოს. იგი ცხრა მარტის ღამეს, სხვა ქირურგებთან ერთად, სასწრაფოდ გამოუძახნიათ თბილისში დახმარებისათვის. თანაც მინასიანსა და მის კოლეგებს ხელწერილები დაადებინეს თურმე, რომ ამ ფაქტის შესახებ არსად არასოდეს სიტყვა არ წამოსცდებოდათ. აი, რატომ არის დღემდე ასე დაფარული სუკის მიერ გასაიდუმლოებულ დაღუპულთა ვინაობა. გავიხსენოთ, რა დროს ხდება ეს, რა სიტუაციაა მთელს ქვეყანაში. თავი დავანებოთ 36, 37 წლებს, 44-ისა და 48-ის გადასახლებებს. სულ რაღაც ოთხიოდე წლის წინ, 1952 წლის გაზაფხულზე, შუა აზიაში უკრეს თავი კიდევ მრავალ ათას ადამიანს. და თუ ეს ყველაფერი თვით სტალინის დროს ხდებოდა, რას უნდა ელოდე ქართველთმოძულე ხრუშჩოვის სატრაპებისაგან? დახვრეტა- გადასახლების სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიშროება დამოკლეს მახვილივით ჰკიდია თითოეული ადამიანის, ოჯახის თავზე! რისი იმედი უნდა ჰქონოდათ დაღუპულთა მშობლებსა და ახლობლებს? „დარწმუნებულნი ვიყავით, გადაგვასახლებდნენ", - გვითხრა ლიდა გულიშვილმა, რომლის 15 წლის ბიჭს 4 ტყვია არ აკმარეს და ხიშტიც დააწიეს. „მარტო მაშინ კი არა, ახლაც (ჩვენი საუბარი 1991 წელს შედგა), - თქვა ლეილა მათიაშვილმა,- როდესაც აქ მოვდიოდით, დედა თავს იკლავდა,- სად მიდიხართ, რა იცით, ხვალ რა იქნება, როგორ შეიცვლება ქვეყანაო".

შიში! დამთრგუნავი ძრწოლა დაუფლებია ადამიანს და მხოლოდ ფიზიკური არსებობის, სიცოცხლის შენარჩუნებაზეღა ფიქრობს. „ეს შვილებიც არ მომიკლან, ესენი მაინც გავზარდო"- აი, უმთავრესი ფიქრი.

ნაცნობი ხელწერა

ბატონი მინას მინასიანის ნახსენები ხელწერილები ჩვენ არ გვინახავს, ეტყობა, საიმედოდ ჩაკეტეს სუკის არქივებში. სამაგიეროდ ვნახეთ სხვა ხელწერილი, რომელიც „კომსომოლსკაია პრავდას" მიერ ნოვოჩერკასკის 1962 წლის ამბების ამსახველ ფოტომასალაში იყო. ჩვენ მაშინ არაფერი გვსმენია ამ სისხლიან დრამაზე ისევე, როგორც მთელი საბჭოთა კავშირისთვის უცნობი დარჩა 1956 წლის 9 მარტი იმხანად. ნოვოჩერკასკში საბჭოთა არმიამ დამშეული დემონსტრანტები დახვრიტა, მუშები, რომლებიც კარაქსა და ხორცს ითხოვდნენ და ეს სამარცხვინო ლაქა მიიჩქმალა. ქვეყანას არაფერი გაუგია, რადგან ყველა იმათ, ვისაც რაიმე შეხების წერტილი ჰქონდა ამ ამბებთან, ვინც რაიმე იცოდა, ხელი მოაწერინეს პატარა, მაგრამ ყოვლისშემძლე ბარათზე. ეს მოხდა დიდ საბჭოთა კავშირში, მსოფლიოს ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში, რომელსაც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადები მართავდნენ.

აი, ეს ბარათიც:

„Я милиционер Каменского ГОМ даю настоящую расписку в том, что я обязуюсь выполнять правительственное задание и выполнение его хранить как государственную тайну.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Если я нарушу эту настоящую подписку, то буду привлечен к высшей мере наказания - расстрелу.

Моисеев Анатолий Алексеевич

в 16 часов, 30 минут 4 июня, 1962 года".

„თვით ახლაც კი ბევრი მოწმე დუმს - ისინი ჯერ კიდევ 62 წელს გააფრთხილეს: „დაიხსომეთ ერთხელ და სამუდამოდ- ჩვენთან არავინ გაფიცულა, არავის უსროლია და არავინ მოუკლავთ. და, რაც მთავარია, დამაჯერებლად გააფრთხილეს" - ასკვნის გაზეთი.

აი, კიდევ ერთი ამონაწერი:

„ოლგა ეფრემის ასული არტიუშჩენკო:

„წავედი მილიციაში. მილიციაში მითხრეს, ქალაქკომში უნდა წახვიდეო. მივედი ქალაქკომში, ვნახე სიროტინი, მდივანი. გამხდარი, უცნაურად ჩამომხმარი. მეკითხება,- რა გინდაო. ვეუბნები,- ბიჭი მომიკლეს და ცხედარი მაინც მომეცით-მეთქი. ის კი მეუბნება: - აქ არავის არ უსროლია, არავის არავინ არ მოუკლავსო. მერე ვიღაც ახალგაზრდა მოვიდა. მივყავდი და პირზე ხელს მაფარებდა. სამხედროებთან მიმიყვანა. იქ კი არაფრის თქმა არ შეუძლიათ. მეუბნებიან,- ხვალ მოდიო. მეორე დღეს მივედი კიდეც და... სიროტინსაც ვცემე. ჰოდა, ნერვულ განყოფილებაში გამაგზავნეს, იქვე, საგიჟეში".

ოლგა ეფრემოვნას ვაჟი 15 წლის იყო".

და თუ ასეთ ხელწერილებს ართმევდნენ ექიმებს, მილიციელებსა და სხვებს, რომელთაც თვით ხელისუფლების დავალებით ჰქონდათ შეხების წერტილი ამ ამბებთან, როგორ ხელწერილებს ჩამოართმევდნენ იმათ, ვისაც შვილი ან ახლობელი მოუკლეს.

ასეთი ნაცნობი ხელწერა ყოველთვის თან ახლდა იმ სახელმწიფო სისტემას.

ჩვენს შეკითხვაზე,- ჩამოართვეს თუ არა ხელწერილები, დაღუპულთა მშობლებმა უარი განაცხადეს. კი, ბატონო, გასაგებია. მათი შვილების დაღუპვის ამბავი ლამის მთელმა საქართველომ იცოდა და ხელწერილი რაღა საჭირო იყო, მაგრამ ვისი სიკვდილიც დაფარეს და გაასაიდუმლოეს? არ დააწერინებდნენ მათს ახლობლებს ასეთ ხელწერილებს? თუნდაც დღეს ვინ იტყვის, რომ ასეთ სამარცხვინო საბუთზე ხელი აქვს მოწერილი. გარდა ამისა, იგი ხომ იურიდიული დოკუმენტიცაა! თითქოს ძველი და ძალადაკარგული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ... სად არის გარანტია, რომ ხვალ...

და ისინიც სდუმან. თუმცა ბევრი მათგანი ალბათ ცოცხალი აღარცაა. ვისაც მიცვალებული აჩვენეს და რამდენიმე წუთით ტირილის უფლება მაინც მისცეს, იმათ ვერ გაუძლეს დარდსა და ბოღმას და იმათ, ვისაც არც მიცვალებული აჩვენეს და ტირილიც აუკრძალეს, რაღა კარგი დღე დააღგებოდათ?

თეოფილე ჯაფარიძე

ცხრა მარტს დაღუპულთაგან ცნობილია მხოლოდ ორი ქალი - გულიკო სვანი და ნაზი ბენიძე. პირველი 19 წლისა იყო, მეორე - 30-ის.

ნაზის შესახებ დიდხანს ვერაფერი გავიგეთ. მერე ქალბატონმა ნინო შანიძემ გვითხრა,- უმცროსი და დარჩა, გურჯაანშია გათხოვილიო.

გურჯაანიდან ჩამოვიყვანეთ ქალბატონი ვენერა საფლავის საჩვენებლად. კუკიის სასაფლაოზე თითქმის ოცი წუთი მივუყვებოდით ფრიალოზე გაკვალულ ვიწრო ბილიკს, რომელიც 9 ძმის ქუჩას გადმოჰყურებდა, ნაზის სამუდამო განსასვენებელი სხვებისაგან საკმაოდ მოშორებით, ხრიოკ ფერდობზე აღმოჩნდა. იმ დროს იქ, ცხადია, არავის კრძალავდნენ, მაგრამ ასეთი იყო სათანადო სამსახურების ნება- ყველანი თბილისში, მაგრამ სხვადასხვა სასაფლაოებზე და ერთმანეთისგან მოშორებით უნდა დაეკრძალათ, ხევებსა და ციცაბო ტერასებზე, თვალისთვის რომ მიეფარებინათ და, რაც მთავარია, ჭირისუფლებს ერთმანეთთან ურთიერთობა გასჭირვებოდათ.

საფლავი ცემენტის სადა, ვიწრო მართკუთხედით მოეზღუდათ. „ნაზი ბენიძე. 1926-1956“- გვამცნობდა წარწერა.

ნაზი თბილისის ერთ-ერთ სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობდა. იმ დღესაც ჩვეულებრივ დაღლილი დაბრუნდა შინ, მაგრამ სადილი უნდა მოემზადებინა უმცროსი ძმისთვის, რომელიც სულ სანაპიროზე იყო. საღამოხანს, სროლა რომ ატყდა, თავზარდაცემული გავარდა ძმის მოსაძებნად. ძმა გადარჩა, ნაზის კი ჯარისკაცმა ხიშტი აძგერა ზურგში.

გულიკო სვანი მიტინგების სული და გული იყო. ხალხის დაშ-

ლა რომ დაიწყეს, ტრიბუნიდან ამხნევებდა მომიტინგეებს. ბოლოს ჯარისკაცმა ხიშტი მოუღერა, სტალინის პორტრეტი აიტაცა და მკერდზე აიფარა. რას იფიქრებდა, რომ ჯარისკაცები, რომელთაც ქართველთა სიძულვილის ნარკოტიკთან ერთად სპირტის დოზაც ჰქონდათ მიღებული, არამცთუ სტალინის პორტრეტზე, საბჭოთა დროშებსა და ლენინისა და მარქსის ბიუსტებზეც გადააატარებდნენ ტანკებს... ასე, მკერდზე პორტრეტაფარებულს ჩასცა ხიშტი გონებაარეულმა გადამთიელმა.

სასაფლაოზე აქაური ხელოსანი გაგვაცნო ქალბატონმა ვენერამ - თეოფილე ჯაფარიძე,- ამაზე უკეთ ვის ეცოდინება, სად არიან დაკრძალულნი 9 მარტს დახოცილებიო.


თეოფილე ჯაფარიძე

თეოფილე ბერძნული სახელია და ქართულად ღვთისმოყვარულს, ე.ი. ღვთისნიერს ნიშნავს. სწორედ ასეთი აღმოჩნდა თეოფილე ჯაფარიძე, კეთილი სახის, დინჯად მოუბარი ჭარმაგი კაცი.

- როგორ არაო,- გვითხრა თეოფილემ,- ნაზის გარდა სხვების საფლავებიც მე გავაკეთეო და მიხეილ მათიაშვილის საფლავთან მიგვიყვანა. - საწყლები,- თავი ჩაქინდრა და ამ ხნის კაცს ცრემლები მოადგა თვალებზე. მერე ცოტა ზემოთ ავედით- გულიკო სვანის საფლავთან.

- შევატყვე, ჭირისუფლები ხელმოკლედ რომ იყვნენ, თავი მოვიკალი და ხელობის ფული არ გამოვართვი,- თქვა თეოფილემ,- ცემენტი დარჩა ორიოდე ტომარა და,- ეს მაინც აიღეო,- შემეხვეწნენ, - დაგჭირდებაო. იმაზეც უარი ვთქვი, მაგრამ მაინც დატოვეს. ხელი არ მიხლია, ეგრე ეწყო დიდხანს. არ ვიცი, ვინმემ იხმარა თუ სამშენებლო ნარჩენებს გააყოლესო მერე...

რა დალევს ჩვენს მადლიან მიწაზე ღვთისნიერ ადამიანებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვდავყოფა...

●

აღიმართოს მემორიალი 9 აპრილს ღამით მომხდარი ტრაგედიის ადგილზე და ქვაზე ამოიტვიფროს ყველას გვარები და სახელები, ვინც ამ ბარბაროსული აქციის მსხვერპლი გახდა.

გვეყოს გამბედაობა და გულახდილობა - ამავე მემორიალის მეშვეობით გამოვხატოთ ღრმა მწუხარება და თანაგრძნობა იმ ახალგაზრდების მიმართ, რომლებიც იქვე, 50-ოდე მეტრის დაშორებით (დღევანდელი კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობის წინ) მსგავსი საშინელების მსხვერპლნი გახდნენ 33 წლის წინ, 1956 წლის 9 მარტს. ამ ახალგაზრდების სახელები დავიწყების ფერფლით იფარება; უკვდავყოთ მათი გვარები და სახელები, სანამ მათი ვინაობის დადგენა ჯერ კიდევ შეიძლება.

შალვა ხიდაშელი

აკადემიკოსი

●

9 აპრილის ტრაგედია ჩვენთვის ახალი ჭრილობაა, მაგრამ ხომ მოუშუშებელია 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიაც. სამწუხარდ, მის მსხვერპლთ ჩვენ ასე კარგად არ ვიცნობთ, არ ვიცით მათი სახელები. იმ უბედურების მომსწრეებმა სადღაც უნდა თავი მოუყარონ მოგონებებს, რომ ნაწილობრივ მაინც აღდგეს სიმართლე იმ საშინელი დღეების შესახებ. „სასაკლაო" მაშინ სანაპიროზე, ე.წ. „მადათოვის კუნძულზე" („მშრალი ხიდის" გაღმა) არსებულ სტალინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლთან გაიმართა. მე მგონია, უპრიანი იქნება, თუ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს „9 მარტის სანაპირო“ დაერქმევა.

რევაზ ჟორდანია
თსუ პროფესორი
საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

●

ჩემის აზრით, სამართლიანი იქნება, თუ სტალინის სახელობის სანაპიროს „9 მარტის სახელობის სანაპიროს“ ვუწოდებთ 1956 წლის 9 მარტს ხრუშჩოვის მიერ მოგზავნილი ჯალათების მიერ დახვრეტილი თუ ხიშტზე აგებული ახალგაზრდების ხსოვნის უკვდავსაყოფად.

შალვა მგელაძე
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

●

ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, სანაპიროზე- 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის ადგილას დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი დაგვედგა. თვით ამ სკვერს კი ხსოვნის ბაღი ვუწოდოთ.

თენგიზ თოიაძე
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი
პოლიგრაფისტი

ახალი სახელები

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თავის სხდომაზე განიხილა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მრჩეველთა საბჭოს წინადადება და გადაწყვიტა, ამიერიდან ეწოდოს... ქაშუეთთან მდებარე ბაღს - 9 აპრილის სახელობის ბაღი, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებულ სკვერს - 9 მარტის სახელობის სკვერი...

„თბილისი“, 1990 წ. 27 მარტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

კარგი იქნება, 9 აპრილს დაღუპულთა გვერდით რაღაც ფორმით აისახოს 9 მარტს დახოცილთა სახეებიც, ისინიც ხომ უსამართლობის მსხვერპლნი გახდნენ. საქართველოს, ქართველ ხალხს ისინი ხმამაღლა არ დაუტირებია. მემორიალის მოსაწყობად შესაფერისი ადგილი იქნება კომუნარების ბაღი, რომ ხალხს საშუალება ჰქონდეს, ნებისმიერ დროს მივიდეს და პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას.

ილია ეცადაშვილი
საქართველოს აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება „საქთერზეთმრეწვის" უფროსი

●

ჩვენ დიდი ვალი გვაქვს 1956 და 1989 წლებში ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდების წინაშე. მათ ძეგლი უნდა დავუდგათ საანაპიროზე და რუსთაველის პროსპექტზე. ასევე უნდა შევქმნათ დაღუპულთა მუზეუმი.

აკაკი ხოხიაშვილი
II მსოფლიო ომის ინვალიდი

●

ცხრა მარტის გმირებიც უმწიკვლო კრავები იყვნენ საქართველოსგან ღმერთისთვის შეწირულნი და მათთვისაც უნდა აიგოს მემორიალი. მათი მიზანი ეროვნული თავმოყვარეობის დაცვა იყო და არა სტალინის პიროვნების კულტის გაგრძელების ცდა.

გიორგი პაპუაშვილი
მწერალი

●

იქნებ მხატვართა, მწერალთა და სხვა შემოქმედებით კავშირებთან ერთად კონკურსიც გამოვაცხადოთ 9 მარტს დაღუპულთა ხსოვნის მემორიალზე, საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის. ორმოცდაათიანი წლების პარტოკრატიის მსხვერპლნი ამას ნამდვილად იმსახურებენ.

ზოთა ნოზაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

რუსთავის გაძლიერებული რეჟიმის კოლონიის ტერიტორიაზე ლითონისაგან ნაქანდაკევი ორი მწუხარე ფიგურა დგას. თბილისის 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული ამბების მსხვერპლთა ამ ძეგლის ავტორია მექსიკელი ხორხე პორტილია... ქართველი ხალხის ტკივილი მისი ტკივილიც გახდა...

დავით ბერძენიშვილი

ვლადიმერ იარალოვი

•

წელიწადში ერთ დღეს, ჩემი აზრით, 26 მაისს ყველა ქართულ ოჯახში დაინთება სანთელი, რითაც პატივს მივაგებთ იმათ, ვინც მამულის სიყვარულის გამო დაისაჯა. განა ასე არ იყო 1921-1924, 1937-1956 წლებში, აი, ახლახანაც - 1989 წლის 9 აპრილს? ეს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაგიკული თარიღები ქართული სისხლით არის გაჟღენთილი. ... დაღუპულთა ხსოვნას უნდა დავუნთოთ სანთელი...

აქვე წარმოგიდგენთ „სანთლის დღის" აღსანიშნავი ძეგლის ესკიზს. იგი წარმოადგენს მარმარილოს სანთელს, რომელზეც ქვემოთ დაკიდებულია ბრინჯაოს ზარი, ხოლო ძირში ყრია საქართველოს ყველა კუთხიდან მოზიდული ქვაჯვრები. მათზე ამოიტვიფრება ჩვენი ისტორიის ტრაგიკული თარიღები, ლექსები, რომლებიც უდრეკ ქართულ სულს ეძღვნება. ჩემი აზრით, კარგი იქნება, თუ იგი დაიდგმება სანაპიროზე, დედაენის ძეგლის მოპირდაპირე მხარეს.

ზურაბ წერეთელი
სსრკ სახალხო მხატვარი
სსრკ სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი
ლენინური და სსრკ სახელმწიფო პრემიების ლაურეატი

●

1956 წლის 9 მარტი ჩვენი ისტორიის თეთრი კი არა, წითელი ლაქაა, ის შეუხორცებელი ჭრილობაა, საიდანაც დღემდე მოწანწკარებს სისხლი წამებული გოგო-ბიჭებისა. ისინი ეროვნული გმირები არიან ჩვენი დედასაქართველოსი, რომლის ისტორიის ყოველი ფურცელი კი არა, თითოეული სიტყვაც სისხლით არის ჩაწერილი მატიანეში. ჩვენ იმდენი სახელიანი თუ უსახელო გმირი გვყავს, რომ მათი მემორიალების, ძეგლებისა და ობელისკების ასაგებად კი არა, იქნებ მხოლოდ, სახელების დასაწერადაც არ გვეყოს საქართველოს მიწა, მაგრამ 9 მარტს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფა აუცილებელია. ეს ჩვენი ეროვნული, მამულიშვილური, მოქალაქეობრივი ვალია. ქართველ ხალხს უნდა შეეძლოს, მუხლი მოიყაროს ჭაბუკი გმირების ხსოვნის მემორიალთან, რომელზეც მათი გვარები და სახელები იქნება ამოკვეთილი და დავიწყებას გადარჩენილი.

ბაბი ბარბაქაძე
ჭიათურა

2000 წლის 9 მარტის დილამ ჩვეულებრივად ირიჟრაჟა, მაგრამ სისხლიანი ნაიარევი კვლავ მოუშუშებელი დაგვიტოვა...

ამ დღეს ტრადიციულად ვიკრიბებით ხოლმე მშრალ ხიდთან, სანაპიროზე მდებარე სკვერში. დაღუპულთა ოჯახების წევრები, ნათესავები და ახლობლები, მარტის მიტინგების მონაწილენი... ერთმანეთს თავს ვახსენებთ და ამით თითქოს გულს ვიოხებთ. ამჯერად საუბარი ცოტა მეტხანს გაგვიგრძელდა:

- სანამ სალოკი თითებივითღა შემოვრჩენივართ ერთმანეთს, მანამ რაღაც ვიღონოთ, - თქვა ერთმა.

- მაინც რა გაქვს მხედველობაში?- გაეპასუხა მეორე.

- ის, რომ კავშირების სახლის ფასადზე ერთი ნიშა თავისუფალია და შეიძლება მისი გამოყენება. კარგი იქნება, თუ მემორიალური დაფა გაკეთდება. ან თუნდაც გოდების კედელი იყოს, ამაზე ფიქრია საჭირო.

- საჭიროა, ცხრამარტელთა სახელით მომზადდეს მიმართვა ქალაქის მერიის ხელმძღვანელობისადმი, - თქვა ბატონმა ოთარ ურუშაძემ, რომელსაც იცნობენ როგორც დამსახურებულ ინჟინერს, მრავალი საინტერესო და თამამი პროექტის ავტორს.

ბატონი ოთარი იმ დღეს თავის თანაკლასელ მეგობართან, თადარიგის პოლკოვნიკ როლანდ სინატაშვილთან ერთად მოვიდა სანაპიროზე. ისინი 9 მარტის ამბების მონაწილენი არიან და არაერთი მონოგრაფია უძღვნეს ამ თარიღს.

იმ დღეს გადაწყდა, რომ ჩვენი კოლექტიური წერილი ქალაქის ხელმძღვანელობას გადაეცემა და იმედია, გულგრილად არ დატოვებენ ჩვენს თხოვნას, რადგან ისტორიის სანთელი კვლავინდებურად კიაფობს, იწვის და დაუნდობლად კეცავს წლებს, 9 მარტის გმირები კი ამაოდ ელიან კუთვნილ დაფასებას.

გურამ წერეთელი,

9 მარტს დაღუპული იუზა წერეთლის ძმა

საქველმოქმედო საზოგადოებას - „9 მარტი, 1956“ ჩაფიქრებული ჰქონდა 9 მარტს დაღუპულთა უკვდავსაყოფად მტკვრისპირა პატარა სკვერში ძეგლი აღემართა, ესკიზიც კი მოვიფიქრეთ, მაგრამ ქვეყანაში დაწყებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმას ხელი შეუშალა.



ერთი რამ კი ნამდვილად მოხერხდა - გრიგოლ ონიანის ინიციატივით რომელიც თავკაცობდა საზოგადოებას - „სტალინი“, სკვერში დაიდგა გრანიტის ქვა წარწერით: - „აქ დაიდგმება 9 მარტს დაღუპულთა უკვდავყოფის მემორიალი“.

გივი ვეფხვაძე

ვინ იცის, ოდესმე იქნებ მართლაც აღიმართოს ასეთი ძეგლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1956 წლის 9 მარტის შესახებ გამოქვეყნებული მასალების არასრული ნუსხა:

1. თენგიზ ბუაჩიძე - „შევქმნათ საერთო-სახალხო ისტორია“ (“ლიტერატურული საქართველო“, 8 აპრილი, 1988);
2. თენგიზ ბუაჩიძე - „1956 წლის 9 მარტის ტრაგედია“ (“ლიტერატურული საქართველო“, 8 აპრილი, 1988);
3. აკაკი სურგულაძე - „ნისლი გადაიწმინდა“ (“კომუნისტი“, 24 აპრილი, 1988);
4. ელდარ შენგელაია- „ტყუილნარევი სიმართლე ტყუილზე უარესია“ (“სოვეტსკაია კულტურა“, 18 ივნისი, 1988; „კომუნისტი“, 13 ივლისი, 1988);
5. მიხეილ ქვლივიძე- ციკლიდან „უჯრის პატიმრები“ - „9 მარტი, 1956 წელი“ (“თბილისი“, 20 ივლისი, 1988);
6. „მხოლოდ სიმართლე, სრული სიმართლე“ (“თბილისი“, 23 აგვისტო, 1988);
7. ტარიელ ჭანტურია- „დინოზავრიდან დიზაინამდე“, „თქვსმეტი! ორჯერ თექვსმეტი“. (“ლიტერატურული საქართველო“, 23 სექტემბერი, 1988);
8. ტარიელ ჭანტურია- „ცრემლით დამარცხებული მკვლელი“ (“ლიტერატურული საქართველო“, 21 აპრილი, 1989);
9. ნოდარ გრიგალაშვილი - „სამწუხარო პარალელები“ (“ლიტერატურული საქართველო“, 24 აპრილი, 1989);
10. თეიმურაზ მეტრეველი - „ნუ დაღონდები, სიცოცხლევ“ (“კომუნისტი“, 1 მაისი, 1989);
11. ილია ეცადაშვილი - „მაშინ ვერ დავიტირეთ“ (“სოფლის ცხოვრება“, 18 მაისი, 1989);
12. გრიგოლ ზაქარაია - „გზას მხოლოდ სიმართლე გვიჩვენებს“ (“სოფლის ცხოვრება“, 18 მაისი, 1989);
13. ბელა წვერაძე- „რისთვის მომიკალით შვილი?!“ (“ლიტერატურული საქართველო“, 26 მაისი, 1989);
14. ომარ ლოლუა - „1956, 9 მარტი“ (“სოფლის ცხოვრება“, 27 მაისი, 1989);
15. ირაკლი რაზმაძე - „შემოდიოდა სიკვდილი ცელით“ (“ლიტერატურუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საქართველო“, 2 ივნისი, 1989);

16. ნინო იმედაშვილი - „უსამართლობა - სიმართლის სახელით?!“ („ივრის განთიადი“ (საგარეჯოს რაიონული გაზეთი), 3 ივნისი, 1989);
17. „1956 წლის 9 მარტი“ (ც. თოფურიას, გ. მერკვილიშვილის, ლ. გულიშვილის, გობეჯიშვილის, ნ. მამალაძის, თ. ალავიძის, ე. მათიაშვილის მოგონებები) - „სოფლის ცხოვრება“, 7 ივნისი, 1989);
18. 9 მარტს დაღუპული 22 ადამიანის გარდაცვალების ჩანაწერი მმაჩის რესპუბლიკური არქივიდან („სოფლის ცხოვრება“, 7 ივნისი, 1989);
19. ნოდარ ნათაძე - „9 მარტი, 1956“ („სახალხო განათლება“, 21 ივნისი, 1989);
20. „1956 წლის 9 მარტი“ (ზეინაბ ცანავას, ვლადიმერ ხომერიკის, ზაირა ელიზბარაშვილის, დარიკო ალადაშვილის, ჯულიეტა ბერუაშვილის, ციალა ბურდულის მოგონებები) - „სოფლის ცხოვრება“, 27 ივნისი, 1989);
21. ნინო კანდელაკი - შანიძისა- „გოდების კედელი“ („მამული“, №1, ივნისი, 1989);
22. ნანა ჩივაძე - „9 მარტის მსხვერპლი“ („სამთო ქიმია“ (საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის“ ორგანო), 12 ივლისი, 1989);
23. ზაზა ბიწაძე - „1956 წელი, 9 მარტი“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 10 ოქტომბერი, 1989);
24. როსტომ თიგიშვილი- „თანამედროვე სუპერპარადოქსი“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 18 ნოემბერი, 1989);
25. აკაკი ვასაძე - „მართალი“ (ვლ. სიხარულიძის ხსოვნას) - „ლიტერატურული საქართველო“, 29 დეკემბერი, 1989);
26. ნინო კანდელაკი-შანიძისა - „წერილი რედაქციას!“ („საქართველოს ქალი“, №3, 1990);
27. რომან მიმინოშვილი- „ეროვნული არმიის სათავეებთან“ („თბილისი“, 16 იანვარი, 1990);
28. მარიკა ბარათაშვილი - „რა ვუწოდოთ?“ („თბილისი“, 24 იანვარი, 1990);
29. „9 მარტის სისხლიანი დღეების გახსენება“ (გ. კირცხელია- „აკრძალული ცრემლები; კ. კანდელაკი-შანიძისა - უკვდავყოთ მათი სახელები“; დაღუპულთა ბიოგრაფიები)- „სამთო ქიმია“ (საწარმოო გაერთიანება „სამთო ქიმიის“ ორგანო), 21 თებერვალი, 1990;
30. ვასილ კიკნაძე - „კიდევ ერთი მსხვერპლი“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 22 თებერვალი, 1990);
31. მიხეილ არავიაშვილი - „აი, ასეთი იყო 1956 წლის 9 მარტი“ („ელექტრიკოსი“, 6 მარტი, 1990);
32. იზა ზაალიშვილი - „რამ გააძლებინათ“ („ახალგაზრდა კომუნისტი“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

8 მარტი, 1990);

33. ჯონდო გვასალია- „სისხლიანი 1956“ („ლიტერატურული საქართველო“ 9 მარტი, 1990);
34. „მიტინგი მთავრობის სახლთან“ („კომუნისტი“, 10 მარტი, 1990);
35. გიორგი პაპუაშვილი- „არდასავიწყებელი“ („თბილისი“, 11 მარტი, 1990);
36. „ასეთი იყო 1956 წლის 9 მარტი“ („შრომის დროშა“ (ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „ვლდანის“ ორგანო) - 12 მარტი, 1990);
37. გ. მესხიშვილი- „საუბანას გადამკიდე“ - („ნათლისვეტი“, მირკანი-იგრიკა, 1990);
38. ნინო კანდელაკი-შანიძისაა - „ისტორიის ფურცლები“ („კვალი“ (საქართველოს სახალხო ფრონტის ინფორმაციისა და პრესის ბიულეტენი“, №2, მარტი-აპრილი, 1990);
39. აკაკი ხოხიაშვილი, გივი ვეფხვაძე- „მარტის ტრაგედია“ („თბილისი“, 9 აპრილი, 1990);
40. ლია მახვილაძე- მემანიშვილი - „ბარათი ცხრააპრილელებს“ („თბილისი“, 9 აპრილი, 1990);
41. რევაზ სალია (ინტერვიუ)- „კომუნისტი“, 13 მაისი, 1990;
42. ნოდარ შამანაძე - „წინათგრძნობა“ („თბილისი“, 25 მაისი, 1990);
43. გალინა ხარებაშვილი- „მოტყუებული თაობა თუ თაობები?!“ („რესპუბლიკა“, 22 ივლისი, 1990);
44. სერჟ რაფი- „თბილისი- ბორკილებისაგან განთავისუფლების ჟამი“ (ფრანგული ჟურნალი „ნუველ ობსერვატერ“, № 1885, ივნისი, 1990; „საქართველო“, 29 ივლისი, 1990);
45. „1956 წელი ქუთაისში“ („სიცოცხლე ხიშტზე აგებული“; ემენ ტაკიძე - „მე მაშინ პირველი მდივანი ვიყავი“ - დ. გაბუნიას ინტერვიუ; დიმიტრი ნაცვლიშვილი - „ასე დაგვშალეს“. „გვირგვინი, ჯიუტი კვარცხლბეკი“) - „იმერეთი“ („ქუთაისის საქალაქო გაზეთი), №1, აგვისტო, 1990);
46. ირაკლი ინაშვილი - „ჩემი ჭკუით კომუნიზმს ვაშენებდი“, ინტერვიუ ალექსი ინაურთან („7 დღე“, 14 აგვისტო, 1990);
47. შოთა ნოზაძე - „სისხლიანი 9 მარტი - მხოლოდ ციფრები“ („7 დღე“, 18 სექტემბერი, 1990);
48. რომან მიმინოშვილი- „ფუნქციონერის აღსარება“ („თბილისი“, 11 ოქტომბერი, 1990);
49. გურამ ხუციშვილი- „ავადმყოფთა მიღების ჟურნალი გაქრა“ („7 დღე“, 17 ოქტომბერი. 1990);
50. გოგი ციციშვილი - „კაცის სიცოცხლე ჩირად არ ღირდა“ („7 დღე“, 17 ოქტომბერი, 1990);

51. იროდიონ ფაჩულია, მიხეილ ფიცხელაური, გოგი ფიცხელაური, ბიჭიკო სანაია, რუსლან ფიფია, ვანო კუხიანიძე (ყოფილი პოლიტპატიმრები) - „რადგან საჭიროა“... (“თბილისი“, 6 ნოემბერი, 1990);
52. გაიოზ ერაძე- „ბომონი სასწორზე“ (“სახალხო განათლება“, 22 ნოემბერი, 1990);
53 ფარნაოზ დუღაშვილი- „მხოლოდ სიმართლე“ (“ახალი საქართველო“, 29 ნოემბერი, 1990);
54. ელგუჯა ჯოხაძე - „დავუჯეროთ „გულდამძიმებულ მოხუცს?“ (“კაბადონი-8“, 8 დეკემბერი, 1990);
55. გურამ ჩხიკვაძე - „ნუთუ კიდევ ერთხელ შერჩებათ?!“ (“მამული“, №2, იანვარი, 1991);
56.გუჯა ჯოხაძე- „სამშობლოს ღალატი არავის შერჩება“ (საქართველოს რესპუბლიკა. 19 იანვარი, 1991);
57. იროდიონ ფაჩულია- „ღია წერილი საქართველოს სუკის საგამომძიებლო სასამართლოს ყოფილ უფროსს არკადი ნადირაძეს“ (“კაბადონი-8“, 30 იანვარი, 1991);
58. კობა იმედაშვილი- „1956 წლის 9 მარტი“ (“მამული“, №5, მარტი, 1991);
59. „ამერიკის ხმა“, 4 მარტი, 1991 წელი (“საქართველოს რესპუბლიკა“, 7 მარტი, 1991);
60. შოთა ნოზაძე- „ტრაგიკული 9 მარტი“ (“სოფლის ცხოვრება“, 8 მარტი, 1991);
61. შოთა ნოზაძე - „სისხლიანი 9 მარტი“ (“რესპუბლიკა“, 5,12,19,26 მარტი, 1991);
62. იგორ პატარაიძე - „მამები“ (“ახალგაზრდა კომუნისტი“, 9 მარტი, 1991);
63. ნორა მამალაძე - „მე თავად გახლდით იმ ავბედითი დღის მხილველი“ - „გზა მშვიდობისა“ (თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების გაზეთი), 9 მარტი, 1991);
64. თამაზ სულაძე - „იმ ავბედითი ღამის ზვარაკი“ („რესპუბლიკა“, 12 მარტი, 1991);
65. დოდო ზურაბიშვილი- „სისხლიანი 9 მარტი“ („რესპუბლიკა“, 9 აპრილი, 1991);
66. ნინო კლარჯეიშვილი - „9 მარტი, 9 აპრილი“ („ახალგაზრდა ივერიელი“, 13 აპრილი, 1991);
67. მერი თოდუა- „9 მარტიდან 9 აპრილამდე“ („კოლხური დიადემა“, №3, მაისი, 1991);
68. იროდი ფაჩულია, ამირან აფციაური, მიხეილ ფიცხელაური, ბიჭიკო სანაია, რუსლან ფიფია - „ჩვენი ხმა - ბატონ ზვიად გამსახურდიას!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

("საქართველოს რესპუბლიკა", 17 მაისი, 1991);
69. ნოდარ ნათაძე - „სისხლიანი პარასკევი", თბილისი, 1991 წელი;
70. შოთა ნოზაძე - „9 მარტის ტრაგედია", გამომცემლობა „მერანი", 1992 წელი;
71. მამუკა ბაკაშვილი - „9 მარტი, 1956 წელი" ("თბილისი", 9 მარტი, 1992);
72. ნინო კლარჯეიშვილი - „ფილმი 9 მარტზე" ("ახალგაზრდა ივერიელი", 14 მარტი, 1992);
73. მამუკა ბაკაშვილი- „შეიქმნა „9 მარტის საქველმოქმედო საზოგადოება" ("საქართველოს რესპუბლიკა", 24 აპრილი, 1992);
74. „9 მარტი, 1956 წელი" (ორსერიიანი დოკუმენტური ფილმი), საქტელეფილმი, 1993;
75. გივი ვეფხვაძე - „იმ დღიდან გულში შავი მარტია" ("სოფლის ცხოვრება", 13,20 მარტი, 3 აპრილი, 1993);
76. გივი ვეფხვაძე - „ის ავადმოსაგონარი 9 მარტი" ("თბილისი", 29 ივლისი, 1993);
77. გივი ვეფხვაძე - „9 მარტი უნდა გვახსოვდეს" ("ქართული ფილმი", 5 აგვისტო, 1993);
78. იზა ვეფხვაძე - „...ჩვენი ბავშვობა და სილამაზე" (ინტერვიუ კინორეჟისორ გივი ვეფხვაძესთან) - „იმერეთის კარი" (ხარაგაულის რაიონული გაზეთი), 11 აგვისტო, 1993;
79. გივი ვეფხვაძე- „9 მარტს დაღუპულთა ხსოვნისათვის" ("ლაშარის გორი", 8-15 მარტი, 1996);
80. გივი ვეფხვაძე - „9 მარტი" ("კოლხური კოშკი", 30 აპრილი, 1996);
81. გივი ვეფხვაძე - „9 მარტი, 1956 წელი" ("ლაშარის გორი", №5, 1997);
82. გივი ვეფხვაძე- „სისხლიანი ქრონიკები" ("ქართული ფილმი", 7 მარტი, 1997);
83. გივი ვეფხვაძე- „რატომ დახვრიტეს მომიტინგენი?" ("ალია", 8-9 მარტი, 1997);
84. გივი ვეფხვაძე- „მამა ოცდაჩვიდმეტში დახვრიტეს, შვილი - ორმოცდათექვსმეტში" ("თბილისი", 8 მარტი, 1997);
85. გივი ვეფხვაძე - „გარდასულ დღეთა მოსაგონებლად" ("დედა", №3(18), 1998);
86. გივი ვეფხვაძე - „ზურგიდან ნასროლი ტყვიები" ("თბილისი", 7 მარტი, 1998);
87. გივი ვეფხვაძე - „ქაროველი ახალგაზრდების პირველი დამსჯელი აქცია" ("ახალი 7 დღე", 13-19 მარტი, 1998);
88. გივი ვეფხვაძე - „დღევანდელი გადასახედიდან" ("თვალთაი", 29 აპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილი- 5 მაისი, 1998).
89. მამუკა ბაკაშვილი- „სტალინს რომ მარქსი არ წაეკითხა, ალბათ იგი პოეტად დარჩებოდა“ (ინტერვიუ კინორეჟისორ გივი ვეფხვაძესთან) - „თბილისის სიახლენი“ (21-22 დეკემბერი, 1998);
90. ედუარდ შევარდნაძე - „ვთქვათ სრული სიმართლე უახლოეს წარსულზე, რომელსაც თითოეული ჩვენგანი თან ატარებს საკუთარი მეხსიერებითა თუ მამა-პაპათა გენით“ (“საქართველოს რესპუბლიკა“, 9 მარტი, 1999);
91. მამუკა ბაკაშვილი - „ზვიადმა ძალიან კარგად იცოდა, 9 აპრილს რა უნდა მომხდარიყო (ინტერვიუ კინორეჟისორ გივი ვეფხვაძესთან) - „ახალი თაობა“, 9 მარტი, 1999;
92. გრიშა ბაბაჯანოვი - „დღემდე ვერ ვივიწყებ 9 მარტის ტრაგედიას“ (“საქართველოს რესპუბლიკა“, 9 მარტი, 1999);
93. ზაზა ბაკაშვილი - „9 მარტსაც ეროვნული თავმოყვარეობისათვის გვესროლეს“ (ინტერვიუ კინორეჟისორ გივი ვეფხვაძესთან)- „თბილისის სიახლენი“, 8-9 მარტი, 1999.
94. ზაზა ბაკაშვილი - „ისინი უბრალოდ კარგი ბიჭები იყვნენ“ (ინტერვიუ კინორეჟისორ გივი ვეფხვაძესთან)- „თბილისის სიახლენი“, 9-10 მარტი, 1999;
95. როლანდ სინატაშვილი - „თბილისი, 1956 წლის 9 მარტი“ (“თვალთაი“, 14-21 აპრილი, 1999);
96. ოთარ ურუშაძე - „1956 წლის 9 მარტი“ („კვირის პალიტრა“, 8-14 მარტი, 1999);
97. კარლო ადეიშვილი- 9 მარტის მწუხრი (ჟურნალი „ნოსტალგია“, აპრილი, 1899).
98. მამუკა ბაკაშვილი- „ვერც მჟავანაძე აიცილებდა 9 მარტის ტრაგედიას და ვერც პატიაშვილი- 9 აპრილისას“ (ინტერვიუ კინორეჟისორ გივი ვეფხვაძესთან- „ახალი თაობა“, 9 მარტი, 2000);
99. მამუკა ბაკაშვილი- „ჩვენ მსოფლიოს ვანახებთ სტალინს თავისი შეცდომებითა და ტრაგიზმით“ (ინტერვიუ კინორეჟისორ გივი ვეფხვაძესთან) - „ახალი თაობა“, 8 ივნისი- 2000 წ.
100. ოთარ ურუშაძე - „9 მარტი“ (გამომცემლობა „მერანი“. 2000).
101. მამუკა ბაკაშვილი - „სტალინს შეპასუხებას ვერავინ უბედავდა (ინტერვიუ კინორეჟისორ გივი ვეფხვაძესთან) - „ახალი თაობა“, 21 დეკემბერი, 2000.
102. აკაკი მათიაშვილი - „აკრიანი - მარტყოფი - მარტყოფი - 4500“ (წიგნი II, გვ. 492-513).
103. აკაკი პავლეს ძე წერეთელი - „9 მარტის მონაწილის დღიურებიდან“, საზ. „ცოდნა“, 1994.

20. 9 მარტი, 1956 კადრში და კადრგარეთ.

შინაარსი

გ. ვეფხვაძე - 9 აპრილიდან 9 მარტამდე	3
ორსერიიანი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი "9 მარტი, 1956"	38
დაღუპულთა ბიოგრაფიები	75
თ. ბუაჩიძე - 1956 წლის მარტის ტრაგედია	87
ნ. ნათაძე- სისხლიანი პარასკევი	94
ი. ინაშვილი- "ჩემი ჭკუით კომუნიზმს ვაშენებდი" (ინტერვიუ ა. ინაურთან)	105
ე. ჯოხაძე- დავუჯეროთ "გულდამძიმებულ მოხუცს?"	117
ნ. კლარჯეიშვილი- 9 მარტი, 9 აპრილი (ინტერვიუ გ. მელაძესთან)	122
ე. ტაკიძე - მე მაშინ პირველი მდივანი ვიყავი (დ. გაბუნიას ინტერვიუ)	129
ა. ხოხიაშვილი - მარტის ტრაგედია	132
"ამერიკის ხმა" (1958 წ. 12 მარტი)	137
"ამერიკის ხმა" (1991 წ. 4 მარტი)	139
ფ. დუღაშვილი - მხოლოდ სიმართლე	141
შ. ნოზაძე - სისხლიანი ცხრა მარტი	149
ა. ასლანიშვილი - "შეინახოს მუდმივად" ანუ "ბურლაკები"	159
გ. პაპუაშვილი - არდასავიწყებელი	167
ი. პატარიძე- მამები	171
თ. მეტრეველი- ნუ დაღონდები, სიცოცხლევ!	176
ნ. კანდელაკი-შანიძისა - გოდების კედელი	178
კ. ადეიშვილი - 9 მარტის მწუხრი	180
მ. არავიაშვილი - აი, ასეთი იყო 1956 წლის 9 მარტი	184
ჯ. გვასალია - სისხლიანი 1956	189
ო. ურუშაძე - 9 მარტი	194
დ. ზურაბიშვილი - სისხლიანი 9 მარტი	198
მ. თოდუა- 9 მარტიდან 9 აპრილამდე	200
გ. ხუციშვილი-ავადმყოფთა მიღების ჟურნალი გაქრა	206
ი. ზაალიშვილი - რამ გააძლებინათ	207
დ. ნაცვლიშვილი - ასე დაგვშალეს	211

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. ჩხიკვაძე- ნუთუ კიდევ ერთხელ შერჩებათ?!	213
მ. სულხანიშვილი, გ. ვეფხვაძე - დღევანდელი გადასახედიდან	216
მ. ბაკაშვილი - შეიქმნა "9 მარტის საქველმოქმედო საზოგადოება"	219
ა. მათიაშვილი - 1956 წლის მარტის ეროვნული შეუიარაღებელი აჯანყება	221
ვ. ხოცუაშვილი - 9 მიარტი- მემკვიდრე წარსულისა და წინამორბედი შემდგომი ბრძოლებისა	228
ი. ეცადაშვილი - შეიძლებოდა თუ არა ტრაგედიის თავიდან აცილება?	236
ვ. ფაჩულია- მიტინგს ლენინი და სტალინიც "ესწრებოდნენ"	238
შ. ადომლიშვილი - "ხსოვნა დარჩება და დღენი წავლენ"...	241
ქ. კობაიძე - 9 მარტმა ბიძგი მისცა ეროვნულ მოძრაობას	245
მ. აივაზაშვილი - ნანახი და განცდილი	248
რ. სინატაშვილი - თბილისი, 1956 წლის 9 მარტი	251
ს. ბაკურაძე - მოუშუშებელ ჭრილობად დარჩება	256
ჯ. ნანიტაშვილი - ბელადებსაც გადაუარეს	260
მ. კოპალეიშვილი - მისთვის სამყარო უკვე აღარ არსებობდა	262
ე. ხახუბია - ჯებირმონგრეულ მდინარესა ჰგავს ეს მოგონება	264
ა. დემეტრაძე - ასე დასრულდა ერთადერთი ქართული დივიზიის არსებობა	268
დ. ჯაყელი - ასე დაშალეს ქართული დივიზია	271
ნ. აბულაძე - მილიციას რა შეეძლო	273
ვ. ჟღენტი - ექსპერტებმა ივაჟკაცეს	275
განაჩენი (ჟუჟუნა პაქსაშვილისა)	277
რ. ჩოდრიშვილი - სანამ საქ. კპ ცკ არ აღიარებს მარტის მოვლენების დროს დაშვებულ შეცდომებს, საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს	280
თ. მამულაშვილი - შიში	286
ნაცნობი ხელწერა	289
თეოფილე ჯაფარიძე	291
უკვდავყოფა	293
1956 წლის 9 მარტის შესახებ გამოქვეყნებული მასალების არასრული ნუსხა	300

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ალინა ჩაგანავა
მხატვარი დალი მუხაძე
მხატვრული რედაქცია და დიზანი ირაკლი ავალიანი
ოპერატორი ნათელა ტალახაძე

დაიბეჭდა შპს საგამომცემლო-პოლიგრაფიულ
ფირმაში „ელვა“



„ქველას რაღაცა აქვს სახსოვარი“... - ჩემი განვლილი ცხოვრებიდან მეც შემომრჩა ერთი ისეთი „სახსოვარი“, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გამყვება. ეს გახლავთ ის ტრაგიკული 1956 წლის 9 მარტი, ასე ღრმად და მტკივნეულად რომ ჩაიბეჭდა ჩემს გონებაში. მაშინ თვრამეტი წლის ჭაბუკი ვიყავი. სწორედ იმ დღეს დამბადა დიდი სურვილი, შემეგროვებინა ტრაგედიასთან დაკავშირებული მასალები და ოდესმე მაინც, კინოფილმის ან წიგნის სახით, ლეგალურად თუ არალეგალურად გამომემზეურებინა. ოცდაცამეტი წელი დასჭირდა ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებას. 9 მარტის თემაზე ფილმის შექმნას ბიძგი 1989 წლის 9 აპრილმა მისცა. დღეს ამ ფილმს წინამდებარე წიგნიც შეემატა.

ჩვენ ის უკანასკნელი თაობა ვართ, ვინც საკუთარი თვალით იხილა ქველაფერი და ვისაც ჯერ კიდევ შეუძლია, მეხსიერებაში ზუსტად აღიდგინოს ის ბობოქარი დღეები და სისხლიანი პარასკევი ღამე. დიახ, ჩვენ ის თაობა ვართ, ვისაც დუმილის უფლება არა გვაქვს, რათა ისედაც მრავალ ჭირვარამგამოვლილ ჩვენი ქვეყნის ისტორიას თეთრ ლაქად არ შემორჩეს თუნდაც ერთი სისხლიანი ფურცელი.

არც ფილმს და არც ამ წიგნს იმ დღეთა მოვლენების გაანალიზების სრული ამოწურვის პრეტენზია არ გააჩნია. ჩვენი მიზანი იყო, შეძლებისდაგვარად შეგვეკრიბა ის მასალები, რაც მომავალი თაობებისათვის ისტორიული დოკუმენტაციის ტოლფასი იქნება.

ფილმის რეჟისორი და წიგნის შემდგენელი
გივი ვეფხვაძე

9
ასრული